

K 40193  
2

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

თედო სახოკია

ეთნოგრაფიული  
ნაწარმები

სამეცნიერო

თბილისი

გამოცემლობა

1956

ეთნოგრაფიული ნაწარები

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Т. С А Х О К И Я

# СТАТЬИ ПО ЭТНОГРАФИИ

Th. Sachokia


Ethnographische Beiträege

Издательство Научно-методического кабинета  
Тбилиси — 1956 — Tbilissi

თერო სასოქია

# ეთნოგრაფიული ნაწარები

К 10193  
2



რედაქტორი პროფ. ზ. ჩიტაია.

## რედაქტორისაბან

წინამდებარე წიგნი „ეთნოგრაფიული ნაწერები“ ეკუთვნის კარგად ცნობილს, მსცოვან ეთნოგრაფს, ლექსიკოლოგს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს თედო სახოკიას კალამს.

თ. სახოკია ქართველ ეთნოგრაფთა იმ დასის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც თავისი მოღვაწეობა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დაიწყო და თავისი უანგარო და თავდადებული შრომით, ცარიზმის დუხჭირი პირობების მიუხედავად, ქართული ეთნოგრაფიის გაუტეხავ ყამირს ღრმა კვალი გაავლო და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია.

მას შემდეგ, რაც თ. სახოკია ქართული ეთნოგრაფიის სამსახურში ჩადგა, ის ამ დარგში თავის ოსტატობას თანდათან აუმჯობესებდა და იმ ხანის სამეცნიერო მიღწევებს სათანადოდ ეუფლებოდა. მისი სახით ჩვენ წარმოვიდგება თავის დროისათვის კარგად შეიარაღებული ეთნოგრაფი, რომელიც ხალხის ყოფისა და ზნეჩვეულებების დაკვირვებულ ამწერი და კვალიფიციური მკვლევარია. მას დაწერილი და დაბეჭდილი აქვს არა ერთი ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. ზოგჯერ მისი ნაწერები სცილდება საქართველოს ეთნოგრაფიის ფარგლებს, ასე, მაგ. ავტორს სპეციალურ ნარკვევებში აღწერილი და დახასიათებული აქვს შვეიცარიის სოფელი. აღსანიშნავია ისიც, რომ თ. სახოკიას არა ერთგზის მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო ეთნოგრაფთა კონგრესების მუშაობაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ თ. სახოკია თავის ეთნოგრაფიულ ნაშრომებში მოვლენებსა და ფაქტებს აღწერს საკმარისი სისრულით, თითქმის ყოველმხრივ და შედარებით ზუსტად. ამის გამო და იმიტომაც, რომ ავტორის მიერ ეთნოგრაფიულ სინამდვილე ფიქსირებულია დროის გარკვეულ მონაკვეთში და აღწერილი მოვლენები ბევრ შემთხვევაში მანამდე ლიტერატურაში ცნობილი არ იყო, აღწერილ მასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ზემოთქმულს ისიც უნდა დავძინოთ, რომ თ. სახოკია თხრობის შესანიშნავი ოსტატია.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ თ. სახოკიას მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალა სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე საბჭოური ეთნოგრაფიის მკაცრ მოთხოვნილებებს, სახელდობრ, ეთნოგრაფიული ფაქტის დადგენას ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით. მაგრამ ამისდა მიუხედავად თ. სახოკიას ეთნოგრაფიულ ნაწერებში უხვადაა მოცემული

საქართველოს რევოლუციამდელი ეთნოგრაფიული სინამდვილის ამსახველი მასალა და ამავე დროს რიგი მეცნიერული ღირებულების მქონე საკითხი სწორადაა დასმული და სათანადოდ გადაჭრილი.

არსებითად ამავე ხასიათისაა ამ წიგნში მოთავსებული ნაწერებიც. აქ ავტორი ვრცლად გადმოგვცემს საახალწლო და საქორწინო წესჩვეულებებს, აგვიწერს მიცვალებულის კულტსა და ხალხურ სამართალს, უხვ მასალას იძლევა ხალხური მკურნალობისა და უძველესი მსოფლმხედველობის შესახებ. გზადაგზა ავტორი ირკვევს ცალკეულ საკითხებს, მათ ისტორიულ ასპექტში იხილავს და გარკვეულ დასკვნამდე მიდის. საყურადღებოა, რომ ავტორი ზოგად მოვლენებთან ერთად აფიქსირებს თავისებურებებს, აქა-იქ რომ შემონახულია. თამამად უნდა ითქვას, რომ აქ მოცემული მასალის საფუძველზე შეიძლება აღდგენილ იქნეს სათანადო სხვა მასალის გამოყენებასთან ერთად, ქართველი ხალხის უძველესი სარწმუნოება და მსოფლმხედველობა.

კრებულში მოთავსებული ნარკვევები დაწერილია ავტორის მიერ 1898 — 1916 წწ. ჩვენი აზრით, კრებული გამოდგება იმისათვის, რომ უმაღლესი სკოლის სტუდენტებმა გამოიყენონ, როგორც დამხმარე მასალის შემცველი, საქართველოს ეთნოგრაფიისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს, ხოლო ფართო მკითხველმა გაიცნოს რევოლუციამდელი ყოფა უშუალო დამკვირვებლის შემწივობით.

\* \* \*

ეს წიგნი უკვე აწყობილი იყო, როდესაც მისი ავტორი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, თებერვალს 17-ს, 89 წელს მიღწეული, გარდაიცვალა. ამით დასრულდა სიცოცხლე იმ ადამიანისა, რომელიც ცხოვრების გრძელ მანძილზე თავისი შემოქმედებითი ნიჭით, უნარითა და დიდი ენერჯით ქართველი ხალხის კულტურის განვითარებას ემსახურებოდა და რომელმაც თავისი უანგარო შრომითა და თავდადებული მოღვაწეობით ხალხის სიყვარული დაიმსახურა.

თედო სახოკია დაიბადა 1868 წლის 15 მარტს, ზუგდიდის მაზრის სოფელ ხეთაში. მოსწავლეთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო გარიცხული იქნა თბილისის სასულიერო სემინარიიდან და სწავლა განაგრძო ჯერ ყენევაში, ხოლო შემდეგ პარიზში — სორბონის უნივერსიტეტში. სამწერლობო მოღვაწეობა დაიწყო 1888 წელს. არა ერთგზის იყო რეპრესირებული მეფის მთავრობის მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

თ. სახოკიას დიდი ამაგი ღირსეულად იყო დაფასებული საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მიერ. ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს სამშობლოს წინაშე ვალმოხდილს, მშობლიური კულტურისათვის დამაშვრალ ამაგდარს თედო სახოკიას.

## სამეგრელოს მითოლოგიიდან

ოჩოკოჩი. — ტყის მეფე. — ჰინკა. — შიშის კაცი. — ჟაში. — წყლის დედა. — მესეფი. — ეშმაკი. — მახაკვილი, ანუ კულიანი. — ბატონება (ყვაილი) და სხვა გადამღები სენი.

თანამედროვე\* მეგრელის წარმოდგენით, სამყარო ადამიანის გვერდით მოფენილია ავი და ბოროტი სულებით, რომელნიც გაჩენილან იმისათვის, რომ ავნონ ადამიანს, ავნონ მისს საქონელს, ზიანი მიაყენონ მისს ქონებას, ადამიანი, დაბადებიდან მოკიდებული ვიდრე სამარის კარამდე, დაუსრულებელ ბრძოლას ეწევა ამ სულებთან, რომელნიც ათასგვარ მახეს ურწყამენ თავიანთ მსხვერპლს. ეს უკანასკნელიც, რამდენადაც მისი პირველყოფილი გონება მიუწვდება, ცდილობს თავისს დაუძინებელ მტერს არ დაეჩაგვრინოს, მისს საწინააღმდეგოდ ესა თუ ის ხერხი მოიგონოს, რომ სამშვიდობოს უვნებლად ან მინიმალური ვნებით გავიდეს.

### ოჩოკოჩი

მანე სულთა შორის ყველაზე საშინელი და მოსარიდებელი — ოჩოკოჩია (ოჩო—საზარელი შესახედავი და კოჩი—კაცი). მეგრელთ ოჩოკოჩი წარმოდგენილ არაა, როგორც არსება ადამიანის სახისა, მხოლოდ იმდენად საზარელი შესახედავი, რამდენის წარმოდგენაც მეგრელის ფანტაზიას მიუწვდება. ტანით ოჩოკოჩი სამჯერ აღემატება ჩვეულებრივ ადამიანს. სხეული დღიარული აქვს გრძელ, ჯაგრის მსგავს შავი ბალნითა. შუბლი არც-კი უჩანს. გრძელკბილებიანი ღონიერი ყბები ძალზე წინა აქვს გამოწვერილი. ჩამოწოლილ წარბებ ქვეშიდან მოუჩანს ორი გულმეშარავი გასისხლიანებული თვალი. ოჩოკოჩის ხელებსა და დეხებზე ფრჩხილების მაგიერ გარეული ნადირის მსგავსი ჭანგები აქვს. ზოგის ნათქვამით, ოჩოკოჩის გულზე უკეთია პორიზონტალურად რკინის ცული, ზოგის თქმითაც — მატყლის საჩეჩელი. როცა ადამიანი ხელში ჩაუვარდება, აი, ამ ცულს, თავისს მსხვერპლს რომ დააძგერებს და იმით ბოლოს მოუღებს. ხმაც თავისს სხეულის შესაფერი აქვს. მთებსა და კლდეებს შორის ხმის რისამე გამოძახილი ანუ

\* ივლისხმება XIX საუკუნის სამეგრელო.

უბუ, ოჩოკოჩის ხმინობად ითვლება. როცა უღრანს ტყეებში ნადირს რასმე გამოუდგება ოჩოკოჩი და, გრიგალივით, საცა კი გაივლის, ასწლოვანი მუხები თუ სხვა ხეები ძირიანად იგლიჯება და ძირს ეფინება. როცა მოწყურებული ოჩოკოჩი მდინარეს დაეწაფება, წყლის მდინარება შეჩერდება, რადგან მისს მუცელს ახირებულად ვერაფერი აავსებს. თავის უღრან ტყეს თავს იშვიათად ანებებს ოჩოკოჩი, ადამიანთან შეხვედრას მიიხცა და მიინც. არა ცდილობს, თუ თვითონ ადამიანი არ ჩაუვარდა ხელში. ოჩოკოჩს ჩვეულებრივ ხვდებიან ირმებსა და ჯიხვებზე მონადირენი. და სწორედ ამ მონადირეთა წყალობით იგებებს მხოლოდ ჩვეულებრივი სიკვდილის შვილნი ოჩოკოჩის ინტიმური ცხოვრების ამბავს.

ოჩოკოჩები ყველანი მამრობითის სქესისანი არიან, მათი რიცხვიც მეტად მცირეა: ყოველ დიდ უღრან ტყეში 3—4 ოჩოკოჩი თუა, მეტი არა. შთამომავლობის გასაჩენად ისინი მიმართავენ ტყის მეფესთან დროებით სქესობრივს კავშირს. ტყის მეფე სიყვარულის საქმეში მეტად ფრთხილი და წინდახედულია. მისი აღერსი არც ისე ადვილად ეღირსება ადამიანს. მაგრამ როცა ოჩოკოჩი მოახერხებს ტყის მეფის დაორსულებას, ეს უკანასკნელი მოლოგინების შემდეგ თვითონ იკლავს თავს თავის ხელით. აი სწორედ ამ სასიყვარულო კავშირის ნიადაგზეა აღმოცენებული მუდმივი სიძულვილი ოჩოკოჩსა და სამეგვრელოს ტყეების მშვენიერ მეფეს შორის.

ერთი ცნობილი მონადირე, სახელად გვადა, თურმე ერთხელ ნადირს გამოეკიდა და ამასობაში ტყის სიღრმეში შეიჭყო თავი, სოფლიდან ორი დღის სავალზე. ტყეში გვადა მოწმედ შეიჭმნა ერთი საზარელი სურათისა, რომლის მოქმედ პირებად იყვნენ ოჩოკოჩი და ტყის მეფე. ნადირის დევნაში დაღლილი გვადა ერთ ველზე მდგარ ხის ძირას ჩამომჯდარიყო და ისვენებდა. მოესმა საშინელი ღრიალი, რომელსაც თან სდევდა წაქცეული ხეების ჯახუნის ზმა. ამ ჯოჯოხეთურ ღრინაცელში მოისმოდა ქალის კივილი. რამდენსამე წუთს უკან ველზე გამოიჭტა დედიშობილა ქალი, თოვლივით თეთრტანიანი. ყურყუმით შავი გრძელი თმა ჰაერში უფრიალებდა. ეს იყო ტყის მეფე. შიშისაგან სახე გაფითრებული ჰქონდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ჰკიოდა — მიშველეთო! ცოტა ხანს უკან გამოინდა თვითონ ოჩოკოჩი, რომელიც გრიგალივით მოსდევდა ფეხ-და-ფეხ თავისს მსხვერპლს. გვადამ თავისი კაქიანი თოფი მოიმარჯვა, დაუმიზნა და ესროლა ოჩოკოჩს: დაჭრილმა ოჩოკოჩმა საშინლად დაიდრიალა და მონადირესა სთხოვა — კიდევ მესროლეო. გვადას რომ ოჩოკოჩის თხოვნა აესრულებინა, უეჭველად უბედურება დატრიალდებოდა, რადგან ორჯერ ზედი-ზედ სროლა პირველ ნასროლს ძალას დაუკარგავდა და ოჩოკოჩს მოკვლის მაგიერ ჭრილობას გაუჭრთელებდა.

ასეთ შემთხვევაში, მარტო ერთ სროლას უნდა დასჯერდეს ადამიანი, რადგან ერთი სროლით რაც უნდა მსუბუქად დაიჭრას ოჩოკოჩი, სიკვდილს მაინც ვერ გადაურჩება. ამიტომ გამოცდილი მონადირე ოჩოკოჩის მიერ დარწმუნულ მახეში არ გაებმება. გვადამ მეორეჯერ გასტენა თოფი და ის-იყო მეორეჯერ უნდა ესროლა. დაპრილ ოჩოკოჩისათვის, ამ დროს ტყის მეფემ დაიწვილა: არ ესროლო! ოჩოკოჩი სისხლისაგან იცლებოდა, მაინც მიფოფხდა ტყემდე და რამდენიმე წამს უკან საშინელი ტანჯვით სულიც დალია.

ტყის მეფეს, როგორც იქნა, შიშმა გადაუარა, მივიდა თავის მხსნელთან, დიდი მადლობა შესწირა და სიკეთისათვის თოფი დაულოცა. ამ დღიდან მონადირე გვადას ძალზე მოემარჯვა ხელი ნადირობაში. არავის უნახავს, რომ გვადა ნადირობიდან ხელცარიელი დაბრუნებულიყო. მის სუფრაზე ნადირის ხორცი გამოუღვეველი იყო. ირმები პირდაპირ ჯოგად უხვდებოდნენ სანადიროდ წასულ გვადას, როგორც ტყის მეფისაგან დალოცვილს...

ვაი იმ მონადირის ბრალი, ვისაც ოჩოკოჩი ჩაიგდებს თავის ღონიერ ხელებში! ბედი მონადირისა, თუ მოასწრო და ტყვია მოახვედრა ოჩოკოჩის, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ოჩოკოჩმა ხელში ჩაიგდო მონადირე, ამ უკანასკნელის დამარცხებას წინ არა უდგას რა: ოჩოკოჩი სობს ადამიანს თავის რკინის ხელებით ან გულზე გაკეთებული ცულით: უკიდურეს შემთხვევაში, თუ მონადირე როგორმე ცოცხალი გაუსხლტება ხელიდან, ჭკუაზე მაინც შეშლის.

### ტყის მეფე

აჯ სულთა სამეფოში ოჩოკოჩის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს ტყის მეფეს. ტანით ჩვეულებრივი ქალის ოდენაა და ფიზიკური ღონით ოჩოკოჩის, რა თქმა უნდა, ვერ დაუტოლდება. არაჩვეულებრივი სილამაზისაა, უმტკერო თოვლის მსგავსი თეთრი ტანი აქვს, ყუყუასებრ შავი და გრძელი თმა კოჭებამდე სცემს. დედიშობილა დადის. ტყეებში ცხოვრობს, მეფე და პატრონია ამ ტყისა; ტყიდან გამოსულს უყვარს ინებიეროს მთვარიან ღამეებში საღმე ანკარა წყაროს პირას, აქა ზის და იბანს თავის თითქოს მარმარილოსაგან გამოქანდაკებულ სხეულს, ხოლო ვერცხლის საეარცხლით გრძელ თმას იფარცნის. მეგრელნი არაერთხელ დამტკბარან მისა ყურებით ასეთ წუთებში. მაგრამ ვაი იმ ცნობისმოყვარეს, ვისაც ტყის მეფე თვალს შეასწრებს ამ დროს! ცნობისმოყვარეს, ხელად გააგიყებს. მაგრამ ზოგჯერ შეიძლება საქმე მშვიდობიანადაც გათავდეს.

საქმე ის გაზღავთ, რომ რამდენად ტყის მეფეს ეჯავრება ტლანქი

და უხეში ალერსი ოჩოკოჩისა, იმდენად სასიამოვნოა მისთვის გულში ჩახუტება და ალერსი მამაკაცისა. ამ ნიადაგზე ხდება ხოლმე ყოველგვარი გაუგებრობა ტყის მეფესა და ადამიანს შორის, გაუგებრობა, რომელიც საბედისწეროდ თავდება, რადგან ტყის მეფე, ოჩოკოჩთან შედარებით, ადამიანთან უფრო ახლო ცხოვრობს, შემთხვევებიც ამისა და ადამიანთა შორის შეტაკებისა უფრო ხშირია ხოლმე. ჩვეულებრივ ტყის მეფე ხვდება ადამიანს ტყეში მიმავალ გზაზე, ბნელ ღამეში. პირველი ნიშანი ტყის მეფის გამოჩენისა არის — მგზავრის მიერ ორიენტაციის დაკარგვა, ანუ მხარის ქცევა. მგზავრს გზა ვერ გაუგნია, იწყებს ტყეში უგზო-უკვლოდ ხეტიალს, თანდათან შეიპყრობს შიში აუცილებელი უბედურების მოლოდინში. ბოლოს, მის წინაშე ერთბაშად გამოჩნდება ტყის მეფე, რომელიც ელვასებ ანათებს ღამის წყვილადს თავის სხეულის შუქმფენარობით. თუ გზადაკარგული ახალგაზრდა კაცია და ისიც ღამაში, ტყის მეფე დროებით თავს შეიკავებს თავისი ავი განზრახვები გამოეჩინოს. ცდილობს შემაცდენელი ტანის მიმოხვრა გამოიჩინოს, თავის მსჭვრპლს ვნება აუღლეგოს და ზევით იშვერს ორსავე ხელს გამართული თითებით: დამთანხმდი ჩემთან ცოლ-ქმრული კავშირი დაიჭირო იმდენს წელიწადს, რამდენი თითიც ორსავე ხელზედა მაქვს, ე. ი. 10 წელიწადსო. კაცმა ტყის მეფეს პასუხი სხეულის წვერების მოძრაობით უნდა გასცეს, ხმის ამოუღებლად, რადგან ტყის მეფესთან დალაპარაკებას ჭკუაზე შეშლა მოჰყვება. ამიტომ მამაკაცმა ასეთ მომხიბვლელ წინადადებას პასუხად უნდა აჩვენოს მხოლოდ ერთი თითი და ამით გააგებინოს, რომ შენთან მხოლოდ ერთ წელიწადს ვიცხოვრებ ცოლ-ქმრულის დაკავშირებითაო. სულ უარის თქმას მოჰყვება ღამაში არსების წყრომა, რაც გამოიხატება იმით, რომ მგზავრს ტყის მეფე უღმერთოდა სცემს\* და ჭკუაზედაც შეშლის.

ტყის მეფე ერთ წელიწადს უკლებს და ათი თითის მაგიერ უჩვენებს ცხრას. მამაკაცმა ერთს ფეხი არ უნდა მოუცვალოს: ტყის მეფე რომ დაატყობს, მგზავრს ვერ შეეცადენო, თანდათან უკლებს და ჩამოდის ერთ წლამდე. ამგვარად, ტყის მეფე და მამაკაცი პირობას დასდებენ, რომ ერთმანეთთან ერთის წლის განმავლობაში იცხოვრონ. თუ მამაკაცი ცოლიანია, ერთი წლის განმავლობაში ცოლთან ცოლ-ქმრულ კავშირზე ზელი უნდა აიღოს. აი ამაზე რას მოგვეთხრობენ სამეგრელოში.

სამეგრელოს ერთ სოფელში, ერთი ახალგაზრდა კაცი, ახლად ჯვარდაწერილი, მისდა საუბედუროდ, შესცდა და ტყის მეფეს დაჰპირდა მასთან ერთი წლის განმავლობაში ცხოვრებას. ახალგაზრდა ცოლი ძალ-

\* ტყის მეფესთან ბრძოლის დროს კარგია ორსავე მხრით მჭრელის იარაღის ხმარება, როგორცაა სატევარი, რომელსაც ტყის მეფე ხელით ვერ დააჭერს, რადგან ხელის დაჭრისა ეშინია.

ზე დაღონდა, როცა დაინახა, რომ მისმა ქმარმა ერთბაშად ხელი აიღო მის სიყვარულზე. ძალიან ეცადა მოეაღერებინა ქმრისათვის, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაუარა. ახალგაზრდა კაცი დღითი-დღე დაღვრემილი ხდებოდა, თავისიანებს გაუბოდა. ცოლს ურჩიეს, ძალიან ადევნე თვალყური შენ ქმარსაო. ბოლოს, როგორც იყო, გაიგო ცოლმა, რაც ამბავი იყო მის თავსა. ერთხელ თავის ქმარს ბედელის თავზე ლამაზ ტყის მეფესთან გულში ჩახუტებულს წაასწრო. თავის თავს დიდი ძალა დაატანა, რომ არ წამოეყვირნა სასოწარკვეთილებისაგან, მაგრამ მინც გადასწყვიტა შური ეძია თავის მოქიშპესი. მოიტანა მაკრატელი, მიეპარა ტყის მეფეს და მისი საუცხოვო ნაწნავი თმისა, მიწას რომ სწვდებოდა, შიგ ძირში დააჭრა\*. ტყის მეფემ ამაზე ცეცხლი მოიკიდა, დასწყევლა საყვარელი, ჭკუაზე შეშალა და თვალის დახამხამებაზე გაუჩინარდა.

ჭკუაზე შეშლის შემთხვევებსა ოჩოკოჩსა და ტყის მეფესთან შეტაკების დროს უფრო ხშირად ვხვდებით მწყემსსა და საერთოდ სოფლებს მოშორებით მცხოვრებთა შორის. ასეთი სულით ავადმყოფთა მკურნალობას ჩემობენ უმთავრესად მღვდლის ცოლები. მეგრელ „ნევრო-პათოლოგის“ საქმეა — ავი სული, რომელიც დაბუდებულია ავადმყოფის სხეულში, ამ სხეულიდან გარეთ განდევნოს. მეგრელი მღვდლის ცოლი ძალზე თავისებურ საშუალებითა ცდილობს საწადელს. ეწიოს: ავადმყოფს კისერზე ჯაქვს აბამს, მიაბამს ეზოში ხეზე და მთელი დღე-ღამეები უსმელ-უშემელადა ტოეხს. როცა შესაძლებლობა არის, ავადმყოფის თავზე კითხულობენ დავითნიდან ფსალმუნებს; ავადმყოფის მოსარჩენ საშუალებად მიიჩნიათ — მისი ცემა იქამდე, სანამ გონება დაეკარგებოდეს. საერთოდ მიღებულია ამის მაგვარ „მოსაჭკვიანებელ“ საშუალებათა გამოყენება. ჭკუაზე შეშლილთა მოსარჩენ საშუალებადვე ითვლება წმ. გიორგის ეკლესიაში სიარული, შესაფერი შესაწირავის მირთმევა და ავადმყოფის მორჩენის თხოვნა წმ. გიორგისათვის, რომელიც სამეგრელოში ითვლება ყოველგვარი აესულუბისა და მათი ნამოქმედარის მტრად და გამქარწყლებლად.

### ჭინკა

აღაიანთა საცხოვრებელ სახლებს ახლო ადგილები, ღეღეების ნაპირები და სხვადასხვა ბნელი და მივარდნილი კუთხეები ითვლება სამყოფელად მესამე სახის ავი სულუბისათვის, რომელთათვის მეგრელთ უქვიათ ჭინკები. ტანით ჭინკები სამი წლის ბავშვის ოდენა თუ-და

\* თმა, და ისიც გრძელი, სამეგრელოში ქალის მთავარ მშვენებად ითვლება. ლამაზს, მაგრამ მოკლემთიან ქალს მეგრელი მამაკაცის თვალში თვისა სილამაზის თითქმის ნახევარი ეკარგება.

არიან, თმა პატარა კაცებადა აქვთ დაწნული, ხმა ბავშვური აქვთ, საერთოდ, როგორც ტანით, ისე სახით ნამდვილ ბავშვებსა ჰგვანან. სიარულის დროს პატარა შავ ტანის შეუფერებელი დიდი მოძრაობა ხელ-ფეხისა ჭინკას სასაცილოდა ხდის ადამიანის თვალში. ჯვუფებად ცხოვრობენ. მათი მთავარი თვისებაა—ჰკუაზე შემალონ მათს წრეში ჩავარდნილი ადამიანი. ზოგჯერაც, ვისაც ჩაივლებენ ხელში, უსულღმერთოდა სცემენ, მანამდე, სანამ გული არ წაუჟვა მათს მსხვერპლს. დიდი მასხარა ხალხის სახელიცა აქვთ ჭინკებს: უყვართ აჭენონ ხოლმე ტყეში ჯოგებად მავალი ცხენები მეგრელთა. სხდებიან ცხენის კისერზე. ამისთვის ფაფარს კისერქვევით გამოუნასკვიან შიგ ფეხების გასაყოფად, უზანგების მსგავსად. ცხენებს მთელი საათობით აჭენებენ, სანამ არაქათი გამოეცლებოდეთ. ზოგჯერაც ისე გაკადნიერდებიან, რომ თავლაში შეიპარებიან, იქიდან ცხენს გამოიყვანენ და გათენებამდე აჭენებენ აღმა და დაღმა. ჭინკებით გულს რომ იჯერებენ, ცხენებს თვითონვე შეიყვანენ თავლაში. ცხენის პატრონი გამონასკვილ ფაფარზე შეამჩნევს, რომ ძისი ცხენთ მთელი ღამე ჭინკას უჭენებია.

გარდა ამისა, ჭინკებს უყვართ ადამიანთა გამასხარაგებაც. ძალიან უხარიათ, როცა ქვებს ესვრიან სახლების სახურავებზე და აკრთობენ ამ სახლებში მყოფთ, ან კიდევ სახურავებზე აცოცდებიან და იქიდან კერას გარშემო დამსხლარ ხალხს თავზე აყრიან ხოლმე ყოველგვარ სიბინძურეს. ეს სიბინძურე ზოგჯერ, კერძი რომ იხარშება, იმ ქვაბშიაც სცეცვა. ყოფილა შემთხვევა, რომ ჭინკების თავგასულობით თავგაბეზრებული გლეხი აყრილა ერთ ფუძიდან და უფრო უშიშარ და დაცულ ადგილას გადასახლებულა.

ხმა, როგორცა ვსთქვით, ჭინკებს ბავშვისა აქვთ და ისე მშვენიერად აჯავრებენ ბავშვის ტირილს, რომ ტყეში მიმავალს კაცს ეგონება,— ადამიანის შვილი ჩარჩენილა ტყეში და ისა ტირისო. ძებნას რო დაუწყებს, წააწყდება ჭინკების მთელ გროვს, რომლებიც მისცივდებიან და მოუნდომებენ ცემას და ჰკუაზე შემლას. მაგრამ იმასაც გვიამბობენ, რომ ერთ ასეთს ბრძოლაში გამარჯვებული ადამიანი გამოსულა, ერთი მათგანი დაუჭერია, შინ წამოუყვანია, მოუშინაურებია და მოსამსახურედ გაუხდია. ამასაც გვიამბობენ: ერთი ცხენოსანი გლეხი გზად მიდენილა ღამე. ერთ ტყეზე უნდა გაეელო. გზაზე ხრამიც ყოფილა გასავლელი. ჯერ ისე შორიდანვე მოესმა მგზავრს ბავშვების ხმინობა, ტირილი, სიცილი, ერთმანეთში არეული. ერთი ჭინკათაგანი გზის მოსახვევთან უდარაჯებდა თურმე მგზავრს. დაინახა თუ არა, თავისიანებს შეატყობინა—არაქა, მოდი'ო. მგზავრი ჭინკების სამყოფელ ადგილს დაუმხარდამხარდა. ამ დროს ჭინკები ხრამიდან ამოცივიდნენ: ზოგი ცხენის ძუას დაეკიდა, სხვები ცხენის აღვირს დაებლაუჭნენ. ზოგნიც

ისე გაკადნიერდნენ, რომ ქვების სროლა აუტეხეს მათს ხელში ჩავარდნილ მგზავრს.

ატყდა საშინელი წივილ-კივილი... გულგახეთქილმა გლეხმა მათრახი შემოჰკრა ცხენს და გააჭენა ოღრო-ჩოღროიანი გზით. ჭინკები უკან გამოედევნენ... რაც უფრო შორს მირბოდა გლეხის ცხენი, მით უფრო მცირდებოდა პატარა ჭინკების რიცხვი.

ბოლოს ჭინკები სულ ჩამორჩნენ. მხოლოდ დარჩა ერთი მათგანი, რომელიც როგორღაც ცხენზე ამძვრალა და უკანიდან უნაგირს დაბლაუჭებულა. გლეხი შიშისაგან ცოტათი გამოერყვა და რომ დაინახა, ჩემ მტერთაგან ერთი და დარჩენილათ, გადასწყვიტა მთელი თავისი ჯავრი იმაზე ეყარნა. ბევრი არ უფიქრნია, ისე ცალი ხელით მაგრად მიიკრა ტანზე გაკადნიერებული ჭინკა. ამოუშვა ტირილი ჭინკამ, რამდენი არ ეხვეწა გლეხს, შენი ჭირიმე, გამიშვიო, მაგრამ გლეხმა ყურშიაც არ შეუშვა მისი ხვეწნა. როგორც იყო, შინ მოვიდა გლეხი, შიშისაგან გაფითრებული, მთლად გაჭადრაკებული. გლეხს გაგონილი ჰქონდა, რომ დაჭერილ ჭინკას ფრჩხილების დაჭრა უნდაო იმისთვის, რომ წაერთვას ყოველი მავნებლური, უწმინდური ძალაო. ჭინკა ცხარე ცრემლებით სტიროდა, მაგრამ გლეხმა ყური არ უგდო, ფრჩხილები სათითაოდ დააჭრა და კერას ძირში ჩამარხა.

ჭინკას ერთბაშად გამოუცვლია ხასიათი და ჩვეულებრივი ადამიანის შვილებს დამსგავსებია. ტანისამოსიც კი შეუჟერეს, რომ ტანის სიშიშველე დაეფარათ. სახლის პატრონმა სათითაოდ უთხრა, რა უნდა გაეკეთებინა ჭინკას მის სახლში: დილა-საღამოს წყალი უნდა მოეტანა წყაროდან, შეშა დაეჭრა, საღამოზე საქონელი მოერეკნა, ძროხა მოეწველნა, სახლი მიელაგებინა და მ. სხ. ჭინკამ არაჩვეულებრივი ნიჭი და უნარი გამოიჩინა მოსამსახურისა: ერთსა და იმავე დროს ასრულებდა როლებს ხან ხელზე მოსამსახურისას, ხან შზარეულისას, ხან მეჭინიბისას, ხან ბავშვების გადიისას. ტყეშიაც კი დადიოდა შეშის მოსატანად. ტყეში თავის ტოლებსა ხვდებოდა. ესენიც არცხვენდნენ: რა დაგემართა ადამიანს მოსამსახურედ გაუხდით! ზოგნი სასაცილოდ იგდებდნენ, სოლო ხანშესულები სერიოზულად ურჩევდნენ — ბოლო მოუღე შენს ასეთს არსებობას, იპოვნე ტრჩხილები და დაუბრუნდი ტყეს, თავისუფლებასო... ჩვენი ჭინკა დაღონებული, ნამტირალევეთვალეებიანი ბრუნდებოდა ტყიდან... მწარე ცრემლებსა ღვრიდა დამითაც, როცა ყველანი დასაძინებლად დაწვებოდნენ და თვითონ კი მარტო რჩებოდა, თავის აზრებში გართული. მთელი ღამეები უძილოდ უტარებია, გვეგმებს აწყობდა, როგორ გაეთავისუფლებინა თავი ტყევობისაგან და დაებრუნებინა დაკარგული ბედნიერება. ასეთ ტანჯვა-წვალებაში გაატარა ჭინკამ ორი წელიწადი. განთავისუფლების იმედი თითქმის გადაუწყდა...

კვირა დღეა. გლეხი და მისი ცოლი გამოეწყენენ ეკლესიაში წასასვლელად წირვაზე. დიასახლისმა ჭინკას უბრძანა—სადილად ხორცი მოხარშეთ. თვითონ წავიდნენ ეკლესიაში და ორი პატარა შვილი ჭინკას დაუტოვეს მოსავლელად. ჭინკამ ხორცი ქვაბში ჩაყარა, საკიდელზე ჩამოჰკიდა და ცეცხლი შეუკეთა მოსახარშავად. კერის მეორე მხარეზე ბავშვები დასხდნენ და მხიარულად დაუწყეს ყურება, როგორ იხარშებოდა ხორცი სადილად. ქვაბში ხორცის დანახვაზე პირში ნერწყვი მოუვიდათ დამშეულ ბავშვებს და მოუნდათ სადილობამდე ექამნათ ცხელ-ცხელი ხორცი. დაუწყეს ხვეწნა ჭინკას—ცოტა ხორცი გვაჭამეთ. ჭინკა ჯერ უარზე იდგა.

ბავშვები არ ეშვებოდნენ. ჭინკა დასთანხმდა: ხორცს მოგიჭრით, თუ მეტყვეით მამამ სად დამარხა ჩემი თითის ფრჩხილებიო. ერთი მათგანი შემთხვევით უყურებდა, როცა მამა კერასთან რაღაცას მარხავდა მიწაში. და აჰა, იმანაც უამბო ჭინკას ყველაფერი, როგორც იყო. ჭინკა გახარებული წამოხტა, მიწიდან ფრჩხილები ამოიღო, მიაღო თითებს და უნდოდა უკანმიუხედავად გაქცეულიყო, მაგრამ ერთბაშად ჯოჯოხეთურმა აზრმა გაუელვა თავში: შური ეძია სახლის პატრონისა ორი წლის ტყვეობისათვის და კარგადაც იძია!.. ქვაბიდან ხორცი ამოიღო და ხორცის მაგივრად შიგ ჩაუშვა ორივე ბავშვი სახლისპატრონისა, შეუკეთა ცეცხლი და თვითონ კი ტყისაკენ მოჰკურცხლა...

### დინაშკოჩი(მიწის კაცი)

ჭინკას რომ მოსდევს შემდეგი მავნე სული,—დინაშკოჩი ანუ მიწის კაცია. იგივე ჯუჯაა, რომელიც მიწაზე დალოდავს. ეს სახელი იმიტომა ჰქვია, რომ ვერტიკალურად ვერა ჩერდება და მიწაზე ოთხზე დალოდავს. ტანით ჭინკას ოდენაა, ჭინკას მსგავსად ადამიანის სახისაა. ჩნდება ხოლმე სოფლებში, საცა სახლები ხშირადაა, ხშირად სახლების ეზოებში იმალება. ზოგჯერ კაცს სასოფლო გზაზედაც შეხვდება. რადგან დინაშკოჩი ნელ-ნელა დაბობდავს, თავის მსხვერპლს ვერ გამოუღდება და ადამიანიც ადვილად გადაურჩება ხოლმე. დინაშკოჩი თუ ცხენოსანს შეხვდა, სჯერდება იმას, რომ ცხენის აღვირს ხელს წაავლებს და ცხენს ფეხს არ გადაადგმევენებს. ანდა ქვეით მიმავალს ფეხსა და ფეხს შუა შეუძვრება და ცდილობს წააქციოს. მოგვითხრობენ თითო-ორიოლა შემთხვევას, როცა დინაშკოჩს ჰკუთხე შეუწოლია შეშინებული მგზავრი.

### ჟამი, ანუ სული გაცივებისა

დედამიწაში არსებობს სიკვდილის შვილთათვის უხილავი სული გაცივებისა. გაცივების სულები უფრო ნოტიო ალაგას ბუდობენ, ჭან-

კრობებში, დელების ნაპირებზე. თუ ადამიანი, განსაკუთრებით ბავშვი, გუბეში ჩაყარდა, ან თუ ზის სოველ და ნესტიან მიწაზე, ადგომისას თან აჰყვება სინესტე, რომელიც ეკუთვნოდა ჟამს, რომელიც ჩვენა გვსჯის გაცივებით, უმეტეს შემთხვევაში ცივების ხასიათით. თვით დაავადების პროცესს მეგრულად ჰქვიან, ჟამუა, ხოლო იმას, ვისაც ჟამი სჯის — ჟამილი.

უფრო ხშირად ჟამი ემტერება ბავშვებს. ყოველთვის, როცა დედა-მიწაზე დავეცივით ან ზედ ჯდომის შემდეგ ავდგებით, თუ გვინდა მშვილობით გადავრჩეთ, დედა-მიწას დანაჯდომ ან დანაცემ ადგილას უნდა დავანერწყვოთ, ე. ი. ნერწყვის სახით ჟამს დავუბრუნოთ ის სინოტივე, რომელიც შეიძლებოდა აგვყოლოდა (ღიხამ ეყუნაფა) ჩვენის დაცემისა ან ზედ ჯდომის დროს. მეორე საშუალება, რომელიც აგვაცდენს ჟამის სასჯელს—არის ავგაროზი, რომელიც საგანგებოდ ჟამის წინააღმდეგ არის გაკეთებული. მესამე საშუალება ჟამის წინააღმდეგ არის—სოფლის ექიმებისაგან ან თვით მკითხავის მიერ სხვადასხვა ბალახებისაგან შემზადებული სასმელი წამალი. თუ არც ერთმა ამ საშუალებათაგანმა არ უღონია ავადმყოფს, მაშინ მკითხავს მიმართავენ და ისიც ურჩევს იმ მხარეში განთქმულ ძლიერ რომელსამე ხატს მიმართონ და შველა სთხოვონ.

### წყლის დედა ანუ დედა იგივე მეფე წყლებისა

დიდ მდინარეებში იცის ლამაზი ქალის სახის სულეზი, გრძელ და შავ თმებიანი. ესენი მართავენ წყლის მდინარებას, თვალყურს ადევნებენ შიგ თევზების გამრავლებას. სდარაჯობენ ღამით განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ფონია და ჩვეულებრივ ქვეითი თუ ცხენოსანი შიგ გადის. წყლის დედას ვამოჩენა უყვარს განსაკუთრებით მთვარიან ღამეს, როცა ვარსკვლავებით მოკირწყლული ცა ასე მკაფიოდ გამოკრთის წყლის სიღრმეში. მდინარის შუაგულში წყლის დედა პირაღმაა ჩაწოლილი, ცხენის ადვირს ხელს წაავლებს და ცხენოსანს არც წინ უშვებს და აღარც უკან. ბოლოს და ბოლოს, წყლის დედა მგზავრს ცხენიანად ჩაითრევს, საცა უფრო ღრმავ.

ხშირად მეზადურებს უხდება წყლის დედასთან საქმის დაჭერა. წყლის დედა ეხვევა ბადეში და ახრჩობს მეზადურს, რომელმაც გაჰბედა მისი მყუდროების დარღვევა. ყოველთვის, როცა წყლის დედა ადამიანს დაახრჩობს, კოკისპირული წვიმა წამოვა და მანამდე არ გადაიღებს, სანამ წყლის დედა თავის მკერდიდან არ მოიშორებს დამხრჩვალს და ამ უკანასკნელს მდინარის პირას არ გამოჰრჩიყავს.

## მესეფი ანუ ზღვის კაცი

ადამიანის საენებლად გაჩენილი ავი სულები, ხმელეთს გარდა, სამეგრელოს სანაპიროებში შავს ზღვაშიაცა ცხოვრობენ. ესენი არიან მესეფები, ანუ ზღვის კაცები, პატარა ტანისანი. ზღვის დღვლის და საერთოდ ზღვაზე ყოველისავე უბედურების გამომწვევებად ესენი ითვლებიან. წელიწადში ერთხელ, სახელდობრ შემოდგომაზე, მესეფები ზღვიდან გამოდიან ხმელეთზე. რომ მთელი წლის სარჩო მოიმარაგონ. მესეფების ამოსვლა ზღვიდან ემთხვევა სწორედ იმ დროს, როცა სამეგრელოში, რომ იტყვიან, ცა ჩამოიქცაო, სწორედ ამ ცის ჩამოქცევასა ჰგავს, ისე წვიმს დღე და ღამე, გადაუღებლივ, მთელი ორის კვირის განმავლობაში. ზოგს სიმიანდის ალება და ყურძნის დაკრეფაც ვერ მოუწვრია და მოსავალი აუღებელი უღებდა. ამ უბედურებას აბრალებენ მხოლოდ და მხოლოდ მესეფებს, მეგრელების დაუძინებელ მტერს: „დავიღუპეთ, მესეფები ამოვიდნენ ზღვიდანაო!“ დაბლობი სამეგრელო, რაც შავ ზღვას უშუალოდ ემხრობა, გაუტალ ტბადაა გადაქცეული. კაცი იტყვის, აქაურობა თავისდღეში არ გაშრებაო...

რასა შერებიან მესეფები სამეგრელოში? მეგრელების თქმით, საუცხოვო მონადირენი არიან თურმე. მშვილდ-ისრით, გარეულ ნადირს რომ დაერევიან, ერთს არ უშვებენ ცოცხალს. მერე გამართვენ თურმე ლხინს და უსხედან აუღებელ სუფრას, სანამ არ დაუბრუნდებიან თავის სამუდამო სამყოფელს. ერთი სასწაულიც ემარჯვებათ თურმე. მეგრელებისავე თქმით; ჭამის შემდეგ ნადირის გამოსრული ძვლები ისევ ცოცხალ ნადირებად იქცევიან და ტყეში შერგავენ თავს, რომ მესეფებმა კვლავ განაახლონ მათზე ნადირობა. მის შემდეგ დაერევიან გლეხებს, მოჰპარავენ ოთხდევს საქონელს; მთელი წლის საჭმელად სამყოფს და ამოჰყოფენ თავს თავიანთ ზღვის ტსკერზე. იმათი წასვლა და წვიმის გადაღება ერთი იქნება და მეგრელებიც ამბობენ ხოლმე: მესეფები ზღვაში დაბრუნდნენო!...

## ეშმაკი ხვივე მანვე, მაცთური

ჩამოთვლილ სულებს გარდა არის კიდევ ავი, ბორბტი სული, რომელიც ადამიანის ყოველ დეხის გადადგმას თვალყურს ადევნებს და, შიიძლება ითქვას, ადამიანის გვერდით ვანუშორებლად არისო. ეს არის ეშმაკი, ადამიანის თვალთათვის უჩილავია, მეგრელთაგან ნახვით არავის და არსად უნახავს. მეგრელოს წარმოდგენით ეშმაკი უნდა იყოს ადამიანის ტანისა და სახისა, მხოლოდ ბანჯგვლიანი, რქებიანი, კუდიანი და გრძელი, მოკაუჭებული ცხვირიანი, შავი და ძალზე უსახური. ხელფე-

ნის ჩამოფხავებულ თითებზე გრძელი, სულ გრძელი ფრჩხილები აქვს. მისი გრძელი ყურები, გადმოკარკლული სისხლიანი თვალები გულშემ-ზარავი საყურებელია.

ემმაკი იმისთვის გაჩენილა, რომ ადამიანს ყოველ ნაბიჯზე ავნოს. ადამიანის ყოველგვარ მარცხისა და უბედურობის ავტორად მეგრელის მიერ დასახულია ემმაკი. ადამიანი თუ ხიდან ჩამოვარდა, ან გზაზე ფეხი წამოჰკრა რასმე და იტყინა, თუ თოფი გაუვარდა და მარცხად მოჰკლა ან დასტრა ვინმე, ცუდით ფეხი ან სხეულის სხვა რომელიმე ნაწილი გაიჭრა, ყოველთვის და ყველაფერში ბრალი ემმაკს დაედება. გულმოსულობით მეგრელმა თავისი მოყვასი რომ გალანძღოს ან შემოაკვდეს კიდეცა, ან მეზობლის საკუთრების დაუფლება რომ მოუხდეს, — აქაც ემმაკს უნდა დაბრალებდეს ყველაფერი. როცა ხელში გატენილი თოფი უჭირავთ და გაუფრთხილებლად ატრიალებენ ამ თოფს, სხვები ეტყვიან: ემმაკს თვალი არ უხელია, ე. ი. შეუძლია სისაძაგლე ჩაიდინოს და თოფი თავისით დაიცალოს და ვისმე მოხვდეს, რადგან, იგულისხმება, რომ ემმაკს ხელი ჩახმახისათვის უკიდია. ყოველთვის, როცა უცაბედად დაეცემიან მიწაზე, გადააფურთხებენ და იტყვიან: „ფუი ემმაკსო!“...

ემმაკი იმის ემმაკია, რომ, მეგრელის აზრით, შეუძლია გამოიწვიოს ჭექა-ქუხილი. წმ. გიორგი, მფარველი მეგრელთა (და გადმოცემით, ჩამომავლობით თვით მეგრელი), მეტად გადაკიდებულია ემმაკზე. როცა ღრუბლებში იქუხებს, მეგრელი დარწმუნებულია, რომ წმ. გიორგი თავის რაშზე მისდევს ემმაკს, მეგრელის მტერს და მავნეს. ემმაკი რომ ზღვაში ჩაეშვება, წმ. გიორგი უკან გაედევნება. ემმაკი ზღვიდან ამოსტება, ბუზად იქცევა და იმალება ან მაღალ ხეზე სადმე, ან ტრიალ მინდორზე მდგარ ცხენზე, ან სადმე მაღლობზე განმარტოვებით წამოდგმულ სახლში, რომ თავი დაიფაროს წმინდანის თვალთაგან. მაგრამ ტყუილადა ცდილობს ემმაკი, წმინდანის შორსმხედველ თვალებს ვერსად წაუვა: წმ. გიორგი მეხით განმეხავს კაცობრიობის მტერს, თუმცა ემმაკთან ერთად ზარალდება ქონება და ზოგჯერ სიცოცხლეც მეგრელისა.

სხვა სულები ვნებენ ადამიანს მანამდე, სანამ ადამიანი ცოცხალია; ადამიანი, რაკი ერთი მოკვდება, მათის მხრივ თავდება ყოველგვარი დევნულება. მხოლოდ ემმაკია, ადამიანს საიქიოშიაც რომ არ ასვენებს, სადაც ყოველგვარი სატანჯველითა სტანჯავს ყველა ცოდვილთა სულელებს, ვინც ჯოჯოხეთში მოჰყვებიან.

### **მზაკვარი (მაზაკვალი) იგივე კუდიანი, გრძნეული**

მეგრელს თითქო არა ჰყოფნის ჩამოთვლილი ავი სულები და მათს მიერ მოყენებული ვნებანი, მან ბოროტმოქმედების იარაღით შეაიღ-

რალა თავისივე მსგავსი ადამიანი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვერდით უდგა და მასთან დაკავშირებულია,—ეს არის მზაკვარი ანუ კუდიანი, ქალის სახით.

მზაკვარი მომადლებულია თვალცემულობის ძალით და ცდილობს მოსპოს, გააქროს ყველა და ყოველივე, ვისთანაც და რასთანაც შეერთებულია წარმოდგენა ყოველისავე სიკეთისა, ბედნიერებისა, სილამაზისა, კმაყოფილებისა... მზაკვარმა რომ დაინახოს მეზობლის ლამაზი და ტანმრთელი ბავშვი, ან კარგი კვებულა ან კიდევ კარგად შოვლილი ბოსტანი, მშვენიერად დასხმული ხეხილი,—ბრაზი აიტანს. მისი აზრით, მეზობელს არ უნდა ჰყავდეს კარგი საქონელი, არ უხდა ჰქობდეს კარგად შოვლილი ბოსტანი და მსხმოიარე ხეხილი!... მზაკვალის თვალის ერთი გადავლება საკმაოა, რომ მოკლე ხანში ლამაზი ბავშვი ავად გახდეს და მოკვდეს, ლამაზმა საქონელმა ფეხი (ან ფეხები) მოიტეხოს ან სულაც მოჰკვდეს, კარგად შოვლილ ბოსტანში ხარი ან ძროხა შევიდეს და მოუძონელი არაფერი დასტოვოს... ვსთქვათ, გზად სადმე მიდიხართ ქვეითად თუ ცხენით და ამ დროს შემოგხვდათ მზაკვალი, რომლის შეხვედრა ყოველ საქმის დაწყებისას ცუდადაა დაცდილი ანუ რომელსაც, როგორც მეგრელები ამბობენ, „ცუდი ფეხი აქვს“.—დარწმუნებული უნდა იყვეთ, რომ მარცხისა და ზარალის მეტი არაფერი შეგხვდებათ. ამიტომ, თუ გინდათ, ერთი აცდესთ და მეორეცა, უნდა გადასდით თქვენი მგზავრობა მეორე დღისათვის.

მეგრულ მზაკვარს უყვარს თავის მსხვერპლის გულის ჭამა, განსაკუთრებით თუ ეს გული ჩჩვილის, ყრმისაა. გულის ჭამას ღამით შეუდგება ხოლმე, როცა ოჯახში ყველასა სძინავს.

მზაკვარი იმის მზაკვარია, რომ შეუძლია ადამიანის მოსატყუებლად კატად გადაიქცეს და ამ სახით შეძგრეს სხვის სახლში, სადაც მსხვერპლი ჰყავს შეთვალეირებული. კიდევ ამიტომაც, რომ მეგრულთ კატა მაინცდამაინც არ უყვართ. ღამით თუ სადმე დაინახეს უცნობი კატა, ეცდებიან დაიჭირონ და მუგუზლით დაუწვან რომელიმე ნაწილი სახისა მეორე დღეს მზაკვარი ისევ თავის ჩვეულებრივს სახეს ღებულობს, მხოლოდ წინაღამეს მუგუზლით დამწვარის კვალი ზედა რჩება და ვინც თვალ-ყურს ადევნებს, ადვილია ერთხელ კიდევ დარწმუნდეს, თუ რა წყლისა ბრძანდება ის, ვისი ეჭვიცა აქვთ მეზობლებს. მზაკვალმა, გარდა ამისა, იცის სხვადასხვა ბალახებისაგან საიდუმლო მალამოს გაკეთება. საკმაოა ეს მალამო იღლიებში ამოისვას, რომ ჰაერზე უმსუბუქესად იქცეს და იწყოს ფრენა ყველა მხარეზე. თუ უნდა მზაკვარს მის სრულს განკარგულებაშია როცა და საცა უნდა — მგელი. როცა ღამით შორი მანძილი ექნება გასავლელი, მზაკვარი გამოვა გარეთ, შეულოცავს და თვალის დახამხამებაში გაჩნდება მგელი. მზაკვარი მოაჯდე-

ბა ზურგზე და დაუბრუნეს მთელს სოფლებს მეორე დღის დილაამდე. კიდევ ამიტომ, რომ მზაკვარს მეორე სახელიცა ჰქვია—ნგერიშ გი-მახვენჯი, ე. ი. ვინც მგელზე ზის, ანუ მგელზე შემჯდომი.

მზაკვარი თავის ბუნებით ავია, შურიანი, მოხერხებული, იცის, როგორ დააღწიოს თავი ცხოვრების ამა თუ იმ რთულსა და მძიმე კითხვებს, წინდახედულია. თუ ამ თვისებათა პატრონი არ არის მზაკვალი, ისე ნამდვილი მზაკვრის სახელი არ დაეკმის. ყველას როდი შეუძლია მზაკვრობა. ყოველ სოფელში შეიძლება ორი, სამი გამოერიოს მზაკვარი, მეტი არა.

მზაკვართა მთელ კორპორაციას თავისი უფროსი ჰყავს, რომელიც მათ ხელმძღვანელობს, აძლევს სათანადო დარიგებას, აწინაურებს ღირსეულებს, ამდაბლებს ჩამორჩენილთა და უღიოსთა. ამ უფროსისათვის როკაპი უქვიათ. მისი რეზიდენციაა ტაბაკონას მთაზე, აღმოსავლეთ სამეგრელოში, სენაკის მახრამში. როკაპი იმ დროიდანვეა, რა დროიდანაც დედა-მიწაზე გაჩნდნენ მზაკვრები. როკაპი წარმოდგენილია სახი-ჩარ, ბებერ დედაკაცის სახით. გრძელ და შავკბილებიან ჩამოფხავებულ თითებზე გრძელი ფრჩხილები უფრო აღშნოვებს, უფრო საზარლად ხდის. როკაპი ერთთავად ზის ერთ ადგილას, უძრავად, გარშემო ახვევია მსახურნი, რომელნიც მოახსენებენ ყოველსავე. რაც ტაბაკონას გადაღ-მა ხდება, მოახსენებენ—მისი ხელქვეითი მზაკვალეები ვინ რას აკეთებს.

წელიწადში ერთხელ მზაკვრები სამეგრელოს ყველა კუთხიდან ტაბაკონაზე მიდიან და როკაპს თავიანთის მოქმედების ანგარიშს აძლე-ვენ. ამ დღეს ჰეჭეთობა ანუ მზაკვრების დღესასწაული ჰქვია და ემთხ-ვევა ილიაობის (ივლისის 20) წინაღამეს, ხოლო სამეგრელოს ზოგიერთ სოფელში—მარიამობის (აგვისტოს 15) წინაღამეს.

ამ დღეს, დაბინდებიდანვე, მთელს სოფელში არაჩვეულებრივი ჟაცა-ფუცია. ყველამ იცის, რომ ამ ღამეს მზაკვრები ტაბაკონაზე უნ-და წავიდნენ როკაპთან ძღვენის მისართმევად. ვინც ამ ღამემდე ვერ მოასწრო ადამიანისათვის ენო რამე, ამ ღამეს მაინც ყოველი ღონე უნდა იღონოს, თავის უფროსს ხელცარიელი არ წარუდგეს და მისი რისხვა და წყრომა არ დაიმსახუროს. იმართება ბრძოლა და ჭიდილი მზაკვრებსა და მოსახლეობას შორის. სოფელნი, თავის მხრივ ცდილობენ ამ ბრძოლიდან უვნებელნი გამოვიდნენ. ეზოსა და ყანებში, თვალსაჩინო ადგილას, მიწაში ჩარკობილია სარი, რომელსაც თავზე გაკეთებული აქვს ჯვარი და ზედ ჩამოცმულია ეკლის გვირგვინი. როცა მზაკვრის ავი თვალეები ამ სარს მოხვდება, ყოველივე მკენებლური ძა-ლა ეკარგვის. ოჯახის წევრებს თმებზე მიაკრავენ პატარ-პატარა ნატებს ცვილისას, კარების თავებზე ნახშირით ჯვარის სახეს გამოიყვანენ. ამ ღამეს არ უნდა დაიძინონ, რომ მზაკვარმა მღვიძარეთ ვერა ავნოს. რა.

სოფელნი სასოფლო მოედანზე მოიყრიან თავს, გაისმის სიმღერა, გაიმართება ცეკვა, ჩონგურზე დაკვრა. შუა მოედანზე დანთებენ დიდ კოცონს და ყოველი მოსულთაგანი ზედ უნდა გადახტეს: ცეცხლის ყველაფრის გამანადგურებელი ძალა სპობს მზაკვრებს და არაწმინდებს, რომლებიც შეიძლება იდუმალად მიასხდნენ ამა თუ იმ ადამიანს ტანზე. ამავე დროს სცილიან თოფებს, დამბაჩებს, რითაც თავზარსა სცემენ მზაკვრებს, ზოგნიც ყვირიან: „შორს ჩემგან, მზაკვარო, შორს! შენი სვი და შენი სჰამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე!“.

მზაკვრები კატის სახით დაძრწიან მთელს სოფელში და ვაი იმას, ვინც არ გაფრთხილდა და ერთ-ერთი ჩამოთვლილი საშუალებათაგანი არ იხმარა მზაკვრის საწინააღმდეგოდ! მზაკვარი დაძინებულს მიეპარება და ზოგს ფრჩხილის სიფართოდ თმას ამოაჭრის თავზე, ზოგს ამნაირადვე ამოაჭრის ტანისამოსზე: ეს არის ჩხიბი ანუ საპოწმებელი იმისა, რომ მზაკვარი ამა თუ იმ სახლს ეწვია და იქიდან ხელცარიელი არ გამოსულა: ტანისამოსის პატარა ნაჭერთან ან თმის კომპლთან ერთად მოაქვს გულის ნაწილი იმისა, ვისაც ეს ჩხიბი ეკუთვნოდა.

შუალამისას მზაკვრები სამეგრელოს ყველა მხრიდან ბაჭარალებით გაემართებიან საპაერო გზით ტაბაკონასკენ. ზოგი მათგანი ცოცხებზე არიან შემსხდარნი, ისე მიფრინავენ, ზოგი საწნასელებში სხედან და ასეთ თავისებურ მატარებლებით მიექანებიან თავის უფროსთან. თვითონ ტაბაკონაზე დანთებულია დიდი კოცონი, ზედ დაკიდებულია უზარმაზარი ქვაბი წყლით სავსე, რომელშიაც უნდა მოიხარშოს ყველა გული ადამიანთა, რომლებიც მზაკვრებმა წლის განმავლობაში მოაგროვეს. მოშორებით ტახტზე ზის როკაბი და მომსვლელთ ელოდება.

ბოლოს, ყველანი მოვიდნენ. სცენაზე გამოდის როკაბის ერთი მინისტრთაგანი, რომელთან რიგ-რიგად მიდიან მოსული მზაკვრები ძღვენების მისართმევად. ყოველ მართმევაზე მინისტრი ქვით უკაკუნებს როკაბის გარეთ გამოშვერილ კბილზე. ისმის ჩახრენწილი, ძლივს გასაგონი კითხვა როკაბისა: „ვინ მოვიდა?“ პასუხად ასახელებენ მოსულ მზაკვარს და ჩამოთვლიან მის დამსახურებას. იმისდა მიხედვით, თუ რაძღენი და რა თვისების სიავე ჩაუდენია მზაკვარს, როკაბი აქებს და ადიუდებს ძღვენის მომტანს. როკაბის გული მით უფრო სძგერს სიხარულით, რაც უფრო ესმის, თუ რაც უფრო მეტი გულქვაობა გამოიჩინეს მისმა ხელქვეითებმა ადამიანთა მიმართ... გაიხედავ, წარუდგა მზაკვარი, რომელმაც არ შეიბრალა თავისი საკუთარი ძუძუთა ბავშვი, ამოჰგლიჯა მისი პაწაწუნა ნაზი გული და როკაბს ფეხებთან დაუდო; მეორე მზაკვარს არ დაჰნანებია თავისი ახლად ჯვარდაწერილი ქმარი, რომ დაემსახურებია იმავე როკაბის ყურადღება... მაგრამ ყველას კი არ ეღირსება ყურადღება და მადლობა როკაბისა. ისეთი მზაკვრებიც გამოერევა

რომელთაც მთელი წლის განმავლობაში ერთი ბეწო რისამე ვაკეთებაც კი ვერ მოასწრეს. ასეთებს საშინილ საყვედურით აავსებენ.

როცა ყველას ინახულებს და მოუსმენს როკაპი, გამიართება ნადიმი, თვით როკაპის თავმჯდომარეობით. სუფრაზე ღვინის მაგივრად მიერთმევათ ადამიანის სისხლი, ხორცის მაგივრად—ადამიანის გულის მწველები. სვამენ როკაპის სადღეგრძელოს, მზაკვრების სამეფოს წარმატებისათვის. მღერიან, ცეკვავენ... აღმოსავლეთიდან განთიადის მოახლოვებამ მზაკვრებს მოაგონა, რომ დრო მოვიდა დაებრუნდეთ შინ, მიწა-ზეო... ისევ რიგ-რიგად წარუდგებიან როკაპს გამოსამწვილობებლად, მოასხდებიან ცოცხებსა და საწნახელებს და თვალის დახამხამებაში შინ გაჩნდებიან...

მზაკვრებს სოფელში თანამოაზრე და ხელისუფლებითაა ჰყვანან. ვიხედაც ექვს აიღებენ—მზაკვრის თანამოაზრეაო, რაც შეიძლება, ყველა ერიდება, ზოგჯერ გაინაპირებენ, არც ჭირში გაეკარებიან და აღარც ლხინში. მომხდარა, რომ გაბოროტებულ გლეხებს მზაკვრებისათვის უსულღმერთოდ ეცემნოთ, მათს სახლებისათვის ცეცხლს წაეკიდებინოთ და თვითონ მზაკვარი მდინარეში ჩაეგდოთ: დაე, მდინარე გამოარკვიოს—დამნაშავეა მათს მიერ ჩაგდებული მზაკვარი, თუ არაო... თანაც უმატებენ: თუ წყალმა დასძირა მზაკვარი, ეტყობა—უდანაშაულოა და თუ მოიტეგტევა, ეს პირდაპირ მაჩვენებელი იქნება იმისი, რომ წყალში ჩაგდებული—კუდიანია და წყალში ჩაგდება ცოტაა, უნდა ჩავაქვავოთო...

როდესაც, მეგრელის აზრით, მის რომელიმე ოჯახის წევრის დაავადების მიზეზი—მზაკვარია, რჩევისათვის მკითხავს მიმართავს. მკითხავიც ავადმყოფის უნახავად გამოარკვევს ვისი ხელი ურევია ამა თუ იმ ადამიანის დაავადებაში. ავადმყოფის პატრონს ურჩევს წყალობისთვის მიმართოს ხატს იმ წმინდანისას, რომელიც უფრო ძლიერად ითვლება იმ სოფლის მცხოვრებთათვის, სადაც ავადმყოფია.

მზაკვართა მანქანების ასაცდენად ბავშვებს გულზე ავგაროზები უკიდიათ: სამოგვის ნაჭერი სამკუთხედის ფორმისა, რომელშიაც ჩაკერებულია თესლი ზოგიერთი მცენარისა. ამის საშუალებადვე გულზე იკიდებენ ან აკვანზე ჰკიდებენ გახვრეტილ ქვას. ავგაროზს, ბავშვებს გარდა, შინაურ საქონელსაცა ჰკიდებენ. მრგვალ, ბუნებრივად გახვრეტილ ქვებსა ჰკიდებენ სახლის კარს ზემოდან, რასაც მიზნადა აქვს—მზაკვრის ავი თვალის ძალა აარიდოს როგორც ამ ოჯახში მცხოვრებთა, ისე მეგრელის მთელ ავლა-დიდებას.

### ბატონები (ყვავილი) და სხვა გადამღები სენი

თავიანთი მოქმედების შედეგად, მავნე სულთა ანუ მეგრელების მტერთა კატეგორიას მიეკუთვნება: ბატონები (ყვავილი), წითელა, ქუნ-

თრუშა, ხუნაგი, ფილტვების ჭლეჭი და სხვ. ამ სენთა ძირითადი სამყოფელი ადგილია სამეგრელოდან ძალიან შორს, „ზღვის გაღმა“, სადაც თუ მეგრულს დაუჭერებთ, ერთგვარი სახელმწიფოებრივობის მსგავსი წყობილებაცა ჰქონიათ თურმე. ესენი ჟამ-ჟამ წამოვლენ „სტუმრად“ სხვადასხვა მხარეს და, მათ შორის, სამეგრელოში\*. მათი მიზანია: მეტი ხალხი დახოცონ, რომ უკანდაბრუნებისას, ანგარიშის ჩაბარების დროს, ქება დაიმსახურონ უფროსებისა.

ამ სენებთან საბრძოლველად მეგრულ სახალხო ექიმობას თავისი საშუალებაცა აქვს შემუშავებული, საშუალება სიმპათიური, საშუალება ხვეწნისა, მორჩილებისა და პატივისცემის გამოცხადებისა, შებრალებისა და შეცოდების თხოვნისა. მეგრულს ამ სენებთან ბრძოლაში, დღესაც ამ საშუალებით და ხერხით ემარჯვება ფონს გასვლა.\*\*

1902 წ.

\* ამ სენების შესახებ დაწერილებით იხილეთ ამავე კრებულში წერილი: „ქვევილ-ბატონები სპაროვლოში“.

\*\* ეს ნარკვევი პირველად რუსულ ენაზე იყო დაწერილი. 1913 წელს ავტორმა იგი გადასცა რუსული მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას (პეტერბურგი).

## ყვავილ-გატონები საქართველოში\*

(ერთი გვერდი სახალხო ექიმობისა)

გადამდები სენი, როგორც ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა, შავი ჭირი, ხორველა და სხვ. ქართველებს მიაჩნიათ სულეზად, ადამიანის ხორციით შესხმულ სულეზად. მართალია, ეს ხორცი სენისა უფრო ნაწია, ვიდრე ადამიანისა, მაგრამ იმნაირადვე მგრძნობიარე და იმნაირადვე სუსტია, როგორც ყველა სიკვდილის შვილისა. ადამიანთა მსგავსად, ამ სულეზს შეუძლიათ სიარულით გადაინაცვლონ ადგილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათთვის არ არსებობს უგზობა, თავისუფლად გადაეშვებიან ხოლმე მაღალ მთების მწვერვალებზე, არაფრად უჩანთ გასცურონ ზღვები და ოკეანები. ესენი წარმოგვიდგებიან შემსხედრებად თავიანთ დაუშავრალად ხედნის გამძლე ჯორებზე და ყოველი სიძნელე მგზავრობისა ჰქრება და უჩინარდება მათს წინაშე. თვალის დახამხამებაში, თითქო ვინმემ შეულოცაო, ამ ავადმყოფობათა სულეზი გადირბენენ დედამიწის ორსავე ნახევარ სფეროზე. ილუზია უფრო სრული იქნება, თუ ვიტყვი, რომ ამ სულეზს აქვთ საკმლის მონელების ორგანოები, სჭირია. ტანისამოსის ტარება, გულვრილად არ ეპყრობიან პოე-

\* ეს მოხსენება წაკითხულია პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოების სხდომაზე 1903 წ. აპრილის 16, ხოლო შემდეგ სხდომაზე მოხსენების ავტორი ხსენებული საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად იქნა არჩეული. მოხსენება დაბეჭდილია საანთროპოლოგიო საზოგადოების შრომებში.

ამის წაკითხვისას ანთროპოლოგმა პროფესორმა ზაბოროვსკიმ თავისი მოსაზრებ. გაუზიარა მსმენელთ ამ მოხსენების შესახებ.

„ნამუშავარი, ბ-ნმა სასოკიამ ჩვენ რომ გავვიზიარა, დიდის ინტერესით შოვისძინეთ. ქართველებს ავადმყოფობანი წარმოდგენილი ჰქონიათ, როგორც სულეზი. ასევე იყო ევროპაშიაც, საშუალო საუკუნეებში, და დარჩა ამავე ევროპის ზოგიერთ მხარეში. სახელდობრ—სლავიანთა შირის. ამნაირი წარმოდგენა ავადმყოფობათა მთელს მსოფლიოში იყო გავრცელებული.

„მაგრამ ლეგენდას რომ თავი დაეანებოთ, ჩვენ არ ვიცით სხვა მავალითი ეპიდემიურ სენთა, რომელნიც ადამიანის სახელა ჰყავდესთ წარმოდგენილი, ღმერთებადაც რომელთაც ეფერებიან და ცდილობენ მათი გულის მოგებას.

„ბ-ნს სასოკიას კავკასიაში აღნიშნული აქვს ძალზე კარვად შემოხახული გადმონაშთი პირველყოფილ იდეათა“.

ზიას, ტკბილ სიმღერებს; სამუსიკო იარაღის წკრიალა ხმა მეტისმეტ სასიამოვნოდ მიაჩნიათ და იის ყვავილის სუნისათვის თავი უკვდებათ... მათი საყვარელი სასუნსი—ადამიანის ხორცია და სიკვდრლის შვილთა სისხლით ვერ გააძლებთ. მაგრამ ამით იმის თქმა კი არა გვსურს, ვითომ მხოლოდ ორფეხთა ხორცს ეწყობოდნენ. ოთხფეხთა სისხლსაც დიდის სიამოვნებით გვახლებიან. მხოლოდ ზოგიერთი ცხოველის ხორცის ჭამაში უფრო იციან არჩევა; აქ არჩევა თუ დაწუნება ძალზე ამკარად იციან. მაგალითად, ღორის ხორცი, რომელსაც კაცობრიობის სუფრაზე საპატია ადგილი უჭირავს, განსაკუთრებით საშინელება ყვავილ-ბატონებისათვის, რომელსაც ისე უზომოდ უყვარს ხორცი და უმეტესად სისხლი ცივისსა. ეგვევ ითქმის ფერების შესახებაც. ყვავილ-ბატონებსა და წითელას უყვართ წითელი, თეთრი ან ლურჯი ფერი; ხოლო შავი სამოსის ნახვა ორსავე საშინლად ეჯავრება. რა თქმა უნდა, როგორც ყველა სიკვდილის შვილს, ამ სენთაც აქვთ ზოგიერთი ყინიანობა და მადღერებისა ან შურისძიების მიდრეკილება. ვისაც ხსენებული სატკივარი შეეყრება, მოვალედა სთვლიან თავიანთ თავს მათს ყინიანობას სიტყვა-შეუბრუნებლად დაემორჩილონ, რადგან ისინი ჩვეულნი არ არიან ვისგანმე თუნდაც მცირე წინააღმდეგობას, თორემ ცაცოფდებიან, საშინელნი ვახდებიან, ავები. პირიქით, მოფერებით, ალერსით, ძღვენის მირთმევით თითქმის სულმუდამ შეიძლება ადამიანმა მათი გული მოივოს, სიკეთე აქნევისოს, სიავე ააცილოს, ყოველისავე ხიფათისა და განსაცდელისათვის თავი დაადწვევინებინოს.

აჰა, სიმპათიები და ანტიპათიები, რომელთაც მიაკუთვნებენ ქართველები ყვავილ-ბატონებს, და რომლებითაც ხელმძღვანელობენ ამ სენის მოსარჩენად. თუ ისინი უგულვებელყოფენ ამ პირობებს, მაშინ მეტად სანაღვლეად უნდა გათავდეს მათი საქმე: ყვავილ-ბატონები პასუხისმგებელნი არ არიან!..

გადამდებ სენთა უმეტეს ნაწილს საერთოდ ეძახიან „ბატონებს“ და მათი იერარქიული უპირატესობით და სიძლიერით იყოფიან ორერთიმეორისაგან განსხვავებულ კატეგორიად. პირველ კატეგორიაში მოქცეულნი არიან „დიდი ბატონები“—შავი ჭირი, ხორველა, ყვავილ-ბატონები, ხოლო მეორისაში—წითელა, ქუნთრუშა, ყელჭირვება, ყივანა ხველა და სხვ.

ყველა ეს სხვადასხვა ავადმყოფობანი ცხოვრობენ „ზღვას (შავ) იქით“, საცა განუწყვეტლივ სდის თავლის მდინარენი და რძის ნაკადულები. ამით აქ აქვთ თავისი ოჯახები და მთელი სოციალური და სარწმუნოებრივი ორგანიზაცია. ყველანი ემორჩილებიან ერთ უფროსს, რომელიც განაგებს თვისთა ქვეშევრდომთა საქმეებს და ზრუნავს მათი კეთილდღეობისათვის. სარწმუნოების მხრივ ესენი საზოგადოდ არიან

ქრისტეს და ისლამის აღმსარებელნი. ფიზიკურად ესენი ზოგი შავია (შავი ჭირი), თეთრი (ყვავილ-ბატონები), წითელი (წითელა).

მაგრამ ეს ავადმყოფობანი არა სჯერდებიან თავიანთ ქვეყანას. დროდარო მათი უფროსი გადასწყვეტს ინახულოს მსოფლიოს სხვადასხვა მხარეები, რომლებიც თავის სამეფოს ერთ-ერთ ნაწილად მიიჩნიათ, რომ ვაიგონ, თუ სიკვდილის შვილხი რამდენად ერთგულნი არიან მათნი და ან ხომ არ ჩადიან ისეთ საქმეს, რაც უკანონობად ჩათვლებათ. ამას აკისრებს თავის ქვეშევრდომებს: შავ ჭირს, ყვავილ-ბატონებს, წითელას და სხვ. ამათ სრულ ძალაუფლებას აძლევს მოიქცნენ ისე, როგორც საჭიროდ დაინახავენ, დაანახვონ ყველას ყოვლის შემძლეობა თავიანთი უფროსისა, მიმართონ დასჯის საშინელ საშუალებას, რომ დამნაშავენი გამოსაწორონ და ჩააგონონ მორჩილება და რადი. იმ შემთხვევაში, როცა ამათ საქმე ექნებათ ისეთებთან, ვისი გამოსწორება ვასაჭიროა, მათ უფლება ეძლევათ იხმარონ რადიკალური საშუალება: შეუძლიათ მოჰკლან და წამოიყვანონ როგორც თავიანთი მონები. დასავლეთ საქართველოს ერთი მეტად გავრცელებული ლეგენდაცაა, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს „ზღვას იქით“ მხარეში მცხოვრებთა შესახებ. აი ამ ლეგენდის წყალობითაა, რომ ამ სულთა ცხოვრებას ფარდა აეხადა და ჩვენც რაც რამე ვიცით—მათ შესახებ.

ერთხელ,—მოგვითხრობს ეს ლეგენდა—ერთი მეგრელი მეთევზე ერთ მდინარის პირას თავის ნავში მოკუჭული იჯდა. ნემსკავი წყალში ჰქონდა გადადებული და ელოდა—აცა, როდის წამოეგება თევზიო. რაკი დრო მიდიოდა და თევზი კი არსადა ჩანდა, მეთევზეს თევზის ლოდინში ჩაეძინა. ცოტა ხანმა გაიარა და ანკეს ერთი უზარმაზარი თევზი წამოეგო. რადგან მეთევზე აღარ იძვროდა, თევზმა ნავი ზღვაში შეითრია. სწორედ მიგრაციის ანუ ადგილგადანაცვლების დრო იყო და თევზმაც თბილ ქვეყნებისაკენ გასწია.

უკვე მეორე დღე გათენდა, როცა მეთევზეს გამოეღვიძა. საცოდავმა კაცმა რომ დაინახა—შუა ზღვაში ვარო, თავზარდაცემულმა არ იცოდა, რა ექნა. შიშისაგან ენა ჩაუვარდა. ზღვის ტალღები ნება-ნება არ წევდა. მზე რამდენჯერმე აშოვიდა და ჩავიდა, და ისიც მიადგა ერთ მშვენიერ კუნძულს, სადაც თავლის მდინარენი და რძის ნაკადულები სდიოდა. ისიც ნაპირას გავიდა. შევიდა ისეთ ალაგში, საცა აქამდე ცნობისმოყვარე ადამიანს ფეხი არ დაუკარბია. მის გონებას ვერც კი წარმოედგინა არსებობა ასეთის ადგილისა! კუნძულის ნაპირებს ლურჯი ზღვა ჰკოცნიდა და ზედ ეფერქვევოდა მზის თქროთ დაფერილი დაუსრულებელი ბრწყვიალა სხივები. ყოველივე ეს მეტად მხიარული და სასიამოვნო იყო. ამ უუქმფენარე მზის ქვეშ გადაშლილი იყო საოცნებო საყურებელი ბაღები, სამოთხე იშვიათ და ადამიანის თვალათთვის ჭერ

უნახავ ყვავილთა, რომლებიც წამოზიდულნი იყვნენ თავიანთ ნახ ღე-  
როებზე, მსუბუქ თაიგულებად თავიანთ თავსვე ეცემოდნენ. აქვე იყო  
სატუცხოვო სასახლეები, რომელთა გარშემო აბნევდნენ ნაპერწკლებს.  
ფვირღას მარგალიტების მსგავსებს.

აი ბედმა საწყალ კაცს ამ საქაო სამოთხეში დაანახა თავის თვა-  
ლებით სხვადასხვა ჯურის და სხვადასხვა ხარისხის „ბატონები“, რომ  
მერე თავის მეზობლებისათვის ეამბნა მათი შინაური ცხოვრების ამბავი.  
მეთევზე მათს შორისვე ხედავდა თავის მეზობლებს, წინა წლებში გარ-  
დაცვლილებს და „ბატონების“ მიერ წამოყვანილებს თავიანთ ყმებად.

„ბატონები“ ახალმოსულს შემოეხვივნენ. გაუწყრნენ: როგორ გა-  
ბედე ჩვენს საიდუმლო სამყოფელში მოსვლათ! საცოდავმა მეთევზემ,  
აკანკალბულმა, ყელგამომშრალმა, სცადა ეთხოვნა პატიება. ძალიან  
გაუჭირდა და ბოლოს, როგორც იყო, წამოილულელულა, უამბო—უბედო  
ბედმა რაც შეამთხვია და, როგორც შეიძლო, პატიება სთხოვა. რადგან  
მისი „ყმობის“ დრო ჯერ არ იყო მოსული და თან ანგარიში გაუწიეს  
იმ გარემოებას, რომელმაც ის მათს სამყოფელში მოიყვანა, „ბატონებ-  
მა“ აპატიეს და ძალზე სტუმართმოყვარულად მოექცნენ.

მეორე წელიწადს, თევზების ახალ მიგრაციის დროს, „ბატონების“  
ბრძანებით და იმავე თევზის საშუალებით, ჩვენი მეგრელი დაუბრუნდა  
თავის სამშობლოს. მის მეზობლებს დიდი ხნის მკვდარი ეგონათ და  
ახლა ცოცხალი რომ დაინახეს, ყველას საშინლად გაუკვირდა. ისიც  
დაწვრილებით მოუყვა, რაც ნახა თავის უნებურად.

გადამდებ სენთა შორის, რომელნიც სწორედ რომ ანადგურებენ  
ქართველთა, ყველაზე საშინელია—ყვავილი, რომელსაც ეძახიან „დიდ  
ბატონებს“, „ყვავილს“ ან კიდევ „მარგალიტებს“. მისი წამლობა გადა-  
იქცა კულტად და მთელ რიგ ცრუმორწმუნოებათა წყაროდ. უფრო  
ხშირად ყვავილის ეპიდემია საქართველოში შემოდის და ოსმალებიდან.  
ოსმალებს მეზღვაურთა საშუალებით, რომლებიც ვაჭრობას აწარმოებ-  
დნენ ალაგობრივ მკვიდრებთან. საქართველოს დასავლეთი პროვინცია.  
სამეგრელო, ხდებოდა მსხვერპლად ყვავილის და სწორედ სამეგრელო  
იქცეოდა ხოლმე განუწყვეტელ კერად „ბატონებისა“. ამიტომ, სრულე-  
ბით არ არის საკვირველი, თუ სწორედ ამ მხარის მცხოვრებთა შორის  
დარჩენილა ყვავილის მოვლისა და კურნების წესები, სრულებით განსა-  
კუთრებული და საინტერესო ეთნოგრაფიის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, მეგრელების წესი ყვავილის კურნებისა, რო-  
გორც ქვემოთ დავინახავთ, არც ისე დასაწუნია და არსებითად განსხვა-  
ვებული არ არის თანამედროვე ექიმობის მიერ მიღებული წესებისა.  
ამიტომ ჩვენც სწორედ საქართველოს ამ ნაწილში არსებული წესების

შესახებ გვექნება ლაპარაკი იმ საგანზე, რომელიც ჩვენ აშუამად გვაცინტერესებს.

როგორც მეგრელნი მოგვითხრობენ, „ბატონები“ ანუ ყვავილი ადამიანის სახით და ჯორებზე შემსხდარნი იქით-აქეთ დადიან, სრულებით გაუჭირებლად. ამათში გულკეთილებიც არიან და ავებიც. პირველი ჯგუფის ბატონები წარმოგიდგებიან ლამაზი ქალების სახით, ტანზე თეთრები აცვიათ, კობტად და გემოზე, გრძელ და მშვენიერ თმისანი. მათი ჯორებიც აგრეთვე თეთრები არიან. ავგულა „ბატონები“ კი გრძელწვერიანები არიან, შავები, შავტანისამოსიანები, ზოგჯერ მღვდლის ანაფორასაც კი ატარებენ და სახედნადაც — შავი ჯორები ჰყავთ.

ამა თუ იმ სოფელში ყვავილის შემოსვლას წინდაწინ იგებენ იმით, რომ ავადგასახდომნი ან მისნი მახლობელნი სიზმარში ნახვენ:—ყვავილი მობრძანდება ჩვენთანაო! თუ სიზმარში ნახეს ლამაზი ქალები, მოცეკვავენი, მხიარულნი, სახის კეთილგამომეტყველებიანი და ტკბილად მოდიმარნი, თეთრ, ბრჭყვიალა კაბებიანები—ეს კარგი ნიშანი იქნება. ამ შემთხვევაში იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ ავადმყოფობა მშვიდობიანად ჩაივლის და ავადმყოფის სახეს მსუბუქ კვალს დაამჩნევს. ხოლო თუ სიზმრად ნახეს შავი „ბატონები“, მაშინ დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ სიკვდილი უეჭველად დაუკაკუნებს კარებს ამა თუ იმ ოჯახში.

ყვავილის ეპიდემიის გაჩენა სამეგრელოს რომელსამე სოფელში მცხოვრებთ თავზარს დასცემს ხოლმე. თუ ქონება ნებას აძლევთ, თავიანთს სახლებს თავს ანებებენ, ცდილობენ თავი შეაფარონ თავიანთ ნაცნობ-მეგობრებთან შორეულ სოფლებში. ხმამაღლა ლაპარაკს შესწყვეტენ, ყველგან ჩურჩული-და ისმის. მეზობლებს ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა შეწყვეტილი აქვთ, სანამ ეპიდემია მძვინვარებს. მეგრელები ზედმიწევნით ასრულებენ იმას, რაც, მათის აზრით, „ბატონებს“ აქვთ ნათქვამი: „როცა ჩვენი სახელი (გამოჩენა) გაიგოთ, თავს უშველეთ, იმდენი ირბინეთ, სანამ კამეჩის ტყაყის ქალამნები, ფეხებზე რომ გაცვიათ, სიარულისაგან არ დაგიცვდებათ. ეცადეთ, ჩვენმა თვალებმა არ დაგინახოთ. არ დაგვენახოთ, თორემ ვაი თქვენს შავს ღდეს!..“

რაც შეეხება ხსენებულ ავადმყოფობისაგან წამლობასა და მორჩენას, მეგრელები მიმართავენ მხოლოდ და მხოლოდ სიმპათიურ საშუა-

\* ამის დამწერის დედა შავი „ბატონებისაგან“ გარდაიცვალა. მეზობლებს ვითომ სიზმარში ენახოთ ჩვენი სოფლისაკენ მომავალი შავი დიდწვერა კაცი, შავტანისამოსიანი, შავ ჯორზე შემჯდარი. რაცა მიცვალებული გაასვენეს, მაშინ-ღა უთქვამთ: ასე და ასე ენახეთ სიზმარში.

ლებებს და იმ ხერხებს, რაც წინაპრებისაგან გაუგონიათ: ყოველ უწინარეს, „ბატონების“ მხრივ წყრომისა და შურისძიების შიშით ერიდებოდა ექიმისა და ლათინთა სამზარეულოს წამლების ჩარევას. უნდა ისიც ვთქვათ, რომ ექიმები იშვიათად თუ სადმე იყვნენ მეგრელების სოფლებში იმ დროს, რა დროის ამბავს ჩვენა ვწერთ. ავადმყოფს თუ ბედი უღიმის, გადაარჩება, თუ არა და უნდა მოკვდეს; თუ გადაარჩინეს, ეს იმას ნიშნავდეს იქნება, რომ გაჭირებას თავი დააღწიეს, მიზანს შიდაწიეს, ე. ი. გული მოიგეს ავადმყოფობის სულისა, ალერსიანები იყვნენ, მორჩილნი, განსაკუთრებით—მიუხვდნენ: ბატონებს რა ეამბოდათ და რა არა! უნდა დავსძინოთ აგრეთვე—ბედისწერას ამ შემთხვევაში, როგორც სხვა შემთხვევებშიაც, უმთავრესი როლი აქვს.

მოდით, შევიხედოთ მეგრელის სახლში, საცა „ყვავილ-ბატონები“ „ბრძანდებიან“. უმეტეს შემთხვევაში, მეგრელების სახლები უნდა ექებოთ შუაგულ ტყეში, საუკუნოვან ხეებს შორის, ერთმანეთისაგან ერთი და ორ და ზოგჯერ სამი კილომეტრით დაშორებულები. ამ სახლებს ჰაი, ჰაი, რომ დიდი პრეტენზია არა აქვს სილამაზისა როგორც გარედან, ისე შიგნიდან. სახლს გარედან მაღალი ღობე უვლია, ღობეს შიგნიდან უშველებელი ხეები დგას. სახლი ხისაა, ერთსართულიანი, ერთ თვალისანი. კარი მთლიანი ორი აქვს: ერთი წინიდან და მეორე პირველის პირდაპირ—უკანიდან. სახლის სახურავი ყავრისა ან ისლისაა. რაკი ფანჯრები არა აქვს სახლს, სინათლე მოღებულ კარებიდან ან ჭუჭრუტანებიდან შემოდის. ჭუჭრუტანები კიდევ თავის დღეში არ აკლია გაუგოზავ კედლებს. ჰაერსაც, სინათლის მსგავსად, აქვს სახლში შემოსასვლელი გზა. ფიცრის იატაკის მაგიერ, კარგად თუ ავად, დატყვნილი წითელი მიწაა. სახლის შუა გულს—კერაა, საცა შეშის დიდი ნაჭრების-მორების ცეცხლი უნთიათ. ამ კერას გარშემო შეჭუჭკულნი არიან ოჯახის წევრნი, რომელთა ზურგი განუწყვეტლივ ქარსა აქვს შეშვერილი, განსაკუთრებით ზამთარში. კვამლი, კერას რომ ასდის, ჯერ ყველას უღიზიანებს და ამოსწვავს თვალებს და მერე გარეთ გავა იქიდან, საცა გასასვლელ გზას იპოვნის. კედლებს გასწვრივ მიკრულია ტახტი, ანუ რამდენიმე ცულობით გაჩორკნილი ხის ფიცარი. უმეტეს შემთხვევაში ზედ არაფერი ჰფენია და თუ ჰფენია, ეს გახლავთ ჭილოფი, რომელსაც სოფლებში თვითონ აკეთებენ ჭილისაგან. დამით ამ ტახტზე გადააფარებენ სიფრიფანა ლეიბსა და საბანს და ამგვარად გადაიქცევა საწოლად, დღისით იხმარება ჩამოსაჯდომად. რა თქმა უნდა, მეტად უპრეტენზიო უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთ საწოლს რბილი დაარქვას. მაგრამ თუ ანგარიშს გაუუწევთ იმას, თუ რა ღარიბულ პირობებში სცხოვრობს მეგრელი, ასეთ ცხოვრებისათვისაც კმაყოფილია. განჯინა მეგრელის ოჯახში აუცილებელი საჭიროების ავეჯად არ ითვლება. ბინისათვის ამ ცხად

სიშიშვლის ბოდიშის მოსახდელად კედელზე დაკიდებულია თითო-ოროლა ტანსაცმელი, რომელნიც საპნის თვისებას ნაკლებ იცნობენ. კედლები მოშავო ფერისაა, ალბათ კვამლისაგან, განუწყვეტლივ რომ ხვდებათ. ჭურჭელი შესდგება ხის ატარებისა და თიხის ჯამებისაგან, რომლებსაც სოფლის ხელოსნებივე აკეთებენ და რომლებიც სრულ-ჰყოფენ სახლის მორთულობას. სახლის ერთი კუთხე მიჩენილია საქონლის ბოსლად, სადაც ოთხფეხი გვერდით ცხოვრობს თავის პატრონებთან ერთად და ისიც იმათთან ერთად ერთის ჰაერითა სუნთქავს.

აჰა, რაც შეიძლება, სწორი სახე იმ გარემოსი, რომელშიაც იმყოფება მეგრელი ავადმყოფი.

როგორც კი გაჩნდება სენი, პირველადვე ავადმყოფს კისერზე დაჭრდებენ ვახვრეტილ ქვას. ეს არის ნიშანი მორჩილებისა „ბატონების“ მიმართ, რომელნიც „მობრძანდნენ“ და თავიანთს „მობრძანებით“ წყალობა უყვეს ამა თუ იმ ოჯახს...\* ცოტა ხანს შემდეგ ამ ქვას ავადმყოფის საწოლ ქვეშ დასდებენ. ამავე დროს დიდის გულმოდგინებით ცდილობენ სახლი მორთონ. ცდილობენ ავადმყოფი, რაც შეიძლება, სუფთა ლეიბზე დააწვინონ, უკეთესია, ახალ ლეიბზე დააწვინონ. საბანიც აგრეთვე სუფთა და ახალი უნდა იყვეს; ყველაფერს აჯობებს, თუ საბანი აბრეშუმისაა. კერაზე ცეცხლი უნდა ჩაქრეს, რადგან „ბატონებს“ ცეცხლი ჭირივით ეჯავრებათ. სახლში საჭმელს არა ხარშავენ. ამ შემთხვევაში, მეზობლები ჩაერევიან საქმეში და საჭმელი მზა-მზარეული მოაქვთ ავადმყოფის პატრონისათვის. მეზობლების მხრივ ეს დიდ სიკეთედ და სამსახურად ითვლება, და აგრეთვე ავადმყოფის პატრონისათვის მეტად ხელსაყრელია, რომ მთელი კვირების განმავლობაში სხვები იმსახურონ. მაგრამ მეზობლები თითქო არც თუ ისე ოყუნენ დაინტერესებულნი ამისთანა პატივისცემის აღმოჩენისათვის. არ უნდა დაევიწყოთ, რომ, ერთი მხრივ, ხელსა ჰხანს ხელი, და თუ დღეს „ყვავილი“ ერთ მეზობელთან ბრძანდება, ხვალ მეორესთან „მობრძანდება“ და მეორეს პირველი მეზობელი თავის მხრივ გადაუხდის სამსახურს. მეორე მხრივ, ქართველებს მოვალეობად მიაჩნიათ გამოიჩინონ მორჩილება და სტუმართმოყვარეობა „ბატონების“ მიმართ. მეზობლების მიერ მოტანილ და სულებისათვის მირთმეულ საჩუქრებს შორის ჩვენა ვხედავთ: ვარიებს, პატარა ციკნებს, ფრინველთ, რომელთაც ნისკარტები და ფეხის ფრჩხილები მთლად წითლად აქვთ შეღებილი.

\* ეს ჩვეულება (ყელზე ქვის დაკიდება) იმ შორეულ დროისაა, როცა ქართველობის დროს, როცა მტრისაგან დამარცხდებოდნენ, ყელზე ქვეშ დაიკიდებდნენ და ისე წარუდგებოდნენ წინ ეს მორჩილების ნიშანი მკობნელთ უფლებას ახიჭებდა დაძარცვებულთა სიცოცხლეს ისე მოჰქეუოდნენ, როგორც ენებებოდნენ...

ამ წინდაწინვე მირთმეულ შესაწირავებით ცდილობენ მეზობლები გული მოიგონ „ბატონებისა“, მათი წყალობა გადმოვევლინოთ და მათ მიერ დაფარულ-დაცულ იქმნენ.

მაგრამ ყველა მეზობელს კი არ შეუძლია გადალახოს კარიბჭე იმ სახლისა, სადაც ავადმყოფს უვლიან. ვისაც ჯერ არ უხდია „ყვავილ-ბატონები“, სახლის ღობეს მიადგება და იმის მაგიერ, რომ შინაურებს ხმამაღლა დაუძახოს და გარეთ გამოიხმოს, „ყვავილის“ მსახურთა ყურადღებას მიიპყრობს იმით, რომ ქვით ოდნავ დაუჟაკუნებს ღობეს. ამ სიფრთხილეს თავისი საბუთი აქვს, რადგან „ბატონებს“ ეჯავრებათ ქვირილის ხმა; ადამიანთა ძახილი აბრაზებთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სულები მეტად ნერვიანები არიან. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ვისაც „ბატონებმა“ სიბრძავე დაუტოვეს, ამნაირადვე იქცევიან, როცა ძღვენი მიაქვთ „ბატონებთან“ მათი გულის მოსაგებად. მათ აკრძალული აქვთ შევიდნენ იმ სახლში, სადაც გადამღები სენია და დაენახვონ ავადმყოფობის სულებს, თორემ ამას მოჰყვება „ბატონების“ განჩხლება და მათგან სიავის მოლოდინი. ბატონები ამ შემთხვევაში, შურს იძიებენ იმათზე, ვინც ლოგინშია და თვალის სინათლეს წაართმევენ. ამრიგად, ავადმყოფი გათამამებულ ბრმის მაგივრად აგებს პასუხს!...

ცოტა ზემოთ ჩვენ ვახსენეთ „ბატონების“ მოსამსახურე. ახლა ვეკითხით ერთი, ვინ არის ეს მოსამსახურე? ის უფროსი განსაკვეთ შემწირველი, მინისტრი ბატონების კულტისა, რომელიც არსებობს მეგრელთა შორის; სწორედ ამ კულტის მიერაა შემოღებული ეს თანამდებობა. სულების მსახური არც ისე ჩვეულებრივი მსახურია, რომელიც შეიძლება გვეჩვენოს პირველი შეხედვით. ადვილია სიტყვა „მსახურის“ თქმა, მაგრამ ყველასათვის კი არ არის შესაძლებელი მსახური იყოს. ეს სიტყვა ჰგულისხმობს მეტად რთულ მოვალეობას და დიდი საბასუხისმგებლობა: მსახური ერთგვარი შუამავალია უბრალო სიკვდილის შეილება და „ბატონებს“ შორის! ეს მღვდელმსახურია, რომელიც გადმოგვცემს, თუ რა ჰქნება „ბატონებს“ და მოლაპარაკების დროს კარგ ურთიერთობას ამყარებს ავადმყოფსა და „ბატონებს“ შორის. მოსამსახურე დიდი თანამდებობის კაცია, ძალაუფლებით მორჭმული, ბატონების სამსახურს მიმავრებელი, დიდის გავლენისა და განსაკუთრებულის მოხერხებისა. სიცოცხლე და სიკვდილი ავადმყოფისა—მის ხელთაა! ის აყენებს ავადმყოფს მორჩენის გზაზე, ისაა, უშუალო კავშირი რომ აქვს ბატონებთან, ისაა, რომ ცდილობს ბატონების გული მოიგოს, უზრუნველმყოფელი ბატონების მიერ წყალობის გამოვლინებისა, ცდილობს მისი შუამავლობა კეთილად დაგვირგვინდეს...

„ბატონების“ მსახურობის საქმეში სქესს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: მსახურად შეიძლება იყოს როგორც მამაკაცი, ისე: დედაკაცი. ამ

თანამდებობის ასასრულებლად საჭიროა. მსახურს მოხდელი ჰქონდეს „ბატონები“ და უზრუნველყოს, რომ ეს სენი ხელმეორედ არ შეეყრება. გარდა ამისა, უნდა იყოს კარგი მჭევრმეტყველი, ენაზე თაფლი უნდა ჰქონდეს დასხმული, როგორც ამბობენ ქართველები, ესე იგი, იცოდეს ალერსიანი და მოფერების სიტყვები, ემარჯვებოდეს ბატონებისათვის ქათინაურების თქმა, საცა უნდა და არ უნდა, დამსახურებულისა თუ დაუმსახურებელისა, სულ ერთია, არავინ დასძრახავს. მსახურმა არ უნდა დაივიწყოს, რომ „ბატონებს“ ქათინაურები ძალიან უყვართ. გარდა ამისა, წსახურმა უნდა იცოდეს ტკბილად მოყოლა სხვადასხვა გასართობი ამბებისა, არტისტული ნიჭიც უნდა ჰქონდეს, სთქვას ლექსები, ბატონების პატივსაცემად გამოთქმულები, სიმღერა იცოდეს, ბატონების სმენა დაატკბოს ჩონგურის დაკრითა და ზედ ტკბილი სიმღერების დამღერებითა, იცოდეს ცეკვა, იყოს მომთმენი და სხვადასხვა.

აღსანიშნავია, რომ ბატონების კარგ მსახურს თავისიანებში განუზომელი ფასი აქვს. ბატონებიც თავიანთ მხრივ აფასებენ მის ღირსებას, შრომასა და დაღალვას, რაც მის თანამდებობას ახლავს თან. როცა უგულოდ ემსახურებიან, ბატონები არ აყოვნებენ გულის მოსვლას და ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესებას და მოითხოვენ კარგი მსახური მოუყვანონ. არიან ძალზე სახელგანთქმული მსახურნი, გამოჩენილნიც, რომელთაც ზედმიწევნით იციან თავიანთი ხელობა. ავადმყოფის პატრონნი, რაც უნდა დაუჯდეთ, მოსძებნიან ასეთებს და თუნდ ორი დღის სავალიდან მოიყვანენ.

ერთს სოფელში,—მრგვითხრობენ მეგრელები,—ერთს დროს ცხოვრობდა ერთი საწყალი დედაკაცი, განთქმული მსახური „ბატონებისა“. ავადმყოფებთან რომ მიიწვევდნენ, ეს ქალი მაშინვე ხელში აიღებდა ჩონგურს და თუმცა ძალიან სუსტი მეჩონგურე გახლდათ, მაინც ეს არ უშლიდა გაჭირვებისათვის სულ ადვილად დაედწია თავი. იმდენს ახერხებდა, რომ „ბატონების“ გული ყოველთვისა ჰქონდა მოგებულთ. როგორც კი მიუახლოვდებოდა სანლს, საცა ყვავილით ავადმყოფი იწვა, საკრავს უხერხულად ააქლარუნებდა, „ბატონები“, როგორც მოგვითხრობენ მაყურებელნი, გამზიარულდებოდნენ და ღიმილს დაიწყებდნენ.

მაგრამ ამავე სოფელში ისეთი ურწმუნო თომებიც იყვნენ, რომლებსაც ამ დედაკაცის ღირსებისა არაფერი სწამდათ. ამ დროს ერთი ახალგაზრდა კაცი ყვავილით გამხდარა ავად. მისი მდგომარეობა უნუგეშო გახდა. თავისი მეზობლები სულ ამოდ ეხვეწებოდნენ ავადმყოფის მამას მსახური დედაკაცი მოეყვანა. მამა, რომელსაც როგორღაც თვალში ამოდებული ჰყავდა ეს დედაკაცი, უარზე იდგა და ყურს არავის უგდებდა. ბოლოს, სიკვდილის პირას მდებარე შვილმა გაკერპებულ

მამას ხეყნა დაუწყო: „სიცოცხლე სულ სამის დღისა დამრჩენია. მომიყვანე, მამილო, ის დედაკაცი, რომ ავადმყოფს მომიაროს“. მამა ხედავდა, რომ შვილის სიკვდილი კარზე ჰქონდა მომდგარი და მართლაც სამ დღეში შვილმა თქვენი ჭირი წაიღო.

განვლო ხანმა და „ბატონები“, თავიანთ ჯორებზე შემსხდარნი, შეხვდნენ დედაკაცს და საყვედური უთხრეს: „შე კაი ქალო, რად მოკალი ყმაწვილიო?“—ბატონებო, ჩემო მწყალობლებო! განა ჩემი ბრალია,—უბასუხა დედაკაცმა.—მე სულ იმასა ვნატრობ შემთხვევა მომეცეს თქვენს ფეხებს ქვეშ გაგევით და დაგიმტყიცოთ ჩემი პატივისცემა და მორჩილება. ძვირფასნო და სათაყვანნო, მიცალღებულის მამა იმდენად იყო გულქვა, რომ წამართვა სიამოვნება შეესულიყავ იმ სახლში, საცა თქვენ ინებეთ შებრძანება“.

რაკი „ბატონების“ მსახური იმ სახლში დაბინავდებოდა, საცა ავადმყოფი წევს, ყველანი დამშვიდდებიან, დარწმუნებულნი, რომ ავადმყოფის ბედი ჩაბარებული აქვს ისეთს ხელებს, ვისი ნდობაც შეუძლია ადამიანს. მსახურის თვალი და ხელები ყველაფერს უნდა გასწვდეს: ართმევს მეზობლებს მათს მიერ მოტანილ დიდ ძღვენსა და საცმელსასმელს, რომ მერე ბატონებმა, თავისუფლად რომ დარჩებიან, სავსებით შეაფასონ მორთმეული სანოვაგის ღირსება. ძნელი არ არის იმის გამოცნობა, რომ ბატონები გაუმაძღრები სრულებით არ არიან. მაშინ მსახური თავის მოვალეობადა სთვლის, თავის გულმოდგინების საჩვენებლად, დატოვებული სანოვაგე დაამთავროს, და ამგვარად თავის შრომის სასყიდელით თავის თავი დააჯილდოვოს.

ყოველთვის, როცა მსახურმა ბატონებს მოტანილი ძღვენი უნდა მიართვას, ავადმყოფის წინაშე დაიჩოქებს და თავმდაბლად მოახსენებს: „ბატონებო, ძვირფასო მარგალიტებო, უძვირფასესო სამკაულებო, ყველა ყვავილებზე ულამაზესნო, ტკბილნო, საყვარელნო! ია-ვარდი გიფენიათ, საცა გაიაროთ! როგორც კი გაიგეს თქვენის უდიდებულესობის მობრძანება ამ საცოდავ ქოხში, ყველანი საჩქაროდ გამოეშურნენ, რომ თქვენთვის მოერთმიათ ეს მცირედი ძღვენი, რათა მომრთმევეთ გადააფაროთ თქვენი მოწყალების კალთა, მიაკმიოთ სურნელება თქვენი გულკეთილობისა. ნება უბოძეთ თქვენთა ფეხთა მტვერს, თქვენს მონა-მორჩილ და უღირს მსახურს, რომელიც ბედნიერებადა თვლის ამ სახელის ტარებას, მოგართვათ ეს ძღვენი“.

როცა მეგრელი მღვდელმოქმედი ასე ლაპარაკობს, იმის დარდი არა აქვს—მის მიერ მეგრულად ნათქვამს „ბატონები“ გაიგებენ თუ არა. ცხადია, მსახურსა ჰგონია, რომ „ბატონები“ ყველა ენაზე ლაპარაკობენ. თავის სათქმელს რომ გაათავებს, ძღვენს ავადმყოფის წინ დალაგებს. მორთმეულთა შორის ჩვენა ვხედავთ: ცოცხალ დედლებს,

რომელთაც ნისკარტი და ფეხების ფრჩხილები შეღებილი აქვთ წითლად და კისერზედაც მძივები აქვთ, დამზადებული საჭმელი, ხილი, ყვავილები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყვავილების მირთმევა მამინ და შეიძლება, როცა ყვავილი ტანზე გამოაყრის ავადმყოფს, რადგან სწამთ, რომ „ბატონები“ ყვავილს რომ დაინახავენ, შეიძლება თავისუფლად გადავიდნენ ამ ყვავილზე, ან, უფრო გარკვეულად რომ ვთქვათ, ავადმყოფის სხეულის შიგნით დარჩებიან, და ეს კი მეტად საშიშად ითვლება.

ბატონებისათვის მოსაკითხების ყოველ მირთმევაზე მსახური ცდილობს არ დაასახლოს მოსაკითხის მომრთმევი. მხოლოდ ამბობს: „ამა და ამ „ძაღლმა“ თქვენ მოგართვათ“. მოსაკითხის მომრთმთა სახელს იმიტომ არ ახსენებს, რომ მომრთმთა ჯერ არ უხდიათ „ბატონები“, და რაკი მათი სახელები წარმოთქმული არ იქნება, „ბატონებს“ არც ეცოდინებათ. ვინ მოართვათ მოსაკითხი, და თუ გაიგონეს, ადვილად შეიძლება შემდეგში მათი სტუმრები გახდნენ. ისიც მოხდება ხოლმე, რომ მსახურს სახლში შემოჰყავს ისეთი მეზობლები, რომელთაც უკვე უხდიათ ყვავილი და, ვითომდა ავადმყოფის სანახავად მოსულნი, მოვიდნენ „ბატონების“ თაყვანსაცემლად. მსახური მოახსენებს ბატონებს — ესა და ესენი გეახლნენ თქვენთანო და მომსვლეთ ბატონების მხრივ შესაფერს პასუხს აძლევს. მსახური მნახველთ ნებას აძლევს ზეწრის ბოლოებსა და ავადმყოფის ხელებს აკოცონ, მერე იგივე მსახური ანიშნებს ადგილს, სადაც უნდა დასხდნენ მოწიწებით და მოშორებით. მსახურისაგან ჩაგონებული აქვთ—არამც და არამც არ ახსენონ სიტყვა „თვლები“, „ყელი“. თუ უნდათ გაიგონ, თუ როგორა აქვს ავადმყოფს თვლები, უნდა იკითხოთ: ავადმყოფს „სარკე“ როგორა აქვსო. სიტყვა „ყელის“ მაგიერ ამბობენ სიტყვა „შუშას“. ყოველთვის ასეთს ეშმაკობას უნდა მიჰპართონ. ადამიანის სხეულის ამ ორგანოების ნამდვილი სახელები თუ ვაგლახად წამოსცდათ, ბატონები ზედ დააფრინდებიან. მნახველთ ისეთებიც გამოერევიან, რომელნიც ვითომ აღტაცებულნი არიან ბატონების ძიძიბოების სილამაზით და ბატონებსა სთხოვენ მათ „აჩუქონ“ რამდენიმე „ყვავილი“. ბატონებს ასეთი თხოვნის გაგონება ძალიან ეაწებათ და ამ თავის თაყვანისმცემელთა მიმართ თავიანთი კეთილგანწყობილების და მოწყალების გამოხატვის ნიშნად, როცა მათ ეწვევიან სტუმრად, მათს სახეზე კვალს არაფრისას დაუტოვებენ.

ზოგიერთი მეზობელთაგანი მსახურს ეხმარება და რიგ-რიგად რჩება ავადმყოფთან ღამის სათევად. უკრავენ ჩონჯურს, ცეკვავენ, მღერაინ, ერთმანეთს უამბობენ კაი-კაი ზღაპრებს. ყველანი მსახურს ემორჩილებიან, იმის ხელმძღვანელობით აკეთებენ ყველაფერს. ისიც დროდადრო ეტყვის—თუ კარგა თუ ცუდს გუნებახეა ბატონები, აქეზებს—იმღერეთო, ანდა ეტყვის—გაჩუმდითო, როცა ჰგონია, რომ მათი

სიმღერა ბატონებსა სწყისს. უწმაწური ლაპარაკი აკრძალულია, ბატონებს ეწყინებათ და შეიძლება დასაჯოს ავადმყოფი იმითი, რომ ენა წაართვასო. თუ ავადმყოფს ჩაეძინა, ყველანი გაჩუმდებიან და ჩონგურს კედელზე ჩამოჰკიდებენ, ავადმყოფის ახლო. ამბობენ, ბატონები თავის მხრივ, ჩუმად უკრავენ ჩონგურზე და ესეც გამოსცემს საოცნებო ხმებს, ყველა მნახველთა სასიხარულოდ.

მსახური გაფაციცებით თვალყურს ადევნებს, რომ სახლში ყველაფერი წესსა და რიგზე იყოს, ყველგან იდეალური სისუფთავე სუფევდეს. გარდა ამისა, მსახურია, რომ ერთგვარ დეზინფექციას უკეთებს ყველაფერს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სადეზინფექციოდ სიმკავეს რასმე არა ხმარობს: რამე ყვავილის და იის ფოთლების ნაყენითაა, რომ ასხურებს იქაურობას. ამ ნაყენს ასხურებს სახლის ყოველ კუთხეში, გარეთ გაყრილს ნაგავს, ეზოში მდგარ ზეებს. ყველგან იის სუნია, რაც ასე უყვარს ბატონებს.

ყველაფერი დამშვიდებული და დაწყნარებულია სახლში, მხოლოდ მნახველები ფეხ-აკრეფით მიდი-მოდიან, ხმაამოუღებლად. ყველა ცდილობს ღიმილით ეჩვენოს სხვებს, თავაზიანად, მხიარულად იყოს. მხიარულება უეჭველად უნდა იყოს. თუ ვისმე გარდაცვალებულის სამგლოვად შავები აცვია, ეს შავები უნდა გაიხადოს და სამხიარულო ტანისამოსი ჩაიცვას, თორემ საშინელი სიზმრები ავადმყოფს არ მოასვენებს. მის თვალებს წინ ელანდებოდეს იქნება ნახშირივით შავი, საშინელი ადამიანები!.. სახლს შიგნიდან გამოფენილია, თუ რამ სამკაული აბადიათ. თუ სადმე ძვირფასი ქსოვილები გააჩნიათ, აქ უნდა იყოს დაკიდებული, ყველგან მიმოზნეულია ყვავილები და სხვ. განუწყვეტლივ იჩოქებენ სამხრეთისაკენ, რადგან ფიქრობენ, რომ ბატონები მაჰმადის სარწმუნოებისანი არიან. ამიტომვე პირჯვრის წერაც აკრძალულია. როცა ავადმყოფი წუხილს დაიწყებს—თვალები მტკივაო, მიუტანენ სარკეს, ბატონებს ქათინაურებს მოახსენებენ და სთხოვენ—ეს სარკე\* შიირთვან თვალების მაგიერ, ერთმანეთს ექიშებიან, თუ ვინ უფრო საალერსო და მორჩილების გამომხატველ სიტყვებს გამოიგონებს. იმავე პატივისცემით ეპყრობიან შინაურ საქონელსაც. აკრძალულია მყეფარს გაუწყრნენ. თუ შემთხვევით ძალი შემოჰყვა ვისმე სახლში და უნდათ გარეთ გააგდონ, მიმართავენ ტკბილი სიტყვებით: „გენაცვალე, ხომ არა გნებავს გარეთ გაბრძანდე“. თვითონ სიტყვა „ძალღ“ არ ასხენებენ, რომ ბატონების ნაზ სმენას საწყენად არ დაუტრჩხეთ. თუ ძალღი გარეთაა და იყეფება, იმის მაგიერ რომ დაუყვირონ და ისე გააჩუმონ,

\* სარკე მეგრულთ ძვირფას ნივთად მიიჩნდათ და ყველასათვის არ იყო ხელმისაწვდომი.

ედილობენ ალერსიანი სიტყვებით დააჩუმონ, რომ ბატონები არ გააჯავრონ...

მსახური ზრუნავს არა მარტო „ბატონებისათვის“, არამედ მათს ჯორისათვისაც. მართალია, ისინიც ისევე უხილავნი არიან, როგორც მათი პატრონები, მაგრამ იმათთვისაც ზრუნავენ. მსახურის ბრძანებით, სახლის ერთი კუთხე სუფთად დაგვილია, რომ აქ მოათავსონ ეს ცხოველი: დაუყრიან ერთ მუჟა სიმინდის ჩაღას, ტასტით წყალს დაუდგამენ და კედელზე პატარა თოკს დაჰკიდებენ. ღამის განმავლობაში ჯორი, ვითომ ბატონების მიერ პატარა თოკით მიბმული, ჩაღას ახრამუნებს და ისვენებს. მაგრამ ინათებს თუ არა, ბატონები შეკაზმავენ და დაიწყებენ იქით-აქით სიარულს, რომ წინდაწინ გაიგონ, რომელ და რომელ სახლში უნდა ესტუმრონ. აი, სწორედ ამ სიარულის დროსაა, რომ სოფელეთ შემთხვევა აქვთ მათი შეხედრისა და გაგებისა, თუ სად აპირებენ შესვლას\*.

ჩვეულებრივ, მზის ჩასვლისას ბრუნდებიან ბატონები სახლში, რომ ავადმყოფის სხეულში მოისვენონ. მათი დაბრუნების დროსთვის სახლის კარები მოღებული უნდა იყოს, რომ შემოსვლა შეეძლოთ და აბა სწორედ დღისით მათი სახლში არყოფნით აიხსნება ის გარემოება, რომ ავადმყოფი ხანდახან მოიხედავს ხოლმე.

აი, რა ეჭმევა ყვავილით ავადმყოფს: წიწილის ნახარში, რძე, თონლო კვერცხი, შემწვარი გოგრა. რაც შეეხება ღორის ხორცს, მისი გამოჩენა სუფრაზე არ შეიძლება. მაგრამ გამოჩენის დროს, თუ ავადმყოფმა ღორის ხორცი მოითხოვა, მიუტანენ და ამით მიხვდებიან, რომ ბატონები ქრისტიანენი ყოფილან. ყოველგვარი სანელებელი და მაგარი სასმელები: მარილი, პილპილი, ძმარი, ღვინო და სხვ. ავადმყოფისათვის მაწყენრად ითვლება. ამავე დროს კედელზე დაჰკიდებენ ციკნის უმ ხორცს. მეგრეთ რომ ჰკითხოთ, ბატონები ციკნის ხორცის ნაჭერს რომ დაინახავენ, ადამიანის სხეულს მაშინვე თავს დაანებებენ, რომ ამ მათთვის გამრეიდ და სასუსნ საჭმელის ჭამით გული იჯვრონ. ბატონების ეს განსაკუთრებული გემოვნება იმით აიხსნება, რომ თვითონ მეგრეთ ციკნის ხორცი გემრიელ საჭმელად მიაჩნიათ.

რაც შეეხება იმას, თუ რა სისუფთავით ინახავენ თვითონ ავადმყოფს, ბევრს ვერაფერს ვიტყვით. მართალია, მეგრელის წარმოდგენა დაპყრობილი აქვს იმ აზრს, რომ ბატონები ყველასაგან მოითხოვენ

\* ერთხელ ერთ გლეხს შეხვედრია ბატონები და ერთმანეთს გამოლაპარაკებია. ბატონები დაჰპირებოდნენ—შენთან მომავალ კვირას შემოვივლოთ, მაგრამ დრო არა გვაქვს და დიდხანს ვერ დავრჩებით შენს სახლში, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, ჩვენს შაგიერ შენს შეილებს დავიტოვებთ.

აბსოლუტურ სიწმინდეს: მიუტევებელ ცოდვად, თვით დანაშაულად ითვლება ამაში თუნდ ერთის წუთით შეიტანოს ეჭვი ადამიანმა. დეზინფექციაზე არავინ დარდობს და არავის მიაჩნია საჭიროდ ავადმყოფი სუფთად შეინახონ. რაც უნდა უმტკიცოთ, ეს ასე არ ვარგაო, იმათ თავიანთ აზრს ვერ შეაცვლევიან. თუ მოხდება, რომ ავადმყოფს საცვლებს გამოუცვლიან, ამ გამოცვლილ საცვალს საწოლის ახლოს დასაგდებენ და გეტყვიან, რომ სუფთაა, გარეცხვა და თვითონ ავადმყოფისაგან სადმე შორს წაღება არა სჭირიაო. რაც შეეხება ჩარსავს, რომელსაც ზოგჯერ ლეიბს აფარებენ, როგორცაა, ისე სტოვებენ ავადმყოფობის გათავებამდე. მხოლოდ ხანდახან იმისათვის, რომ ავადმყოფის სხეული ჩარსავს არ მიეკრას, ზედ ამ ჩარსავს თხლად ფქვილს დააყრიან. რაც შეეხება თვით ავადმყოფს, მისი ტანი სრულიად მორჩენამდე არ ეღირსება დაბანას.

არის კიდევ რამდენიმე დარიგება, რომელთა შესრულებას ასე თუ ისე მნიშვნელობა აქვს ყვავილ-ბატონებისაგან მორჩენის საქმეში. მათი აღნიშვნაც მეტი არ იქნება. ბატონებს საშინლად ეჯავრებათ თამბაქოს სუნი, და თამბაქოს მწვევლნი ზომ ახლოს ვერ გაეკარებიან. ბატონები, ამ მხრივ, იმდენად არიან სასტიკნი, რომ არა თუ თუთუნის მოწვევა აკრძალული აქვთ ყველას იქ, საცა ავადმყოფია, არამედ თვითონ თამბაქოც რომ იდოს იმ სახლში. ვინც თუთუნს ეწვევა, როცა ავადმყოფის სანახავად მოდის, სანამ სახლში შევიდოდეს. თავის ჩიბუხს და თუთუნს გარეთა სტოვებს. ზოგჯერ ბატონები, როცა კარგ გუნებაზე არიან, მკაცრად არ ეპყრობიან ადამიანის ამ სისუსტეს და მსახურის საშუალებით თუთუნის მწვევლებს ნებას მისცემს მოსწიონ\*. როცა მსახური თუთუნის მწვევლებს ბატონების ამ წყალობას გამოუცხადებს, მსახური ეტყვის თუთუნის მოსაწვევად სახლიდან გავიდნენ და უკან მაშინ-ღა შემობრუნდნენ ავადმყოფთან, როცა პირს კარგად გამოირეცხავენ წყლითა. ბატონებს ეჯავრებათ აგრეთვე ზოგიერთი მწერი, როგორც, მაგალიდად, აბრეშუმის ჭიაა. ასე რომ სოფელში ბატონების გაჩენის დროს დედაკაცებმა, ვინც აბრეშუმის მოვლა-მოყვანას მისდევენ, თავი უნდა დახარონ ბატონების ამ სურვილის წინაშე.

იმ სახლის მეზობლად, სადაც ავადმყოფს უვლიან, აკრძალულია თოფის სროლა, ღორების დაკვლა და მათი აჭყვირება. თხოვება მეზობლობაში რაიმე საოჯახო ნივთებისა შეწყვეტილთა იმის შიშით, ვაი თუ ამ ნივთებს, ავადმყოფის სულიც თან გაჰყვესო. სახლის შიგნით სინათლისათვის სანავთე ლამპების ადგილას უნდა იხმარონ სანთელი, რადგან ლამპა და ნავთი უწმინდურთა შემოღებულად ითვლებიან: ავადმყოფს

\* მეგრელებს ცოდვად მიაჩნიათ თუთუნის წვეა.

არ შეუძლია უყუროს გახურებულს რასმე, წიგნს, სურათებს, დაწერილ ქაღალდებს, — ეს უკანასკნელნი „ბატონებს“ მეტის-მეტად ეჯავრებათ მათი შავის ფერის გამოვლ. როცა მსახური, ავადმყოფის მახლობლების დანმარებით, თავისს გულმოდგინებას და ერთგულებას სავესებით გამოიჩენს, იმის შემდეგ თავის მოვალეობას ზედმიწევნით შეასრულებს, მოახერხებს აასრულოს ყველაფერი, რასაც ბატონების კულტი აკისრებს და როცა ავადმყოფი სავესებით გამოჩნება, ყველას სიხარულს საზღვარი არა აქვს. ისევე განაახლებენ „მოწყალე“ ბატონების ქებას, ლოცავენ, განუსაზღვრელ მადლობასა სწირავენ. სანამ სტუმართმოყვარე ოჯახიდან წავიდოდნენ, ბატონები სიზმარში გამოეცხადებათ ავადმყოფს. მადლობას ეტყვიან ალერსიანი სიტყვებით მათი პატივისცემისათვის და გამოემშვიდობებიან. ამავ დროს ეტყვიან, თუ საითკენ აპირებენ წასვლას.

როცა თავის მოვალეობას ასრულებს, მსახური თავის მხრივ ავადმყოფის სახლს თავს ანებებს. შეძლებისა და კვალად ეცდებიან დაასაჩუქრონ, ხელგაშლილად მოექცევიან, ქათინაურებს ეტყვიან მის გამოცდილებისა და ავადმყოფის მოვლის ცოდნისათვის. ისიც ახლა სხვაგან მიდის, რომ თავის ძვირფას და დიდებულ ბატონებს ემსახუროს...

მაგრამ ასე ადვილად ყოველთვის კი არა თავდება ავადმყოფის საქმე. მართალია, მსახურს და მის დამხმარეთ, თავი არ ეზოგებოდათ ავადმყოფის მოვლაში, „ბატონებს“ თავის ერთგულებას და მორჩილებას უტყაბდებდნენ, მაგრამ შეიძლება ზოგიერთი მოვალეობა დაავიწყდათ, ამით დაიმსახურეს გულისწყრომა „ბატონებისა“ და ამ უკანასკნელთა თავიანთი ჯავრი ავადმყოფზე იყარეს და წაართვეს ყურთა სმენა ან თვალის სინათლე, ანუ, როგორც მეგრელები იტყვიან ხოლმე, „ბატონებმა“ თავიანთი „ძვირფასი სახსოვარი“ დაუტოვესო! მაგრამ ასე დაჩაგრულები იმედს სავესებით არა ჰკარგავენ. ავადმყოფობის შემდეგ პირველსამ წელიწადს დადიან ყველგან. საცა კი გაჩნდება „ყავილი“, მიდიან ავადმყოფის სანახავად, თან მიაქვთ ძღვენი ბატონებთან და სთხოვენ შოარჩინონ. თუ ბატონებთან არაფერი გაუვიდათ და თვალ-ყური არ მოუტრჩათ, როგორც ეს მუდამ ხდება, მიმართავენ წმინდა ბარბაღს, იმედს, მწესა და მფარველს, ვისაც ბატონების მიერ „სახსოვარი“ აქვთ დატოვებული, მიართმევენ ავადმყოფობის დროს დაპირებულ ძღვენს და შეევედრებიან საქმეში ჩარევას. ამ წმინდანის დღეობაზე ეკლესიაში მიდიან თეთრად გამოწყობილი, ფიწვშიშველი, ეკლესიის ეზოში ღამის ხათვეად. წმინდა ბარბაღს დღეობა ყველიერის ორშაბათსა ხვდება. ამ დღეს ეკლესიის მრევლი ფიზიკურად არ საქმიანობს.

თუ ავადმყოფმა ბატონების სრული სასჯელი დაიმსახურა და მოკვდა, იტყვიან — ალბათ, რაც ევალეობდა, ყველაფერი არ ან ვერ.

ასრულაო. რაც უნდა დიდი იყოს ბატონების მიერ მიყენებული სასჯელი, მეგრელი ყველაფერს გულთბილად მიეგებება. არ ასრულებენ არცერთ წესს, რაც მიცვალებულის დასაფლავების დროს იციან, არა სტირიან, შავებს არ იცვამენ, მწუხარებას სახეზე არ იმჩნევენ. სანუგეშოდ ის და რჩებათ, რომ ალბათ ჩვენი ბრალია ყველაფერი, ვერ მიუხვდით, რაც უნდა გაგვეკეთებინა, ხელი დავაკელით, ბატონები გავიწყრომეთო. თავს იმითაც ინუგეშებენ, რომ ამბობენ: ბატონებიც ისეთებს ეძებენ, ვისაც ნაზი ხორცი აქვს, კეთილშობილი, მათი ღირსიო...

ვინც ყვავილ-ბატონებს ერთხელ იხდის, მეორეჯელ შეხვდება თუ არა? ამაზე მეგრელები უარით გიპასუხებენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გამონაკლისის სახით, მეორეჯელაც შეხვდება ყვავილი ადამიანს. მეგრელების აზრით, ეს იშვიათი შემთხვევა იმის ბრალია, რომ ბატონებშია, როგორც ჩვეულებრივ სიკვდილის შვილთა შორისაც, ურევიათ ბრძმები, რომელთაც არ იციან, რას აკეთებენ და შედიან ისეთ სახლებში, სადა ერთხელ უკვე ყოფილან.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა უნდა ვსთქვათ აცრის შესახებ. ეს საშუალება საქართველოში ერთი ხანი იქნება, რაც შემოიღეს, მაგრამ საკმაოდ მაინც არ იცნობენ და ამ ქვეყნის მკვიდრთათვის ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი. ჩვეულებრივი აცრის საქმის პირველი გამავრცელებლები არიან მოსიარულე დალაქები, რომელნიც ამავე დროს ეწევიან სხვა ხელობასაც, როგორცაა, მაგალითად, კბილის ამოღება, წურბლის მოკიდება, სისხლის გამოშვება და სხვ. ესენი იმასაც ჩემობენ, რომ შეგვიძლია სახლიდან „ბატონები“ გავაძევოთო, საცა ჩვენ გამოვჩნდებით, იქ „ბატონები“ ვერ გაჩნდებიანო. გაკირების დროს მეგრელები ცდილობენ მოიწვიონ ეს „ბატონების გამძევებლები“ ავადმყოფის საპატრონებლად. „გამძევებელი“ შედის სახლში, შემოუბრუნს ყველა კუთხეს, ხელში მათრახი უჭირავს და სწყევლის მავნე სულებს და თითქო მათრახით უნდა სცემოსო. როცა ამნაირად ჩვენი ექიმბაშნი გაამათრახებს ბატონებს, გამარჯვებულის კაცის სახით გადახედავს ამ სცენის გულუბრყვილო მყოფრებელთ და თითქო ეუბნებაო: ხომ ხედავთ, რომ ბატონებს პირიდან გამოვგლიჯე მომაკვდავის სული და საცაა, მოიკეთებსო!

აჰა, რამდენადაც შეიძლებოდა, სრული სურათი საქართველოში ხალხური ექიმობისა, სურათი, გამომხატველი მეტისმეტად ჩასახვითი კულტურისა. ამას ჩვენ მივეყვართ სულ პირვანდელ აზრებთან, რომლებიცა ჰქონდათ ყველა ხალხებს მათი არსებობის ხანაში, ოდეს განუწყვეტლივ შეხლა-შემოხლა უხდებოდათ ბუნების ჯერ კიდევ გამოუჩვენებელ მოვლენებთან. ჩვენ ამას გადავყავართ ძალზე დამორბეულ დროებაში, საცა ქართველებისათვის ისევე, როგორც სხვა პირველყოფი-

ლი ხალხებისათვის, ეს მოვლენები სავსე იყო ამდენ საიდუმლო და მიუხვედრელ ამბებითა, მათი ჭკუის სისუსტისა, მათი ჩასახვითი და შეზღუდული აზროვნების მდგომარეობის გამო მათი წარმოდგენა მეტად იყო გაოცებული ბუნების ამ მოვლენათა გამოხატულებითა და აჰა იმათაც მთელი მსოფლიო გააესეს ავი ან კეთილი საშიში ან მფარველი სულებითა. შიში, რომელსაც ეს სულები უნერგავდნენ ყველას, გრძნობამ მათგან თავის დაცვისამ, ჩასახა ბუნების მოვლენათა პირველადი გაღმერთება, პირველადი სარწმუნოება. ჯერ გაჩნდა ანიმიზმი, ამას მოჰყვა ისა, რომ ადამიანმა თავისი წარმოდგენა უფრო შორს საგნებზე გადაიტანა და ეს სულები თავიანთი საკუთარი ფორმით შემოსა, თავიანთი სახით განასახიერა, ჩაუღვა თავისი გრძნობა და ნება-სურვილი, თავისი ძალა და სისუსტე, და ამნაირად ფეხი გადასდგა შეთხზული სარწმუნოების მეორე სტადიაში, — ანთროპომორფიზმში. ამ პირველყოფილმა ადამიანმა იმისათვის, რომ მისი ღმერთების ავი ნდომა-სურვილები გაეტკბილებინა, მათგან სიკეთე გამოეღებინებინა, მათგან მფარველობა მოჰმადლებოდა, იძულებული შეიქნა გამოეგონებინა კულტი, თაყვანისცემა ამ გაღმერთებულ სულთა...

ამასვე ვხედავთ ყველგან და ყველა ხალხებში, და თუ ცოტა მეტ ხანს მოუნდით საქართველოში „ყვავილ-ბატონების“ წამლობის აღწერას, ეს იმისათვის მოგვივიდა, რომ უნდა გვეჩვენებინა, თუ რამდენად ერთნაირია გონებრივი ევოლუცია, რომელიც არსებობს ამ მხრივ ქართველებსა და იმათივე კულტურის სხვა ხალხებს შორის, იმისათვის, რომ, ერთხელ კიდევ მეტად დაგვეჩვენებინა თვალსაჩინო ფაქტი ავადმყოფობის სულების გაჩენისა და აღსარებისა.

ავადმყოფობის კულტი, თაყვანისცემა, ისევე როგორც სხვა ყველაფერი, ქართველთა შორის შემონახულია ერთიბეწო უცვლელად და მთელი სიძლიერით დღევანდლამდე, მიუხედავად ქართველთა 3000 წლის ისტორიული ცხოვრებისა, მიუხედავად ქრისტიანობისა, რომელიც მე-4 საუკუნეში იყო შემოტანილი და მიუხედავად მათი საკმაოდ მდიდარი ძველი ლიტერატურისა.

1903 წელი.

## ახალი წელი ანუ კალანდა სამეგრელოში \*

### I

ახალი წლისათვის მეგრელებს აგრეთვე უქვიათ რომაული სახელი—კალანდა. ითვლება დასაწყისად ადამიანის როგორც სულიერ, ისე ხორციელ ცხოვრებისა აქედან მოკიდებულ თორმეტი თვის განმავლობაში. სამეგრელოს მკვიდრთ კალანდა წარმოდგენილი აქვთ როგორც ღვთაება, რომელიც მოგზაურის სახით მოევლინება ხოლმე შორეულ და უცნობ მხრიდან. მათთვის თან მოაქვს როგორც წყალობა, ისე უწყალობა, როგორც სვიანობა, ისე უბედურება. ამ შემთხვევაში თუ ყველაფერი არა, მთავარი მაინც დამოკიდებულია იმაზე, თუ ადამიანი რამდენად სათანადო და შესაფერისი პატივით დაუხვდება ამ თაყვანსაცემ ღვთაებას. ეს დახვედრა კიდევ გამოიხატება ყოველი საახალწლო წესების აღსრულებით. საკმარისია მეგრელმა ერთი ბეწოთი დააკლოს რაიმე ამ წესებს, რომ თავზე დაიტეხოს ესა თუ სამწუსნარო უბედურებანი, კალანდის რისხვისაგან გამომდინარნი.

კალანდის გასათენებლად სამზადისი იწყება დღესასწაულის წინა დღეს. ყოველი მეგრელის ოჯახში იწყება დიდი დალაგება, იქაურობას რეცხავენ და ასუფთაებენ და მთელს ოჯახში წესრიგი უნდა დაამყარონ. რეცხავენ სარეცხს, ჰბანენ დიდ-პატარიანად. იმარაგებენ სურსათ-სანოვავებს, შეშას აპობენ მთელი სამის დღისათვის. მოვალეებს უსტუმრდებიან, თორემ მომავალ წელს ვალიანობა დაეკვებებათ. ჰკლავენ საკალანდო ღორს, რომელსაც ჯერ ისევ შობის მარხვიდან ასუქებენ. მეგრელის სუფრაზე ახალწელიწადს უეჭველად უნდა იყოს ღორი. ზოგის თქმით, საახალწლო ღორს მეგრელები ჰკლავენ მოსაგონებლად წმ. ბასილისა, რის შესახებ ასეთი ზეპირგადმოცემაა დარჩენილი ხალხში. ერთ ახალწელიწადს ეკლესია სავსე ყოფილა ხალხით. წმ. ბასილი წირვაზე მდგარა. ეშმაკი თურმე ცდილობდა მოწიწებით ლოცვად მდგარ და დიდი წმინდანის სიტყვების მოსასმენად გამზადებულ მორწმუნეთა აზრი და გონება სულ სხვა საგნისათვის მიეპყრო. სწორედ წმინდა სახარების კითხვის დროს ეშმაკს შიგ — საკუთრხველში შეუღდია ღორი, რომელიც წმინდა მამის ლაჭებში შემძვრალა. მაგ-

\* პირველად დაიბეჭდა 1897 წ. ეურნ. „მოამბეში“, № 1.

რამ წმინდანი არ შეშფოთებულა, ცალი ფეხი ღორის კუდს დააჭირა თურმე, გააჩერა და სახარების კითხვა განაგრძო, თითქო აქ არაფერიაო. ხალხი ამითა ხსნის იმას, რომ ღორს კუდის ბოლო გაჰყლეტილივითა აქვს.

სახლის უფროსი ღორის გაფუფქვას, გამოშვივასა და გარეცხვას რომ მორჩება, შეუდგება „ჩიჩილაკს“, რომელიც ითვლება ძღვნად და ამასთანავე სიმბოლოდ კალანდისა, რომელიც ბურბუშელიან ჯოხის სახით ევლინება მეგრელის ოჯახს.

ჩიჩილაკს აკეთებენ ახლად მოჭრილი გარეული თხილის ჯოხისაგან. სიგრძე აქვს ჯოხს ერთიდან ორ მეტრამდე\*, სიმაღლე 4—5 სანტიმეტრამდე. ჯოხი უნდა იყოს სწორი და რამდენადაც შეიძლება, უროკო. საჩიჩილაკე ჯოხსა სჭრიან ერთი-ორი კვირით ადრე და წყალში სდებენ, რომ დარბილდეს და მისი ხვეწა უფრო გაადვილდეს. სანამ ჯოხის ხვეწას შეუდგებოდნენ, დასდებენ აგზგიზებულ ცეცხლზე და ერთვად ატრიალებენ, რომ ყველა მხრიდან გაცხელდეს. ცეცხლისაგან ქერქი ჯოხისა სკდება და თვითონ ჯოხი რბილდება. მერე ცეცხლიდან გამოიღებენ და ფრთხილად მოაცლიან გარუჯულ ქერქს. შემდეგ მჭრელ დანის წვერზე წამოაძმევენ ორ სანტიმეტრს განის და 6—7 სანტიმეტრ სიგრძის ნაფოტს, რომელიც დანის წვერთან მახვილკუთხედაა ჩამოცმული. ზევიდან ქვევით დანით ჯოხს ჩამოაცლიან დანის მახვილ კუთხეში გამავალ თეთრ ბაბთის მსგავს ბურბუშელას, რომელსაც 1 სანტიმეტრი განი ექნება. სიგრძე ბურბუშელასი ზოგჯერ თვით ჯოხის სიგრძეს უდრის, რაც დამოკიდებულია ჩიჩილაკის მკეთებლის უნარზე. ნაფოტი ცალის წვერით ჯოხის ტანზეა მიმაგრებული, ხოლო მეორე წვერით ტალღისებურად ძირისაკენ ეშვება თეთრ, ლამაზ, სპირალურ ზოლების გროვად. ამ ზოლისებურ ბურბუშელას მანამდინ აცლიან ჯოხს, სანამ პირვანდელ სიმსხოს ნახევარზე არ დააცენებენ. გარდა იმისა, რომ ეს ბურბუშელები თავისი სიგრძით და სიმაღლით თვალს უხარებს როგორც მისს გამკეთებელის, ისე გარეშე მაყურებელთ, მეგრელისათვის ამ ბურბუშელებს სიმბოლური მნიშვნელობაცა აქვს: რაც უფრო ხშირია და გრძელები ბურბუშელები, მით უფრო სქელი და გრძელი წვერ-ულვაში ამოუვა ამა თუ იმ ოჯახის მამრობითი სქესის წარმომადგენლებს.

მეგრელმა ყოველი ღონე იღონა, მთელი თავისი ხელოვნება გამოიჩინა, რომ ჩიჩილაკი სანაქებო გამოსვლოდა. ახლა დარჩა მისი მორთვა: ჩიჩილაკის წვერი ჯვარედინად უნდა გაიბოს 10—15 სანტიმეტრის სიღრმეზე, შიგ ჯვარედინად ჩაარჭობენ ორ წამწვეტებულ ჩხირს და

\* ორმეტრიანი ჩიჩილაკი ძველად კეთდებოდა სამეგრელოს შთავრისა ან დიდკაცი-შის საძღვნოდ.

ჩხირის წვერებზე წამოაცობენ ბროწეულსა და ვაშლებს, სულ ოთხს, ე. ი. იმდენს რამდენი წვერიცა აქვს ორ ჩხირს. ბროწეული, როგორც სავსებისა და ბარაქიანობის სიმბოლო, უეჭველად უნდა ეკეთოს. ჩიჩილას, სხვა მის დამამშვენებელ საგანთა შორის. ვაშლებში ურჭობენ ვერცხლის ფულს. ჩხირების გვერდებზე მიაკრავენ შინ ჩამოქნილს თაფლის სანთელს. ზედვე დაჰკიდებენ ქარვის კრიალოსანს და როცა ასეთი არა აქვთ, უბრალო მძივსაც დასჯერდებიან, დაჰკიდებენ აგრეთვე აბრეშუმის შულოს, აბრეშუმისავე ჭრელ ბაღდადს. დასასრულ, ჩიჩილაკის ბურბუშელებს ჩაურჭობენ თხილის გამლილ ტოტებს, სუროს ტოტებს ნაყოფიანად და ღიჟის წითელ ნაყოფებს. ამით თავდება ჩიჩილაკის გამოწყობა („გომონწყუალა“).

პატარძალივით გამოწყობილ ჩიჩილას ჯერ მისდგამენ კუთხეში, გვერდით მიუდგამენ თაბახს, რომელზედაც დალაგებულია: საახალწლოდ დაკლული ღორის თავი, ღორის სუკის სამწვადე, შემწვარი ყვერული, ერთი ჯამი ღომის („ჩხვერი“) მარცვლი და შიგ ჩადგმული კვერციხი. კვერციხი, სხვა ჩამოთვლილ საგნებთან ერთად ახალ წელიწადს შემოტანილი სიმბოლოა სავსებისა, ნაყოფიერებისა და უხვებისა, რაც კალანდას შემოაქვს მეგრელის ოჯახში.

სანამ სახლის უფროსი ჩიჩილაკის გამოწყობაშია გართული, დიასახლისი კერის\* საქალო მხარეზე აკეთებს ყველაფერს, რაც მის საქალო მოვალეობას შეადგენს. კერას ცეცხლს აშორებს, მის გახურებულ შუაგულს წმინდად მოჰკვის და ზედ აკრავს ნავის სახის პურის ცომს. ეს იქნება ღვეზილი ანუ საახალწლო პური ხორბლის ფქვილისა, რომელსაც გულში ჩადებული აქვს კვერცხები. ეს კვერცხები კვამლში გამოჰყავთ შობის მარხვის პირველ დღიდანვე: ჯერ კვერცხებს მაგრად მოხარზავენ, ნაჭუქს მოაცლიან, მარილს უზაჰენ და პატარა კალათაში ჩააწყობენ და ჭერზე დაჰკიდებენ ზედ ცეცხლის თავზე. ამ კვერცხებს რაც უფრო ეკიდებათ კვამლი, მით უფრო ჭკნებიან, პატარავდებიან და მაგრდებიან. ღვეზილი, სხვა საჭმელთან ერთად, ახალწლის სუფრას ამშვენებს. სუფრაზე, ვისაც კვერცხიანი ნაწილი ერგება ღვეზილისა, იმას ყველაფერში ბედი ექნება მთელი წლის განმავლობაში და ბევრჯელ მოუხდება „კ ვ ა მ ლ შ ი ვ ა მ ო ს უ ლ“ კვერცხების კამა. ღვეზილთან ერთად აცხობენ პატარა პურებს, ყურძნის მტევნების სახისას, რომელიც ყურძნის პატივსაცემად ლოცვის დროს გამოაქვს კალანდის მეორე დღეს საგანგებო ადამიანს, ვიზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

პურების ცხობას რომ მორჩება დიასახლისი, ახლა კაკლის საშუალებით ბედ-უბედობის შეტყობას შეუდგება, რაშიაც ოჯახის წევრებო

\* კერა მეგრელის სახლს ორად ჰყოფს: სამამაკაცო და სადედაკაცო მხარეებად.

მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ. ცხენიდან ჩამოდებულ კაკლების გროვას გვერდთ დაიყრის და პირველ კაკალს კალანდის სახელზე გასტეხავს. თუ კაკალი ღებნებით სავსე გამოდგა, ამის მომასწავებელი იქნება, რომ კალანდა მთელს ოჯახზე თავის წყალობას გადმოაყენეს. ამ ოჯახის ღმერთი ყოველად ძლიერია და შესძლებს თავისი კალთა გადააფაროს: ოჯახის წევრებს, იხსნას ესენი ყოველისავე ჭირისა და ფათერაკისაგან მთელი მომავალი წლის განმავლობაში. ღმერთს მიჰყვება ყველად წმინდანი და ხატი, ვინც თაყვანისცემისა და ღიღების საგანია ამა თუ იმ მხარეში. თუ წმინდანის სახელზე გატეხილი კაკალი ფუჭი და ჭიანჭი გამოდგა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ წმინდანი ურისხდება ან მთელს ოჯახს ან მის ზოგიერთ წევრს. ამიტომ შემდეგში მკითხავს უნდა აკითხინონ თუ რა მიზეზი გაუგებრობისა, რომელიც ჩამოეარდნილა წმინდანსა და ამ ოჯახს შორის.

ყველა წმინდანს და ღვთაებას რომ ჩამოსთვლიან, შეუდგებიან მკითხაობას ოჯახის წევრების ბედ-იღბლის შესახებ. ვისაც გულსავსე და საღლებნიანი კაკალი გამოუვა, შეეძლება იმედი იქონიოს, რომ ცხოვრებაში გაუმარჯვდება და ყოველგვარ საქმეში ხელი მოემართება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ კაკალი ფუჭია, ბედი საწყევლელო იქნება. თუ ოჯახში გასათხოვარი ქალებია ან საცოლე ყმაწვილები, გულსავსე კაკალი ვაჟისათვის ნიშანია ლამაზი, ჯანსაღი და მდიდარი ქალის შერთვისა, ხოლო ქალისათვის ლამაზი, ჯანსაღი და შეძლებული საქმროს შოვნისა. შემდეგ უნდა გაიგონ მომავალი შორეულ ნათესავებისა და მეგობრებისა: მკითხაობა თავდება ოჯახის გარდაცვლილ წევრთა: სახელების ჩამოთვლით: თუ კაკალი საღულიანი გამოვიდა, ნიშანი იქნება იმისა, რომ მიცვალებული საიქიოში ანუ სულეთში ნეტარებს. ხოლო თუ კაკალი ფუჭია, ყველასათვის აშკარა იქნება, რომ მიცვალებულის სული განიცდის ეშმაკთა და სამყესულთა მეუფების დაუსრულებელს ტანჯვა-წვალებას.

ამ დამტკრებული კაკლების ნიგვზის ერთ ნაწილისაგან ხარშავენ გოზინაყს. მეორე ნაწილი ნიგვზისა ჯამზე დაიყრება და ზედ ღვინოს დაასხამენ. კალანდას წირვიდან დაბრუნებული წევრები ოჯახისა ჯამიდან ამ ნაყენს მოსვამენ.

ამასობაში შუალამე მოატანს. მზადება დასრულდება. ოჯახის წევრები, დაღლილები, დასაძინებლად დაწვებიან. ოჯახში თუ გასათხოვარია ვინმე, სანამ დაწვებოდეს, ახლად-ახალ სავარცხლით თმას ჩამოიშლის და ხმას არავის გასცემს, ისე დაწვება. სავარცხელს სასთუმალ ქვეშ ამოიდებს. სიზმრად გამოეცხადება მისი საბედო და ამ სავარცხლით თმას დაუვარცხნის. სიზმარში საბედოს ნახვისათვის მეორე საშუალებაც არის. კუთხეში მიდგმულ ჩიჩილაკს ვინმე ერთ ბურბუმელას ჩა-

მოპვლევს, შუაში გაგლევს, ორსავე ნაწილს წყლით სავსე ჯამში ჩაუ-  
დებს და გასათხოვარ ქალის ან საცოლე ყმაწვილის ლოგინ ქვეშ დას-  
დგამს: მათის რწმენით საბედო უეჭველად გამოეცხადება მძინარესო.

ყველასა სინიავს ოჯახში. ფხიზლობს მხოლოდ მამასახლისი ამა  
ლამის ღამეს უეჭველად შინ უნდა იყოს, გარეთ არსად დარჩეს.  
გამოდის სახლიდან და ყველაფერსა სინჯავს: დაკეტილია თუ არა  
კარგად ბოსელი, საღორე, საქათმე, მელიას ან სხვა მტაცებელ ნადირს  
ხომ არ შეუძლია შემოიპაროს და რამე აენოს ასეთ წამში. ეს კი ცუდი  
ნიშანი იქნება: მთელი წლის განმავლობაში ნადირი არ დაიშლის შემო-  
პარვას მეგრელის ოჯახში და მისთვის რისაძე მოტაცებას. მგზავრი, რაც  
უნდა უჭირდეს სადმე ღამის გათევა, მეგრელის სახლში თავშესაფარს  
ვერ იპოვის. აუცილებელ ჩვეულებად და კანონად აქვთ, რომ ყოველი  
მეგრელი ახალწლის ღამეს შინ, თავის სახლში უნდა იყოს.

მზადება დასრულებულია. მამასახლისის მოსვენება და დარჩენია.  
მაგრამ ამ ღამეს თავისიანებთან დაწოლა არ შეუძლია. საქმე ის არის,  
რომ მამასახლისი წარმოადგენს კალანდას, რომელიც გარედან მოდის.  
კალანდა, მართალია, გარედან მოდის, მაგრამ სახლში შემოსვლისას მას  
ვინმე უნდა უძღოდეს წინ, ვინმე ოჯახის წევრთაგანი, რომელსაც  
უნდა შემოჰყვეს. ვინც კალანდის წინამძღოლის როლს ასრულებს, ჰქვიან  
„მაკუჩხოლე“ („მაკუჩხური“), რაც ნიშნავს კაცს, ვისაც ფეხდა-ფეხ  
მოჰყვება კალანდა. აი, ამ „მაკუჩხოლე“ (მოფერხეს) როლს ასრულებს  
სახლის უფროსი და როცა ასეთი არ არის, ვინმე უფროსთაგანი მამრი.  
მაკუჩხოლე ამ ღამეს სახლის გარეთ რჩება, ბოსელში ან სასიმიინდეში.  
ამას თანა აქვს ჩიჩილაკი და გობი, რომელზედაც ალაგია: ღვეხილი,  
თავი, გული და ღვიძლი საახალწლოდ დაკლული ღორისა, აგრეთვე ერთი  
ჯამი ღომის მარცვალი.

## II

გარიყრაყზე მაკუჩხოლი დგება და მიდის წყაროსაკენ და პირს  
ბანს ცივი წყლით: სწამს, რომ მთელი წლის განმავლობაში სიახლე  
და სიფხიზლე თან ახლდება. წვერსა და თავზე თმას სავარცხლით არ  
ივარცხნის იმის შიშით, ვაი თუ ქათმებმა სულ-მულამ სახლის სახურავზე  
იქოთქოთონ და ისლის სახურავი გაჰქექონ ხოლმე. ამიტომაც, როცა ქა-  
თამი სახურავზე აფრინდება და იქაურობასა ჰქექავს, იტყვიან ხოლმე:  
ალბათ მაკუჩხოლმა კალანდა დილას თმა დაივარცხნა სავარცხლითო.

პირის ბანას რომ მორჩება, წყლიდან ხელებს ამოიღებს, ცალ ხელში  
ღომს ჩაიყრის, მომუჭავს, და ისევ წყალში ჩაჰყოფს, ზელს წყლიდან ამოი-  
ღებს, გაშლის და დააკვირდება: თუ თითებსა და თითებს შუა წყალი

გასულია და ღომი დაუსველებია, იმის ნიშანი იქნება, რომ ამ წლის ზაფხულში წვიმა იმდენი იქნება, რომ ჰირნახულს ეყოს, თუ მარცვლები მშრალი იქნება, ზაფხულში გვალვა და სიმშრალეა მოსალოდნელი.

წყაროდან ჩამოსვლისას მაკუჩხოლს თან მოაქვს ახალი წყალი და უბრუნდება იმ ადგილს, საცა ღამე გაათია. იქიდან გამოაქვს ჩიჩილაკი. მის თავზე მიკრულ სანთლებს აანთებს, აიღებს სურსათდალაგებულ გობს, დოქით წყალს და გაემართება სახლისაკენ, რომ მოაცილოს კალანდა და ახაროს, თუ რა მოაქვს ამ კალანდას. სახლის კარები შიგნიდან დაკეტილია. მაკუჩხოლი კარებს მიადგება და ხმამაღლა იძახის:

— კარი გამიღე!

ოჯახის ერთ-ერთი წევრი ლოგინიდან ადგება, მივა კარებთან, მაგრამ სანამ გააღებდეს, უნდა გაიგოს, რა მოაქვს კალანდას, იქნება განზრახვა აქვს სახლში ცარიელ-ტარიელი შემოვიდეს. ასეთი კალანდა შემოსაშვებიც არ არის, ამიტომ კარების გაღების ნაცვლად ეკითხება:

— რა მოგაქვს?

— მოვბრძანდები კალანდა: მომაქვს ყველასათვის სიმრთელე, სიხარული, გამარჯვება ყველაფერში... კარი გამიღე!...

— რა მოგაქვს? ეკითხებიან შიგნიდან, რადგან არა ყოფნით, რაც ბედნიერება კალანდამ ჩამოუთვალა.

— მტერთა ძლევა... ქალებს გათხოვება, ვაყებს — ქალის შერთვა... ბევრი ოქრო, ვერცხლი, სიმდიდრე... კარი გამიღე.

მეგრელს ესეც ცოტად ეჩვენება და მესამეჯერ და უქნასკნელად ეკითხება:

— რა მოგაქვს?

— კარგი მოსავალი, კარგი დარი, ღვინის მოსავალი, ბევრი აბრეშუმის პარკი, საქონლისა და შინაური ფრინველის გამრავლება. წყალობა ღვთისა და ყველა მისთა წმიდანთა, მფარველობა და წყალობა ბატონისა... კარი გამიღე...

ასეთი კალანდის შეშვება შეიძლება და კარებს უღებენ. შემოდის მაკუჩხოლი და მის ფეხდაფეხ თვითონ „კალანდა“ შემობრძანდება. მაკუჩხოლი ხარხარით ყველასა ჰკოცნის და უნატრის ასეთი კალანდა მრავალი გაუთენდეთ. ამ დროს ფეხქვეშ გაუფარებენ გოგრას. შეახტება ზედ, ფეხებით გახეჩავს და თან დასთენს: „ღმერთო და კალანდა ასე ვაუხეთქე თავი ჩვენს მტერსა და ავის მღომელსა“. ოჯახის ყოველი წევრთაგანი უახლოვდება მაკუჩხოლს, ხელს უცაცუნებს ჩიჩილაკს, ზედ ჩამოცმულს ბროწეულს, ვაშლში ჩარჭობილ ვერცხლის ფულს, გობზე დაწყობილ სურსათ-სანოვავს. დასახელებულ საგნებისათვის ხელის-შემხები ამით თავის თავს უზრუნველყოფს ფულით სისავსეს, საკმელ-სანოვავით კისრამდე მოკრას მთელი წლის განმავლობაში და სხვ. და

სხვ. აიღებენ აგრეთვე გობზე მდებარე შაქრის ნატეხს და ყველანი რიგ-რიგად მოჰკვენეტენ, ვითომ: სულ მუდამ ტკბილსა სჭამ, სიმწარეს არ განიცდიდე იქნებაო. ბოლოს მაკუჩხოლი ვისმე დააჭერინებს გობს, თვითონ ცალ ხელში ჩიჩილაკი უკავია და დაიძვრის სახლის შემოსავლელად. ოჯახის წევრნი, დედათა სქესის გარდა, უკან მისდევენ. მერე, თავისუფალ ხელით ჯამიდან ღომის მარცვლებს აიღებს და დაუწყებს მოყრას, თანაც ილოცება: „კალანდა, ასე გაამრავლე ჩვენი ძე და მომავალი, ამდენი ბედი მოგვეცე, ამდენი სიხარული, ამდენი ფული, ამდენი შაქონელი, ამდენი შინაური ფრინველი“. სახლს სამჯერ რომ შემოუფლის, დილით წყაროდან მოტანილ ახალი წყლით მორწყავს იატაკს; ამით კალანდას შესთხოვს იმდენ წვიმას, რაც საჭირო იქნება ყანებისა და მცენარეებისათვის, შესთხოვს ესენი დაზღვეულ იქნეს გვალვისა და მისი შედეგებისაგან.

სახლს რომ შემოუვლიან შიგნიდან, მთელი ოჯახი გობს მოუჭდება გარშემო და ყველანი სათითაოდ მოსტეხავენ ცოტა პურს და მოსჭრიან ცოტა ხორცს და პირში ჩაიდებენ ანუ „პირს მოატყუებენ“, რადგან დილის საუზმეს, საძღომად, მერე, ცოტა ხანს შემდეგ, შეუდგებიან. საუზმემდე, ცოტა რისამე მაინც პირში ჩაუშვებლად დარჩენა არ ეგების, რათა „ძღლეულ არ იქნენ“ ცხოველთა სამეფოს ერთ-ერთ წარმომადგენლის მიერ. ძღლევა ჰქვიან იმას, რომ თუ ვინმემ ვერ მოასწრო ზევით მოხსენებული ლუკმა პურისა და ხორცის ჩადება პირში და ისე მოესმა ხმა რომლისაზე ფრინველისა და ცხოველისა, „დაძლეული“ იქნება ამ ცხოველისა თუ ფრინველის მიერ. ფრინველი თუ ცხოველი სძლევეს ადამიანს იმ შემთხვევაში, როცა ეს უჭმელი და, მამასადამე, უძლურია ვისმე ებრძოლოს, ეწინააღმდეგოს.

აი ზოგიერთი სახე ახალწლის დილას „პირმოუტყუებლად“ დარჩენილი ადამიანის ძღვევისა ფრინველისა თუ ცხოველის მიერ:

თუ ადამიანს წიწილამ „აჯობა“, ეს ადამიანი მთელი წლის განმავლობაში, გულგაწვრილებული და აღრენილი იქნება. თუ გოჭმა აჯობა, მთელი წლის განმავლობაში, რაც უნდა კარგი დარი და მშრალობა იყოს, მოსვრილი და გათხუნული იქნება. თუ ხბომ აჯობა, მთელი წელიწადი დორბლიანი იქნება; თუ ციკანმა აჯობა—ენა არ ემორჩილებოდეს იქნება; თუ ჩიტმა აჯობა — ცხვირიდან უხვად მოედინება სკვინტლი და სხვადასხვა.

სახლის ფერხვას რომ მიარჩება სახლის უფროსი, ახლა უფერხებს ყველა შენობას: ბოსელს, საღორეს, საქათმეს, სასიმინდეს, ხულას. ცალ ხელში ჩიჩილაკი უჭირავს, ხოლო მეორე ხელით ღომის მარცვლებსა ჰფანტავს და ასე ილოცება: „ასე გამრავლდით და ასე გამრავლდით!“...

როცა ყველას მიულოცავს ახალწელიწადს, მაკუჩხოლი შემოდის ნახლში, სადაც ტაბაკია დადგმული და საუზმე გამზადებული. საუზმეზე ყველას სადღეგრძელოსა სვამენ. საუზმის დროსვე, ფეხებიდან ქალამნებს გაიძრობს, ცალ ხელში ღვინით სავსე ჭიქას დაიჭერს და გავმართება ეზოში მდგარ ბროწეულის ბუჩქისაკენ. რომ მიუახლოვდება, თაყვანსა სცემს და ეტყვის: „მრავალ კალანდას დაგასწროს, შენს სადღეგრძელოსა ესვამ“.

მთელ სოფელში სროლაა ატეხილი: ძველს უბედურს წელიწადს ერეკებიან და ხარობენ მის ადგილას კალანდის მოსვლას. თოფის სროლა თითქმის მთელი ღღე გასტანს.

ღილით ახალგაზრდა ყმაწვილების ჯგუფი ხელში ჩიჩილაკს დაიჭერს და კარდაკარ დაუვლის ყველას კალანდის მოსალოცავად. ეზოში რომ შევლენ, სამჯერ შემოუვლიან სახლს და თან მღერაინ „კირიალეისონ“ (კირიუ ლეისო). მერე შემოდიან თვით სახლში და ყველას ახალ კალანდას ულოცავენ. მომლოცველებს ფულს აჩუქებენ და ისე ისტუმრებენ.

ეკლესიიდან უკვე ზარების რეკვის ხმა მოდის. ყველანი, ახალს ტანისამოსში გამოწყობილნი, ეკლესიისაკენ მიემართებიან. ეკლესიაში მიმავალთ თუ მელა გადაურბენს გზაზე, — კარგ ნიშნად მიიჩნევენ, თუ კურდღელი გადაურბენს — ცუდის მომასწავებელია. წირვის გამოსვლისას, ერთმანეთს ულოცავენ კალანდას და უცვლიან ბროწეულებს, თან დასძენენ: ღმერთმა იმდენი კალანდა გავითენოს, რამდენი მარცვალიც ამ ბროწეულშია და თქვენი ოჯახი გაივსოს ყოველისავე ბედნიერებით. როგორც ეს ბროწეულია სავსე“. კაკლის ჩუქება ახალწელიწადს არ ვარგა, რადგან კაკლის მიმღები კაკალივით გახმება. ერთ ამბავსაც მოგვითხრობენ კაკლის შესახებ: ერთს კუდიანს დედაკაცს ერთი გასათხოვარი ქალი არ მოსწონდა და რომ ევნო მისთვის, აქაო და ქალმა არ იცის — საახალწლო საჩუქრებს რომელს რა თვისება ჰქონდა, და ახალწელიწადს კაკალი აჩუქა. ქალმა ავადმყოფობა დაიწყო, ჩამოხმა და გათხოვება არ ღირსებია ისე მოკვდა.

ნაწირვევს ეკლესიის ეზოში ატყდება საერთო თოფის სროლა, ისერის ყველა, ვისაც კი აქვს თოფი. თუ თოფმა ფაღია ჩაპოსწვა, ცუდის მომასწავებელია; მთელის წლის განმავლობაში თოფი უცუდდებოდეს იქნება პატრონს. შინისაკენ მომავალი ცდილობს ეზოში შაშვი ან სხვა რამ ფრინველი მოჰკლას თოფით. და ეს კარგი ნიშანი იქნება, თოფის პატრონი მთელი წლის განმავლობაში გამარჯვებული იქნება გარეული ფრინველის ხოცვაში.

ეკლესიიდან დაბრუნებულებს სახლში შესვლისას უეჭველად უნდა ეჭიროს ხელში თხილის ან სუროს ნედლი ტოტი. ზოგს შინ შემოაქვს

თუთის ზის ტოტი, გადასცემს ცოლს ან ერთ-ერთ ქალს და ეტყვის: „ჩემს ცოლს აბრეშუმის ჭია და პარკი, ხოლო სხვისას — ცარიელი თითისტარი“. წირვიდან დაბრუნებულთ დაალევიანებენ ნიგვზისა და ღვინის ნაყენს. მაგრამ სანამ ამ ნაყენს მოსვაძენენ პირში ჩაიდებენ ოქროს ან ვერცხლის ფულს ან ნივთს რასაზე და დასძენენ: ღმერთო, მრავალ წელიწადს მაჭამე და მასვი. ზოგან ეს ნაყენი მთლად ერგება იმას, ვინ პირველად შემოვა სახლში.

სადილს წინ სახლის უფროსი აიღებს ჩიჩილაკს, სურსათ-სანოვან-გან გობს, ოჯახის წევრებს გაიყოლებს და ეზოში კალანდის სახელობაზე ქვევრთან მივა. ქვევრს მოხდის, ხირკათი ღვინოს ამოიღებს, ჭიქაში ჩაასხამს და დასდგამს გობზე. ოჯახის წევრები დაიჩოქებენ, ხოლო სახლის უფროსი კალანდას შესთხოვს: სიმრთელით მიმყოფე ყველანი, აარიდე ყოველგვარი ავადმყოფობა, გაამარჯვებინე მტერზე. მიმრავლე შინაური საქონელი და სხვადასხვა. ლოცვას რომ მორჩება, აიღებს საკმეველს, ყველას თავზე შემოავლებს და იტყვის: „თან წაიღე ამათი ჭირი და უბედურება“. და ამას რო იტყვის, საკმეველს ნაკვერცხლებიან ნატეხარზე დაუდებს. ამას შემდეგ ახლად ამოდებულ ღვინოს ყველანი რიგ-რიგით შესვაძენ. ბოლოს დოქს გაავსებენ ღვინით სუფრაზე მისატანად\*.

დასდგამენ ტაბაკს და შეუდგებიან სადილს. სადილის დროს ჭამა-ხმამი ზომიერებაა დაცული. განსაკუთრებით ერიდებიან ზედმეტის დალევას. იშვიათია, რომ ახალწელიწადს მეგრელი მთვრალი დაინახოთ. მეგრელი საერთოდ ერიდება სიმთვრალეს და მით უფრო ახალწელიწადს. მეგრელის აზრით, თუ ახალწელიწადს დაითვრა კაცი, მთელ წელიწადს მთვრალი ივლის და ყბადასაღები იქნება ყველასიო.

საკალანდო ტაბაკზე საჭმელი არაჩვეულებრივად უხვადაა. საჭმელთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს „ბასილას“ ანუ წმ. ბასილის სახელობაზე სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარ მჭადს. ეს მჭადი ჩვეულებრივ მჭადზე უფრო მეტია სიდიდით. გულად აქვს წვრილად დაჭრილი ზურგის ქონი ღორისა, მარილითა და მსხვილად დანაყილ ნიგვზით შეზავებული. ბასილა ტაბაკზე ჩვეულებრივ გამოჩნდება შუა სადილობისას. მაგრამ სანამ მის ჭამას შეუდგებოდნენ, უნდა გადასტეხონ. ეს გადატეხვა ასე ხდება: კერადან „ბასილას“ რომ გამოიღებენ, სდებენ ცეცხლზე დადებულ დედა-შეშაზე, მის ერთ ნახევარზე ხელს დააველებს

\* საღვინე ქვევრები სამეგრელოში ეზოში, დაუხურავში იყო დამარხული. ყველა წმიდანის სახელზე ივსებოდა საითათოდ ქვევრი და მოხდიდნენ ამ ქვევრს იმ წმიდანას დღეობას, ვის სახელზედაც იყო ქვევრში ღვინო ჩასხმული. ერთი ქვევრი კალანდას სახელზე იყო ზოლმე გასვებული.

მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო მეორე ნახევარზე წარმომადგენელი მდედრობითის სქესისა. მაგრამ როცა ოჯახში მამრობითის სქესის არაქონა, მამრის როლს ასრულებს ქალი, მხოლოდ თავის მოწინააღმდეგეს — ქალს წინააღმდეგ უნდა უთხრას: „მე—მამაკაცი (ვიქნები), შენ — დედაკაცი“. ამის შემდეგ ორივე მხარე ცდილობს ერთად გადატეხონ ბასილა. ამ გადატეხვის დროს თითოეული გადამტეხელი ვაჟი და ქალი ცდილობს უფრო მეტი წილი იმას ერგოს. მაშასადამე, მჯობნელად ის ითვლება, ვინც ნახევარზე მეტს თავისკენ წამოიღებს. ამ ჯობნა-დამარცხებით შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ მომავალი წელიწადი რამდენად მოსავლიანი იქნება. თუ აჯობა მამაკაცმა—ამ წელიწადს სამამაკაციო საქმე ზღვად გასკდება: სიმინდი, ღვინო ბევრი მოვა, ხოლო თუ ქალმა გაიმარჯვა, უნდა მოველოდეთ „საქალო საქმის“ გამარჯვებას: უხვი მოსავალი იქნება აბრეშუმის პარკებისა, შინაური ფრინველი გამრავლდება, საჩოხე შალეებს ბევრს მოქსოვენ ქალები და სხვადასხვა.

ზოგნი, ბასილას რომ გასტეხენ, სახლიდან გამოვარდებიან და ეცდებიან პირველად შემოვიდნენ სახლის შოწინააღმდეგე კარიდან\*. გამარჯვებული იქნება ის, ვინც პირველი შემოვა სახლში.

ეს ჩვეულება სხვანაირადაც სრულდება. ბასილას სდებენ ბუჯზე, ხოლო ცეცხლზე დაიჭერენ თხილის ჯოხს. ამ ჯოხის ერთი თავი მამრობითი სქესისას უჭირავს, ხოლო მეორე თავი — მდედრობითისას. როცა შუა ნაწილი ჯოხისა გაიწვება, და თითოეულს ჯოხის თითო ნახევარი შერჩება, ჯოხის ამ ნაწილიდან გარეთ გამოვრბის და ცდალობს მეორე კარიდან პირველი შემოვიდეს სახლში. შემოვა თუ არა, ეს მივარდება ბასილას და დიდ ნაწილს მოსტეხავს და ამნაირად გამარჯვება იმას დარჩება.

საკალანდო სადილისათვის ღომი უნდა მოიხარშოს ღომის-ღომის ანუ ჩხვერის მარცვლებისაგან და არა სიმინდის ფქვილისაგან, და თან თვალყურს ადევნებენ როგორ იხარშება ღომი. ღომის ხარშვაც მკითხაობის, მომავლის გაგების ერთი საშუალებათაგანია. თუ ღომის ხარშვა დაიწყო ქვაბის შუაგულიდან, ამ წელიწადს უხვი მოსავალი მოსალოდნელია მხოლოდ ამ სოფელში, და თუ ნაპირებიდან დაიწყო ხარშვა, რაც შემოგარენია სოფლისა, ყველგან კარგი ჭირნახულის იმედი უნდა იქონიონ.

თუ ოჯახში ავადმყოფი პყავთ, რომელიც დიდი ხანია მწოლიარეობდა, უშველიან და ისე წინა და უკან რამდენჯერმე გაატარ-გამოატარებენ: მოსალოდნელია, რომ ავადმყოფი ლოგინიდან შეძლებს წამოდგომას და სრულებით გამორჩენილი ივლის.

\* ძველად მეგრული სახლი ერთთავლიანი იყო და კარი ორს ჰქონდა: წინა და უკანა.

თუ მეგრელის ოჯახში ახალწელიწადს ვინმე მოკვდა, რაც უნდა ახალგაზრდა იყოს, მისი გლოვა თუ ტირილი არ ეგების, არც მეორე დღეს შეიძლება ტირილი. თუ ვინმე მოკვდა კალანდის წინა დღეს, ტირილი თვით სიკვდილის დღეს შეიძლება, მაგრამ კალანდა ვათენდება თუ არა, ყველამ ცრემლები უნდა შეიწმინდოს და რაც უნდა დიდ სანადვლო იყოს, უნდა გამხიარულდნენ. ამ ჩვეულების შეუენახაობას მოსდევს დაუსრულებელი გლოვა და მწუხარება მეგრელის ოჯახში მთელი წლის განმავლობაში. მიცვალებულის ტირილი და დასაფლავება შეიძლება მხოლოდ კალანდის მესამე დღეს. — მიცვალებულისათვის კუბოს ჩვეულებრივ მიცვალებულისავე სახლში ჰკრავენ. მაგრამ კალანდას მიცვალებულისათვის კუბო უნდა შეჰკრან სახლს გარეთ, სადმე მინდვრად.

დასასრულ აი ის საკალანდო ჩვეულებანი, რომლებიც უნდა შესრულოს თავის წინაპრების ჩვეულებათა ერსაგულება მეგრელმა. ამას დართული აქვს ის შედეგები, რაც მოჰყვება მათ შეუსრულებლობას.

ახალწელიწადს სააუგოა ყოველგვარ სალანძღავი და უწმაწური სიტყვების ხმარება არა მარტო ადამიანთა მიმართ, არამედ ცხოველებთანაც კი: ყველას ზრდილობიანად ეპყრობიან და ყველასთან ნატიფ და დახვეწილ სიტყვა-პასუხსა ხმარობენ. მაგალითად, თუ სახლში ძაღლი და მისი იქ ყოფნა სასურველი არ არის, კი არ შესძახებენ: დაიკარგე აქედან, გადი გარეთ! არამედ ეტყვიან: შენი ჭირიმე, ცოტა ხნით გარე გაბრძანდი!... ამ ჩვეულების დამრღვევს მთელი წლის განმავლობაში მის-და უნებურად ლანძღვისა და ტლანქად უხეშ სიტყვა-პასუხის მეტ არაფერი წამოცდება. ცდილობენ ერთმანეთს არ წაეჩხუბონ, თორე ოჯახში მამლაციწები მთელ წელიწადს კინკლაობაში გაატარებენ დაავიწყდებათ, თუ ერთმანეთთან მშვიდობით და თანხმობით შეიძლება იცხოვრონ. კალანდას აკრძალულია კერვა რისამე და საერთოდ ხელმ დაჭერა ნემსისა, ვინც ამ წესს დაარღვევს, მოელის საშინელი ტკივილები თვალისა. რამე თუ გაგეხესთ, გაკერვა კალანდის მესამე დღემდე ა შეიძლება, არ შეიძლება კალანდას ხელში საცრის დაჭერა, ვინც ა ტაბუს დაარღვევს, მოსალოდნელია გონება დაეკარგოს, ანდა ყოველ ახალი ცნობა მის გარშემო მყოფთა შესახებ იმის მაგიერ, რომ გონებაში აღებეჭდოს, ამ გონებაში გაივლის ისევე, როგორც ფქვილი გადის საცერში. ქალს არ შეუძლია თითისტარს შესწედოს — მთელ წელიწადს თავბრუსხვევა დასჩემდება. სახლის გამოგვა როგორც ახალ წელიწადს, ისე შემდეგს და მეორე დღეს არ ეგების ყოველსავე შემთხვევაში ნაგავის გამოტანა სახლიდან არ შეიძლება, ნაგავი მხოლოდ მესამე დღეს გადაიყრება. თუ ეს წესი დაირღვა, ამას ის მოჰყვება, რომ ნაგავს სახლიდან გაჰყვება ამ ოჯახის მთელი ბარაქა და სიმდიდრე. არავის უნდა

მისკეთ ხელში ხის სავარცხელი, თუ მიეცით — ჩამომრთმევი ავად გახდება, ანუ გახმება ისე, როგორც ჩამორთმეული სავარცხელია ხმელი. ჯიბე ცარიელი არ უნდა გქონდეთ, შიგ ფული სულ ცოტა მაინც უნდა გედოთ, თორემ მთელი წლის ვანმაჯლობაში ჯიბეცარიელი ივლით. ამით თავდება კალანდის პირველი დღე და პირველი ნახევარი.

### III

ახალწლის მეორე დღისათვის მეგრელებს კუჩხა უქვიათ, რაც პირდაპირ ნიშნავს ფეხისა ან ტერფის დღეს ანუ ფერხობას. მეგრელთა რწმენით, ზოგ ადამიანს აქვს თვისება სახლში თავის ფეხით შემოიტანოს ბედნიერება თუ უბედურება, გამარჯვება თუ დამარცხება, მოგება თუ წაგება. ბედნიერ ფეხის სახელი ამა თუ იმ ადამიანს გაუფარდება ცხოვრების პრაქტიკით. გამოცდილებით, ვთქვათ, საქმეს რასმე აკეთებთ და ამ დროს შემოგისწროთ მეზობელმა. მოხდება, რომ თქვენი საქმიანობა შეფერხდა, ან ხელსაწყო გაგიტყდათ, ან თქვენ თვითონ რამე დაიშავეთ, ამ შემთხვევაში მეგრელი ფიქრობს, რომ თქვენის ხელის მოცარვის ბრალი სავსებით ედება მეზობელს, რომლის ფეხს თქვენს სახლში შემოჰყვა უბედურება, მარცხი. ახლა სხვა მაგალითი ავიღოთ, სახლში ავადმყოფი გოწევთ, ის წამია, როცა სათუოში უნდა გამოვიდეს, ამ დროს შემოდის თქვენი ნაცნობი. მისი შემოსვლა და ავადმყოფობის სულის ამოხდა ერთია. ავადმყოფის სიკვდილი უეჭველად უნდა დაბრალდეს შემოსულ მეზობელს. ესა და ამის მსგავსი მაგალითები სრულებით საკმაოა, რომ ხსენებული ადამიანი მოინათლოს „უბედურ ფეხის“ სახელით, უბედურობის მატარებლად. ამის შემდეგ ასეთს კაცს ყველა გაურბის, ზურგს უკან სწყევლიან კიდევცა. „უბედურ ფეხის“ ადამიანად შეიძლება იყოს მარტო ისეთი არა, ვისაც თქვენი ჯავრი სჭირს, ვისაც თქვენი ზარალი უხარია. ასეთი შეიძლება იყოს ჩვენი მეგობარი, ჩვენი კეთილისმდომიცი, თვით ჩვენი მშობლებიც. ესენი გვაენებენ მათდა უნებურად, უბედურ ბედის გავლენით.

ამიტომ მეგრელი გაურბის ასეთებს და ცდილობს თავის ყოველგვარ საქმიანობაში გაპრიოს ადამიანი, ვისაც ბედნიერი ფეხი აქვს. ვთქვათ, სადმე უნდა გაემგზავროთ, ცდილობთ ისე მოაწყოთ საქმე, რომ „ბედნიერი ფეხის“ კაცი მგზავრობის დაწყებისთანავე შეეცხედეთ. ამას შემდეგ თქვენ მგზავრობას განაგრძობთ და დარწმუნებული ბრძანდებით, რომ რამე მარცხი არ შეგხვდებათ გზაში და მშვიდობით მიაღწევთ თქვენი მგზავრობის მიზანს. ვთქვათ, მიდიხართ სანადიროდ და თქვენს საკვრად შეგხვდებიან ბედნიერი ფეხის ადამიანს და დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ორსავე შემთხვევაში ხელი

მოგემართებათ: თოფს ფალა არ აეწვება, ნადირს თოფს არ ააცდენთ, თევზს ზლომად დაიჭერთ და სხვადასხვა.

მეგრელის წარმოდგენით ბედისა თუ უბედობის სულნი ყველგან და მუდამ დადიან, ადამიანები ამათი გამტარებელნი არიან: „კარგი ფეხის“ ადამიანის მეშვეობით ენიჭება ადამიანს სვიანობა, წარმატებით გამარჯვება, ხოლო „ცუდი ფეხის“ ადამიანის მეშვეობით გადადის ფატერაკისა და ბედშავობის სული, სული ბოროტი.

თუმცა კალანდისა და ბედნიერების შემომჟყანისა ანუ „მაკუჩხოლის“ როლს ზედ ახალწელიწადს თვითონ სახლის უფროსი თამაშობს, მაგრამ კალანდის მეორე დღეს ანუ კუჩხაში (ფერხობაში) მეგრელი საგანგებოდ ცდილობს ჩარიოს საქმეში „კარგი ფეხის“ ადამიანი, ეძებოს მისი მდარველობა, თუ ოჯახში მამრობითის სქესისა არავინაა, თვით ახალწელიწადსაც მაკუჩხოლი გარედან უნდა მოვიდეს ვინმე. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ახალწელიწადს მაკუჩხოლის როლი უნდა შეასრულოს სახლის უფროსმა, როგორც ასეთმა, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად შესაფერია ამ როლისათვის, ე. ი. რამდენადა აქვს თვისება კარგისა თუ ცუდის მოფერხისა. აი, სახლის უფროსის ამ შესაძლებელ ნაკლის შევსება ევალება „კუჩხა“ (ფერხობა) დღეს საგანგებო მაკუჩხოლს, ვისაც „კარგი ფეხის“ სახელი აქვს გავარდნილი. მაკუჩხოლი უეჭველად მამრობითის სქესისა უნდა იყოს, წლოვანებას მნიშვნელობა არა აქვს, მაკუჩხოლად შეიძლება იყოს როგორც ვაჟკაცი, ისე 5 — 6 წლის ბავშვიცა.

მაკუჩხოლს დაიბედებენ თითქმის ერთ თვის წინათ, ბარბარობის (ქრისტეშობისთვის 4-ს) წინა დღეს. სთხოვენ, მობრძანდეს იმ სახლში, სადაც კუჩხას (ფერხობას) უნდა მოულოცოს ახალწლის გათენება. არ ეუბნებიან, რისთვისაც უნდა მობრძანდეს, მაგრამ ის-კი მიხვედრილია, თუ რისთვისაცა სთხოვენ მოსვლას. და აჰა, დანიშნულ დღეს მოფერხე დილაადრიანა მიდის დანიშნულებისამებრ და სახლში შედის სხვა მნახველთა ადრე. მოფერხე, რა თქმა უნდა, არავის ეკითხება, თუ რისთვის მოიწვიეს და საერთოდ თამაშობს როლს სტუმრისას, რომელიც ვითომ სულ სხვაგან მიდიოდა აქ სრულებით შემთხვევით შეუხვია მათთან, როგორც ჩვეულებრივს სტუმარს, უმასპინძლებიან და მხოლოდ გამოთხოვებისას, თითქო სხვათა შორისაო, სთხოვენ შენი ჰირიმიე, ფერხობა დღეს ჩვენსა მოდი და მოგვილოცეო. მოფერხე სიამოვნებით და, ცოტა არ იყოს, თავმოწონებითაც კისრულობს ამ დავალების ასრულებას და შორდება მასპინძელს.

„კუჩხას“ დღეს მაკუჩხოლი დილა-ადრიანა მიდის იმ სახლში, სადაც დაჰპატიჟეს. თავდაუეარცხნელია საახალწლო მაკუჩხოლის მსგავსად (ამაზე იხ. ზემოთ). ტრადიციული ჩიჩილაკის მაგიერ ხელში უჭი-

რაც ნედლი შტო სუროსი და ახლად აყვავილებული თხილისა, აგრეთვე წითელი ნაყოფები ღიჟისა. კარის ზღურბლზე რომ გადააბიჯებს, ყველას მიულოცავს კალანდას. ამავე დროს ხელში მისცემენ ჯამს, რომელზედაც ღომის-ღომის მარცვალთან ერთად დევს ქათმის კვერცხი, სიმბოლო სისავსისა და ვერცხლის ფული. მაკუჩხოლი სახლს შემოუვლის, აბნევს ღომის-ღომის მარცვალს და თანაც იძახის: „ასე გამრავლდით!“ ფულს თვითონ ჩაიდებს ჯიბეში, როგორც გასამრჯელოს თავის შრომისათვის. სახლს გარდა კალანდას მიულოცავს ყველა შენობას, ისე, როგორც ეს ჰქნა საახალწლო მოფერხემ. ბოლოს, შედის მარანში, ანუ იმ შენობაში, საცა ყურძნის საწნახელი დგას ხისა. მხარზე ჰკიდია გიდელი ანუ კონუსისებური კალათა, რომელსაც სამეგრელოში ხეებზე ყურძნის საკრეფადა ხმარობენ. გიდელში დევს ყურძნის მტევნების მსგავსი პურები, დიასახლისმა ახალწლის წინა დამეს რომ გამოაცხო. მივა მარანთან და ქვით დაუწყებს ცემას და თან იძახის: მოსავალი, მოსავალი! ჩვენს ვენახში მოსავალი, მეზობლისაში—მხოლოდ ვაზის ფოთლები!... აქედან გარეთ გამოდის, მიდის პირველ მდგარ ხესთან, რომელზედაც ვაზია გასული, გიდელს ხეზე დაჰკიდებს და ხელში დაიჭერს წალდს. წარმოადგენს ადამიანს, ვისაც განზრახვა აქვს ვაზი მოსჭრას ძირში. ამ დროს სახლიდან ვინმე მიირბენს მაკუჩხოლთან და, მისი განზრახვით გაკვირვებული, ეკითხება:

— კაცო, რასა შვები, ვერა ხედავ, ვაზია?!

— რა ვუყოთ, რო ვაზია,—უპასუხებს მაკუჩხური,—ყურძენს არ ისხამს, ტყუილად ადგილს იჭერს... არა, უნდა მოვსჭრათ, შეშად მაინც გამოდგება.

— არა, გეთაყვა, ნუ სჭრი, აპატივე, თავდებად მე ვუდგები, წლეულ ბლომად მოისხამს ყურძენს.

— კარგი,—უჯერებს მაკუჩხოლი,—არ მოვსჭრი, მხოლოდ იცოდე, თუ წლეულ ყურძნის მტევნებით არ დაიხუნზლება, არ ვაპატივებ, სულ ძირში მოვჭრი.

ვაზი გადაჩრა მოჭრას. და იმანაც ყოველი ღონე იღონა მდგომარე წელიწადს გული გაუხაროს პატრონს უხვი მოსავლითა, თორემ ვაი მისი ბრალიცა, დაღუპვას ვერ გადაურჩებოდა.

ბოლოს, მაკუჩხოლი სახლში შემოდის და ჯდება. წინასწარ ცეცხლში უდებს დილას შემოტანილ ნედლ ტოტებს სურისა და თხილისას. გიდელიდან პურებს ამოიღებენ და იმით უმასპინძლებიან.

მაკუჩხოლი მთელ დღეს რჩება სტუმრად, ადგილის მოუცვლელად ნება აქვს ადგეს მხოლოდ ბუნებრივი საჭიროებისათვის მაგრამ როცა შემობრუნდება, უეჭვილად იმავე საჯდომზე უნდა დაჯდეს. ამ საჯდომის დაკავება სხვას არ შეუძლია. ამ წესის დაცვით მაკუჩხოლი ჰბაძავს

გულმოდგინე კრუხს, რომელიც მხოლოდ გაჭირების წუთებში ანებებს თავს კვერცხებიან ბუდეს და დაუყოვნებლივ ბრუნდება უკან და ამნაირად კვერცხებს საჭირო ტემპერატურას არ მოაქვებს. ამ წესის შეუსრულებლობას მოჰყვება ისა, რომ კრუხებს ოჯახში ხელი არ მოემართებათ: საჭირო ერთგულებას კვერცხის გამოჩეკაში ვერ გამოიჩენენ, იბუღარავენ, იქით-აქით ეწყვეტებოდნენ იქნება, ერთი კრუხის ბუდეში სხვა ბუდის კრუხი მოინდომებს ჩაჯდომას და კვერცხების დაბატრონებას. გარდა ამისა, სჯობია მეკუჩხოლი სახლის ეზოდან არ გავიდეს, ბუნებრივი საჭიროებისათვის, თორემ შინაური საქონელი ამა თუ იმ ოჯახისა გარე-გარე დაიწყებს ხეტიალსა და თავ-თავის დროზე არ დაბრუნდება სამოვრიდან სახლში. აკრძალულია მაკუჩხოლის წინ გავლა. როცა ვინმე უცაბედად დაარღვევს ამ წესს, ცუდი შედეგის ასაცდენად, იძულებულპყოფენ თავისი შეცდომა გამოასწოროს ე. ი. უკანვე გამობრუნდეს. აგრეთვე არავენ უნდა მოსვას წყალი იმ სასმისიდან, რომელსაც მაკუჩხოლის ტუჩები გაჰკარებია.

მაკუჩხოლს სადილად ქათამი უნდა დაუკლან. ამ ქათმის სისხლი ღომის-ღომის მარცვლებს უნდა ასხურონ და ამ სისხლით სხურებულ მარცვლებს წიწილებს დაუყრიან ასაკენკად. ამ სისხლს, მეგრელის აზრით, ის თვისება აქვს, რომ როცა წიწილები დაიზრდებიან ყურძნის კუბზლები საზიზღრად ეჩვენებათ და ამგვარად ყურძენი გადაურჩება ქათმების მხრით კენკვას.

კუჩხა დღეს ყველანი თავთავიანთ სახლებში სხედან. მეზობლები ერთმანეთს სანახავად ეზოდან გადადიან. მათ შორის ურთიერთობა შეწყვეტილია: საციქველს არ ათხოვენ, მსგავსადვე—სხვასაც არაფერსა სთხოვენ. ყოველ ნივთს, ერთის პატრონისაგან მეორეს ხელში გადაცემულს, თვისება აქვს—ხ ე ლ ი ს გ ა ყ რ ლ ი ს ა, ე. ი. ყოფილ მესაკუთრის ბედ-იღბლის გადასვლისა და ახალ მესპატრონეს ხელში. ვინც ამ წესს არ აასრულებს, უნდა მოელოდეს თავის ოჯახის განადგურებას: ქურდები, გარეული ნადირი და მტაცებელი ფრინველი მის ქონებას ნიაგ-ქარს მისცემენ. მეგრელის კერაზე სულ მუდამ გაუქრობელი ცეცხლი თუ კუჩხა დღეს ჩაქრა, ოჯახს მოელის მთელ დღეს უცეცხლოდ დარჩენა,—ამიტომ რომ მეზობელი არაფრის გულისათვის მოეშველება და თავის კერიდან ცეცხლს არ მისცემს უცეცხლოდ დარჩენილ მეზობელს.

ვინც უნდა მოვიდეს კუჩხა დღეს, მისი დახვედრა ემძიმებათ—იმის შიშით, ვაი თუ „ცუდი ფეხისააო“... ყოველსავე შემთხვევაში, მომსვლომა უნდა შემოიტანოს ნედლი რტო მცენარისა და საცა მოხვდება, იქ დასდოს. სახლში რომ შემოვა, მომსვლელს არ უნდა დაავიწყდეს ნაბდის მოხსნა. მეგრელის ფანტაზია ნაბდიან კაცს ამსგავსებს ავად-

მყოფ ქათამს, ფრთაჩამოშებულს. ამიტომ ნაბდიანად შემოსვლას სახლში შეუძლია ქათმების ჭირის გაჩენა.

სტუმარს უმასპინძლებიან, რაც უნდა მაძლარი იყოს, თუნდა ფორმის გულისთვის, „კბილი უნდა დაადვას“ რასმე საკმელს. გარდა ამისა, რასაც მოუტანენ, ყველაფერი უნდა შესჯამოს, არაფერი უნდა დასტოვოს, თორემ კრუხი საკმაო ერთგულებას არ გამოიჩენს წიწილების გამოსაჩეკად კვერცხებზე ჯდომისათვის და ერთი წიწილა რა არის, ერთსაც არ გამოსჩეკს.

ზოგჯერ მეგრელი აუადმყოფობის დროს „კუჩხას“ სულსა თუ ღვთაებას აღთქმას აძლევს: ოღონდ მომარჩინე და რკინეულს არასფერს. მოკიდო ხელიო. მეგრელი ზედმიწევნით იცავს ამ აღთქმას და „კუჩხა“ დღეს ხელში არ აიღებს არც თოფ-იარაღს და აღარც სასოფლო-სამეურნეო რკინის იარაღს და ამასა შვრება მაშინაც-კი, როცა მტერი მოკვლას ემუქრება და თავის დასაცავად იარაღს უნდა მიმართოს. ამ ჩვეულების საწყისი, ალბათ, უნდა ვეძებოთ ადამიანის ცხოვრების იმ ხანაში, როცა რკინის თვისება პირველად გაიცნო და ამ თვისებისათვის ხსენებულ ლითონს თაყვანსა სცემდა, მოწიწებით ეპყრობოდა და აღმერთებდა და მისთვის ხელის მიკარგბა და მით უფრო გაძოყენება თავის მხრივ ცოდვად მიაჩნდა.

„კუჩხა“ ღამეს სამეგრელოში „ტყაპობა“ იციან. ეტიმოლოგია ამ სიტყვისა ასეთია: ტყაპი ანუ ტყაპვა ნიშნავს ბრტყლად ხელების დარტყმას, ან ამა თუ იმ მანძილზე ცომის მსგავს რისამე სროლას და რაიმე საგანზე მიტყეპებას, მიმაგრებას. ამ შემთხვევაში ტყაპობა უქვი-ათ სიმინდის ფქვილისაგან მოზეილ თხელი ცომის წაგლეხვას სხვის პირისაზე.

იმ დამესთვის მეგრელის ყოველ ოჯახში ჰხელავენ სიმინდის ფქვილისაგან თხელ ცომს. ამ ცომით ჯერ დიასახლისი მკითხაობს, რომ გაივოს მომავალი ბედი შინაური ფრინველისა. ერთის პეშვით ცომს ესვრის მალა ჭერში. ნაწილი ცომისა ჭერს მიაჯდება, მაგრამ უფრო მეტი წილი ჭერს მოსწყდება, გაიშლება სხვადასხვა ზომის წინწყლებად და მისახდება კედელს. ამ წინწყლების რიცხვის-და კვალად იგებს დიასახლისი, თუ რამდენი ფრთა ქათამი თუ სხვა შინაური ფრინველი ეყოლება მიმდინარე წელიწადს. დიდი წერტილები—უკვე გაზდილ დედლებსა ნიშნავს, პატარაები—წიწილებს. ამავე ცომის საშუალებით მკითხაობენ ხვნა-თესვის შესახებაც: თუ ჭერს მიტყეპებულს ცომს განსაზღვრული ადგილი უჭირავს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მამასახლისი მოჰხნავს იმ მიწებს, რაც მის სახლს გარშემო დევს, ხოლო თუ ცომი ყველა მხარეს გაიფანტება, მოიხენება ის მიწებიც, რაც სახლზე მოშორებით უდევს გლეხს.

ჭერს მიკრული ცომი წამლადაც იხმარება. როცა კარგად მიახმება, მოფხევენ და შეინახავენ. როცა ოჯახში გოჭებს დიზენტერია გაუჩნდებათ, გამხმარს ცომს წყალში გახსნიან და ხსნარს ჩააყლაპებენ ავადმყოფ გოჭებს, როგორც დიზენტერიის საწინააღმდეგო წამალს.

კუჩხა ღამესვე მოაწყობენ თავისებურ მასკარადს, რომელსაც მოკყვება მოტაცება ქალებისა—ჩვეულება, რომელიც უნდა იყოს ნაშთი ძველად საცოლედ ქალების მოტაცების ჩვეულებისა.

სოფლის ერთ-ერთ სახლში თავს მოიყრის ასალგაზრდობა, რომელსაც მიზნადა აქვს მცხოვრებთა სახლებს დაეცნენ, სიმინდის ფქვილის ცომით სახე მოუთხუზნონ და როცა გაიმარჯვებენ, ე. ი. ყველას წაუსვამენ ცომს, მოიტაცებენ ოჯახის ერთ-ერთ წევრს, განსაკუთრებით გასათხოვარ ქალებს. დამცემნი სახლიდან სახლში გადადიან, „ტყვეთა“ რიცხვი თანდათან იზრდება, ეს „ტყვეებიც“ დამცემლებს შველიან ახალი „ტყვეების“ მოტაცებაში. ბოლოს, გადადიან მეორე სოფელში. იქაც ყველას ცომით უთხუზნიან სახეს, საერთო სიცილ-მხიარულებაში.

ეს ტყაობა დასასრული, აპოთეოზია კალანდის დღესასწაულისა და მასთან დაკავშირებულ ჩვეულებათაა.

კალანდის დადგომის მოსაგონებლად მეგრელის ოჯახში დარჩენილია ჩიჩილაკი, მაგრამ ისიც რამდენსამე დღეს რჩება. ნათლილებას მისი სახლში დატოვება არ იციან, ეშინიათ, ვაი თუ ბავშვები მის მორთულობას შეეჩენნო, ნათლილების წინა დღეს ჩიჩილაკს ჩამოაცლიან მის სამკაულს: აბრეშუმის ძაფის შულოს, აბრეშუმისავე მანდილს ანუ ბაღდადს, კრიალოსანს და ხილს. თვითონ ჩიჩილაკს გარეთ გამოიტანენ და დიდის ამბით ცეცხლს წაუკიდებენ და ეზოს გაანათებენ. ჩიჩილაკისაგან დარჩება მხოლოდ გარუჯული ჯოხი, რომელსაც აგდებენ ან მდინარეში სადმე ან მეზობლის ეზოში და თან დაატანენ ამ სიტყვებს: „ვის ეზოშიაც ჩავარდები, მისი ბარაქა და ბედ-იღბალი ჩემი იყოს“. ეს გარუჯული ჯოხი გამოყენებულია აგრეთვე დაბადების განყვანების ვალად: მისი, გადამგდები ჯერ სამჯერ შემოივლებს ამ ჯოხს თავზე და ეტყვის: ჩემი ჭირი, ფათერაკი და უბედურება თან წაიღე. მეგრელსა სჯერა, რომ ამ გარუჯულ, ბურბუმელაგაცლილ ნაჩიჩილაკარს თან მიაქვს შიმშილი და ვის ოჯახშიც ჩავარდება, იქ შიმშილობა აუცილებელია.

ამნაირად, „ჩიჩილაკის“ ნარჩენი ბოლოსა და ბოლოს გადაიქცევა ერთგვარ საფთხურად, საშინელებად, რომელსაც ყოველი მეგრელი, რა თქმა უნდა ერიდება. იმ წუთში ყოველ მეგრელს ორი თვალი ოთხად უჭირავს და მეზობელს უღარაჯებს—გარუჯული ჩიჩილაკი არ ჩამომიდლოს ეზოშიო. თუ ფრთხილად არ იქმნა და მეზობელმა ჩამოუგდო გარუჯული ჩიჩილაკი და იმან კიდევ მეორე დილას დაინახა ეს თავის

ეზოში, უფლება ექნება დასწყევლოს ამ ბოროტგანზრახულის ზოქმედების ავტორი, თან ჯონი აილოს და ჩააგდოს იქ, საიდანაც მისი აზრით, გადმოგდებული უნდა ყოფილიყო. თანაც დასძენს: შენი გადმომგდები წყეული იყოს იმავე სიტყვებით, რა სიტყვებითაც მე დამწყევლა.

მაგრამ მეგრელი, რომელიც ცხარე ხასიათისად და აპილპილების მოყვარულადაა ცნობილი, მშვიდობიანად ყოველთვის კი არ ათავებს საქმეს. ეძებს ამ თავის მაწყინარს და როცა იპოვის, იძულებულპყოფს პასუხი აგოს კეთილმეზობლურ განწყობილების დარღვევისათვის. ასეთ შემთხვევებში ხშირად ორივე მხარე მეტად გაცხარდება და საქმე გამორკვეულად მაშინ-ღა ჩაითვლება, როცა ერთ-ერთი მოწინააღმდეგეთაგანი საქმით არ დაუმტკიცებს მეტოქეს თავისი კუნთების ძალის უპირატესობას.

## წმ. გიორგის კულტი და ღვთის სამართალი \*

ამბობენ, საქართველოში ქრისტიანობის შემომტანნი წმ. ნინო და აგრეთვე წმ. გიორგი—კაპადოკიელნი იყვნენო. მეგრელებს რომ ჰკითხოთ, წმ. გიორგი სამეგრელოს მკვიდრი იყო, სამეგრელოშივე დაბადებულიო. მეგრელები ამ წმიდანს წარმოგვიდგენდნენ, როგორც ფიზიკურად მშვენიერსა და ღონიერ ვაჟკაცს, თავისსავე, ლამაზსა და ღონიერ, თეთრ რაშზე მჯდომარეს და საგმირო საქმეთა მოქმედს; ხელთ თურმე მუდამ ეპყრა შუბი, რომლითაც განგმირავდა, უწმინდურსა, საცა მოასწრებდა. მისი მსხვერპლი ყოფილან ვეშაპები და აესულები. განსაკუთრებით უსჯულონი (იგულისხმეთ—ოსმალები). ბრძოლაში წმ. გიორგი სულ მუდამ თავში სდგომია მეგრელთა ჯარს. არ ყოფილა მაგალითი, მტერი არ გაქცეულიყო და მეგრელი შერცხვენილი დარჩენილიყო. ლხინში სუფრის თავში იჯდა და როგორც ღვინის სმასა, ისე სიმღერა-მოლხენაში სწორი და ბადალი არა ჰყოლია. განსაკუთრებით საარაკო ყოფილა მისი მუცლის ტევადობა: ერთ ჯერზე ერთი ხარი, ან ძროხა მხოლოდ იმისთვის იკვლებოდა და სუფრაზე ძვლები თუ-და რჩებოდაო! ახლა მისი ჯირითი და ჭიდაობა ბრძანეთ! ან რაში გნებავთ, პირველი და თითით საჩვენებელი არ ყოფილიყო!...

თურმე ყველასა ჰშურდა წმ. გიორგის ვაჟკაცობა, ყველა იმას შეჰნატროდა. ზეცაში თვით ღმერთსაც-კი შეშურებია მისი ამბავი, როგორც ამას მოგვითხრობს ლეგენდა, დარჩენილი ილორისაკენ (ოჩამჩირეს ახლო), სადაც დღეს ტაძარია და შიგ ასვენია წმ. გიორგის ძლიერი ხატი. ღმერთს გადაუწყვეტნია ზეცაში აყვანა წმ. გიორგისა და იქ მისი დაბინავება თავის მსახურთა შორის.

წმ. გიორგის წასაყვანად, ლეგენდისავე თანახმად, ღმერთს გამოუგზავნია ერთ-ერთი თავისი ანგელოზი. წმ. გიორგის ეწვია თურმე ანგელოზი და გამოუცხადა ნება ღვთისა. ბარემ ემძიმა თავის ერთმოგვარეთა მოშორება, მაგრამ აბა ღვთის ბრძანებას ხომ არ გადავიდოდა!—კარგო,—უპასუხა წმ. გიორგიმ ზეციერ სტუმარს,—ამაღამ ვახშამი მიირთვით, მოისვენეთ და ხვალ გავუდგეთ გზასაო.

დაკლეს ხარი და სანაქებო ვახშამი გამოუწყვეს სტუმარს. ქვევრიც მოჰხადეს ღვინისა. ვახშამზე მასპინძელმა მოილხინა და სტუმარს და-

\* ქვეყნდება პირველად.

ანახე, თუ რამდენ საჭმელს და სასმელს ჩაიტევდა და მოინელებდა მისი კუჭი. ანგელოზი გაკვირვებული უყურებდა მასპინძელს: ზეცაში — ოღონდაც რომ არ ენახნა ასეთი მჭამელი თუ მსმელი... თავის თავს ეკითხებოდა: ამ სახით როგორ ავიყვანო ზეცაშიო! იქ რომ ჭამა მოინდომოს და ჭერზე ძროხა მოითხოვოს, რა უნდა მითხრან ზეცაში მცხოვრებთა? არ უნდა მისაყვედურონ,—ე რა კაცი ამოგიყვანიაო?!. ბევრი იფიქრა ანგელოზმა, თუ როგორ ეშველნა საქმისათვის, რა გზას დასდგომოდა, რომ ზეცით გამომგზავნთან პირნათლად გამოსულიყო. ბოლოს, გადასწყვიტა: მოდი, როცა დაიძინებს, მუცელს გაუჭრი და სტომაქს ამოვაცლიო. სტომაქი რომ არ ექნება, ჭამა საიდან მოუნდებაო!

მართლაც, ყველამ რომ დაიძინა სახლში, ანგელოზი მივიდა წმ. გიორგის საწოლთან და მიმართა საქირურგო ოპერაციას: მუცელი გაუჭრა და იქიდან სტომაქი ამოაცალა ისე, რომ წმ. გიორგის არაფერი გაუგია. აქ ისიც უნდა დავძინოთ, რომ წმ. გიორგიმ როგორც ჭამა-სმა იცოდა არაჩვეულებრივი, მისი ძალ-ღონის შესაფერი, ისე ძილაც მდევური იცოდა, ახირებულად თურმე ვერაფერი გამოაღვიძებდა. ასე რომ სრულებით არაფერი გაუგია, უნარკოზოდ როგორ ამოაცალეს სტომაქი! ანგელოზმა კი სტომაქი გამობერტყა, ღობეზე გადაჰკიდა და თვითონ კი დაწვა და დაიძინა.

მეორე დილას რომ წამოდგნენ, წმ. გიორგიმ ბრძანა, ზეცაზე ასვლის წინ საუზმედ ხარი დაეკლათ. დაკლეს ხარი, ხორცი მოხარშეს და სუფრას მოუხსდნენ. ყველამ დაიწყო ჭამა, მაგრამ წმ. გიორგის კრიჭა შეეკრა, კბილი ვერაფერს დააკარა. „დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი!— დაიძახა წმ. გიორგიმ.—ე რა მემართება, რომ არ ვიცი! მე და—საჭმელი არ მინდოდეს!“... ანგელოზს გაეღიმა და ღობეზე გადაკიდებული სტომაქი უჩვენა და თან უთხრა:

— აი, ჩემო გიორგი, წუხელ მუცლიდან სტომაქი ამოვაცალე, რომ საჭმელი არ მოგდომებოდა. ზეცაში არავინა სჭამს ისე, როგორც თქვენ აქ; დედამიწაზე, სჭამთ ხოლმე. იქ საჭმლის ჭამა არავისა სჭირია. იქ რომ საჭმელი მოგეთხოვნა, საყვედურს მე მეტყოდნენ,—ე რა კაცი ამოგიყვანიაო?!..

— რა გაეწყობა, ბედს უნდა დავემორჩილოვო!—უპასუხა წმ. გიორგიმ.

ნასაუზმევს წმ. გიორგიმ დალოცა ყველა თავისიანი, მოაჯდა რაშს და ანგელოზთან ერთად აფრინდა ზეცად. ღმერთმა წმ. გიორგის მიანდო პატრონობა ჭექა-ქუხილისა, თავ-თავის დროს წვიმის ჩამოშვება დედა-მიწაზე და განსაკუთრებით დევნა ეშმაკისა და უკეთური სულებისა, რომ ამ უკანასკნელთ არაფერი ავნონ ადამიანთაო...

და ღღეს,— მოგვითხრობს ლეგენდა,— როცა ციდან ჭექა-ქუხილი

და საშინელი გრიალი ყურებს გვიყრუებს, ეს არის ფეხების ხმა წმ. გიორგის რაშისა, რომელზედაც ზის წმ. გიორგი და დააქენებს ცის ერთ კიდიდან მეორემდე, დასდევს ავსულს, და როცა მეხი გავარდება, ეს არის მისი ნასროლი ბოძალი, დამიზნებული და ნასროლი ზღვიდან ამოგდებულ და მერე ბუზის სახით სადმე დიდ ხეზე შემომჯდარ ემბაკისათვისო...

ამით თავდება ერთი ლეგენდა წმ. გიორგიზე, სანამ ის დედამიწაზე ცხოვრობდა. ამას შემდეგ წმ. გიორგი წმიდანად ქცეული და ზეციურ, არსებათა წრეში მოქცეული, მეგრელთა რწმენით. განუსაზღვრელი ძალით შემოსილი, გაცილებით მეტით, ვიდრე მასა ჰქონდა მიწიერ ცხოვრებისას, მეგრელთ ევლინება ვერცხლით მოჭედილ ხატების სახით, თავის დროზე (მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში) სამეგრელოში განთქმულ და ერთადერთ ოქრომჭედლის პეპუა მეუნარგიას (იონა მეუნარგიას პაპის) ხელით ნაჭედით. სამეგრელოში ყველა ხატებზე „ძლიერ“ ხატად ითვლება წმ. გიორგის ხატი, რომელზედაც გამოყვანილია წმ. გიორგი, რაშზე მჯდომარე, ხელში შუბი უჭირავს და რაშის ფეხებში გართხმულ გველეშაპისათვის პირში აქვს გაყრილი შუბის წვერი.

აი, სამეგრელოში ის ადგილები, სადაც ეკლესიებში წმ. გიორგის ხატები ესვენა და სადაც წმ. გიორგის დღეობას (აპრილის 23) ამ ხატებთან სალოცავად ხალხი დადიოდა: ილორი (სამურზაყანო, ოჩამჩირედან მე-3 კილომეტრა), ყულისკარი, ხეთა, სუჯუნა. ამ ხსენებულ ადგილთა შორის განსაკუთრებით პატივისცემითა და კრძალვით ეკიდებოდნენ ილორის ეკლესიაში დასვენებულ ხატს, რომელსაც იმერეთის მეფეც კი უგზავნიდა თურმე შესაწირავს. ხატის ყმებად და მსახურებად ერთ დროს შეუწირავს კაკაბაძის გვარის რამდენიმე ოჯახი, რომელთა წარმომადგენელი ილორში დღესაც არიან, მხოლოდ გამეგრელებულნი. თვით გვარიც კი მეგრულად აქვთ შეცვლილი და იწოდებიან კაკბანძეებად. ილორის ხატს მოსდევს სიძლიერით ყულის (სოფელ ყულისკარში ზუგდიდის რაიონში) წმ. გიორგის ხატი, მერე ხეთისა, შემდეგ სუჯუნისა და სხვ.

აქ ცოტა მეტ ხანს უნდა შევჩერდეთ ილორის წმ. გიორგის ხატზე, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა ადგილების ხატთა შორის. ილორის ეკლესიაში ვერცხლით მოჭედილი ხატი აღწერილი აქვს გრაფ უვაროვის ასულის საარქეოლოგიო კომისიას. ხატთან ერთად ინახებოდა ვერცხლით მოჭედილი სატევარი ლაზური ხელოვნებისა და შემოუწირავს ერთს მდიდარ ლაზს.

ეს მდიდარი ლაზი ოჩამჩირეში ცხოვრობდა და ესმოდა, რა თქმას უნდა, მეგრელთა ნათქვამი წმ. გიორგიზე და მის სიძლიერეზე. მეგრელთა რწმენით, წმ. გიორგის თავის დღეობაზე, ნოემბრის 10-ს, ყოველ

წელიწადს მოჰყავდა ხოლმე თითო თეთრი ხარი, ძალზე გასუქებული-  
დღობის წინა ღამეს, ღამის სათევად მოსული მლოცველები რომ დაი-  
ძინებდნენ, წმ. გიორგი თურმე ეკლესიის გაღვანში შემოიყვანდა ხარს  
და გაუშვებდა. მეორე დილას ყველანი დაინახავდნენ მშვიდად მდგარ  
დიდ რქებიან ხარს, რომელსაც ნაწირვებს დაჰკლავდნენ და პატარ-  
პატარა ნაჭრებს დაურიგებდნენ მლოცველებს.

სწორედ ეს ამბავი უამბეს მამადიან ლაზს. იმან შორს დაიჭირა.  
რომ არ მოეშენენ—ირწმუნე ჩვენი სარწმუნოებაო, ლაზმა უთხრა: ქრის-  
ტიანობას ვირწმუნებ, თუ ოსმალეთში, ჩემს სახლში საუკეთესო ხარი  
რომ მყავს, თქვენი წმ. გიორგი თავის დღობაში მართლა ილორში  
მოიყვანს და მე თვითონ შემეძლება მისი დანახვაო. მაშინ წმ. გიორგის  
ვიწამებ და თქვენს რჯულზე მოვიხატლებიო. კარგო,—უთხრეს მეგრე-  
ლებმა. ლაზი გულში იცინოდა, ხოლო მეგრელები წმ. გიორგის სთხოვ-  
დნენ, გამოეჩინა თავისი ძალა და უცხო კაცის წინაშე მის თანამოძმეთ  
სირცხვილი არ ეჭამათ.

წმ. გიორგიმ, თუ ილორელებს დაუჭერებთ, ღამით მოიყვანა  
ლაზის სახლში დაბმული ხარი. მეორე დღეს ყველამ და მათთან ერთად  
ლაზმა დაინახეს ეკლესიის გაღვანის ეზოში მდგარი ხარი.

შეიძლება მკითხველს ისიც სათაკილოდ ეჩვენოს, რომ წმ. გიორგი  
სხვის საკუთრების მიმთვისებელის როლში გამოიყვანეს მეგრელებმა.  
მაგრამ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ წარმოვიდგენთ, რომ იმ დრო-  
ინდელი მეგრელები არამც თუ არ ერიდებოდნენ სხვათა საკუთრების  
მითვისებას, არამედ ეს მითვისება ყოჩაღობის ნიშანი იყო და საკეხუ-  
რადაც ჰქონდათ. ილორს გარშემო მცხოვრებ ქურდებს სამადლობლო  
შესაწირავი მოჰქონდათ წმ. გიორგის ხატთან, როცა ქურდობიდან გა-  
მარჯვებულნი ბრუნდებოდნენ და ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ,  
რომ წმ. გიორგი ამ შესაწირავს წმინდის გულით ღებულობდაო.

ასე იყო თუ ისე, ლეგენდა იმის ლეგენდა გახლათ, რომ დაუჭე-  
რებელი დაგაჯერებინოთ და შეუძლოებელი შეგაძლებინოთ. ლეგენდა  
იმასაც დასძენს, რომ ლაზს ისე მოსწონებია წმ. გიორგის სინარჯვე და  
სასწაული, რომ, პირობისამებრ, უწამებია ქრისტიანობა და წმ. გიორ-  
გის თაყვანისმცემელი გამხდარა. თან წმ. გიორგისათვის შემოუწირავს  
თავისი ვერცხლით მოჭვილი სატევარი, რომელიც მერე ხატის გვერ-  
დით შეუნახავთ.

ილორის ეკლესიაში ინახებოდა აგრეთვე რკინის მშვილდი, რომელ-  
შიაც უნდა გატარებულიყვნენ სხვადასხვა აჯადმოფნი, ვინც წმ. გიორ-  
გის შესთხოვდნენ სნეულებათაგან განკურნებას. წმ. გიორგის წინაშე  
შუამდგომლობის როლში გამოდიოდა მეხატული ანუ ხატის მსახური  
გვარად მერქული. ეს თანამდებობა ამ გვარში მემკვიდრეობით

გადადიოდა. ამავე გვარში ინახებოდა ის ცული, რომლითაც იკვლოდა გიორგობას წმ. გიორგის მიერ მოყვანილი ხარი. ეს ცული მხოლოდ და მხოლოდ ამ ხარისათვის კისრის მოსაჭრელად იხმარებოდა, სხვა საჭიროებისათვის მას ხელს ვერ მიაკარებდნენ. წმ. გიორგი ითვლებოდა მკურნალად ყოველგვარ სნეულებათაგან. ავადმყოფი განკურნებისათვის წმ. გიორგის საკლავის მოყვანას, თაფლის სანთელს, ვერცხლის ფულს, ჭერ ისევე აკვნის ბავშვების მორჩენისათვის მშობლები პირდებოდნენ ვერცხლის აკვნის მოტანას. წმ. გიორგის ხატთან, მართლაც, თან წაიყვანდნენ მშობლები მორჩენილ ბავშვს წმ. გიორგის ეკლესიაში და თან წაიღებდნენ ვერცხლის სულ პაწაწინა ხუთ-ექვს. სანტიმეტრის სიგრძის და ორის სანტიმეტრის სიმაღლის აკვანს და მადლობასთან ერთად მიართმევდნენ წმ. გიორგის. უნდა გვეგულისხმნა, რომ არავითარს გაუგებრობას ადგილი არ ექნებოდა ყოვლად ძლიერსა და მოწყალე წმ. გიორგისა და განკურნებულ ბავშვის მშობლებს შორის: დაპირდნენ აკვანს და ეს აკვანი ნატურალურის სიდიდისა იქნებოდა თუ მინიატურული, ამაზე არცერთი მხარე პროტესტს არ აცხადებდა, ერთისა და მეორისათვის დაპირება შესრულებულად ითვლებოდა. წმ. გიორგი გული-გულში ალბათ გრძნობდა—მეგრელები მატყუებენო. სხვისთვის შეიძლება არ ებატვიებინა ამათ, როგორც თავისიანებს, თავის სისხლსა და ხორცს, შეუწოდებდა...

სრულებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ ილორის წმ. გიორგის სახელი საფიცრად არის გამხდარი ყველა შევრელისათვის. მეგრელმა თუ რამე თავისი სიმაართლე უნდა დაუმტყიცოს მოყვანს,—ტყვის: წმ. გიორგის მადლმა, ეს ასეაო! ეს ფიცის ფორმულა სრულებით საკმარისია მოფიცარმა თავისი სიმაართლე საჩინო ჰყოს. იგივე მეგრელი, როცა გაბოროტებულია ვიზედმე, წმ. გიორგის სახელით დაიწყევლება: შავანს წმ. გიორგიმ კისერი მოუგრიხოსო! ამის თქმა საკმაო იქნება. წმინდა გიორგიმ უსმინოს დამწყევლელს ვედრება და საჭიროდ დაინახოს დაწყევლილის დასჯა!

ილორის წმ. გიორგის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს მეგრელთა ცხოვრებაში ხეთის წმ. გიორგის. ხეთა სამეგრელოში დიდი სიოფელია: სენაკ-ხუგდიდის გზაზე, სენაკიდან მე-28 კილომეტრზე. ხეთის წმ. გიორგი ძლიერებით თითქმის ეჯიბრებოდა ილორისას. რეზიდენცია ჰქონდა დაბლა, შოსედან ერთი კილომეტრის მანძილზე, ხის ეკლესიაში. ამ ეკლესიაში, რომელიც ეყიდა იქაურ მღვდელს დავით კუკავას, ესვენა ვერცხლით მოჭედილი ოქროთ დაფეხილი ხატი წმ. გიორგისა და დღესასწაულიც ხვდებოდა, აპრილის 23. დღეობა იწყებოდა იმით, რომ წინდაწინ ჰყიდულობდნენ ხარს, რომელიც უნდა დაეკლათ ზედ 23 აპრილს, ეკლესიის კარებზე, წმ. გიორგისათვის შესაწირავად.

აპრილის 23-ის წინა საღამოს მებატული კვიკვირა კუკავა ხატს დაიჭერდა, ხოლო მეორე კაცი, მის გვერდით მიმავალი — სპილენძის ბუკს. მღვდელი და დიაკონი წინ გაუძღვებოდნენ ხალხს. ბუკის ხმაზე გაუძღვებოდნენ გზას ურთას მთაზე ასასვლელად, რომელიც მაღლიდან დასცქერის ქვევით წმ. გიორგის ეკლესიას. ურთის მთაზე დგას დიდი ხნიდან გაუქმებული ეკლესია ჯეგეთად\* ანუ ჯეგეს (წმ. გიორგი) მთად წოდებული. ხეთელი კაცი, როცა წმ. გიორგის ფიციულობს, ამბობს: ჯეგე შმარდმე, რაც ნიშნავს: ჯეგეს მაღლმა-ს. ჯეგე გორჭყორუდას—მეგრულად წყევლა და ნიშნავს: ჯეგე (წმ. გიორგი) გაგიწყრესო!...

ჯეგეს მთაზე წამომდგარი ეკლესია ამენებულა მე-16 საუკუნეში. შიგ ხატიცა ყაფილა წმ. გიორგისა, რომელიც მეგრელებს მოუპარავთ სვანეთში ისევე, როგორც ყულისკარას წმ. გიორგის ხატი მოპარულია იმავე მეგრელებისაგან სვანეთშივე.

ჯეგეთაშის ეკლესია იმითაც იყო საყურადღებო, რომ შიგა ყოფილა საწყობი: რკინის ბოძლებსა, რომლებითაც, მეგრელებს აზრით, წმ. გიორგი სდევს ეშმაკებს და უწყალოდა ხოცავს, მაგრამ მათთვის ბოლო მაინც ვერ მოუღია. ამ ბოძალთა რაოდენობა მეტად ცვალებადია. ყოფილა წელიწადი, ეკლესია სავსე იყო თურმე ბოძლებითა; წელიწადი გამოერეოდა—რამდენიმე ბოძალი თუღა იქნებოდა დარჩენილი. ამით იგებდნენ წმ. გიორგის მმოსავნი, თუ რამდენს ეშმაკსა ჰხოცავდა მათი. სალოცავი ამა თუ იმ წელიწადს. საიდუმლოება იმ ბოძლების რაოდენობის ცვალებადობისა უნდა ვეძიოთ წმ. გიორგის მსახურთა შორის. საქმე ის გახლავთ, რომ ძველად ამ გაუქმებულ ეკლესიაში მისვლა და მთ უფრო შიგ შესვლა ყველას აკრძალული ჰქონდა. არამც თუ ეკლესიაში არ შეეძლოთ შესვლა, არამედ ერთი კილომეტრის რადიუსით იმ ადგილას, საცა ეკლესია იყო ამენებული, ფეხს ვერ დააკარებდა უბრალო სიკვდილის შვილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეკლესიის მსახურნი ამ გარემოებით სარგებლობდნენ და თავიანთი შეხედულების კვალად გამოაჩენდნენ ბოძლების რაოდენობას ზოგჯერ ბევრად, ზოგჯერაც დაკლებულად. ბოძლები რომ ცნობისმოყვარე თვალათვის არ ეჩვენებინათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამათი შესანახი ადგილის მოძებნაც არ გაუჭირდებოდათ ჯეგეს მსახურთ ჯეგეთაზე.

ამნაირად, თუ ილორის წმ. გიორგის თავის დღეობაში ღამით ხარი მოჰყავდა საიდუმლოდ; ამ სასწაულით თავის თაყვანისმცემელთა თვალში თავისი ავტორიტეტი მაღლა ეჭირა და თავის სახელს მოწი-

\* ჯეგეთას ეტიმოლოგია ასეთია: ჯეგე და მთა ანუ ჯეგეს მთა. თვით სიტყვა ჯეგე წარმოებულია სიტყვა ჯკირი-საგან, თვითონ ჯკირი ნიშნავს კარგს, წმინდას, წმ. გიორგისათვის ეს სახელიც უქვიათ.

წებით და კრძალვით წარმოათქმევინებდა. ილორიდან ძალიან შორს მდებარე ეკლესიის, მაგალითად, ხეთის წმ. გიორგისას, მართალია, ხარები არ მოყავდა დღეობაში, სამაგიეროდ აჩვენებდა ხეთელებს ბოძლებს, რომლებითაც ჰგმირავდა ეშმაკებს, მაგნე სულებს, თვისთა მშოსათა მტრებს... ხარისათვის კიდევ ხეთელები არ აწუხებდნენ წმ. გიორგის, თვითონ იძენდნენ ზოგჯერ ფულით და ზოგჯერ უფულოდაც, ილორის წმ. გიორგის მსგავსად.

ხეთის წმ. გიორგის დღეობა, როგორც ვიცით, აპრილის 23-ს იყო. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ბუკის ყვირილით მიღოდა ხალხი, რომელსაც მღვდელ-დიაკვანი მიუძღვებოდა ჭეგეთაზე ღამის სათევად. დაფნის ტყის სუნი სასაამოვნოდ უღიტინებდა ყნოსვას, ამ ტყეს უერთდება უზარმაზარი ხეები მუხისა, ცაცხვისა, იფნისა. ამ ხეთა შორის დგას ჭეგეთაც. მის გარშემო მდგარ ხეებს, როგორც წმინდა ხეებს, იმ თავითვე ადამიანის ხელი არ გაჰკარებია, რადგან მათი მოჭრა ადამიანისაგან არ ეგებოდა. მთელი ღამე თამაშსა და მხიარულებაში ატარებდნენ, მეორე დღეს, დილაადრიაანად, იქვე წყაროზე პირს დაიბანდნენ და იმავე წესით, როგორითაც ამოვიდოდნენ, დაეშვებოდნენ ქვევით წმ. გიორგის აწინდელ სარეზიდენციო ეკლესიაში.

პირთამდე სავსე, სადღესასწაულოდ დართულ-დაკაზმული ხალხით, როგორც აქაურით, ისე შორ სოფლებიდან მოსულით, ეკლესიაში წირვა გამოსულია და ხალხი იქვე, ეკლესიის ეზოში, გროვდება მოსასმენად იმ „გადაცემათა“, რომლებითაც სხვადასხვა დაზარალებულნი მსჯავრის დასადებად მიმართავენ თავიანთ მფარველსა და მეოხ ხატს წმ. გიორგისას.

სამეგრელოში სხვადასხვა დანაშაულობისათვის მრავალი ფორმა არსებობდა დამნაშავის დასჯისა. კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის, რომელიც სამეგრელოში მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა, ჩამოთვლილი აქვს უმთავრესნი სასჯელნი, რომელნიც უნდა მიეყენებინათ როგორც იმათთვის, ვისაც დაატყდებოდა ესა თუ ის დანაშაული, ისე იმათთვის, ვისაც აბრალებდნენ დანაშაულს, მაგრამ დამტკიცება არ შეეძლოთ და უნდოდათ წვალების საშუალებით იძულებულ ეყოთ გამოტეხილიყვნენ თავიანთს დანაშაულში.

ასეთი სასჯელი იყო: აღუდებულ წყალში ხელის ჩაყოფინება, ცალის ხელით ხეზე ჩამოკიდება, გახურებული რკინით თვალების ამოწვა, ცხვირის მოჭრა, გახურებული რკინით ხელის ან ფეხის მოჭრა და, ბოლოს, კაბიტალური სასჯელი—თავის მოჭრა მკრეხელობისათვის და სარზე დაკვრა და დიდ ცეცხლის პირად ტრიალება, სანამ დასასჯელი ცოცხლად არ დაიწვებოდა და სხვადასხვა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთის სასამართლოებში

ქმნა შემოდებული სამეგრელოში, აქ ხსენებული სასჯელით დასჯა დამნაშავეთა, რა თქმა უნდა, გადავარდა, მაგრამ დარჩა ძველი ფორმა დამნაშავის აღმოჩენისა და ან აღმოუჩენელი დამნაშავის დასჯისა, — ეს გახლავთ: ხატზე დაფიცება, ან და ხატზე გადაცემა, ე. ი. ხატისათვის მინდობა დამნაშავის აღმოჩენისა და შესაფერისად დასჯისა, რაც უდრის ევროპულ ორდალიას, იმავე ღვთის სამართალს.

როცა ვისმე რასმე დააბრალებდენ და მისი დანაშაულის დამტკიცება სხვაფრივ არ შეეძლოთ, ბრალდასადებს „ძლიერი“ ხატის წინაშე უნდა დაეფიცა თავის სიალამართლე.

დარჩენილია ამგვარი დაფიცების ერთი წერილობითი დოკუმენტიც, დაწერილი 1879 წელს.

ამ დოკუმენტისაგან ჩანს, რომ სოფ. ხეთის მცხოვრებს გვარდღაბია კუკავას ხეთისავე მცხოვრებ აზნაურ მიქელ კობახიძესათვის დაუწამებია ორი ცხენის მოპარვა. მიქელ კობახიძე, ვისაც ეწამებთან ცხენების მოპარვას, სასწაულმოქმედ წმ. გიორგის ხატის წინაშე ფიცულობს: დამნაშავე არა ვარო. თუ დანაშაული ვიყვე იმაში, რასაც გვარდღაბია კუკავა მეწამება ვთხოვ წმ. გიორგის გამოიჩინოს სასწაული და ერთ ღღეში გაგვათაოს მე, ჩემი ცოლი და ერთადერთი შვილი ჩემი ლავრენტი. ხოლო მთელი ჩემი საცხოვრებელი ხატისათვის დარჩესო. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ, ასეთ ფიცს შემდეგ, წმ. გიორგი არ დააყვენებდა თავის სასწაულის გამოჩენას. უკეთუ მოფიცარს არა ევენებოდა, მაშასადამე, მისი სიმართლე საჯაროდ აშკარა შეიქმნებოდა, ორის ცხენის მოპარვის დამწამებელს—გვარდღაბია კუკავას უნდა ეკისრნა: წმ. გიორგისათვის ორი ცხენი მოეყვანა, მისთვისვე შეეწირნა: ფულად ერთი თუმანი ოქროთი, ერთი ხარი, ერთი ვაცი; ხუთ-ხუთი მანეთი უნდა მიეცა მღვდლისათვის, დიაკვნისათვის, მეხატულ კვიკვინა კუკავასათვის; მიქელ კობახიძისათვის უნდა მიეყვანა დაკარგული ცხენების მსგავსი ცხენები; გარდა ამისა, ხელის შემოსავლები, ე. ი. ცილის მწამებელის დასალოცავად უნდა მოგვეცეს: მე, ჩემს ცოლს და ჩემს შვილს—თითო თუმანი თითოეულს, ფიცის დამსწრეთ 14 კაცს ხელის შემოსავლები—თითო მანეთი და, დასასრულ, 3 მანეთი დიაკვანს თომა კუკავას.

როგორც მკითხველი ხედავს, ცილისწამება ცილის დამწამებელს იაფად არ უჯდებოდა, და მოფიცარიც წმ. გიორგისაგან მოსალოდნელისხვისა და სასჯელის შიშით ვერ გაბედავდა ტყუილად დაფიცვას.

როცა დაზარალებულს ამოდ ჩაუვლიდა ვიზედმე ხელის დადება, ვიზედმე ეკვის მიტანა და ვერ აღმოაჩენდა თავის ცხენების ქურდს და, თანახმად მეგრელებში შემოდებულ ჩვეულებისა, იმდენის გადახდა მოუხდებოდა, რომ დანაკარგის ღირებულება იმის მეოცედიც არ იქნე-

ბოდა, ამ შემთხვევაში იგივე დაზარალებული უტყუარ და ნაცად საშუალებას—ხ ა ტ ზ ე გა და ც ე მ ა ს მიმართავდა.

იმავე წმ. გიორგის ხატს, რომელზედაც ეჭვით დააფიცა თავისი მეზობელი, ახლა თხოვნით მიმართავს: მოსძებნოს მისი ცხენების თუ ხარების ქურდი და ამ ქურდს მისის კისრიდან ამოაღებინოს თავისი ზარალი.

დაზარალებული ცდილობს „გადაცემა“ დაემთხვას წმ. გიორგის დღეობას. წმ. გიორგის მმოსავი მეგრელი ფიქრობს, რომ თავის დღეობაში, აბრილის 23-ს, წმ. გიორგი განსაკუთრებით ძლიერია და თავადაც ცდილობს ეკლესიაში მოზღვავებულ ხალხს დაანახვოს თავისი სიძლიერე და გაჭირვების დროს მზადყოფნა გაჭირვებულთათვის დახმარებისა.

ხეთელ მეგრელსა სწამს, რომ წმ. გიორგი შეისმენს მის ვედრებას, თავს გამოიდებს. მაგრამ იმავე მეგრელმა ისიც იცის, რომ გამრჩელს გასამრჩელოც უნდა, ამ ქვეყნად უსასყიდლოდ არაფერი კეთდება, თვით წმინდანიც კი თხოულობს გასამრჩელოს. იმასაც მიჰყავს ძღვნად მომავალ წელს სახარედ რომ გამოადგება, ისეთი მოზვერი, ფულადი შესაწირავი, საჩუქარი მეხატულისათვის, თაფლის სანთელი ხატის წინ დასანთები.

წინდაწინ მეხატულთან მოლაპარაკებული მთხოვნელი მოდის დღეობაზე, მოისმენს წირვას და წმ. გიორგის კარს მოსულ ზღვა ხალხში გაერევა „გადაცემის“ მოლოდინში. სალოცავად მოსული ხალხი, ეკლესიიდან გამოსული, გულისფანცქალით მოელის „გადაცემის“ მოსმენას, ე. ი. წმ. გიორგისათვის მინდობას დამნაშავეს დასჯისა და პასუხისგებინებისა. გადაცემას უეჭველად უნდა მოჰყვეს სასწაულის გამოჩენა: ქურდის აღმოჩენა და მისი მიყვანა სიკვდილის პირად, სანამ გადამცემი და დაზარალებული დამნაშავეს არ შეუწოდოს და თავს არ დაალოცვინებს იმავე წმ. გიორგის სახელით.

მაღალი, თეთრწვერა, დიდ ულვაშებიანი, მაღალშუბლიანი, გრძელ ცხვირა, ენერგიულის ხასიათის გამომეტყველი სახისა, დიდად შორსმჭვრეტ თვალებიანი, მაღალი ხმის პატრონი კვიკვინა კუყავა პირჯვრის წერით და მოწიწებით ეკლესიიდან გამოასვენებს წმ. გიორგის ხატს, რომელსაც წითელი აბრეშუმის პერანგი ჰმოსია, მოწიწებითვე ასვენებს შედიმეტრიან სიმაღლის ხის სამრეკლოზე; პირჯვრის წერით პერანგს შემოხსნის ხატს, რომელსაც მარჯვენა ხელში დაიჭერს და პირს სამხრეთისაკენ შეაქცევს ისე, რომ მზე ვერცხლის ხატს პირდაპირა ხვდებოდეს და მისი ანარეკლი კიდენ მაყურებელთა თვალებს სჭრიდეს.

ასე დაიწყებს:

„წმინდაო გიორგი, ძლიერო! დაილოცოს და იდიდოს სახელი შენი! ზომ ზედავ, რამდენი ხალხი მოსულა შენს კარს, შენს დღეობას, შენის წმინდა სახელის სადიდებლად, შენს თაყვანისსაცემლად! ყველა, დიდი თუ, პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა მხიარულობს, ყველას, შენს მავედრებელს, იმედი აქვს, რომ შენ ჰყევხარ მეოხად, მწედ და მფარველად ყოველ გასაჭირში, ყოველ უბედურებაში. შენც ნუ მოაკლებ შენს მოვედრე გაჭირებულთ შენს წყალობას, დაიხსენ მავნესაგან, გზადაკარგული სწორ გზაზე დააყენე, დავრდომილს—ხელი აღუპყარ, ჭირში მყოფთ,—ჭირი ღზინად უქციე, რომ მარად ადიდონ სახელი შენი!..

„წმ. გიორგი, ძლიერო! აქ, შენს კარს, მოსულა ერთი საწყალი კაცი, გვარდღაბია კუკავა. ვიდაც შეჩვენებულმა ორი ცხენი მოჰპარა. ხან ვის დასწამა ქურდობა, ხან ვისა, მაგრამ დაკარგულის კვალს ვერ მიაგნო. ახლა შენი ფეხთა მტვერი მონა გთხოვს აზოვნირო ქურდი. წმინდაო გიორგი! შენ იცი, რამდენი ვარსკვლავია ცაზე, შენ შეგიძლია დასთვალო, რაც ზღვის ფსკერზე ქვიშაა! შენ იცი, თუ რამდენი ჭაფურია\* მთაზე. იდიდოს სახელი შენი! შენს თვალებს არაფერი დაემალე-ბა!.. აბა სად შეუძლია დაგემალოს გვარდღაბია კუკავას ცხენების ქურდს! ვინ ცის, რამდენჯერ გამოგიჩენია შენი სასწაული, რამდენჯერ გაგიკვირებია შენნი მმოსავნი და თაყვანისმცემელნი!.. გვარდღაბია კუკავამ მოგართვა მსუქანი, საგაისოდ საზარედ გამოადგებოდა, ისეთი მოზვერი, ხუთი მანეთი ოქროს ფული, სანთელი. კიდევ გპირდება მოგართვას შესაწირავი. შენ იცი, როგორ მიჰხედავ გაჭირებულს! აზოვნირე ქურდი, ჩააწვინე ლოგინში და სულ გვარდღაბიას სახელი აძახებინე: მიშველე და მიშველეო! და სანამ გვარდღაბიას მისს ცხენებს და ან მათს სამაგიეროს არ დაუბრუნებს, შენს კარს შენთვის ხარს არ მოიყვანს, ფულს არ შემოგწირავთ როგორც შენ, ისე შენს მოსამსახურე მხატვლს, ნუ მისცემ ხსნას, სულ გვარდღაბიას სახელი აყვირებინე... იდიდოს სახელი შენი, ჩვენო წმინდა გიორგი, ჩვენო მხსნელო, ჩვენო მფარველო! შენი სიტბო (ტიბინი) არ მოაკლო, ვინც დღეს შენს კარს მოსულა ან და მოსვლა უნდოდა და ვერ შესძლო მოსვლა“...

მოზღვავებული ხალხი ქვევიდან ერთხმად შესძახებს გუგუნით: „ამინ!“..

იმავე მოწიწებით წამოასვენებს მხატვლი ზატს ქვევით და დაასვენებს ეკლესიის კანკელის მარჯვენა მხარეს.

გადამცემელი დარწმუნებულია, რომ წმ. გიორგი გამოაჩენს თავის ძლიერებას და დაზარალებულს აზოვნირებს ქურდს.

ქურდი-კი, უნდა ვიფიქროთ, სალოცავად მოსულემს გვერდით

\* მეთაფლია ბალახი საპეგრელოს მთებზე იცის და ეძახიან ჭაფურბას.

უდგას, ხედავს ყოველსავე, ესმის—რა დამაჯერებლობითი ხასიათისა იყო მეხატულის, წმ. გიორგის ერთგული მსახურის, კვიკინა კუკავას, წმ. გიორგისადმი მიმართული სიტყვები, იცის, რა ძალაცა აქვს ამ სიტყვებს გადაცემისას. დიდი ხანია, მოელოდდა ამ გადაცემას. ახლა რაკი წმ. გიორგის „გადასცეს“, რაკი მას ჩააბარეს საქმის მოგვარება, მის რისხვას ველარ გადაურჩება, წამწარდება ყველაფერი, ძვირად დაუჭდება ქურდობა, გვარდღაბიას ცხენების მოპარვა, შეიძლება სიკვდილიც კი მოადგეს კარებზე...

და აპა, ქურდს, დადარდიანებულს, გამწარებულს არა შორდება შიში, რომ წმ. გიორგი, რომელსაც მოპარულ ცხენების პატრონმა ასეთი ძვირფასი ძღვენი მიართვა, თავს გამოიღებს, თავის სასწაულობის გამოჩენას არ დაახანებს, ჩაადებს ლოგინად ქურდს, აყვირებს წმ. გიორგის სახელს...

დადის იქით-აქეთ ქურდი დაღონებული, თავჩაქინდრული. გადაცემას შემდეგ არ გაუვლია ერთ კვირას, ლოგინად ჩაწვა. აბოდებს, ხმა-მალლა იძახის წმ. გიორგის სახელს, ცხენები მე მოვიპარეო, ნუ მომკლავ, შენი სახელის ჭირიმე, მაპატივე, მეტს აღარ ვიზამო.

ჭზავნიან კაცს ცხენების პატრონთან, ეხვეწებიან „ალობის“ (შენდობის, პატივების) მიცემას, „თავზე შემოვლებას“ ფულისას, ჰპირდებიან—ერთი-ორად გადაუხდით მონაპარსაო. ცხენების დამკარგავიც თანხმდება. მოდის ქურდის სახლში, თავზე ფულს შემოაგვებს. ამ შეშოვლებით ფულს გაატანს ავადმყოფის ყოველსავე ჭირს, შესთხოვს წმ. გიორგის მის მორჩენას: შენს კარს გეახლებით და მოგართმევს შენს საკადრისს ძღვენს თავის დასახსნელადო...

ამას მოჰყვება ორსავ მხარის მიერ წმ. გიორგის ეკლესიაში წასვლა, ძღვენის მიტანა, მეხატულის ჩარევა საქმეში, შუამდგომლობა რომ წმ. გიორგიმ ინებოს და აპატივოს დამნაშავეს, ნუ მოჰკლავს. ძღვენის მირთმევა, მეხატულისათვის შესაფერის ჰონორარის მიცემა შრომისათვის... ორსავ ცხენის საფასურს პატრონს აძლევენ. ორივე მხარე დაკმაყოფილებულია. დავა თავდება და ერთიცა და მეორეც დაკმაყოფილებულნი თავიანთ სახლებში ბრუნდებიან.

ეს არის წმ. გიორგის მიერ თავის ქვეშევრდომთა გასამართლება სცენაზე ყველაფერია: უზენაესი მოსამართლე, ძღვენი, ქრთამი, ურთმლისოდ არაფერი კეთდება, თუ გნებავთ, წმ. გიორგისთანაც კი. ამ ძღვენის წყალობით ხდება წმ. გიორგის მიერ ამ ქვეყნად მცხოვრებთა შინაურ საქმეებში გარევა, მათი შეკავება ავი საქმისაგან, მათი დამორჩილება კონტროლი მათი საქციელისა, ერთგვარი აღვირის ადება, ელემენტარული შეგნებისა სოციალური ურთიერთობის კანონებისა.

ყოველივე ამას გასავალი ჰქონდა ჯერ კიდევ ამ სამოცდაათი წლის

წინათ, წმ. გიორგი, როგორც სრული უზენაესი ბატონი, ბრძანებლობდა ჯეგეთას მთიდან; მასა და ხეთელებს შუამავლად და ხალხისათვის მისთა ბრძანება-სურვილთა გადამცემად და ხალხის სურვილ-თხოვნის მომხსენებლად იმავე წმ. გიორგისათვის ჰყავდათ მეხატული კვიკვირა კუკავა.

მას აქვთ ბევრი რამ გამოიცვალა. ჯეგეთაზე წმ. გიორგის ბოძლები აღარ არის. ტყე, რომელიც ეკრა ჯეგეთას და რომელსაც სიკვდილის შვილი სათოფეზე ახლოს ვერ ეკარებოდა, დღეს გაკაფულია, ქვემოთ, ვაკეზე, ხის ეკლესია, სადაც ესვენა წმ. გიორგის ხატი, თავის ალაგას აღარა დგას. ამიერ სოფლით გადასულია მისი მეხატული კვიკვირა კუკავა და ეკლესიის სამრეკლოდან აღარ ისმის მისი მჭექარე და შიშის ზარის დამცემი მიმართვა წმ. გიორგისადმი სასწაულის გამოსაჩენად. კუკავებსაც ცხენების ქურდობაზე ხელი აუღიათ, მით უფრო, რომ მოსაპარი ცხენები არავისა ჰყავთ, ასე რომ წმ. გიორგის შეწუხება და ქურდების გადაცემა საჭირო აღარ არის თურმე...

დიახაც რომ იცვლება ქვეყანა და მასთან ერთად იცვლება მასზე მცხოვრები ხალხიცა!..

## საქორწილო ჩვეულებანი სამეგრელოში\*

სიღარიბე ლიტერატურისა სამეგრელოს ჩვეულებათა შესახებ.—ნათესაობა. — სისხლით ნათესაობა. — ტაბუ ანუ მეგრული „ვაშინერა“ (არა ჰხამს).— გვარი. — მოგვარე. — მოკიმაღეფი (თანამომეფები). — ეგზოგამია. — ცულ ქმრულს წესით ნათესაობის დამყარება. — ხელოვნური დახათესავება, ახუ რომაული ადობტაცია. — უშეკლობა. — მამრობითი სქესის შვილი, როგორც განმგრძობი შთამომავლობისა. — მნიშვნელობა მღედრობითის სქესის შვილისა.—წილება—„სქუაშ მითორგინაფა“ (შვილის შეგორება ლოგინში)— შემოფიცება შვილობსა ან სხვა რამ ნათესაურ კავშირზე ანუ „ომორგულე თიმაშ მუკოკოთამა“ (სამგლოვიარს: თმის ჩამოგდება). — სქუა ფუჩაფილი (შვილნაფილი). — „ქუქუშ კაბირაშ გედგუკა“ (ქუქუშე კბილის დადგმა). — შვილის გაძიძავება. — საეკლესიო ყმა.

ქართველ ტომთა შორის, სვანებისა, ფშავთა და ხევსურთა შემდეგ მეგრელთ ჩვენს დღემდე შემოუნახაეთ საქორწილო ჩვეულებანი, შეიძლება ითქვას, თავიანთის ძველებური სიწმინდითა და ხელშეუხებლობითა, და ამასა ვხედავთ ქრისტიანულ სარწმუნოების გვერდით, რომელიც სამეგრელოში შემოვიდა იმ დროსვე, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში. ქრისტიანობამ, როგორც სახელმწიფო სარწმუნოებამ, მართალია, სასტიკი ბრძოლა აუტეხა მეგრულ საქორწილო ჩვეულებებს წარმართულ დროებათა ამ ცოცხალ ძეგლებს, ხსენებულ ჩვეულებებშიც გაუძლეს ბრძოლას და შემოინახეს ყველა სტადიები ქორწილის თანდათან ევოლუციისა. ძველებური ქორწილის მკვლევარი მეგრულ საქორწილო ჩვეულებებში ხედავს ამა თუ იმ ხარისხით ყველა დამახასიათებელ სახეს იმ ჩვეულებათა: ეგზოგამიას, პატარძლის მოტაცება შეიარაღებულის ძალითა, მის ყიდვას, სცენაზე მზითვის გამოჩენას როგორც ნიშანს დედაკაცის ემანსიპაციისა, ნიშან-კვალს მატრიარქატისა და პატრიარქატისა, პოლიგამიისა და მონოგამიისა და მ. სხვ.

მეგრელთა ცხოვრების ამ მეტად საინტერესო მხარის შესახებ საეთნოგრაფიო ლიტერატურა, შეიძლება ითქვას, არ არსებობს, თუ ასეთად არ ჩავეთვლით რამდენსამე-ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობას, კავკასიის

\* პირველად დაიბეჭდა 1916 წლის „Петроградские Ведомости“-ის 176, 178, 181 და 191 ნომრებში.

სამოსწავლო ოლქის მიერ გამონაცემ „Сборник по описанию местностей и племен Кавказа“-ში მოთავსებულს; ამას უნდა მივუმატოთ აგრეთვე ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები საშუალო საუკუნეთა მოგზაურებისა და კათოლიკე მისიონერებისა, რომლებიც საქართველოში მე-16, 17 და 18 საუკუნეებში იღვწოდნენ. ამ მხრივ არამც თუ რუსული ლიტერატურაა დარბი, თვით ქართული ლიტერატურაც ვერ დაიკვეხებს სიმდიდრეს! შეუძლებელია ესა თუ ის ცნობა მეგრული ქორწილის გამოსაკვლევად საზოგადო ქართულ ფოლკლორიდან ამოვკრიბოთ, რადგან ეს უკანასკნელი ამ ბოლო ხანამდე ძალიან ცოტაა შეკრებილი, იმისას ნუღარ ბრძანებთ, რომ რაც მასალა შეკრებილია, ისიც დამუშავებული და სისტემატურად დალაგებული არ არის.

ამ სპეციალურ ლიტერატურის უქონლობით უნდა აიხსნას ნაწილობრივად ის გარემოება, რომ მსწავლული მკვლევარი კავკასიის ტომთა საადათო სამართლისა, განსვენებული მაქსიმ კოვალევსკი, თავის შრომებში მეგრელებს თითქმის არ იხსენიებს და მისნი დასკვნანი კავკასიის ხალხთა პირველყოფილ ქორწილისა და სოციალურ სტრუქტურის ამა თუ იმ თეორიის სასარგებლოდ არ ემყარებიან ძველებური ცხოვრების გადანაშთთა. რომელნიც კიდევ შენახულან ჩვენს თანამედროვე მეგრელთა შორის.

ეს წერილი მეგრელთა ცხოვრებისა რეზულტატია ჩვენი პირადი და უშუალო დაკვირვებისა. მხოლოდ ნაწილობრივ მოვიშველიეთ ლიტერატურა, რომელიც, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მეტად მჭირ მასალას იძლევა. ამასთან, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ აღწერილი საქორწილო ჩვეულებანი ასე თუ ისე წმინდად შემონახულნი არიან საქართველოს ამ ნაწილს იმ კუთხეებში, რომელნიც გეოგრაფიულად გონებრივსა და სადმინისტრაციო ცენტრების უშუალო გავლენას დამორებულნი არიან. სამეგრელოს ასეთ ნაწილებად ითვლება, ერთის მხრით, სამურზაყანო და მეორეს მხრით—სამხრეთ-დასავლეთი სამეგრელოსი ანუ ზუგდიდის მაზრა და ნაწილი სენაკის მაზრისა. იმერთის მოსაზღვრე ნაწილი სამეგრელოსი, საცა რკინიგზა გადის და სადაც თანამედროვე კულტურა უწყალოდ სდევნის ძველისძველ ზნე-ჩვეულებებს, ამ მხრივ სამეგრელო თანდათან ჰკარგავს ფოლკლორის მოყვარულის თვალში მთელ თავის ფასსა.

მაგრამ სანამ შევუდგებოდეთ საკუთრივ საქორწილო ჩვეულებათა აღწერას, საჭიროდ მიგვაჩნია გამოვარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს მეგრელისათვის ცნება ნათესაობისა, რომლითაც ის ხელმძღვანელობს ცოლის შერთვის დროს.

გარდა საცოლესი და მის მთხოვნელი ვაჟის ან მათთა მშობელთა უთანხმოებისა, დაქორწინების დამაბრკოლებლად მეგრელებში მთავა-

რია ისა, თუ რა ხარისხით ენათესავებიან ერთიმეორეს საქორწილო ქალი და ვაჟი. როცა დამაბრკოლებელი მიზეზი არაფერია და კითხვა დადებითად გადაწყდება, ამ ნათესაობის კავშირზე მეგრულად იტყვიან შინერს, ე. ი. ხსენება შეიძლება (რაზედაც ლაპარაკია). ხოლო ოდეს ნათესაობის კავშირი ეწინააღმდეგება ცოლქმრობას, ამ შინერსს მიემატება უარყოფითი თავსართი ვა (არა) და მივიღებთ სიტყვა ვაშინერსს, ე. ი. არ შეიძლება, ნებადართული არ არის, ცოდვაა, არა ჰხამს ანუ პოლინეზიელთა მიერ ხმარებული და საეთნოგრაფიო ტერმინოლოგიაში მიღებულია—tabou-ა.

მეგრელთა შორის სამი ნათლად გამოხატული სახეა დანათესავებისა: 1) ნათესაობა დაბადებით (ბუნებრივი) ან სისხლით, 2) ნათესაობა ქორწილის საშუალებით და, დასასრულ 3) ნათესაობა ხელოვნური.

სისხლით ნათესავებად ითვლებიან ყველანი, ვინც საერთო მშობლებისაგან არიან დაბადებულნი. როგორც პირდაპირ, ისე გვერდითი შტოთი.

მეგრული ნათესავი უდრის ქართულ ნათესავს და ჰნიშნავს: ერთთელი ისაგან ამოსულს. სისხლით ნათესავებს აქ ყველას აქვს ერთი საერთო ძირი ანუ მეგრულად „ჯინჯი“, რომელზედაც აღმოცენდება და შტოებს იკეთებს საგვარეულო ხე. დამახასიათებელია მეგრულად ყველაზე ძლიერი წყევლის ფორმულა: სქანი ჯინჯამოგეშალაფეღე ანუ ძირიანად ამოგარდი, ე. ი. გადაშენდი ძირფესვიანად!.. ძირად მხოლოდ და მხოლოდ ითვლება ვაჟი. ძალიან შორებელ ნათესაობის ნიშნად მიღებულია ერთი საერთო გვარი, რომელსაც ატარებენ ყველანი, ერთისა და იმავე ძირისაგან ნაშიერნი. თვითონ გვარი ჰნიშნავს: მსგავსს, დაკს. მოგვარე იქნება, ვინც მეორესა ჰგავს. ასეთი ერთის გვარისანი, დაბადებულნი საერთო მშობლებისაგან, ერთიმეორისათვის ითვლებიან „მოჯიმალეფე“-ებად ანუ თანამომეებად, ხოლო მათი კრებული—ერთ საზოგადო ერთეულად ანუ ევროპულად კლანად—საჯიშალოდ ანუ კიდევ საძმოდ (confraternité).

თვისთავად იგულისხმება, რომ მღვდრობითი სქესის წევრნი, თანამომეება შორის დაბადებულნი, ითვლებიან დებად თანამომეებათათვის, და, მამასადამე,—არ შეუძლიათ მისთხოვდნენ ცოლებად. ამ ქალებმა საქმროები სხვა გვარის ვაჟთა შორის უნდა ეძებონ ანუ, საყოველთაოდ მიღებულ ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ, აქ საქმე გვაქვს უმკაცრეს ეგზოგამიასთან, რომლის ძალით მამაკაცთ აზრდაც კი არ უნდა გაიტარონ თავიანთი გვარის ქალების შერთვის შესაძლებლობა, ცოლად შეუძლიათ მოიყვანონ მხოლოდ სხვა გვარის ქალი.

ცხადია, რომ ამავე მკაცრ ეგზოგამიაში უნდა ვეძებოთ ახსნა იმ ჩვეულებისა, რომლის ძალით გასათხოვარი მეგრელი ქალი ერიდება

შეხვედრას სხვა გვარის მამაკაცთან და მით უფრო უხამსობად მიაჩნია დაელაპარაკოს მას მარტო იმ შემთხვევაშიაც კი, როცა სიყვარული უნდა გამოუცხადონ ერთმანეთს. ყოველ ასეთ შემთხვევაში ქალი, დაისწრებს თავის ნათესავს ვისმე ან ერთმოგვარეს, ან კიდევ ხანშიშესულ ქალს, რომლებიც თარჯიმანებად უნდა გაუხდნენ გასათხოვარ ქალსა და „შხვამთურს“—უცხოს, გარეშეს, სხვა გვარის კაცს! ამავე ეგზოგამის კანონს ემორჩილება მეგრელი ქალი, როცა თავის სოფლიდან მიდის სხვა, მეზობელ სოფელში, საცა სხვა გვარის მამაკაცი სახლობენ. ამ შემთხვევაში ასეთს ქალს მიჰყვება თავისი მოზრდილი ნათესავი მამრობითი სქესისა ან მოგვარე, უკიდურეს შემთხვევაში, მოზარდი, თუნდაც 10—12 წლის ბიჭი, რომელსაც როგორც მამრს, ეკისრება მისი პაეობა, მისი ცვა-ფარვა.

რაც შეეხება ცოლქმრული წესით ნათესაობის დამყარებას, მეგრული ეგზოგამია გაცილებით შორს მიდის, ვიდრე ამის წარმოდგენა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო სხვა ხალხთა ეგზოგამიის კანონის გაცნობით. როცა ქალ-ვაჟი ცოლ-ქმრულის კავშირით შეუღლდება, ორი ოჯახი, რომელსაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ეკუთვნის, ისე დანათესავდება ერთიმეორეში, რომ მეტი გათხოვება-გამოთხოვება ამ ორ ოჯახს შორის, მეგრულის წესით, „ვაშინერს“, ე. ი. აკრძალულია, არ შეიძლება, არა ჰხამს. შეუღლება უდრის სისხლის აღრევას, ნათესაურის კანონის დათრგუნვას. ქმარი, რომელიც ცოლთან ერთად თამაშობს მთავარ როლს ახალ სანათესაო კავშირის დადებაში, ქალის ნათესავებისათვის არის სინჯა (სიძე); თავის მხრივ, პატარძალი ქმრის ნათესავებისა და თანამოგვარეთათვის ითვლება ნ.ო.ს.ად (რძლად).

რაც შეეხება ხელოვნურ დანათესავებას, უნდა ვსთქვათ, რომ მეგრელი მამის იდეალი და ნატურის საგანია: შთამომავლობის ყოლა; ამისთვის ამ ქვეყნად ცხოვრების დედააზრია—უძეოდ არ გადაშენდეს. თუ ვინცობაა, თუ ამ იდეალს ბუნებრივის გზით არ ეწია, მის მისაწვეწვლად ცდილობს მიმართოს ლათინურ ადოპტაციას: ხელოვნურად შეიპინოს შვილი, იშვილოს სხვათა შვილი. მხოლოდ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მეგრული ადოპტაცია არ განისაზღვრება უშვილო მშობლების მიერ სხვათა შვილის შვილებით, არამედ ამ ჩვეულებით მეტად ფართოდ სარგებლობენ მეგრელები ცხოვრებასა და მის გაჭირვებულ პირობებთან ხმალამოლებულ ბრძოლაში.

უშვილო მეგრელს შეუძლია იშვილოს არამც თუ სხვათა ვაჟი, არამედ შეუძლია რომელიც გინდა გარდაცვლილს ნათესავს უმაგიეროს სხვა ცოცხალი მეზობელი. ასე რომ მეგრელი თვითდაცვის გრძნობის კარნახით დაუყოვნებლივ აღადგენს ყოველგვარ დანაკარგს, რომელიც მის

ოჯახში მოხდება. ასე, მაგალითად, ვაჟს შეუძლია გარდაცვლილ მამის მაგივრად სხვა ახალი მამა შეიძინოს, დას შეუძლია—ძმა შეიძინოს, ძმისწულს—ბიძა და სხვადასხვა.

უშვილობა მეგრელთ, როგორც საერთოდ ქართველებს, დიდ უბედურებად, ღვთის სასჯელად მიაჩნიათ. საჭიროდა ვთვლით აქ მოვიხსენიოთ, რომ საზოგადოდ უშვილობად ითვლება უყოლობა შვილებისა როგორც ვაჟისა, ისე ქალისა. მაგრამ მეგრელისათვის უმთავრესად უშვილობად ითვლება მამრობითი სქესის შვილის უყოლობა. მეგრელისათვის მდებარეობითი სქესის შვილი უშვილობას უდრის: ქალი არ შეიძლება უთამომავლობის განმგრძობად, უმამაკაცო სახლში კერაზე ცეცხლი ჰქრება...

მეგრელის ოჯახში ქალი მოკლებულია ყოველგვარ უფლებას, ქმარი მისი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია, და როგორც ასეთს ცოლს სიტყვისშეუბრუნებლად ემორჩილება ყველაფერში. მამრობითი სქესის ბავშვი რომ იბადება ოჯახში, ამ შემთხვევაში სახლს გარეთ მყოფ ქმარს მახარობელი ახარებს ამ სასიხარულო ამბავს. გახარებული მამა ასაჩუქრებს მახარობელს; თოფებსა სცილიან, ოჯახის წევრები ყველანაირად ხარობენ... ქალის დაბადება—კი თითქმის უჩუმრად ჩაივლის. ამ შემთხვევისათვის მეგრელებს შემდეგი თქმა აქვთ: თუ მოსაუბრეს უნდა შეატყობინონ ამა თუ იმ წამოწყებული საქმის სასიხარულო შედეგებზე, ბოში რე ანუ „ვაჟია“, ე. ი. ის საქმე, რომელზედაც ლაპარაკია, სასურველად დამთავრდაო; მარცხის გამოხატველი სიტყვა „ძაბი რე“ ანუ ქალია.

„ღვთის სასჯელის“ შესამსუბუქებლად, უბედურობის ასაცდენად უშვილო მეგრელი ცდილობს იშვილოს (სქუალაფა) სხვათა შვილი, აღზარდოს საკუთარი შვილივით, რომ სიბერისას ნაშვილევმა მოუაროს, უპატრონოს, მტრისაგან დაიფაროს, ყოველგვარ განსაცდელისა და გაჭირვებისაგან იხსნას; მის სიკვდილს შემდეგ „კერაზე ცეცხლი არ ჩააქროს“, მისი სახელი არ დაჰკარგოს, იზრუნოს მის სულისათვის, მის საფლავზე საკურთხები (ტაბლები) მოიტანოს და სხვ.

შვილად აყვანის აქტი მაშინ-ღა ითვლება ნამდვილად, კანონიერად, როცა შეასრულებენ ჩვეულებას, რომელიც მაყურებელზე სტოვებს უშვილო დედაკაცის მიერ შვილის შობის შთაბეჭდილებას. შვილად იყვანენ, ჩვეულებრივ, ყველაზე ღარიბ მშობლების შვილს, ანდა აკრძალულ სიყვარულის ნაყოფს. შვილად აყვანის ცერემონიის რამდენსამედიდის წინათ, მომავალს დედას თავი ისე უჭირავს, როგორც ორსულობის უკანასკნელ დღეებში მყოფ მშობიარეს: მუცელზე ბალიშს იკეთებს, რომ გამობერილად ეჩვენოს მაყურებელს; ნელა მოძრაობს, კვნესით და სულის ბრუნებით. მეზობელი ქალები მის მდგომარეობას თა-

ნაგრძობით და სერიოზულად უყურებენ, ეკითხებიან, თუ როდის მოილოგინებო. ბოლოს, თვით „მოლოგინებაც“ დადგება: „მშობიარე“ ლოგინში ჩაწევა, კენესის სწორედ ისე, როგორც ბავშვის დაბადების დროს მელოგინენი. ბებია თავს დასტრიალებს, რჩევას აძლევს, ამშვიდებს... და ამ დროს... ლოგინში შეუგორებენ ბავშვს. აქედან დაერქვა თვით პროცესი: „სქუამ მითორგინაფა“ (შეგორება შეილისა). ბავშვის ატირების დროს ყველანი ჩქარობენ მოულოცონ დედას მშვიდობით შექენა ვაჟისა. მშობიარე კიდევ რამდენსამე დღეს დარჩება ლოგინში, ამ შემთხვევაში საჭმელად აძლევენ საგანგებოდ მომზადებულ ტიბულს (თბილს) ანუ სახვრებ მსუბუქ წვეს. ახალი მშობლები „ნაშვილევს“ ისე ზრდიან, როგორც საკუთარს. მეზობლებიც ასეთადა სთვლიან.\*

იმავე თვითდაცვის გრძობამ აიძულა მეგრელი დაედო საფუძველი და შემდეგ მიეცა სახე და ძალა კანონისა. იმ ჩვეულებისათვის, რომლითაც ესა თუ ის გარეშე პირი ოჯახში გადაცვილი ამა თუ იმ წევრის მომავლიერდა ხდებოდა. მაგალითად, მამას მოზრდილი ვაჟი რომ მოუკვდებოდა და მეტი ვაჟი არა ჰყავდა, მიცვალებულის გლოვის ნიშნად თავზე თმას გადაიპარსავდა, მოუშვებდა თმას გაუკრეჭავად მთელის წლის განმავლობაში, ე. ი. გლოვის გათავებამდე. გლოვა რომ გათავდებოდა, შეიგულვდა ვისმე ახალგაზდას, რომელიც თავის თვისებებით დაახლოებით მიცვალებულს ემგვანებოდა, ვისმე მიანდობდა მოჰლაპარაკებოდა ახალგაზრდას, რომ „შემოეთიცნა მის შვილობაზე“ გარდაცვალებულის მაგიერ ანუ მიცვალებულის მოსაგონებლად დაყენებული „სამელოგიარო“ თმა ჩამოეგდო („ომორგულე თუმამ მუკოყოთამა“). ასეთი ხასიათის თხოვნის შესრულებაზე თანხმობის გამოცხადება მეგრელთა შორის მიჩნეულია წმიდა აქტად, უდიდეს სათნოების აქტად, და ის, ვისაც თხოვნით მიჰმართავენ, დიდის სიამოვნებით თანხმდება და თან განაცხადებს შიშს—ვაი თუ ვერ გამოვლდე ღირსეულ შვილობილად და ვერ გავამართლო თქვენი იმედებით.

\* მეგრული „სქუამ მითორგინაფა“ მოგვაგონებს აფრიკის ზოგიერთ ტომთა ასეთსავე ჩვეულებას, რომელსაც ლიტერატურაში ეძახიან Cuvade-ს ანუ გომოჩეკას. „გამოჩეკა“ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში იტოლნენ თანამედროვე მეგრელების წინაპრებმა—ტიბარელებმა (მეგრულად—ტბაზე მოსახლეები). რომელნიც თანამედროვენი იყვნენ ალექსანდრიის პოეტის აპოლონ როდოსელისა.

ტიბარელები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, იქ დღესაც ცხოვრობენ მეგრელები ანუ იგივე ლაზები, რომელნიც იმავე ოდნავად სახეცვლილ მეგრულით ლაპარაკობენ. აი რასა სწერს აპოლ. როდოსელი ამ ჩვეულების („სქუამ მითორგინაფა ანუ ვაჟის შეგორება“) შესახებ: „ორსული ქალი მოილოგინებს თუ არა, მისი ქმარი მოყვება კენესას, ჩაწევა ლოგინში და თავს შეიხვევს. ამ დროს ქალებს მოაქვსთ მასთან ყუათის მომგვრელი საჭმელი, ტანის საბანად წყალს უცხელებენ, როგორც ამას უშვრებიან მელოგინე ქალებს“ („Argonavtide II, Apollonius de Rhodes, ნაოჩეგი Charles Letourneau-ს მიერ მის „Marriage primitif“-ში. გამოცემა 1889 წ. პარიზი).

დანიშნავენ „სამგლოვიარო თმის ჩამოგდებისა“ და ახალ მშობლებს შვილად გახდომის ფიცის დადების დღეს. ამ დღისათვის ამზადებენ სადილს, რომელზე მეზობლებსაც ჰპატიობენ, რომ ახალი „ნათესავე-ბის“ მოწმენი და დამადასტურებელნი იყოლიონ სადილზე. მიმავალი შვილი ხელში აიღებს მაკრატელს და ყველას თანდასწრებით სამჯერ ჩამოკრეჭავს თითო ბლუჯა თმას თავის მომავალ მამის თავიდან და ყოველ ჩამოკრეჭაზე დაატანს ფიცის საიდუმლო ფორმულას: „შენ—მამა, მე—შვილი“. ასეთს შვილს ეწოდება „შვილნაფიცი“ („სქუა (ფუ) ჩაფილი“ ანუ შემოკლებულად—„სქუაჩაფილი“) გასარჩევად ჩვეულებრივის „სქულაფიროსაგან“ (ნაშვილევი). პირველ თმას რომ ჩამოიგდებს მამა, ერთ-ერთ მეზობელს დარჩენილს თმას გადააპარსვინებს თავიდან\*, იხდის სამგლოვიარო ტანისამოსს და, დამსწრეთა სასიხარულოდ, იცვამს „სამხიარულოს“ ანუ ჩვეულებრივს, ყოველდღიურს ტანისამოსს.

აქ თავდება სამგლოვიარო ტანისამოსის ტარება და გლოვა მიცვალებულისა, რადგან სცენაზე გამოდის მის მაგიერი ადამიანი. როცა ახალგაზრდა კაცი მამასთან ფიცის წესს შეასრულებს, ახალგაზრდა კაცი მიდის თავისს მომავალ დედასთან და მის გამოყრილ ძუძუებზე „კბილებს დაადგავს“—ვითომ ძუძუთა ბავშვია და ძუძუსა სწოვს და თან დაატანს ფიცის ლაკონიურ ფორმულას: „შენ—დედა, მე—შვილი“.

მეგრულად ამ ჩვეულებასა ჰქვიან „ძუძუმ კიბირიშ გედგუმა“ ანუ „ძუძუზე კბილის დადგმა“. ამ აქტს შემდეგ ახალგაზრდა კაცს თავი ისე უჭირავს, ვითომ სახლიდან დიდი ხნის წასული შვილი ახლა გამოჩნდა. ყველა გაახარაო, ოჯახის წევრებს—დიდსა თუ პატარას, ყველასა ჰკოცნის, როგორც ახალი წევრი ამ ოჯახისა.

სახლის უფროსი შვილფიცულისათვის ამ წუთიდან გადაიქცევა მამაფიცულად (მუმა(ფუ)ჩაფილი), ე. ი. კაცი დაფიცებული მამობა გაუწიოს ვისმე, მისი ცოლი კი—დედაფიცულად (დიდა(ფუ)ჩაფილი); შვილები მანრობითი სქესისა იქნებიან ძმაფიცულები, ქალები—დადეფიცულები. დამსწრე მეზობლები „ახალ დანათესავებულებს“ ულოცავენ ამ ამბავს და ორსავე მხარეს ქებას უძღვნიან. ცერემონიას მოჰყვება შემთხვევის შესაფერი სადილი. სადილზე მიცვალებულის შესანდობარს რომ დაღევენ, სვამენ ამ ოჯახში მიცვალებულის ადგილის დამჭერზე საღვთაძელოს, უსურვებენ ახლად დადებულ ნათესაობის კავშირის განმტკიცებას და სხვადასხვა. შვილფიცული იმ საღამოს თავის ახალ მშობლებს შორისა რჩება. ესენიც შვილფიცულს აჩუქებენ ყვე-

\* შვილნაფიცის მხრივ თავის მომავალ მამის თავიდან თმის ჩამოგდება დღეს — წმინდა რიტუალური ხასიათის აქტია; ალბათ ძველად შვილნაფიცი მთელ თმას უკრეჭავდა თავზე თავის მომავალ მამას.

ლაზე ძვირფას რასმე, რაც მიცვალებულს სიცოცხლეში ჰქონდა. შვილ-  
ფიცული ამ ნივთს სულ ზედ ატარებს, რომ, იდეათა ასოციაციით, ნათ-  
ლად წარმოუდგინოს ყველას მიცვალებულის თავი... და თავისი თავი  
უფრო ძლიერად შეაყვაროს ახალ „მშობლებს“. თავის მხრივ, შვილ-  
ფიცული თავის ახალ მშობლებს საჩუქრებს მიართმევს: ტანისამოსს,  
ცხვირსახოცებს, ვერცხლის ქამარს, სატევარს, თოფს და მ. სხ.; ხშირად  
რჩება მათთან ღამის გასათევად, ხშირად სჭამს მათთან პურს, ჰშველის  
ყანაში, ასრულებს მათს დავალებას და საზოგადოდ თავი ისე უჭირავს,  
როგორც ოჯახის ნამდვილ წევრს, რომელსაც აქვს ამ წევრის უფლება-  
მოვალეობანი.

ამ გზით ნათესავებიან აღმავალის ხაზითაც: ობლები ცდილობენ  
დახოცილი დედისა თუ მამის მაგიერი გაიჩინონ, ძმა—მიცვალებული  
ღია მაგიერს, და—ძმისას, ძმისწული—მიცვალებული ბიძისას და სხ.  
ერთი სიტყვით, ყოველი სიკვდილის მიერ გაწყვეტილი ნათესაური  
კავშირი შესაძლებელია აღადგინონ.

აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ არის სხვა შემთხვევები, როცა მიმარ-  
თავენ „ძუძუზე კბილის დადგმის“ ჩვეულებას. როცა ორ მხარეს შო-  
რის ჩამოვარდნილა შუღლი, რომელიც შეიძლება სისხლის ღვრით გა-  
თავდეს, ან ვინმე ცდილობს მტრებს თავი დააღწიოს, საკმარისია დეე-  
ნილმა მხარემ მიმართოს შუამდგომლობას იმ ქალისას, რომელიც ენა-  
თესავება მდევნელს ანუ მტრებს, მოულობს გული, შეაბრალოს თავი  
და დაითანხმოს „ძუძუზე კბილი დაადგმევინოს“ და სამჯერ წარმოს-  
თქვას ჩვენთვის უკვე ცნობილი ფიცის ფორმულა: „შენ—დედა, მე—  
შვილი“, და ამ წუთიდან ყოველი არსებული შუღლი და შფოთი ორ  
მოწინააღმდეგე მხარეს შორის სამუდამოდ დაიწყებული იქნება და  
ჩამოვარდება ძმობა და სიყვარული მეგობრული. ახალი „შვილფიცუ-  
ლი“ დატრიალდება და გამართავს სადილს ახალ შექმნილ „ნათესავ-  
თათვის“. საერთო სიხარული შეექნებათ ყველას და „დედაფიცულს“  
საჩუქრები მიერთმევა შვილფიცულისაგან და განმტკიცდება ნათესაური  
კავშირი.

ახლა გადავიდეთ გაძიძავების ჩვეულებაზე სამეგრელოში. ეს ჩვეუ-  
ლება გავრცელებულია სამეგრელოს მოსაზღვრე ტომებში: აფხაზეთსა,  
ჩერქეზეთსა და სვანეთში. ეს ჩვეულება სულ ძველთა-ძველი უნდა  
იყოს და მეგრელთა ცხოვრებაში საპატიო ადგილი უკავია. ყოველი  
დედა, ვინც კი თავადის, აზნაურის ან სასულიერო წოდების ოჯახს  
ეკუთვნის, თავის შვილს აღსაზრდელად ძიძას აძლევს, თუნდაც თვი-  
თარს სიმრთელოვანი იყოს და თავის ძუძუთი მშვენიერად შეეძლოს  
აღზარდოს თავისი შვილი. ბავშვის გაზრდა პრივილეგიურ წოდების  
დედისათვის რამდენიმე ითვლება: ეს აღზრდა—ხვედრია დაწალი.

წოდების დედაკაცისა. გაზრდილის გავლენიანი მშობლები ძიძას იფარავენ და იცავენ მტერთაგან, ივინივე ხელს უმართავენ მატერიალურად: დროდადრო აჩუქებენ ძროხას, ცხენს, ტანისამოსს. ამიტომ ოღონდაც რომ გასაგებია, რაც უფრო დიდი ადგილი უჭირავს ქონებრივად აღსაზრდელ ბავშვის მამას, მით უფრო ბევრი დედაკაცი ცდილობს გაუხდეს შვილის ძიძად\*. გაზრდილი თავის აღმზრდელებთან 10—12 წლის ასაკამდე რჩება. ეძლევა ყოველმხრივი ფიზიკური და გონებრივი აღზრდა იმდენად, რამდენადაც ამის მიცემა შეუძლია გლეხის ოჯახს: ეცოდინება სიმღერა, ცეკვა, ცხენზე ჯდომა, მშვილდ-ისრის ხმარება და სხვადასხვა. მთელი აღზრდის ხანაში ბავშვს თავს ევლებიან და მისთვის განსაკუთრებითა ზრუნავენ და ეალერსებიან ძიძის ოჯახის წევრები. მის სახელს მოწიწებით ახსენებენ. ეს სახელი ხატის სადარად საფიცრად აქვთ აღმზრდელებს და თიძიშვილებს. რისამე დასადასტურებლად ძიძა წამდაუწუმ იძახის: „ღმერთმა ისე გამიზარდოს ჩემი № (სახელი გაზრდილისა), როგორც მე მართალს ვამბობდე“ და თანამესაუბრესათვის ეს ფიცი ითვლება ურყეველ არგუმენტად სიმართლის დასამტკიცებლად. ან კიდევ ამ სიტყვებით ფიცულობს: „ჩემი № (სახელი გაზრდილისა) მომკვდიმოდეს, თუ ტყუილს ვამბობდე“, და ამ სიტყვებით მეგრელი ძიძა გამოსთქვამს სულ დიდს ფიცს.

ასეთ განსაკუთრებულ მშობლიური მზრუნველობის ატმოსფეროში აღზრდილი გაზრდილი თავის მამამძუძეს და ძიძას თავის მშობლებად ათვლის, ხოლო თავის ძიძაშვილებს—მკვიდრ დებადა და ძმებად. ძიძაშვილი ქალი, როგორც ნათესავი, გაზრდილს ცოლად არ ერავებო. ხოლო ცოლქმრული კავშირი გაზრდილსა და ძიძაშვილს შორის მეგრელთა თვალში სისხლის აღრევად ითვლება და სასტიკად დასაგმობია.

აღზრდის სტაჟის დასრულებისას მამამძუძე და თვით ძიძა, რამდენისამე მეზობლის თანხლებით, საჩუქრებიანად თავიანთს გაზრდილს მშობლებს წაუყვანენ: თოფებსა სცილიან და ისე შედიან გაზრდილის მშობლების ეზოში. აქ გაზრდილს თავით-ფეხებამდე შინჯავენ. მშობლები რომ დარწმუნდებიან, რომ მათს შვილს ფიზიკურად არაფერი აქვს სიმახინჯე, რომელიც შეიძლება დაჰბრალებოდა მის აღმზრდელებს, მაღლობას ეტყვიან გამზრდელებს, რომ ყურადღებით და მზრუნველობით მოპყრობიან თავიანთს გაზრდილს, და სადილით გაუმასპინძლებიან. გამოთხოვებისას აღმზრდელებს აჩუქებენ: ცხენს ან ძროხას, ტანისამოსისათვის ფართალს, საჩოხეს, რამე ძვირფას ნივთს, როგორც, მაგალითად, ვერცხლის ქამარს ან თოფს და მ. სხ.

\* სრულიად გასაგებია, რომ ძიძა მულამ უპირატესობას აძლევს აღსაზრდელად მაპრობითი სქესის ბავშვის აყვანას.

ზოგჯერაც მოხდება, რომ ძიძას ძუძუებში რძე დააყლდება ან დროებით შინიდან სხვაგან მოუხდება წასვლა, და ამ დროს, უძიძოდ დარჩენილ ბავშვს ძუძუ აწოვეს მეზობელმა ქალმა ან ქალებმა. ყოველ ქალს, ვისაც დროებით ძუძუ უწოვებია გაზრდილისათვის, შექმდეში უფლება აქვს დაიჩემოს ნათესაობა მისა და მის დროებით გაზრდილ შორის, რადგან ამ უკანასკნელმა ამ ქალის ძუძუს კ ბ ი ლ ი და ა დ გ ა ; აქ მთავარი მნიშვნელობა აქვს თვით კ ბ ი ლ ი ს და დ გ მ ფ ს ფაქტს, ზოლო თვით დროს, რომლის განმავლობაში გრძელდებოდა ეს „კბილის დადგმა“, გამზრდელებისა და მათ მიერ გაზრდილ შორის ნათესაურ, საფუძვლის ჩაყრაში—მეორე ხარისხოვანი როლი აქვს.

გერჩება კიდევ ორი სახე ნათესაობისა, რომლებიც დაპანიონებულია მეგრელთა ჩვეულებით. ბატონის რისხვას გამოქცეულ ყმას შეეძლო შეხიზნიყო (შეხირზუა) სხვა ბატონს და ამგვარად თავი გადაერჩინა პარველი ბატონის სასჯელისათვის. მაგრამ ბატონს გამოქცეულ ყმას შეეძლო თავისი თავი საფრთხეს გადაერჩენილად ჩეთყალნა მაშინაც, თუ მოასწრებდა გაქცევას ეკლესიის კარებამდე, კისრით შიბმას თავისას ეკლესიის ბოქლომისათვის და თავის გამრცხადებას იქაური გვარის სათაყვანო წმიდანის ხატის მინდობილ ყმად. ამ წუთიდან ლტოლვილი ყმა ხდებოდა წვევრად იმ გვარისა, სადაც იმან საზეიმო აღთქმა დასდო „ხატის მინდობილად“ ანუ ყმად გახდომისა. როგორც პარველსა, ისე მეორე შემთხვევაში სხვათა საფარველ ქვეშ მყოფი ალაშიანება თუმცა სხვა გვარისანი არიან, ვიდრე მათი მფარველები, მაგრამ თვით მფარველობის ფაქტის ძალით და იმ ზრუნვის გამო. რომლის საგნად ეს საფარველი ადამიანები ხდებიან, მათზე ვრცელდება აკრძალვა შეერთონ ცოლად წვევრები იმ გვარისა, რომელ გვარსაც ისანი შეევედრნენ და შეეფარნენ.

დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ, რომ კეთილშობილი წოდებას საცოლოე ყმაწვილს ჩვეულებით აკრძალული აქვს ცოლად შეერთოს გლეხის ქალი, რომლის ვენებში „შავი სისხლი“ ჰქვია. თავადსა თუ აზნაურს წინათ შეეძლო თავის სახლში ჰყოლოდა ერთი ან რამდენიმე გლეხის ქალი, რომლის სილამაზე მას მოსწონდა. ეს ქალი იყო მისი ხასა, სახლში შემოყვანილი უქორწილოდ. ჩვენ კი ვიცით, რომ ქორწილს მთავარი ადგილი უჭირავს მეგრელის, როგორც საზოგადოდ ქართველის მიერ ცოლის მოყვანის საქმეში. საცა საქორწილო ღზინი არ არის, „ხასასთან“ ცხოვრებას კანონის ძალა არა აქვს მეგრელის თვალში. და საცა ეს ღზინი არ იქნება გადახდილი, მაისაკაცს როცა უნდა, მაშინ შეუძლია გაუშვას ხასა და თვითონ პასუხი არ აგოს არც მატერიალურისა და აღარც ზნეობრივის ხასიათისა. რა თქმა უნდა, რომ თავადისა თუ აზნაურის სახლში ხასას არ შეეძლო კანონიერი ცოლის რო-

ლის თამაში, იმ ცოლისა, რომელიც სახლში შემოყვანილია მეგრული ქორწილის წესით. და მხოლოდ ამ შემთხვევაში ვხედავთ ჩვენ მეგრულთა შორის ნაშთს პოლიგამიისას, თუ პოლიგამიად ჩავევლით რამდენსამე ხასასთან ცხოვრებას, ცხოვრებას, რომელსაც არა აქვს ძალა ჩვეულებით დაკანონებული ქორწილისა.

აი, ზოგადად ის ჩარჩო, რომელშიაც მოთავსებულია მეგრული ნათესაობის ხარისხი, რომელიც სასტიკად დაცული უნდა იყოს მეგრულის მიერ ცოლის შერთვის დროს. ჯერ კიდევ ამ ორმოც წელს წინათ ჩვეულების მიერ დადგენილი კანონი აიძულებდა მეგრულს ასეთი წესით მოქცეულიყო, ამ წესს არ გადასულიყო. ვინც ამ კანონს დაარღვევდა, პასუხი უნდა ეგო სოფლის უხუცესთა საბჭოს წინაშე. სასჯელად მოელოდათ ჩაქვაება ანუ ვვარიდან გარიცხვა („გვარიშე გიშალადა“) მაგრამ თანდათან, განათლების შემოსვლასთან ერთად, ნათესაობის კანონის ფარგლები შეიზღუდა, და დღეს სამეგრელოს მივარდნილ სოფლებში-და თუ შერჩა მეგრულ ქორწილს პირველყოფილი ძალა და სიწმინდე ვეზოგამური ქორწილისა.

## 2

მოტივები და მოსაზრებანი დაცოლიანებიანთვის. — სადღედაცო და სამამაკაცო საქმე. — ცოლის შერთვა, როგორც მოტივი შთამომავლობის დატოვებისა. — ბედი — Fatum მეგრელის ცხოვრებაში. — აკვანში დანიშვნა მოხვალ ცოლ-ქმრისა. — ცოლის შერთვის ძველი ფორმების გადმონაშთი: მოტაცება საცოლესი. — ყიდვა-გაყიდვა საცოლესი. ოთხი ხაწილი ასეთის ცოლ-ქმრობისა: 1) „გინოძირადა“ ანუ გაშინჯვა საცოლესი, 2) შანუა ანუ დანიშვნა; 3) „მოყონადა“ ანუ საცოლეს მოყვანა საქმროს სახლში და 4) „დირა“ ანუ საქორწილო ღზინი.

სანამ თვითონ ქორწილს აღესწერდეთ, შევეხებით იმ მოტივებს, რომელიც გამოიწვევს მეგრელის მიერ დაცოლიანებას, აგრეთვე იმ მოსაზრებებს, რომლებითაც მეგრელი ხელმძღვანელობს ცოლის შერთვის დროს.

ყოველმა მამაკაცმა, მეგრელის აზრით, უეჭველად უნდა შეირთოს ანუ „მოიყვანოს“ ცოლი, რომელსაც ევალება: ოჯახის მოვლა, ბავშვების აღზრდა, საჭმლის მომზადება, ქმარს ყანაში უშველოს და საერთოდ გაუძღვეს ყველა „სადღედაცო საქმეს“. ქმარი კი მხოლოდ და მხოლოდ სამამაკაცო „(საქომოლო“) საქმეს აკეთებს, ე. ი. ისეთს საქმეს, რომელიც თხოულობს, ქალთან შედარებით, კუნთების ღონის დიდ ხარჯვას. ეს სპეციალიზაცია „სადღედაცო“ და „სამამაკაცო“ საქმისა იქამდე აღწევს, რომ მამაკაცისათვის სირცხვილად ითვლება გააკეთოს, თუნ-

დაც შემთხვევით, ესა თუ ის „სადედაკაცო“ საქმე, მაგ.: ხელში ძუძუ-  
თა ბავშვი აიყვანოს ან მოუალეროს, ხელში ნემსი და ძაფი აიღოს  
ტანისამოსზე რაიმე გახეულის გასაქერად; ხელში ცოცხი აიღოს და  
სახლი დაჰგავოს და სხვადასხვა. როცა სახლში სტუმარი ან სტუმრე-  
ბია, თუ ოჯახში მოზარდები არ არიან, დისახლისი ემსახურება სუფრა-  
ზე როგორც სტუმრებს, ისე ქმარს და ამას თავისთვის დამცირებად  
სრულებით არა სთვლის.

უცოლოდ დარჩენილი მოხუცებული მეგრელების თვალში პატი-  
ვისცემის ღირსი არ არის; ასეთი კაცი საცოდავად ითვლება, როგორც  
უმემკვიდრეებოდ გადამენებული ადამიანი. მეგრელის აზრით, მამაკაცს  
ცოლის შერთვა უნდა დაუშალოს მხოლოდ ფიზიკურმა ნაკლმა, რომე-  
ლიც ხელს უშლის ცოლის მიმართ მეუღლის მოვალეობის ასრულებას;  
თუ ეს დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის, მამაკაცი მარტოხელად არ  
უნდა დარჩეს. ესევე მოეთხოვება ყოველ ქალწულს: სქესობრივი სიჭ-  
წიფე რო დაუდგება ქალს, მშობლებმა უცქველად უნდა გაათხოვოს;  
გათხოვილმა უნდა მოუაროს ქმრის ოჯახს. მარტო სქესობრივ გულის-  
თქმას, როგორც ჩქარაწარმავალ ელემენტს, ცოლის შერთვის საქმეში  
გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მეგრელი მამაკაცი ცოლს ირთავს  
მუდმივი ელემენტების გავლენით, მატერიალური ანგარიშით. რომ  
მეგრელის მიერ ცოლის შერთვაში მატერიალური ხასიათის მოსაზრება  
მთავარ როლს თამაშობს, ამას მოწმობს, სხვათა შორის, ჩვეულება  
მეგრელთა—აკვანში დანიშვნა მომავალ საქმროსი და საცოლესი,  
რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. იქ, სადაც ასეთი ჩვეუ-  
ლებაა სქესობრივ გულისთქმის შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

მაგრამ გარდა ამ, აგრე ფთქვათ, ამქვეყნიურ მოტივებისა, მეგრელის  
მიერ ცოლის შერთვის საქმეში დიდ როლს თამაშობს ბედი, ფატუმი,  
რომელიც ასე თუ ისე წარმართავს ადამიანის სიცოცხლეს ქვეყანაზე  
გაჩენის წუთიდან სააქაო ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე. მეგრელის  
რწმენით, ახალდაბადებულის შუბლზე, უჩინარი ხელით „ზევითგან“  
(ზეციდან) დაეწერება ახალდაბადებულის მთელი მომავალი ცხოვრე-  
ბის გორაკოკი, აღნიშნულია მთელი სიხარული თუ მწუხარება ცხოვ-  
რებისა, აღნიშნულია ამ სიხარულ-მწუხარების ყოველივე წვრილმანი;  
აღნიშნება შუბლზე, თუ რამდენი ხანის სიცოცხლე უწერია ამ ქვეყნად  
და რა სიკვდილით უნდა მოკვდეს: ხიდან უნდა ჩამოვარდეს და ამ ხეს  
ქვეშ დალიოს სული, მდინარის ტალღების მსხვერპლი უნდა გახდეს,  
თუ გაქენებულ ცხენიდან ჩამოვარდეს და იმისგან მოკვდეს და სხვადა-  
სხვ. ამავე ბედს არ ავიწყდება ამ ახალდაბადებულს შუბლზე დააწე-  
როს: ვინ შეირთოს ცოლად და რა ღირსება-ნაკლულებანების ქალი.  
უღროოდ მკვდარზე ჩვეულებრივ ამბობენ, უანაწერაო (სიტყვა-სიტყ-

ვით—„შუბლზე არაფერი აწერიაო“), ე. ი. ბედმა იძუნწა და შუბლზე არ დაუწერა ძალზე მოხუცებულობამდე ეცხოვრნათ.

ვიკითხობთ, რა ხანში ირთავს მეგრელი ცოლს? ამის პასუხს ჩვენ ვპოულობთ მეგრულ საქორწილო ტერმინოლოგიაში: მაშინ, როცა ის საცოლუა (სახილო), როცა ცოლის შერთვის დრო დაუდგება, ე. ი. ასაკობრივი სიმწიფის დრო რომ დაუდგება. მამაკაცისათვის ასაკობრივი სიმწიფე დგება 15—16 წლის ასაკში, ქალისათვის—13 წლიდან. უკანასკნელ ხანში, სანამ 19—20 წლისა არ გახდება ვაჟი, იშვიათად თუ ირთავს ცოლს.

აგრეთვე, შედარებით, ახლახან გადავარდა ჩვეულება დაცოლიანებისა საცოლედ გახდომის ასაკამდე. ეს ჩვეულება გადმონაშთის სახით აქა-იქ კიდევაც დარჩენილი. ჩვენა ვგულისხმობთ დანიშნას ბავშვებისას, რომლებიც ჯერ ისევ აკვანში არიან. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საქმის გადაწყვეტა სავსებით ბავშვების დედა-მამის ხელშია. დანიშნულ დღეს მამრობითი სქესის ბავშვის აკვანი მისს მშობლებს მიაქვთ მის მომავალ საცოლეს სახლში, რომელიც აგრეთვე აკვანშია, ორსავე აკვანს ერთიმეორეს მიუდგამენ და ვაჟის დედა მიმართავს თავის შვილს, ხელით აჩვენებს გვერდით მდგარ აკვანს და ეუბნება: „აი შენი ცოლი!“ გოგოს დედა მიუბრუნდება თავის შვილს, უჩვენებს ვაჟს და ეტყვის: „აჰა შენი ქმარი! ღმერთმა გაგზარდოო, დაგაქორწილონ, ერთმანეთთან ბედნიერად და სიამ-ტკბილობით გაცხოვრონ“. ეს დალოცვის ფორმულა სამჯერ წარმოითქმის და საქორწილო წესი შესრულებულად ითვლება. სქესობრივი სიმწიფის ასაკში მოსვლისას ბიჭი თავის დანიშნულს ცოლად მოიყვანს თავის სახლში; იმას უფლება არა აქვს სხვა საცოლე ეძებოს; არც ქალსა აქვს უფლება სხვა საქმრო ეძებოს. ასეთი აღთქმის დარღვევა უდრის ნამდვილი დაქორწინების წესის დარღვევას და განაწყენებულ მხარეს უფლება აქვს იძიოს დაკმაყოფილება თავის შერცხვენისათვის.

დანიშნის წესს, როგორც ყოველ სახეიმო აქტს, მოჰყვება პურობა და სმეულობა, „საცოლეს“ და „საქმროს“ მშობლების თანდასწრებით. სუფრაზე ორსავე მხარის მშობლები ერთმანეთს ულოცავენ დამოყვრებას, ხოლო ნორჩ დანიშნულებს უსურვებენ გაზრდას და მალე დაქორწინებას. ამ წუთიდან ქალი „თავის ქმრის სახელს ატარებს“ („ქომონჯიმ სახელი გეძო“). ქმრის სახლში ცოლის მიყვანისას ასრულებენ ყველა საქორწილო წესს გარდა გ ი ნ ძ ი რ ა ფ ა (გაშინჯვა) და შანუასი (დანიშნა), რომელთა შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ჩვეულება, რომელიც სასტიკად უნდა იყოს დაცული. ეს წესი დასაქორწილებელ ძმებს შეეხება. ყოველი მათგანი უფროს-უმცროსობის წესს უნდა ემორჩილებოდეს და თავის

ჭერს უნდა ელოდებოდეს. უმცროსს ძმას უფროს ძმაზე ადრე შეუძლია ცოლი შეირთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის საპატრიო მიწეზი, რომელიც უფროსს უშლის დაქორწილდეს. ეგვე უმცროს-უფროსობის წესი უნდა იყოს დაცული დების მიერ, როცა ესენი თხოვდებიან.

მეგრელთა საქორწილო წესებს რომ ვეცნობით, ჩვენს თვალ წინ გადაიწლება სულ უძველესი ფორმა ცოლ-ქმრობისა: მოტაცება საცოლესი, მისი დაპატრონება ძალ-მომრეობით და აქედან ბუნებრივად წარმომდგარი ბრძოლა, ერთი მხრით, საქმროს მომხრეთა ანუ თავდაძსხმელთა და, მეორე მხრით, საცოლეს მშობელთა და მოგვაროვნეთა, ანუ თავდამცველთა შორის. ჩვენა ვხვდებით აგრეთვე მოწმენი ქალის ყიდვისა ან პრიმიტიული ფორმის შემდეგი საფეხურისა, რომელსაც, მართალია, ცოლ-ქმრობის პირველ ფორმასთან შედარებით, უფრო მშვიდობიანი ხასიათი აქვს, მაგრამ, თვალის ასახვევად შერჩენილი აქვს ყველა გარეგნული ფორმა საცოლეს მოტაცებისა. ეს გარეგნული გამოხატულება ძალდატანებისა შეადგენს ქორწილის აუცილებელ ატრიბუტებს, და უამათოდ ქორწილს, მეგრელთა თვალში, შესრულებული ფაქტის ძალა არა აქვს.

როცა ცოლ-ქმრობას ახლავს გარეგნულად ძალდატანების ფორმები, მაგრამ არსებითად საცოლეს ყიდვა-გაყიდვის ხასიათი აქვს, ასეთი ცოლ-ქმრობა გაიყოფება 4 ნაწილად: 1) გინოძირაფა ანუ გაშინჯვა საცოლესი; 2) შანუა ანუ დანიშვნა; 3) „მოყონაფა“ ანუ საცოლეს მოყვანა საქმროს სახლში და 4) „დიარა“ ანუ საქორწილო ღვინო, რომელშიაც მონაწილეობას მთელი სოფელი იღებს და რომლითაც სრულდება მთელი ცერემონია ცოლის მოყვანისა.

1. გაშინჯვა („გინოძირაფა“). ეს სიტყვა ნიშნავს საცოლეს ყოველმხრივს დათვალეირებას; მის ღირსება-ნაკლულევენების შეტყობას. ეს სიტყვა მეგრულში გვხვდება მხოლოდ საქორწილო ფრაზეოლოგიაში. იმ გარემოების წყალობით, რომ მეგრული ცოლ-ქმრობას უსასტიკესი ეგზოგამიური ხასიათი აქვს და რომ პატარძალი ყოველთვის ეკუთვნის იმ გვარს, რომელიც სახლობს სხვა სოფელში, ხშირად შორეულში, სასიძოსთვის არც ისე ადვილია თავის მომავალ ცოლის ნახვა. თვითონ სასიძომ ან მისმა მშობლებმა საგანგებოდ უნდა ეძიონ ხოლმე ასეთი შემთხვევა. მაგრამ სანამ საცოლეს მშობლები ქორწილისათვის ამ ნაბიჯს გადასდგამდნენ, სცენაზე გამოჩნდება. მესამე პირი—შუამავალი ანუ მაჭანკალი, რომელიც მიზნად ისახავს დაინტერესოს როგორც სასიძო, ისე საპატარძლო, ორსავე ერთმანეთი შეახვედროს. ეს პროფესია, ვისაც იგი ხელობად გაუხდია, იმისგან მოითხოვს დიდ ტაქტს, პარფერობის უნარს, სულის გადადგომას, მას მოეთხოვება ცოდნა იმი-

სა, რომ მყიდველს მისაყიდი საქონელი სულმუდამ მოაწონოს და ეს მაშინაც-კი, როცა ეს საქონელი ძალზე დაბალი ხარისხისაა. ერთი სიტყვით, შუამავალი უნდა, როგორც ამბობენ ამ შემთხვევაში მეგრელები, „ლაპარაკობდეს ლამაზ ტყუილს“ (სქვამ ტყურას რაგადანდას). ამიტომ ქალაქის დანიშვნის მომწყობი „შეაშობალი“ (შუამავალი) — ქალია ხოლმე. შუამავლებს (იმავე მაჰანკლებს) მეგრელებში, როგორც ყველა სხვა ხალხში, მეტად ცუდი სახელი აქვთ მოხვეჭილი. როგორც ადამიანი, რომელიც მატერიალურადაა დაინტერესებული საქმე ქორწილთ გაათავოს, ყოველ ღონეს ჰკლნობს საქმე სასურველად და აბოლოვოს და გასამრჯელო მიიღოს როგორც სასიძოსა, ისე საპატარძლოსაგან. შუამავალი აცნობებს სასიძოს მშობლებს: საცოლეს ყველა ღირსებას, მის მეოჯახეობას, კეთილ ზნესა და ნამუშაინობას დედისას, რომლისაგანაც საცოლესაც შეიძლებოდა ეს თვისებები შეეთვისებინა; შუამავლისაგანვე გაიგებენ ვაჟის მშობლები, თუ რა შეძლების პატრონები არიან ქალის მშობლები, როგორ პატივსაცემენ და უყვართ სოფელთ ეს მშობლები და სხვადასხვა ყველა წინსწარი მოლაპარაკება ხდება საცოლესა და საპატარძლოს მშობლების მხრივ. პრინციპიალურად ქორწილის ამბავს მშობლები სწყვეტენ; უშუალოდ დაინტერესებულნი პირები—სასიძო და საპატარძლო ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ; ამათ ატყობინებენ მხოლოდ რეზულტატს მოლაპარაკებისას, ამა თუ იმ გადაწყვეტილებას მშობლებისას, რომელსაც სასიძო და საპატარძლო უნდა დაემორჩილონ სიტყვაშეუბრუნებლად; ურჩობა მათის მხრივ არ შეიძლება. საერთოდ, მეგრულ მშობელთა ავტორიტეტი ასეთ კარდინალურ კითხვაში, როგორც არის ქორწილის კითხვა, უაღრეს წერტილამდე აღწევს. ქალი უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს დედ-მამის ნება-სურვილს, მისი ბედ-იღბალი სავსებით ამათს ხელშია, მათს ხელში ის წარმოადგენს ისეთსავე საქონელს, როგორსაც ყველა სხვა გასასყიდი ან სასყიდი საქონელი. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია თქმა, რომელსაც ხმარობს სასიძო, როცა ქალის მშობლებს მათი ქალის ცოლობასა სთხოვს: ქო მ უ ჩ ი ს ქ ა ნ ი ს ქ უ — მომეცი შენი ქალი! მშობლებიც, თუ სასიძოს წინადადება ჰკუთხი მოსდით, აძლევენ თავიანთს ქალს. და ამ შემთხვევაში სრულებით ბუნებრივად და კანონიერად მიაჩნიათ არ მოსთხოვონ თანხმობა იმას, ვისაც ისინი „აძლევენ“.

თუ ორივე მხარე დაკმაყოფილდა შუამავლის მიერ მიწოდებულ ცნობებით, დანიშნავენ პატარძლის გაშინჯვის დროს. ჩვეულებრივ, გაშინჯვა ხდება საპატარძლოს მშობლების სახლში. სიძის წარმომადგენლებად მიდიან: ბიძა (დედით), მამა და აგრეთვე უფროსი ძმა სასიძოსი. ესენი დანიშნულ დღეს, საღამო ხანს, თითქო შემთხვევითაო,

შეუხვევენ საპატარძლოს მშობლების სახლში, თან რასმე მოიგონებენ, რამაც იძულებულ-ჰყო შეეხვიათ მასპინძელთან (მენძელი). ისეთი რამე უნდა მოეგონებინათ, რომელსაც საერთო არაფერი ექნებოდა მათს ნამდვილ განზრახვასთან; მასპინძლები, როგორც სტუმართმაცემარე მეგრელები, მოხარულნი არიან მოულოდნელად მოსულ სტუმრებისა, ქათინაურებს უძღვნიან ნახვისათვის, სთხოვენ პატივი სცენ და ღამე მათთან დარჩნენ და, რაც შეგვეძლება, ვეცდებით თქვენი სხკადრისი პატივი გცეთო... „სტუმრები“; რა თქმა უნდა, მეგრულ სტუმრობის მიხედვით, უარზე დადგებიან; მასპინძლები „ჭირს მოსჭამენ“, სანამ არ დაიყოლიებენ და არ დაითანხმებენ ღამე დარჩენაზე. დაიწყეს ღაპარაკი. საგანი ღაპარაკისა იყო: დარი, მოსავალი, ავადმყოფობა თუ სიკვდილი ამა თუ იმ მეზობლისა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, გარდა იმისა, ვიზედაც უნდა ელაპარაკნათ, ვიზედაც უნდა გაჩერებულიყო მათი ყურადღება. ამზადებენ სანაქებო ვახშამს. ვახშამზე და ნავახშმევს თავს დასტრიალებს ყველას მომავალი საპატარძლო: უჭირავს პირსახოცი და დოქით წყალი და ვახშამის წინ ხელებს აბანინებს ყველას, მერე წინ ტაბაკს უდგამს; ჭამის დროს სტუმრებს ღვინოს უსხამს, ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს ხმისამოუღებლივ, მხოლოდ ზოგჯერ, სტუმრების შეკითხვაზე, ზრდილობიანად და მოკლედ პასუხს აძლევს. სტუმრები საპატარძლოს ყოველ მიხერა-მოხერას თვალყურს ადევნებენ. მთავარი ისაა, რომ მას მოეთხოვება: არავითარი ფიზიკური ნაკლი ჰქონდეს: კუზიანს, ელამს, ცალი თვალით ბრმას, კოკლს იშვიათად უნდა ჰქონდეს გათხოვების იმედი. ჯანმრთელს, მაგარ აგებულებისას, სახის სწორნაკეთებიანს და თმის გრძელ ნაწნავებიანს სულმუდამ იმედი აქვს მოხიბლოს, ტყვედ ჰქნას მთხოვნელი. თავის თავს ნებავს არ მიცემს სტუმრებს გვერდით სუფრას მოუჭდეს; ის კი არა, სადმე კუთხეშიაც არ მიჯდება, რომ სულ ზეზე ტრიალით დაღლალ ფეხებს ქარი ამოაღებინოს,—ეს არ ევატიება რიგიანსა და კეთილადღზრდილ მეგრელ გასათხოვარ ქალს! ვახშმის გათავებისას ქალმა კონცერტის მსგავსი რამ უნდა გაუმართოს სტუმრებს და კონცერტის ყველა ნომერის მთავარ და ერთადერთ ამსრულებლად თვითონ უნდა იყოს: ჩონგური უნდა დაუკრას და რამდენიმე სიმღერაც დაამღეროს. ნავახშმევს საპატარძლო ყველას ლოგინს უშლის, ფეხებსა ბანს და ტანისამოსის გახდასა შევლის.

მომავალი საპატარძლო, ამნაირად, სტუმრებს შეაძლებინებს ყოველმხრივ შეაფასონ მისნი ღირსებანი; დაინახონ აგრეთვე მისი ნაკლცა, თუ ასეთი რამ მოეპოვება. თუ ქალმა თავი მოაწონა გამეზინჯაებს („გინმაძიარაფალი“) და მათი გული მოიგო, ესენი მეორე დილას ქალის მშობლებს გამოუცხადებენ თავიანთ სურვილს—დაუნათესავ-

დნენ. აქ თავს წამოჰყოფს კითხვა, თუ რა მზითვი შეუძლიათ გამოატანონ თავიანთ ქალს; მეორე მხრივ, საპატარძლოს მშობლებიც მოითხოვენ დასახელებას და რაოდენობას საჩუქრისას, რომელიც უნდა მოუტანოს ამათ სასიძომ, ასე ვთქვათ, გამოსასყიდად ქალისა. ჩვეულებრივ ეს საჩუქარი შესდგება ერთი ხარისა ან ძროხისა, ღორისა, მშობლებისათვის სატანისამოსე მასალისა, ერთი ტიკი ან კოკა ღვინო, პურისა და სხვა ხორაგისა, რაც საჭირო იქნება მათის ნიშნობის დღეს. რაც უფრო შეძლებულია და სოციალურად მაღლა დგას სასიძო, მით უფრო მრავალფეროვანი და უხვია საჩუქარი; განსაკუთრებით ძველისძველად აქცევდნენ განსაკუთრებულს ყურადღებას ქორწილის ამ მხარეს. მაგალითად, კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც მე-17 საუკუნის ნახევარში 20 წელიწადი მეტი გაატარა მეგრელთა შორის, ასე აგვიწერს ძღვენს ანუ გამოსასყიდს, რომელიც მისცა სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა ჩერქეზეთის მეუღის ქალისათვის: 100 ყმა, დატვირთულები ძვირფასი ქსოვილებით და ხალიჩებით, 100 ძროხა, 100 ხარი და 100 ცხენი!.. ეს მოთხოვნა ჩერქეზეთის თავადისა უნდა ასრულებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალს არ მიათხოვებდა\*.

როცა კითხვა მატერიალურის მხრით დადებითად გადაწყდებოდა, დანიშნავდნენ დროს, როცა უნდა მომხდარიყო შანუა (ნიშნობა), ანუ შესრულებული ყოფილიყო აქტი, რომელიც კანონის ძალას აძლევდა ურთიერთ სურვილს და მათს მიერ ნაკისრებ მოვალეობად.

2. შანუა (ნიშნობა).—სიტყვა შანუა ანუ უფრო სწორად—ნიშანუა (ნიშნის დადება) ნიშნავს ნიშნის რისამე დადებას რომელსამე საგანზე (სულიერსა თუ უსულოზე). საქორწილო ცერემონიაში ნიშანუა ნიშნავს რამე ნიშნის დადებას გასათხოვარ ქალზე, რომელიც ითვლება იმის კუთვნილებად, ვინც ეს ნიშანი დაადო, „ვის სახელსაც ის ახლა ატარებს“, ვინც ახლა პატრონად გაუხდა, და გარეშე კაცს მისი დაპატრონება არ შეუძლია. ამგვარივე უფლება ჩანს მეგრელთა მეორე ჩვეულებაში, რომელიც იხმარება მეტყველებაში: როცა ტყეშა ესა თუ ის ხე მოეწონება გლეხს, და რომლის ტანზე პირობითი რამე ნიშანია ცულით გაკეთებული, ეს ხე ითვლება იმის საკუთრებად, ვინც ეს ნიშანი დაადო, და მეზობელს მისი დაპატრონება ჩაეთვლება საკუთრების ელემენტარულ უფლების დარღვევად. ქალის დანიშვნის დროს ნიშნად უპირატესობა ეძლევა რომელსამე ძვირფასს ან ვერცხლის ნივთს: ამისთვის ძველად, ჩვეულებრივ, ხმარობდნენ ქარვის ან მარჯნის

\* Archangelo Lamberti, *Relazione della Colchide, hoggi detta Mengrellia, nella quale si tratta dell'Origine, Costumi e Così naturali.* Napoli, 1654 (ქართული თარგმანი ალ. ჭიკობია).

კრილოსანს, ოქროს ან ვერცხლის ფულს. ზოგჯერ სულ უბრალოდ თავდებოდა საქმე: ახალგაზრდა კაცს, როცა გასათხოვარი ქალი საცოლედ თვალში მოუვიდოდა, ქალის დაუფლების სურვილის გამოსახატავად, მის მშობლებს მდაბლად თავს დაუკრავდა, და ეს სრულებით საკმარისად ითვლებოდა, რომ ქალი დანიშნულად მიჩნეულიყო. ესეთი ჩვეულებაცაა ჰქონდათ: სადმე შეკრებილებაში საკმარისი იყო ყმაწვილ კაცს ქუდი ესროლნა გასათხოვარ ქალისათვის და თუ მოახვედრებდა, ქალი დანიშნულად ითვლებოდა: ქალის ერთადერთ საქმროდ მხოლოდ და მხოლოდ ქუდის მსროლელი ითვლებოდა.

შანუას (ნიშნობის) ცერემონია, ანუ გასათხოვარი ქალის დაბეგება ხდება, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, გამინჯვის შემდეგ იმათივე თანადასწრებით, ვინც გამინჯეს ქალი. სულ უკანასკნელ ხანში შემოვიდა ჩვეულებად, რომ გამწინჯელებს სასიძოც მიჰყვება, ნიშანთან ერთად სასიძოს მიაქვს საჩუქარი: ძროხა, სურსათ-სანოვავე, ღვინო, პური. ნიშნობისათვის გამართულ ვახშამზე ყველაფერი ეს იჭმება და ისმება\*. „შანა“ (დასანიშნი ნიშანი) გადაეცემა ვახშამდე მშობლებს საპატარძლოსას, რომელიც სუფრაზე სხვებთან ერთად არა ზის. ვახშამზე, საღვებრძელოების მთავარი გმირი — სასიძოა, რომელსაც უსურვებენ ბედნიერ ცხოვრებას თავის მომავალ ცოლთან.

დანიშვნის შემდეგ შეიძლება წელიწადმა გაიაროს, სანამ ჯვარს დაიწერდნენ დანიშნულები. რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი უშდა მოხდეს, რომ დანიშნულებმა ჯვარი არ დაიწერონ. ქორწინების საქმის ჩაშლას, უმეტეს შემთხვევაში, დიდი უსიამოვნება მოჰყვება, რომელიც შეიძლება სისხლის ღვრითაც გათავდეს, რადგან ნიშნობა სანახევროდ თვით ქორწინებას ეტოლება. და დანიშნულებად ნამყოფებს შემდეგ არც ისე ადვილად შეუძლიათ საფერის მონახვა.

ნიშნობისა და ჯვარისწერის შუა ხანში საპატარძლოს მშობლები თავიანთი ქალის მზითვის გამოწყობის საშუალებით არიან, მეგრულად მზითევს ოჭყუდური ჰქვია. საინტერესოა ამ სიტყვის ეტიმოლოგია. ეს სიტყვა წარმოებულია ზმნა ჰყვიდუასგან, რაც უდრის ქართულ წყვიტას და რაც ტექსტუალურად ნაშნავს იმას, რასაც მოჰყვება აქტი გაწყვიტისა. აქედან სახელი გასათხოვარ ქალისა, რომელსაც ის დანიშვნის შემდეგ ატარებს, მეგრულად არის „მოჭყუდუ“, მოტაცებული ანუ ვინც მთელისაგან ძალადაა მოშორებული. ნამდვილი მნიშვნე-

\* ყველა საქორწილო ცერემონიები და ამ დროს გამართული პურობა და სძეულობა ხდება ყოველთვის მზის ჩასვლის შემდეგ, — გადანაშთი უძველეს ჩვეულებისა ქალის მოტაცებისა, რომელიც, ცხადია და გასაგებია, რომ სიბნელის ჩაპოვარდნის შემდეგ ხდებოდა.

ლობა ორ ამ სიტყვისა ოჭყუდური (მზითვეი) და მოჭყუდუ (პატარძალი) ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ წარმოვიდგენთ მეგრული ქორწილის სურათს, საცა ერთი მოქმედი პირთაგანი — პატარძალი, სხვა გვარის წევრის მიერ არის მოტაცებული, თავის სურვილის წინააღმდეგ, გამოეყოფა თავის მშობელ გვარს, ის, რაც იმას თან მიჰყვება ანუ მზითვეი, არის ოჭყუდური, ე. ი. ნივთები, რაც მოტაცებულს მიჰყვება.

მზითვეს შეადგენს: რამდენიმე ხელი ტანისამოსი, საცვლები, ლოგინი, საციქველი ანუ სამხარეულოს ჭურჭელი, ერთი ძროხა, ერთი ცხენი. რა თქმა უნდა, რაოდენობა და თვით ნივთები მზითვესა მზითვის გამტანებლის ქონებაზეა დამოკიდებული. ამ ორმოცი წლის წინათ დული მზითვეში არ შედიოდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანში შემოადგეს საქმროსათვის მზითვად ფულის მიცემა, რომლის რაოდენობა გლეხთა შორის ხუთ თუმნიდან ოც თუმნამდე აღის ხოლმე.

### 3

ქორწილი. — დრო და დღეები, როცა შეიძლება და არ შეიძლება ქორწილის გამართვა. — მყარები და ქალის მოტაცება. — საცოლეს წამოყვანა ნაპალევად. — თხოვნით წამოყვანა საცოლესა — მზითვეი. — ძღაღე და შისი მოვალეობა. — საპატარძლოს დალოცვა მშობლების მხრით. — თავზე ხელის შემოვლება. — მასხარობელი.

ქორწილი მეგრულად არის — „ჩილიმ მოყონაფა“ ანუ ცოლის „მოყვანა“. ქორწილში იმართება ლხინი, რასაც მეგრულად ჰქვიან „დიარა“ (ზმნისაგან „დიარუა“, ჭმეულობა, ძოვნა). ცოლის მოყვანისა და საქორწილო ლხინისათვის სასიძო ნიშნავს დღეს და თან საპატარძლოს მშობლებს ატყობინებს, რომ მზად იყვნენ როგორც პატარძლის გათხოვებისა, ისე მზითვის გამოტანებისათვის.

ქორწილები სამეგრელოში, ჩვეულებრივ, შემოდგომითაა ხოლმე, ჭირნახულის დაბინავების გათავებისას. წელიწადის ამ დროს მეგრულად ჰქვიან „დამორჩილი“ — დამორჩილებული, ე. ი. ბუნებაა დამორჩილებული იმით, რომ იმისაგან მხვენელ-მთესველის მიერ აღებულია ყველაფერი, რის აღებაც კი შეიძლებოდა ზაფხულის შრომის შემდეგ. შემოდგომაზე მეგრულ გლეხის მდგომარეობა შედარებით კარგია, და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქორწილებს ამ დროს მართავენ. ქორწილები ნაშობვესაც იმართება ხოლმე, ყველიერის დადგომამდე. ამ შემთხვევაში მოსჩანს გავლენა საეკლესიო კანონებისა, რომლებიც მარხვაში ჯვარის წერას უკრძალავს; გაზაფხულზე და ზაფხულში ქორწილი იშვიათადაა, რადგან ჭირნახული უკვე ილევა და შემოდგომის უხეობა არ არის.

კვირის ყველა დღეს კი არ ვარგა ჯვარისწერა. ორშაბათს მეგრელები ჯვარს არ დაიწერს, ეს დღე მეგრულად თუთაშხა (უფრო სწორად — თუთაშ დლა) ანუ თუთას (მთვარის) დღეა. ამ დღეს მეგრელებმა ჩხირიც კი არ უნდა გადააბრუნოს, რადგან ეს დღე დანიშნულია თაყვანისაღებად მთვარისა, მეგრელების ღვთაებისა კერბთაყვანისმცემლობის პერიოდისა: მთვარეს მეორე ადგილი უჭირავს ღვთაებათა შორის, რომელნიც მფარველობენ სამყაროს მცხოვრებთ; როგორც მზის თაყვანისაღებად არის დანიშნული კვირიაკეში ერთი დღე — კვირა, რომელსაც მეგრულად აჰქვიან ყაშხა (ანუ სწორად — ბეაშ დლა ე. ი. მზის დღე), ისე მთვარისათვის დანიშნულია ორშაბათი.

ყოველ ახალ მთვარეზე ანუ მეგრულად — მოგზაურობიდან მთვარის დაბრუნებაზე, მეგრელი თავის სიხარულს გამოსთქვამს და ისწრაფვის დაუმტკიცოს თავისი პატივისცემა და მორჩილება. ვინც პირველად დაინახავს ახალს მთვარეს, სხვებს ახარებს. ყველანი დადგებიან და უყურებენ მთვარეს, სალამს აძლევენ, კოცნას უგზავნიან ხელით: ზოგი ოქროს ან ვერცხლის ფულს უჩვენებს, ქარქაშებიდან ხმლებს იღებენ და სამჯერ ამბობენ ლოცვის ფორმულას „თუა ახალი, ღორონთ, სი გამახარი... (მთვარე ახალი, ღმერთო, შენ გამახარი!...), ზოგიც კბილებს უჩვენებს მნათობს და ამითა სთხოვს, რომ მთვარე თავის თვალისმომჭრელ ბრწყინვალეობით დაჰფაროს ეს კბილები, თავის დღეში არ გაშავდეს. ორშაბათს მეგრელები არაფერს გაჰყიდის, არაფერს აჩუქებს ვისმე, არც ვალს გადაიხდის და აღარც სხვას ესესხება რასმე, ხელიდან არასფერს გაუშვებს, — ასე ფიქრობს: თუ ორშაბათს რამე გაუშვია ხელიდან, გაშვებულ ნივთს გაჰყვება ჩემი ბედ-იღბალი. ამ დღეს სასტიკად აკრძალულია თავის დაბანა, ფრჩხილების დაჭრა თითებზე; ორშაბათს მეგრელი გზას არ დაადგება იმის შიშით, ვაი თუ მარცხი რამ მომივიდესო, მაგრამ წინაღობით დაწყებულ მგზავრობის გაგრძელება კი შეუძლია; ამასთან, წყურვილი რაც უნდა საშინლად აწუხებდეს, მდინარის წყაროს წყალს არ დაღვეს: მთვარე ამ დღეს მდინარეებს ავსებს შხამიან მყვარებით და ამ მდინარეების წყალს სასმელად უვარგისად გადააქცევს იმათთვის, ვინც არ იმარხულებენ მთვარის დღეს და მოგზაურობენ. ორშაბათობით სულ ახლახან მეგრელები მარხულობდნენ და ხორცს არა სჭამდნენ. მეგრელებს უყვართ ის სახელები, რომლებიც მათის თაყვანისცემის საგანს მოაგონებს. მეგრელ მამაკაცთ ხშირად ჰქვიათ ასეთი სახელები: უთუთია, თუთაშხა (თუთაშ დლა ანუ მთვარის დღეო), აგრეთვე ქალის სახელი თუთა (მთვარე).

კვირიაკის მეორე დღე, როცა მეგრელები ჩვეულებით „ვაშინერს“ (არა ხამს) ქორწინება — პარასკევია ანუ მეგრულად ობიშხა (სწორად — ობიშ დლა) ე. ი. დღე ობისა — წვიმის ღმერთისა. ეს დღე სულ ძველად

ნეშვიდე დღე იყო კვირიაკისა და სულ დიდი უქმე იმ ღმერთისა, რომელსაც ჩვენი წინაპარნი ყველა ღმერთზე მეტად სცემდნენ, თაყვანსა, რომელიც გამომგზავნი იყო ჭირნახულისათვის და საერთოდ მცენარეთათვის ესდენ საჭირო და აუცილებელ წვიმისა.

რამდენსამე დღის წინათ ქორწილამდე, სასიძო თავის ნათესავნაცნობებს სიტყვიერად აცნობებს მომავალი ქორწილის ამბავს. ცნობის მიწოდებას კისრულობს მაგინაფალი (შემტყობინებელი), რომელიც ახლო-მახლო ფეხით დაუვლის ხალხს, ხოლო ვინც შორსაა, იმათთან ცხენით მიდის და ისე ატყობინებს ქორწილის ამბავს და სთხოვს დაესწონ. ქორწილში, ჩვეულებრივ, დიდალ ხალხსა ჰპატიებენ. რაც უფრო მეტია სტუმრები, მით უფრო დიდ. შთაბეჭდილებას სტოვებს ქორწილი ყველსაზე; მით უფრო დაკანონება შესრულებულის აქტისათანამოგვარების თვალში ყოველ ეჭვს გარეშეა. ამიტომ ყველას თავის სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნდა დაესწროს ქორწილს; სასიძოსათვის დიდ შეურაცხყოფად ითვლება, როცა ვინმე დაპატიებულთაგანი არ დაესწრება მის ქორწილს.

მეგრელი ცდილობს, რაც შეიძლება, დიდის ამბით და ზემოთ გადაიხადოს ქორწილი. ამისთვის არა ზოგავს არც ხარჯსა და აღარც შრომას. მეგრულ ქორწილში, სულ უკანასკნელი, 100 — 200 კაცი იყრის თავს. ქორწილში მსახურთა როლებს ამ შემთხვევაში მეზობლები კისრულობენ და, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ. ხელმძღვანელად ჰყავთ სიძის ოჯახის ერთ-ერთი წევრთაგანი.

ყოველთ უწინარეს, ეზოში კეთდება „შეფა“ ანუ წყნელის გრძელი კარავი, ზევიდან ჩაღით გადახურული. „შეფა“ — სამყოფელია სიძისა, რომელსაც მაფა (მეფე) ჰქვია. „მაფა“ — მეფეა, ჯარის უფროსია, ე. ი. ადამიანია, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს სხვებთან, მასვე აქვს მინიჭებული უზენაესი ხელისუფლება, აქედან სრულებით ბუნებრივია, რომ პატარძალს „დედოფალს“ ეძახიან. შეფაში ორ წყებად სუფრის მაგივრად დამაგრებულია ფიცრები; ხოლო შეფას სიღრმეში ტახტის მსგავსი რამე სდგას, ამაღლებული — ეს არის „დასაბრძანებელი“ „მეფისა“ და „დედოფლისა“. თვით ეზო გადაქციულია სამზარეულოდ: ცის ქვეშ დიდი ცეცხლია დანთებული, ზედ შემოდგმულია საქორწილო დიდი სპილენძის ქვაბები და შიგ იხარშება ღვინისათვის დაკლულ ხარების, ცხვრებისა და ღორების ხორცი; აქვე იხარშება ღომი.

„მეფე“ წინდაწინვე ირჩევს „მაყრებს“ ანუ ამხანაგებს, რომლებიც მას მიჰყვებიან და ეხმარებიან ცოლის მოყვანაში. „მაყარე“ — რაზმია, 10 — 15 ახალგაზრდა კაცისაგან შემდგარი. ყველანი თავით-ფეხამდე შედარალებულნი არიან. სულ პირველად „ქალის მოყვანისას“ მაყრებს ევალეზობდათ მოხმარებოდნენ „მეფეს“ სხვა გვარის ქალის მოტაცებაში.

ამგვარსავე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მაყარი თანამედროვე მეგრულ ქორწილში იმ შემთხვევაში, როცა საცოლე ძალით, ქალისა და მის მშობლების სურვილის წინააღმდეგ, უნდა მოპგვარონ მეფეს. მაგრამ ეს მაყრები განგებ იჩენენ ამ მეომრულ სასიათს მაშინაც, როცა საქმე მშვიდობიანადაა თავდება, ორსავე მხარის თანხმობით, რადგან თუ ამ მეზობლთა როლი განგებ, მოსაჩვენებლად არ იკისრეს, თუ ყველას აზრს აჩვენეს, რომ ქალი ძალითაა მოტაცებული, ცოლის მოყვანა მეგრელის თვალში კანონიერად არ ითვლება.

ქალის მოტაცებას მეგრელი მაშინ მიჰმართავს, როცა მშობლები ქალისა წინააღმდეგი არიან თავისი ქალი მიათხოვონ მის შერთვის მსურველს. ასეთ შემთხვევაში სასიძო, მაყრებს თანხლებით, ღამით ქალის მოსატაცებლად თავს დაეცემა მის სახლს. ქალის მშობლები თავდამსხმელებს გაუძაღდებიან. მშობლებს ზიემიგლებიან თანამეგვარენი, მეზობლები და გაიმართება ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, რომელიც ჩვეულებრივ, თავდამსხმელების სასარგებლოდ თავდება, რადგან ესენი წინდაწინვე არიან მომზადებული ბრძოლისათვის და ყოველი ღონე იღონეს გამარჯვებისათვის.

მოტაცებული ქალი პირველ ხანებში მოთავსებული იქნება რომელსავე გავლენიან კაცისას, რომელიც მფარველად გამოუჩნდება როგორც მოტაცებულს, ისე მის მომტაცებლებს. რაკი გავლენიანი კაცი ჩაერევა საქმეში და ქალის მშობლები დაინახავენ, რომ მეტი დევნა უსარგებლო იქნება, მეტი გზა არ იქნება, უნდა დათანხმდნენ მშვიდობით გაათავონ საქმე. სასიძო ქალის მშობლებს მოუყვანს ძროხას, მოუტანს ბლომად ღვინოსა და პურს, სატანისამოსეს; გაიმართება შესარიგებელი სადილი და გუშინდელი მოსისხლე მტრები ნათესავებად იქცევიან. ამის შემდეგ სასიძო პატარაძალს თავის სახლში წამოიყვანს და ქორწილსაც გადაიხდის. უნდა შევნიშნოთ, რომ სასიძოს ცდა საპატარაძალის მშობლებთან შერიგებისა, — შედარებით ახალი ამბავი გახლავთ და ჩვეულებად განდა საეკლესიო წესის გავლენით. ეკლესიაში ჯვარისწერისთვის საჭირო იყო ორისავე მხარის თანხმობა. წინათ-კი, თუ ვაჟი ქალს მოიტაცებდა და მოახერხებდა და მის მშობლებს როგორმე თავს დაადწვედა, ამით უმთავრესი დაბრკოლებათაგანი გადალახულად იფიქრობდა და მღვდელიც წინააღმდეგი არ იქნებოდა ჯვარი დაეწერა.

საცოლეს მოტაცების გვერდით მეორე ფორმაცაა ცოლის შერთვისა, შედარებით პირველთან უფრო რბილი. ეს არის „გითოჩყუაფა“ (მოტყუებით, ჩუმად წამოყვანა). „გითოჩყუათა“ არის ნამალეად, ქურდულად, მაგრამ ქალის თანხმობით წამოყვანა ქალისა დედ-მამის სახლიდან. ამ შემთხვევაში სასიძოსა და მის ამხანაგების მღვდომარეობა შედარებით ადვილია. მაგრამ თუ გაუგეს და ხელი შეეშალა სასიძოს,

მშობლები და ერთმოგვარენი თოფ-იარაღს მიჰმართავენ. უმეტეს შემთხვევაში, მოტაცებით ქალის წაყვანას მაშინ მიმართავენ, როცა ქალის მითხოვების თანხმობა მშობლების მხრივ არის, მაგრამ საქმეს აბრკოლებს უმზითობა. მოგვარების თვალში რომ სახელი არ გაუტყდეს და ამასთან რომ ფორმალურად უფლება ჰქონდეთ მზითვეი არ მისცენ მათს სახლიდან მოტაცებულ ქალს, მშობლები სიმულაციას მიჰმართავენ და ვითომ გაუძალიანდნენ მომტაცებელთ. როცა სასიძო და მისი მაცრები ქურდულად წამოყვანილ ქალიანად სოფელს ვასცდებან და ცოტა ხანი რომ გაივლის, მშობლები და ნათესავები შეჰქმნიან ყვირილს და გამოევიდებან უკან. სცილიან თოფეს გაქცეულების მიმართულდებით და სხვადასხვა. მალე უკანვე დაბრუნდებიან ხელცარიელნი, მაგრამ თავს ვითომ ინუგეშებენ, რომ თავიანთი ვალი მოიხადეს თუ ეს ფორმალობანი შესრულებული არ არის, ქალის მშობლებს საქციელი დიდ სირცხვილად ჩათვლებათ მათი ნ თესავების თვალში; ეს ცოტა თავიანთს თავს შეურაცხყოფილებად ჩასთვლიან თანამოგვარენი, რომლებსაც გამოერივნენ ისეთი წვერები, რომელთაც გულგრილად, უპროტესტოდ, „თოფის გაუსროლელად“ ნება მისცეს სხვა გვარის ხალხთ ჩვენ შევერცხვინეთ და ჩვენგან ქალი მოეტაცნათო.

„მოტაცება“ ანუ „გამოტყუებით წამოყვანა“ ქალისათვის ნიშნავს მისს ღირსებას, განსაკუთრებით მისს სილამაზეს. ამიტომ მოტაცებით შერთულ ქალს ყოველთვის უპირატესობა აქვს შედარებით ისეთთან ვინც, მშვიდობიანად არის მოყვანილი ქმრის სახლში; ამიტომ მოტაცებულ ქალს ყოველთვის თავის მოსაწონიბლად აქვს თავისი მდგომარეობა. რაც შეეხება იმას, თუ ქალს მოსწონს, თუ არ მოსწონს თავისი მომტაცებელი, ამას ანგარიშს არავინ უწყევს; ქალს უფლება არა აქვს საქმროს არჩევსა; რაკი მოტაცებულია, იცის, რომ სულით და ხორციით ეკუთვნის თავისს მომტაცებელს და მისი მხრით, ცოტა რომ არ იყოს, უპკუობა იქნებოდა წინააღმდეგობა გაეწია და თავის ბედს არ შერიგებოდა. ის ხომ აკნიდანვე შეზრდილია იმ ჰუმპარიტებას, რომ გათხოვებამდე ეკუთვნის მამას, ხოლო შემდეგ — იმას ვინც მის ქმრად გახდება.

დასასრულ, არის მესამე სახე ცოლქმრობისა — თხუალა (თხოვნა). თვითონ სიტყვა (თხოვნა) გვიჩვენებს ამ შემთხვევაში ცოლ-ქმრობის მშვიდობიან ხასიათს. ძალადობა, რომელსაც ალცილებლად სისხლისღვრა მოსდევს, როგორც სახიფათო განზრახვა, ცოტ-ცოტათი გამოდის ჩვეულებიდან და უპირატესობა ეძლევა მშვიდობიანი გზით კითხვის გადაწყვეტას, ორსავე მხრის თანხმობით.

ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ გაშინჯვისა და ნიშნობის შესახებ, რასაც ვერა ვხედავთ ქალის მოტაცებისა და ნამალევად წაყვანის დროს, როცა

კითხვა წყდება წინასწარ მოულაპარაკებლად ქალის დაპატრონების მსორველსა და ამ ქალის მშობელთა შორის.

მიუხედავად ამისა, ქალის მოტაცების სიმულაციის ფორმა დაცულია ქალის მოყვანის პროცესში და ლხინის დროს. პატარძლის მოსაყვანად მიემგზავრება თოფ-იარაღში ჩამყდარი რაზმი სასიძოს მეთაურობით.

პატარძლის სახლში სასიძოს რაზმს დახვდება ქალის ნათესავებისა— გან შემდგარი რაზმი. ჩვეულებრივ, ეს რაზმი ქალის ძალით მოტაცების დროს მომტაცებლების წინააღმდეგ აქტიურად გამოდის, ამ შემთხვევაში კი ვითომ არიან ქალის მომხრენი, მაგრამ ძლეულ მხარეს წარმოადგენენ და იძულებულნი არიან ჩუმად იყვნენ. სასიძოს მაყრები პატარძლის მაყრებს ქედმაღლურად უყურებენ, თითქმის ზიზღით, გესლიანად დასცინიან. ზოგჯერ საქმე ისე გამწვავდება, რომ იარაღსაც დაატრიალებენ.

როცა სასიძო და მისი მაყრები პატარძლის სახლში მოვლენ, მათს პატივისცემლად მცირე ნაღიმს გაუმართავენ. ამ ქეიფს არც ქალი ესწრება, არც მისი მშობლები. დროსტარება დიდხანს არა გრძელდება, რადგან უკან უნდა დაბრუნდნენ და დიდხანს დარჩენის დრო არა აქვთ.

სანამ სასიძო და მისი მაყრები სუფრას უსხედან, მეორე ოთახში რამდენისამე მეზობლისა და აგრეთვე სასიძოს ინტერესების წარმომადგენელის თანდასწრებით ხდება ჩაბარება პატარძლის მშითვეისა. პატარძლის ერთ-ერთი ნათესავი ხელში იღებს თითოეულად მშითვის ნივთებს და ყველას გასაგონად იძახის: „ესა და ეს (სახელი და გვარი ქალის მამისა) თავის ქალს ატანს შემდეგს „ოჰყუდურს“ (მშითვეს)“; მერე ყოველ ნივთის სახელს იტყვის და გვერდზე გადასდებს; იქვე, თუ ვინმე წერა-კითხვის მკოდნე აღმოჩნდა, — ამ ნივთების სიას შეადგენენ და სიმტკიცისათვის მოწმეები ხელს მოაწერენ.

აღწერილ ნივთებს მშითვისას ურემზე დააწყობენ და სასიძოს სახლში გაუგზავნიან.

თუ ქმარი გარდაიცვალა და შვილები არ დარჩა, ქვრივს უფლება აქვს, თუ მეორეჯელ გათხოვდა ან თავის მშობლების სახლს დაუბრუნდა, თავისი მშითვეი უკანვე მოითხოვოს. თუ რამე გაუგებრობა მოხდა, მშითვეის რაოდენობას მშითვეის ჩაბარების დროს დამსწრე მოწმეების ჩვენებით გამოარკვევენ.

სანამ მაყრები სუფრას უსხედან, ხოლო სხვები მშითვის გამოწყობაში არიან გართულნი, ატირებულ საპატარძლოს ტანთ აცვამენ გასამგზავრებლად. რომელიმე ხანმოშესული ნათესავი ქალთავანი მ დ ა დ ე დ უნდა გამოჰყვიოს ქალს. მდადე — პირდაპირ ნიშნავს: თითქმის დაი, თითქოს დაი. საქორწილო მოგზაურობაში დადე საპატარძლოს თან ახლავს და მასთან რჩება იმ წუთამდე, როცა ახლად დაქორწინებულნი მარტონი დარჩებიდნენ. დადეს საქმეა გააცნოს პატარძალს საიდუმლოებანი

ცოლქმრული ცხოვრებისა, რომელსაც აქამდე ყოველგვარად უმაღლედნენ. პატარძალი განუწყვეტელი სტირის, ხმას არავისა სცემს. დადგება ჭამი, როცა პატარძალი მშობლებს უნდა გამოეთხოვოს. გამოთხოვების წინ მშობლები დალოცავენ ქმართან გასამგზავრებელ ქალს.

ეს ჩვეულება (გასათხოვებელ ქალის დალოცვისა გასამგზავრებლად) მოგვაგონებს მეგრელების იმ ჩვეულებას, რომელსაც მიმართავენ შინაური საქონლს გაყიდვის დროს. პატრონი გასასყიდ საქონლის საფასურს რომ მიიღებს, სანამ საქონელს ახალს პატრონს ჩააბარებდეს, უნდა დალოცოს, ე. ი. უნდა დაამტკიცოს, რომ არ ნანობს გულწრფელად მის მოშორებას და ლოცავს: შენი თავი შენს ახალ პატრონს მშვიდობაში შოახმაროს, შენის კარგის სამსახურით მისი გული გაახაროს... ხოლო თუ პატრონს გული სწყდება საქონლის გაყიდვაზე, გასაყიდი საქონელი, მეგრელების რწმენით, ახალ პატრონს არ გამოადგება, მალე მოკვდება, უკეთეს შემთხვევაში, რამე დაუშავდება და სამუშაოდ გამოუსადეგარი გახდება. საყურადღებოა ისიცა, რომ ოთხფეხიანს ან რამე ნივთის, ანდა სამეურნეო ნაწარმის გაყიდვის დროს, მეგრელი გამყიდველი პირდაპირ ხელში თავის დღეში არ გადასცემს საქონელს: თუ ეს პირუტყვია, მიაბამენ ღობეზე ან ხეზე და მყიდველმა თვითონ უნდა მოხსნას თავის ხელით; ხოლო თუ ეს უსულო საგანია, გამყიდველი მაგიდაზე ან ძირს მიწაზე დასდებს და მყიდველმა უნდა აიღოს. მეგრელსა სწამს, რომ იმ ნივთთან ერთად, რომელსაც უშუალოდ სხვას აძლევს ხელში, მთელი მისი ქონება გამოეცლება, გაყიდულ ნივთს გაჰყვება. გარდა ამისა, გასაყიდ ოთხფეხს ერთი ბლუჯა ბალანი უნდა მოაცალოს (შინაურ ფრინველს—ერთი ბუმბული). ამის შემდეგ, აქაურების რწმენით, არ შემეცირდება რაოდენობა მისი მეურნეობის არსთა სახისა, რომელსაც ეკუთვნოდა გაყიდული საქონელი. გაყიდვის დროს ამ აქტსა ჰქვიან ხელის დაბრუნება. გასაყიდ საქონლის დალოცვისას პატრონი სამჯერ დაატრიალებს მარცხნიდან მარჯვნივ და ეტყვის: ღმერთმა მარჯვნივ გატაროს (საქონელი), შენს ახალს პატრონს მის გულისგასახარად გამოსდგომოდე“. სამჯერ მარჯვნივ შემოტრიალდება („მორძგვიშე დორთინაფა“) სასყიდ ან გასასყიდ საქონლისა მთავარი ნაწილია მეგრულ დალოცვის ცერემონიისა.

საპატარძლოც ამნაირვე საქონელია ყიდვა-გაყიდვისა: მშობლებმა ის სასიძოს უნდა მიჰყიდონ და, როგორც გასაყიდი რამ, გამყიდველებმა უნდა დალოცონ, სანამ მყიდველს გადასცემდნენ. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის სცენაზე გამოჩნდება ძიძა და სასიძოს უნდა მოსთხოვოს „ნაძუძური“ (საპატარძლოსათვის პატარაობაში ძუძუს წოვებისათვის თანხა), უამისოდ არამცთუ არ დალოცავს, არამედ წინააღმდეგი გაბდება მისი წყევანისა. ძიძის მოთხოვნა ყველასათვის საფუძელიანად

ითვლება და უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს; ამიტომ სასიძო აჩუქებს საკაბე ჩითს ან ფულად, რამდენიც შეუძლია. ძიძა ნაძუტურს რომ მიიღებს, საპატარძლოს სამჯერ შემოატრიალებს მარჯვნივ და თან ლოცავს: „მთელს შენს სიცოცხლეს მარჯვნივ გველოს, ყველაფერში გაგამარჯვებინოს, „შენი პატრონი“ (ქმარი) შენი მადლიერი ამყოფოს, ყოველთვის და ყველაფერში მისი გულის გასახარებლად მოქცეულიყავ... ქვეყნის გამჩენმა ღმერთმა დიდხანს გამყოფოს, შვილებით აგავსოს... როცა ძიძა არ არის, ნაძუტური ქალის ღედას უნდა მისცენ.

მაგრამ ძიძას გარდა სხვაცაა, ვინც ქალის გათხოვების დროს სასიძოსაგან საჩუქარსა თხოულობს. ბატონყმობის დროს ბატონი სასიძოს ეგრეთწოდებულ „საჩქემსა“ სთხოვს, ე. ი. ჩქემების სასყიდელ ფულს; ეს ჩვეულება დარჩენილია დღეს იქ, სადაც გლეხი იჯარით იღებს ბატონის მიწას დასამუშაებლად. საჩუქრებენ აგრეთვე ფულითა და სხვა რამე-რუმეთი საპატარძლოს და-ქმებს. ამას შემდეგ დედამა, რომელთაც უკვე მიიღეს სასყიდელი საპატარძლოსათვის; ლოცავენ თავიანთს ქალს. ყველანი ჰკოცნიან, თავზე ხელს შემოავლებენ („ხეშ გოლუაფა“) და შესვამენ ცხენზე.

ხეშ გოლუაფა ანუ თავზე ხელის შემოვლება ითვლება განუსაზღვრელ სიყვარულის ნიშნად. იგივე ნიშანია იმისა, რომ ხელის შემომკვლეები მზადაა მოკვდეს იმის მაგიერ, ვისაც ხელს შემოავლებენ. ეს ჩვეულება წარმოშობილია მეგრელის იმ რწმენისაგან, რომ ერთს შეუძლია მეორის მაგიერ მოკვდეს, ერთს შეუძლია თავისი სიცოცხლე მეორის კარგადყოფნას ამსხვერპლოს. მიმართავენ ამ ჩვეულებას განსაკუთრებით მაშინ, როცა საყვარელი არსებდა ვინმე მძიმედ ავად გახდება. მაგ., შვილის ავადმყოფობის დროს ღედა ან მამა ავადმყოფისა სამჯერ შემოავლებს ხელს ავადმყოფს თავზე და ამით სიკვდილს ეხვეწებიან ავადმყოფ შვილის სულის მაგიერ იმათი სული წაიყვანოს და სიკვდილს საბუთი არა აქვს ამაზე თანახმა არ გაუხდეს მშობლებს. შეიძლება ადამიანის მაგიერ მსხვერპლად სიკვდილმა ცხოველიც შეიწიროს, ამ შემთხვევაში შესაწირავ საქონელს სამჯერ შემოატარებენ ავადმყოფის გარშემო. მაშინაც სიკვდილი არას ერჩის ავადმყოფის სულს და სჯერდება შეწირულ საქონელს. თავზე შემოსავლებად ძველად ხარი იცოდნენ, მერე მოზვერს, ხბოს ან ცხვარსა სჯერდებოდა სიკვდილი. ბოლოს, პრაქტიკული გახდა მეგრელი და ეუბნება სიკვდილს: მამალს დამჯერდიო. რა თქმა უნდა, მამლის დაკვლა უფრო ადვილია. ვიდრე ოთხფეხი საქონლისა. სულ ბოლოს, მამლის მაგიერად შინ ჩამოქნილ თავლის სანთელს შემოავლებენ თავზე ავადმყოფს. ეს სანთელი ავადმყოფის მორჩენამდე მის თავთ არის, ხოლო მორჩენის შემდეგ ეკლესიაში მიაქვთ თავიანთ სალოცავ ხატთან. აქედანაა,

რომ შემოღებულია მეგრული თხოვნა: „შენს სანთლად დამწვარვიყო“, ე. ი. ისეც დაიწვები შენს თავზე შემოსავლებ სანთლად. რაკი მეგრელსა სწამს შესაძლებლობა ერთის სიკვდილისა მეორეს მაგიერ, ადვილი იყო მისთვის შეექმნა ფორმულა ენერგიულის ხვეწნისა: „სქანი დუს ქოგულა“ (თავზე შემოგველე), „სქან მანგორო დობღურედა“ (შენს მაგიერ მომკვდარვიყო) ან მოკლედ — „ქოგულა“ — შემოგველე. ასეთსავე ძალას მიაკუთვნებს მეგრელი მეორე სახის ხვეწნას: „სქანი ჭირიმა“ — შენი ჭირი მე. ეს თქმა იხმარება ხვეწნისა და ალერსის დროს, და ამის მოქმელი იმას, ვისაც ეხვეწება რასმე, არწმუნებს: ყოველი შენა ჭირი და უბედურება მე მქონდეს, შენ მაგიერ მე მოკვდეო. ამ ფორმულას, ხმამალა წარმოთქმულს, ადამიანის ყოველგვარ უბედურების სული გაიგონებს, და რაკი თვითონ განთავისუფლდება ჭირისაგან, და ეს ჭირი გადავა მახვეწარის სხეულში, ამ მახვეწარს ადვილად შეუსრულებს ხვეწნას.

თავზე ხელის შემოვლების ჩვეულება მეგრელებში, სხვათა შორის, მეგრულ დალოცვის ერთ სახედ ითვლება და მას მიმართავენ უმთავრესად ქალები (ძალიან იშვიათად — მამაკაცები), როცა ვისმე შორს სადმე ისტუმრებენ. ამ შემთხვევაში დალოცვის საგანია საპატარძლო, რომელიც დედ-მამის სახლ-კარს სამუდამოდ შორდება და ოღონდაც რომ სჭირია მშობლებმა მაგრად დაულოცონ შორე, ვინ იცის, რა განსაცდელითა საესე გზა...

მშობლების სახლიდან წამოყვანილ პატარძალს თავის ჩითით ისე აქვს შეხვეული სახე, რომ თვალები-და უჩანს. როცა ცხენზე უნდა შესვან, უთაღიანდება, ერთბაშად არა ჯდება, ტირის, „სხვებს“ არ უნდა გაჰყვეს, თავისიანების დატოვება ემძიმება... ბოლოს, ყველაფერი მზადაა. სასიძო და მამრები ცხენებს მოასხდებიან და გზას შეუდგებიან, გაისმის თოფების ხმა, შეიქნება ჩოჩქოლი, ცხენებს მათრახები ძალზე შემოჰკრეს... სასიძო წინ მიუძღვის, მას მიჰყვებიან მამრები, ხოლო სულ ბოლოს მისდევენ საპატარძლო და მისი მღადე\*. ნათესავთაგანი საპატარძლოს არავინ ახლავს, მათგანი არავინ ღებულობს მონაწილეობას შემდგეს საქორწილო ცერემონიებში და საერთო მხიარულებაში, რადგან ესენი წარმოადგენენ მხარეს დაღონებულს, დაძმარებულს, მკმუნვარეს, მხარეს, რომელსაც დაეცნენ და რომელსაც საპატარძლო მოსტაცეს...

\* მეგრული წესის თანახმად, ქალი თავის დღეში არ მიდის არც ქვეითად და აღარც ცხენით მამაკაცის გვერდით, და მით უფრო მის წინ. ქალი უეჭველად მამაკაცს მისდევს. ეს გადმონაშთია იმ ჩვეულებისა, რომლის ძალით მამაკაცს მტერთან შეჯვარებისას ქალი თავის ზურგს უკან უნდა ჰყოლოდა, ამ ზურგით დაეფარა, როგორც სუსტი არსება, და არამც და არამც — მტრის პირისპირ.

გზაში მაყრები მღერიან მაყრულს, რომელსაც მეგრულად ჰქვიათ: „კუჩხა ბედნიერი“, რაც ქართულად ნიშნავს „ბედნიერი ფეხი“. ამ სიმღერით მაყრები გამოსთქვამენ სურვილს, რომ საპატარძლო კარგის ფეხისა იყოს, მის შემოსვლას. სასიძოს სახლში მოპყლოდეს ბედნიერება და წარმატება. ამ სიმღერის მნიშვნელობა ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ მოვიფიქრებთ, რომ მეგრელებსა სწამთ სხვათა შორის, შემდეგი: ყოველ უცხო კაცს, რომელიც ამა თუ იმ სახლში შემოდის, თან შემოაქვს „უბედურება“ ან „ბედნიერება“, რომლებიც მეგრელების მიერ წარმოდგენილი არიან როგორც საგანგებო სულნი. არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ყოველთვის უბედურება შემოჰყვებათ და ამიტომ ასეთ „უბედური ფეხის“ ადამიანის შემოსვლას ყველა ერიდება; პირიქით, არიან ისეთები, ვისაც ყველგან შემოჰყვებათ ბედნიერება და საერთო სიხარული\*. ამ სიმღერას საბრძოლო კილო აქვს და ბედნიერების სულს შეჰღალადებენ: „გვისმინე და საპატარძლოს კვალზე შემოდი სასიძოს სახლში“. ეს სიმღერა გრძელდება სასიძოს სახლამდე. სიმღერის დროს დრო და დრო ისმის თოფის სროლა, რითაც ყველას აუწყებენ—საპატარძლო მოგვყავსო.

სანამ საპატარძლოს საქმროს სახლში შეიყვანდნენ, ყველანი ეკლესიისაკენ მიდიან საეკლესიო ჯვარისწერისათვის. ერთ-ერთი მაყრათავანი მეჯვარედ ანუ გვირგვინის შემცვლელად უდგება სასიძოს. მეჯვარე ჯვარსაწერებს ხელის თითებზე უცვლის სანიშნო ბეჭდებს.

ჯვარისწერამდე მღვდელი სასიძოსა და საპატარძლოს ეკითხება— ხომ თანახმანი ხართ ჯვარისწერისაო? სასიძოსაგან ადვილია ხოლმე თანხმობის გაგონება, მაგრამ საპატარძლოსაგან ისეთისავე პასუხის მიღება, უმეტეს შემთხვევაში, ძალიან ძნელია, რადგან მთელ საქორწილო ცერემონიის დროს მისი მხრით ხმის ამოდება უწყსობად ითვლება; ბოლოსა და ბოლოს, მისი მხრით, სიჩუმეს თანხმობის ნიშნად ჩასთვლიან. მღვდელი მოითხოვს, რომ საპატარძლომ ჯვარის წერის დროს სახიდან რიდე მოიხსნას; თითქმის ძალათი დაითანხმებენ, მისი აზრით, ამ მოუტირებელ მოთხოვნაზე. სასიძო, ჩვეულებრივ, პირველად ხედავს გვირგვინ ქვეშ საპატარძლოს სახეს, რომელიც მისგან აქამდის გულმოდგინედ დაფარული იყო. და სწორედ, ჯვარის წერის დროს იციან სასიძოებმა ჯვარისწერაზე უარის თქმა, როცა აღმოჩნდება, რომ პატარძალი შეცვლილია. ასეთი „სიყალბე“ სულ ადვილად ხდება მეგრულ ჯვარისწერაში, რადგან სასიძოს სულ უკანასკნელ წუთამდე შემ-

\* მეგრელთა ამ რწმენის შესახებ დაწვრილებით იხილე ამავე კრებულში ჩვენი წერილი „ახალი წელიწადი სამეგრელოში“.

თხვევა არა აქვს ნახოს თავისი საბედო: გაშინჯვის დროს სასიძო არ ესწრება; არ ესწრება დანიშვნის დროსაც; ვერა ხედავს საპატარძლოს მაშინაც, როცა მშობლები თავიანთ სახლიდან ისტუმრებენ. ასეთი გარემოებით სარგებლობენ მშობლები გაშინჯვის დროს ვაჟის ნათესაებს უფრო ლამაზ ქალს აჩვენებენ, ხოლო გვირგვინ ქვეშ გამოჩნდება მახინჯი ვინმე, ის არა, ვინც უნდა შეერთო. რაკი „სიყალბე“ ამკარად გამოჩნდება, სასიძოს უფლება აქვს უარი სთქვას ჯვარისწერაზე, და, ცხადია, საქმე მწვავდება; განაწყენებული მხარე იძულებულია მერცხვენისათვის შური იძიოს.

როცა ასეთი დამატაკოლებელი მიზეზი არ იქნება, მღვდელი ჯვარისწერას შეუდგება. ჯვარისწერას რომ მორჩება, მღვდელი ჯვარდაწერილებს მიაწოდებს სეფისკვერის თითო ნატეხს და ფიალით ღვინოს, რომელიც თითოეულმა მათგანმა სამჯერ უნდა მოსვას. ბოლოს უნდა აკოცონ ერთმანეთს. მღვდელს დიდი შრომა დასჭირდება დაიყოლიოს ისინი, განსაკუთრებით პატარასალი; მამაკაცის მხრით ყოველგვარ წესიერების და კდემამოსილების ელემენტარული კანონის დარღვევად ითვლება საჯაროდ კოცნა არანათესავის ქალისა, თუნდაც მის მომავალ ცოლისა... ამავ დროს მეჯვარე სჭრის ძაფს, რომლითაც ჯვარისწერის დროს, საპატარძლო-სასიძოს ტანისამოსი ერთიმეორეს იყო მიმდარებული.

ეკლესიიდან გამოსვლისას მეჯვარე პირველი გაისვრის დამბაჩას, იმას სხვა მაყრები მიჰყვებიან და ისეთი სროლა ატყდება, კაცს ბრძოლა ეგონება. ამ სროლამ უნდა გამოხატოს სიხარული ყველასი მომხდარ ამბის გამო.

საეკლესიო ჯვარისწერა ძველად სამეგრელოში, როგორც ამას კათოლიკეთა მისიონერი არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს თავის „სამეგრელოს აღწერაში“, ეკლესიის გარეშეც იცოდნენ მარანში. მარანში, სადაც საღვინე ქვევრებია, ოჯახის უფროსი ამ ქვევრების თავზე დღესასწაულებში ლოცულობს ხოლმე და წმინდანებს, ვის სახელზედაც ღვინო იქნება ჩასხმული ქვევრში, შეავედრებს თავის ოჯახის წევრების თავს. ამიტომ მარანი ისეთივე წმინდა ადგილად ითვლება, როგორც რომელიც გინდა ეკლესია, და ძველად მარანში სწორედ ამიტომ ხდებოდა ჯვარისწერა.

სიძის სახლამდე სანამ მოვიდოდნენ ნეფე-დედოფალი და მაყრები, ერთ-ერთი მაყართაგანი სხვებს გამოეყოფა და ცხენის ჭენებით წამოვა და შინ დახვედრილ სტუმრებს დამბაჩის სროლით შეატყობინებს ნეფე-დედოფლის მოახლოვებას. საქორწილო ცერემონიაში ამ როლის ამსრულებელსა ჰქვიან „მახარობელი“ ანუ სასიხარულო ამბის მომტანი. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სახელი ეწოდება ყველას, ვინც ვისმე სასიძო-

მოვნო ამბავს გააგებინებს, განსაკუთრებით ბრძოლის ველიდან მტერზე გამარჯვების ამბავს ვინც ახარებს შინაურებს. და რადგან ქალის მოტაცებით ცოლის შერთვას უწყველად მოსდევდა ორთა მოწინააღმდეგეთა შეტაკება, თუ გამარჯვებულები სასიძოს მომხრეები იქნებოდნენ, ერთ-ერთი ბრძოლაში მონაწილეთაგანი ისწრაფოდა თანათოფელნი გაეხარებინა მტრების დამარცხებით. რაკი თანამედროვე ქორწილი მშვიდობიანის ხასიათისაა, მახარობლის როლს წმინდა სიმბოლური ხასიათი აქვს. სიძის სახლს რომ მიუახლოვდება, მახარობელი დამბაჩას ისერის და საჩქაროდ შემოიჭრება ეზოში, სადაც განარებული ხალხი დახვდება. ყველას ეტყვის, რომ ნეფე-დედოფალი, საცაა, მოვლენო. ამ „ტკბილ“ ამბისათვის ჯერ პირში ერთ კოვზ თაფლს ან შაქრის ნატეხს ჩაუღებენ, მერე კი დიდის ხნის მგზავრობით მოშეებულს და მოწყურებულს მწვადსა და ღვინოს მიაწოდებენ. მახარობლის პირში შაქრის ნატეხის ჩადების ჩვეულებისაგან წარმოიშვა მეგრული და საზოგადოდ ქართული თქმა „შენს პირს შაქარი“, ე. ი. მუდამ შაქარი გდებოდეს პირში, შენს სიცოცხლეში ტკბილი საქმელი გეჭამოსო. ამ თქმით მიმართავენ ვისმე, ვისაც კარგი, სასიამოვნო ამბავი რამე ამოუვა პირიდან.

4

დიარა (საქორწილო ლხინი). — სიძის სახლში პატარძლის შექოყვანის ცერემონიები. — ცოლ-ქმრის პირველი დამე. — „მერჩქვანადა“ ანუ „მოშინაურება“ (მეჩვევა შინაურ საქმეთათვის). — ცოლის მიერ პერიფრაზებით ხსენება ქმრისა და ქმრის ნათესავეების სახელისა. — სიძის მიერ ცოლის მოშობლების სანახავად წამოსვლა და მოსაკითხის მოტანა.

დიარა. მახარობელი რომ გამოჩნდება. ცოტა ჩანრიც გაივლის და ცხენოსნები, რომელთაც სიძე მოეძღვის, შემოაჭენებენ ცხენებს ეზოში, თან მღერაინ და დამბაჩებს ისერაინ. დიდის ამბით დაუხვდებიან. განსაკუთრებით ეფერებიან და ულოლიავენ ახალმოყვანილ რძალს. მდადე რძალს კაბას გაუსწორებს, სიძეს გვერდით ამოუყენებს, მღერაინ „კუჩხი-ბედნიერს“ და ნეფე-დედოფალი სახლისაკენ გაემართებიან. ორი მაყარი კარის თავზე ხმლებს გადააჯვარდინებს და ამ სახელდახელო თაღს ქვეშ უნდა გაიარონ მეფე-დედოფალმა. მაგრამ სანამ ზღურბლზე გადააბიჯებდნენ ფეხებს, კარებთან შეტრიალებულად თეფშს დაუდებენ; ზღურბლთან სიძე თეფშს ფეხს დაადგამს და გასტეხავს. მაყურებელნი იცინიან და ხარობენ. გასატეხი თეფში სიმბოლოა დედოფლისა, რომელიც უმანკო იყო (თეფშის მსგავსად მთელი), მაგრამ სიძის სახლის ზღურბლს რომ გადასცდება, თავისი ქალწულობა მსხვერპლად უნდა შესწიროს თავის „პატრონს“. ამით აიხსნება მეგრუ-

ლად ქალწულის წოდება—„უტახუ“ (გაუტეხელი), ხოლო სიქალწულეს მოკლებულ ქალსა ჰქვიან ტახილი—გატეხილი. პატარძალი სახლის შუაგულზე გამართულ კერას სამჯერ შემოუვლის, ხელს მოჰკიდებს კერას ზემოდან დაკიდებულ რკინის საკიდელას (ლარჯა), რომელზედაც ქვაბებს ჰკიდებენ ხოლმე საჭმლის მოსახარშად; მერე კერის პირას ჩამოჯდება, როგორც უცხო ადამიანი, რომელიც უნდა გაეცნოს ახალ სახლს, ოჯახის ახალ ნიეთებს; შემდეგ პატარძალი სახლის კუთხეებს მიმოივლის, მიმოაბნევს ღომის მარცვლებს—გამრავლების სიმბოლოს, და დოქით წყალს მოასხამს მიწაზე დაბნულ მარცვალს და ამით გამოსთქვამს ნატვრას კარგი ჭირნახული მოსულიყო და ყანები გვალვას არ შეეწუხებინოს. ამ ცერემონიით საძირკველი ეყრება ქმრის ჰერ ქვეშ მოყვანილ ცოლის სადიასახლისო მოვალეობათ.

შემდეგ ყველანი გაემართებიან შეფაშუ, სადაც გაიმართება საქორწილო ღმერთი. პირველებად შემოდიან სიძე-პატარძალი და სხდებიან შეფის თავში.

ჩვენ ზემოთ მოვიხსენიებთ, რომ სიძეს ქორწილის დროს მათა (მეფე) ჰქვიან, ხოლო პატარძალს—დედოფალი, და ავხსენით კიდევცა ამ სახელწოდებათა წარმოშობის ამბავი. აქ დაევმატებთ, რომ ღმერთის დროს მეფე-დედოფალს დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველანი ემორჩილებიან და ცდილობენ აამონ. მეფის ყოველი სიტყვა ბრძანებას (ზოჯუას) უდრის, ეს-ღა გესმით: „მაფაქ ზოჯუ“ (მეფემ ბრძანა), „მაფას ონებუ“ (მეფესა ჰნებავს). ვინც მას მიჰპართავს, ცდილობს ყოველს თავის სიტყვას მისცეს ხასიათი უდიდესის პატივისცემისა, განსაკუთრებულის მორჩილებისა. მეფეს ქედმაღლურად უჭირავს თავი, ცოტას ლაპარაკობს, ყველას ისე უყურებს, თითქო მისნი ქვეშევრდომნი იყვნენ, მასთან სალხენად მოსულები... რაც შეეხება ქმრის გვერდით მჯდომარე დედოფალს, კალთაში ჩაუსვამენ მამრობითი სქესის ბავშვს:—ეს სიმბოლოა მის მონავალ დედობრივის როლისა და ამავე დროს უსიტყვო აღთქმას, მიცემული დამსწრეთათვის: პირველ შვილად ბიჭს ვიყოლიებო. დედოფალი სულ ჩუმად და ძლივძლივობით, ოდნავ პირს დაადებს და რისამე შეკითხვაზე ასე უპასუხებს: „ჰო“, „არა“ და თავი ისე უჭირავს, თითქო გულგრილი მყურებელი იყოს ყველაფერ ომისა, რაც მის გარშემო ხდება. სახეზე მანდილი აქვს მოხვეული, მხოლოდ შუა ღმერთი, როცა დამსწრენი ერთხმად მოითხოვენ სახის ჩვენებას, მდადე ნახევრად ჩამოხდის სახიდან მანდილს; მაგრამ საჭმელს მაინც არ ეკარება. მეგრულთ თქმაცა აქვთ: „მოჰყუდუღუცალო ხე“ (პატარძალივითა ზის), ე. ი. არასფერს აკეთებს, ხელგაუნძრევლადა ზისო.

მამაკაცები სუფრის მარჯვენა მხარესა სხედან, უფროს-უმცროსო-

ბის წესზე, ხოლო მარცხენა მხარეზე ქალები სხედან. არიგებენ კერძებს. უფროსები ანიშნებენ: დროა ჭამას შევუდგეთო. სუფრაზე, ჩვეულებრივ, ყველაფერი უხვადაა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს ღვინოს: სუფრაზე ღვინო იმდენი უნდა იყოს, რომ ყველას სათრობადა ჰქონდეს; რაც უფრო მეტი სტუმარი ადგება სუფრიდან მთვრალი, მით უფრო მნიშვნელობა ექნება ქორწილს, მით უფრო მეტს ილაპარაკებენ იმაზე. ამა თუ იმ ქორწილში საჭმლის სიუხვე დიდხანს იქნება ლაპარაკის და ქების საგნად; მდიდრული ლხინი ერთგვარ ისტორიულ ამბის დარია: ამა და ამას ქორწილი რომ ჰქონდა, მას აქეთ ოცნა წელიწადიაო, იტყვიან. ხოლომე ხშირად სოფელში. სანამ ღვინის სმას დაიწყებდნენ, ამოირჩევენ ლხინის ხელმძღვანელს—ტოლუმბაშს. პირველად უნდა ადღეგრძელონ მეფე—მიზეზი ქორწილისა. უსურვებენ, რომ ახალმოყვანილი ცოლი მისი გამგონე (მორჩილე) იყოს, ერთგული, ყოლოდეს ექვსი ვაჟი და სამი ქალი, და დასასრულ, ერთმანეთს შეჰბერებოდნენ, ერთი-მეორის სიყვარულში, როგორც „მზე და მთვარე“\*.

პატარძალს უსურვებენ: კარგი ფეხის იყავიო, ე. ი. შენთან ერთად ამ სახლში შემოსულიყოს ყოველივე სიკეთე და ბედნიერებაო. მერე ადღეგრძელებენ სიძის მშობლებს, სტუმრებს უფროს-უმცროსობის წესით და სხვ. სმასთან ერთად სუფრაზე მღერიან მაყრულს და სხვა სიმღერებს, რომელთა შინაარსი ასეთია: ღვინო ბევრი უნდა ვსვათ, ღვინო ამხიარულებს ადამიანის გულს, უნდა ქალი გვიყვარდეს, მაგრამ ჩვენი საყვარელი ახალგაზრდა უნდა იყოს, ბებერი რაში გვინდა და სხვ. და სხვ. არის, მაგალითად, ასეთი, სულ ძველის-ძველი სუფრული სიმღერა:

გეშვია, გეშვია,  
ახალი და ჯვეშია...  
უჩარდია, უჩა კოჩი!...  
ვაშუნდი და მუშა მორთი?!...  
გეშვი ღვინო, გეშაწკუპი,  
აშო მომიხარკალე,  
მა დედიბი მუშო მოყო,  
ცირა მომიჩაკალე...

(დალიე, დალიე,  
ახალი და ძველია...  
უჩარდია, შავი კაცო!...  
თუ არ სვამდი, რისთვის მოხველი?!  
დალიე ღვინო, გამოსცალე (ჭურჭელი),  
მერე აქეთ გადმომიდგე;  
დედაბერი რაღათ მინდა,  
გოგო მომგვარეთ...).

ღვინის სმაში თავი უნდა ისახელონ განსაკუთრებით სიძის მაყრებ-  
მა; ყველანი იმათ შესტკერიან,—აბა ვინ უფრო ბევრსა სვამსო!... ამათ

\* მეგრულ საისტროლოგიო მითოლოგიის თანახმად, მზე და მთვარე ცოლ-ქმარია, ხოლო ვარსკვლავები — მათი შვილები არიან. თქმა: მზესა და მთარისებრ დაბერება უდრის სტრვილს იცხოვროს კაცმა დაუსრულებლოვ, მსგავსად ზეციურ ცოლ-ქმრისა — „მზისა და მთვარისა“, რომელნიც თანახმად მეგრულ მღაბითა რწმებისა, ქვეყნის გაჩენიდან არსებობენ.

თავიანთი სიმღერებითაც უნდა ისახელონ თავი. ერთი მხრით, სიძის მაცრებასა და, მეორე მხრით, პატარძლის მაცრებას შორის ნამდვილი შეჯიბრებაა გამართული. დამსწრენი ყოველთვის სიძის მაცრებას ჰკერძავენ და ის უნდათ, რომ ესენი გამარჯვებულები დარჩნენ, როგორც სიძის ინტერესების დამცველნი. ვაი პატარძლის დამარცხებულ მაცრების ბრალიცა: მათს დაცინვას და მასხარად აღებას საზღვარი არა აქვს!

შუა ლხინის დროს ორნი მოწესრიგეთაგანი აიღებენ თეფშებს და ჩამოუვლიან მოლხინეთ დ უ დ ი შ გ ი ნ ა ყ თ ა მ ა ლ ი ს (თავზე გადასაგდება) მოსაგროვებლად. ეს ის ფულია, რომელსაც ახალჯვარდაწერილის შესაწევრად აგროვებენ. დუდიშ გინაყოთამალი ნიშნავს— თავზე გადასაყრელს, ხოლო ამ შემთხვევაში—შესაწევარს, რომელსაც თავზე აყრიან სიძეს. უნდა ვიფიქროთ, რომ პირველად, როცა შემოიღეს ეს ჩვეულება სიძის დახმარებისა საქორწილო ლხინის ხარჯების გასასტუმრებლად, სიძის მოგვარეთ მოჰქონდათ ფულად შესაწევარი და თავზე აყრიდნენ; ისიც ამ ფულებს იღებდა და საქორწილოდ ხარჯავდა. მეგრული „გინაყოთამალი“ და ფულის მოგროვება, სხვადასხვა ხალხს რომ აქვს ჩვეულებად საპატარძლოს გამოსასყიდად საერთო ძალ-ღონით, ჩვენის აზრით, ერთისა და იმავე წარმოშობისა უნდა იყოს. ამის ძალით, საპატარძლოც საერთო საკუთრებად ხდებოდა; ყოველი წევრი გვარისა, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა შესაწევრის გაღებაში, საპატარძლოს თავის საცოლქმრო უფლებას წაუყენებდა. მეგრელებს, როგორც მის მეზობელ აფხაზებს და ჩერქეზებს, შერჩათ მხოლოდ გადანაშთი ამ ჩვეულებისა: ქმარი ცდილობს საჯაროდ არ გამოაჩინოს თავისი განსაკუთრებული საცოლქმრო უფლებანი: გარეშეებთან ცოლიანად არ გამოჩნდება, სახელს არ უძახის, ლაპარაკში ცოლს იშვიათად ახსენებს და სხვ. და სხვ.; მაგ., ცოლისთვის ხელების მოხვევა ან მისი კოცნა გარეშესთან მეგრელ ქმრისათვის მეტად შესარცხვენ საქციელად ითვლება.

შესაწევრად აძლევენ ათ შაურიდან 25 მანეთამდე; ყველაფერი დამოკიდებულია სტუმრების შეძლებასა და გულუხვობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა ურთიერთობა აქვს შემწირველს სიძესთან\*. ამასთანავე, სიძის ნათესავეები, ფულად შესაწევარს გარდა, ნივთიერადაც ეწვეიან: ჩვეულებრივ, მოჰყავთ ხარები, რომელთაც იქვე დაჰკლავენ ქორწილისათვის. შესაწევრის ამ სახესა ქვია ოჭიშაფუ (ურთიერთი დახმარება). სიძის წინ დგას თასი, რომელშიცა ჰყრიან შესაწევარ ფულს. ერთი შესაწევრის მომკრებთაგანი ყველას გასაგონად სიძეს მოახსენ-

\* როცა მოწვეულს პირად არ შეუძლია დაესწროს, თავის ძაგიერად სხვასა ჰგზავნის და „თავზე გადასაგდებაც“ იმას გამოატანს.

ნებს—ვინ რამდენი ფული გაიღო, აქებს შემწირველს და ამით აქეზებს სხვებს. უკანასკნელ ხანში შემოიღეს შემომწირველთა სიის შედგენა, საცა აღინიშნება, ვინ რამდენი შესწირა.

შემოწირულებათა მოგროვების გათავებისას დაპატიებულნი სიძე-პატარძალსა სთხოვენ იცეკვონ. პატარძალი, რა თქმა უნდა, დიდხანს ახვეწინებს, სანამ დათანხმდებოდეს. სიძე-პატარძლის შემდეგ სხვები გამოვლენ საცეკვაოდ.

სოფლის მოზარდ ქალებს და ბიჭებს ქორწილში ჩვეულებრივ არ იწვევენ; რომ ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილონ და შეიძლონ გაშინჯვა პატარძლისა და მოლხინეთა, მოაწყობენ „მითოძირაფა“-ს ანუ მოლხინეთა გაშინჯვას შეფას ჭუჭრუტანებიდან. ლხინის გამგეები, ჩვეულებრივ, არ უშლიან ამ დაუპატიებელ სტუმრებს და ამათაც სრულიად თავისუფლად შეუძლიათ გაშინჯონ ყველანი, ვინც შეფაში სხედან.

ლხინი, ჩვეულებრივ, ერთ ღამეს გასტანს, მაგრამ შეიძლება მეორე დღესაც გაგრძელდეს, რაც სიძის შეძლებაზეა დამოკიდებული. სადღეგრძელოებს ყველას რომ დალევენ, ლხინის სავსებით დასრულებას არ უცდიან, ისე ახალჯვარდაწერილებს ეტყვიან: „ინებეთ მოსვენებაო“. პირველ ღამესათვის ამათ აწვევენ მაგათთვის საგანგებოდ მოწყობილ ცალკე ბინაში, რომელსაც „ამხარა“ ქვია, სადაც იმათ გარდა სხვას არავის უშვებენ. პატარძლის დადეს და სხვა ქალებს დიდი ხვეწნა სჭირდებათ დააჯერონ პატარძალი—როგორმე შევიდეს ამხარაში. ბოლოს, თითქმის ძალათი შეაგდებენ შიგ.

მეორე დილას დედამთილი შედის ახალჯვარდაწერილთა ოთახში თავის რძლის უბიწოების შესამოწმებლად, როცა დაინახავს ამის ნიშანს, ისწრაფვის ეს სასიხარულო ამბავი ყველას ახაროს... ნათესავები და მეზობლები თავის მხრივ, სრულებით ბუნებრივად სთვლიან ასეთი არც თუ სულ ორაზროვანი კითხვები მისცენ სიძეს: „ჰა, რას იტყვი, ბევრი სისხლის დაღვრა დაგჭირდა, სანამ მტრის ციხე-სიმაგრეს აიღებდი?“ ან: „ნუ გრცხვენია, მართალი ვვითხარი, ბევრი ოფლის ღვრა დაგჭირდა, სანამ შენს ურა ფაშატს გახედნიდი?“. ასეთი კითხვების აზრი მკითხველისათვის მით უფრო იქნება გასაგები, თუ მოვიგონებთ, რომ მეგრულად ფაშატის გახედნა და დეფლორაცია ანუ უბიწო ქალის საქალწულო აპკის გახეთქვა ერთისა და იმავე ზმნით გამოიხატება—ნჭყუალა-თი, რაც საკუთრივ ქვია ფაშატის ან მოზვერის გახედნას. უბიწო ქალს კი უნჭყაფუ—გაუხედნელი ან კიდეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „უტახუ“, გაუხრწნელი, გაუტეხელი, ქვია. როცა სიძეს პირველს უხდება „ნჭყუალა“, სახეზე კმაყოფილება, გულზვიადობა

ესატება. და, მართალია, საჩოთირო კითხვებს აძლევენ, მაგრამ თამამად, მოურიდებლად საფერ პასუხს იძლევა; ყველას უხარია, ქებას უძღენიან როგორც პატარძალს, ისე მის დედას.

სულ სხვანაირად დატრიალდება საქმე, როცა პატარძალი ქმრის ოჯახში უკვე უბიწოებას მოკლებული შემოდის და ეს მის მოსვლის პირველ ღამეს მქადავდება... ქმარი და აგრეთვე ყველა მისი შშობლები და თანამოგვარენი ძალზე თავლაფდასხმულეებად თვლიან თავიანთ თავს პატარძლის შშობლების მხრივ, რომელთაც ასეთი „ტახილი“ რძალი მოახჩიეს. უბიწოება გასათხოვარ ქალისათვის—გათხოვების უმთავრესი პირობაა, რადგან ჯვარდაუწერლად სქესობრივი კავშირი სასტიკად აკრძალული და დასაგმობია. ქალს უფლება აქვს ეკუთვნოდეს თავის სჯულიერ მეუღლეს და სხვას არავის. უბიწოებას მოკლებული, და, საუბედუროდ, დაორსულებული, მომავალ დედის პერსპექტივიანი—ქალი ყოველ ღონესა ღონობს დამალოს თავისი ცოდვა და ხელოვნურად თავი გაითავისუფლოს აკრძალულ სიყვარულის ნაყოფისაგან, რაც, ხშირად, სიკვდილით თავდება\*. ასეთი ცოდვა სოფელში, როგორც მოგვხსენებთ, ძნელი დასამალავი გახლავთ; სულწასული გასათხოვარი ქალი სოფლის მგოსნების მიერ საგანგებოდ მისთვის შეთხზულ პამფლეტურ ხასიათის ლექსების საგნადა ხდება. ამ ლექსებს სიმღერის ხმაზე გაიძახიან ყველგან; „დამნაშავეს“ დედას კი, და საერთოდ მის ოჯახს, როგორც ყველასაგან ყბადაღებულებს, მეზობლების სახლების კარები გამოეხურებაფ...

სხვათა შორის, უნდა მოვიხსენიოთ ერთი ამბავი, რომელიც მოხდა დიდი ხნის წინათ, სოფ. ხობში (ზუგდიდის მაზრა). სოფელში დედასთან ცხოვრობდა ერთი გასათხოვარი 20 წლის ქალი, რომელსაც სახელად შოუ ერქვა და გვარად შ-ა იყო. აღდგომის წინა დღეებში დედამ თავისი ქალი მახლობელ დაბაში გაგზავნა, აღდგომისათვის საკაბე ჩითი ეყიდნა. ვაჭარი, გვარად შელია, შეუჩნდა სოფლის გოგოს და შეაცდინა. მის ალერსის ნაცვლად საკაბე ჩითი უსასყიდლოდ მისცა. ქალმა მოილოგინა და ვაყი ეყოლა. კარგა ხანმა გაიარა, სანამ დედა მოახერხებდა თავისი სახელგატეხილი ქალი ერთ მეორე მაზრის მცხოვრებ მოხუცისათვის მიეთხოვებინა. ხოლო ქალზე გამოთქმული ლექსი დღემდე ისმის აქა-იქ სამეგრელოში. ამ სიმღერაში დედა ჰყვედრის თავის ქალს, რომელმაც საქვეყნოდ თავი მოსჭრა:

\* ასეთ შემთხვევაში უებარ საშუალებად ითვლება ხარიძირას ფესვებით მოწყვეტა მუცლისა. ხოლო, ცნობილია, რომ ხარიძირა მეტად საწამლავ ძენარედ ითვლება.

„შოუ ნანა, შოუ სქუა,  
 ცაშა მეგიჭოფუ ფსუა...  
 ქალაქიშა გოგოტი...  
 ოთანაფე კაბაშენი;  
 დაჩხირ მუშენ მომინტე?!  
 შელია მამაძალიშ სქუა  
 თავად რენ დო უჩონსქუა?  
 იში ნაკეთებუ სქუა  
 ძღაბი რენ დო ქომოლსქუა?

(შოუ, დედა, შოუ, შევილო,  
 ცისკენ გიშვერაი ფრთები...  
 ქალაქში შენ გაგაგზავნე...  
 სააღდგომო კაბისთვის;  
 ცეცხლი რაღად მომიკიდე?!  
 შელია მამაძალისშვილი  
 თავადია თუ აზნაურია...  
 მის გაკეთებული შვილი;  
 ვაჟია თუ ქალიშვილი?..)

უბიწოებას მოკლებულ ანუ ნამუსახდელ ქალს ყოველი იმედი და-  
 კარგული აქვს, რომ ვისმე კაი კაცს მისთხოვდეს. თავის დედ-მამის ქო-  
 ნებრივ შეძლებულობით და თავის მზითევით თუ-და შეაცდენდა ვისმე  
 ღარიბ, უსახლკარო, ყელგადაგდებულ ახალგაზრდას სოფლისას. ჩვეუ-  
 ლებრივ, ასეთი ქალები ქვრივებს ან მოხუცებს თუ მიასაღებდნენ თავს.  
 და რადგან ქორწილის სინამდვილის მთავარ პირობად პატარძლის უბი-  
 წობა ითვლება, უბიწობა მოკლებულ ქალების საქორწილო წესების  
 ზეიმი მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ ხოლმე: შემცირებულია რიცხვი  
 საპატარძლოს მაცურებისა და ზოგჯერ სულაც არ მიჰყვებიან მაცურები;  
 ქორწილში დაპატიჟებულნი ცოტანი არიან. მოხდება ხოლმე, რომ გახრ-  
 წნილ ქალს მშობლები მოტყუებით მიათხოვებენ ისეთს, ვინც არ იცის  
 ქალის ამბავი. ასეთს შემთხვევაში ქმარს არა მარტო შეუძლია, არამედ  
 ევალება ასეთი ცოლ-ქმრობა შეწყვიტოს, ქალს თავი დაანებოს და  
 დედ-მამას გამოუგზავნეს უკანვე. საზოგადოება განაწყენებულ ქმარს  
 საქციელს მოუწონებს და დაჰგმობს მშობლებს, რომელთაც ვერ უპატ-  
 რონეს თავიანთ ქალს და ვერ დაიცვეს, როგორც რიგი და წესია\*.

სულ სხვა საქმე გახლავთ, როცა ქმარი თავის ცოლ-ქმრულ მოვა-  
 ლეობას ვერ ასრულებს, ანუ როგორც ხატოვანად ამბობს ხოლმე მეგ-  
 რელი მდაბიო ხალხი: „ვერ შესძლებს ციხე-სიმაგრის აღებას“. დროე-  
 ბითი ანუ მუდმივი სქესობრივი სიძაბუნე ქმრისა, ხალხის აზრით, თით-  
 ქმის ყოველთვის გათვალვის, ანუ ავი თვალის ზემოქმედების ბრა-

\* მსგავსადვე, ქმარს შეუძლია განქორწინდეს ცოლთან, რომელიც ცოლ-ქმრულ  
 სარეცელსა ორგულობს. ძველის ადრით ქმარს შეეძლო არამც თუ გაყროდა შოლაღატე  
 ცოლს, არამედ თვითონვე ასამართლებდა. სამეგრელოს ისტორიაში არის ხააძობი ასე-  
 თის ფაქტის შესახებ, რომელიც მომხდარა მე-17 საუკუნეში. სამეგრელოს მთავარმა  
 ლევან დადიანმა ბრძანა ცხვირი მოეჭრათ მის ორგულ ცოლისათვის, აღხაზეთის მთავ-  
 რის თავად შარვაშიძის ქალისათვის, და ამ სახით ქალი თავის მამას გაუგზავნა. მძვრამ  
 ცოლისაგან ნაღალატე ქმარს ეს ეცოტავა და გადასწყვიტა სიმაძრის შურიც ეჭია.  
 შეჭყარა ჯარი, დაეცა მეზობელ აღხაზეთს და ცეცხლითა და მახვილით იავარპყო რამ-  
 დენიმე სოფელი. მოკლე ხანში ლევანმა მეორეჯელ შეირთო ცოლი და, რა თქმა უნდა,  
 ამისათვის ლოცვა-კურთხევა ეკლესიისა არავითარი გამოუთხოვია.

ლია\*. ამიტომ ყოველ ღონესა ღონობენ მამაკაცის სქესობრივის ღონის აღსადგენად, მაგ., აჭმევენ ცხოველთა მოხარშულ სათესლე ჭირკვლებს. ხოლო პატარძალი უნდა იჯდეს და უტადოს, არ შეუძლია უკმაყოფილება განაცხადოს, ვერც ქმარს გაეყრება. მეგრელების ადამი ასეთ შემთხვევებში ქალს სრულებით არ მფარველობს, ის-ღა შეუძლია, რომ დაჰკრას ფეხი და მშობლებთან გაიქცეს.

ახალი დიასახლისი პირველ სამ დღეს ქორწილს შემდეგ ისევ დედოფლის სახელს ატარებს და სახლში გაკეთებით არაფერს აკეთებს, განსაკუთრებით თუ საქმის გამკეთებელი სხვაც არის ვინმე ოჯახში. მეზობლის ქალები მოდიან ხოლმე პატარძლის სანახავად, ცდილობენ გაართონ, ხმა ამოაღებინონ, რამდენიმე სიტყვა ათქმევიონ: ამასა ქვია პატარძლის „მერჩქვანავა“ (მოჩვევა) ანუ „მოშინაურება“, შერიგება მისი ახალ მდგომარეობასთან. ქმართან გარეშეთა თანდასწრებით არ გამოჩნდება, იმის სახელს პერიფრაზებით ახსენებს: „ჩემი პატრონი“, „ჩემი ბატონი“, „ჩემი უფროსი“, „ჩემი მამაკაცი“, „თოლიგე“ (ჩემი თვალი), „შური“ (სული), და სხვ. ცოლი არამცთუ არ წარმოსთქვამს თავის ქმრის სახელს, არამედ გაურბის მის სახელის ხსენებას მაშინაც კი, როცა ეს სახელი სხვასა ქვია. ამ შემთხვევაში თავის ქმრის სეხნიის დასასახელებლად იმავე პერიფრაზებს მიმართავს: „ის, ვინც ჩემი პატრონის სახელს ატარებს“. პატარძალი უმთავრესად არ ახსენებს თავის მამამთილის, დედამთილის, ქმრის ბიძის, ქვისლის სახელებს. ამით პირდაპირ პატონ-ს (ბატონს) ეძახის. ამ წესის დარღვევა პატარძალს უზრდელობაში ჩამოერთმევა. თავის მხრივ, ქმარი ცოლს თავის დღეში არ დაუძახებს სახელს, განსაკუთრებით გარეშეთა თანდასწრებით. ცოლს ქმარი მესამე პირით ელაპარაკება: „ოსური“ (ქალი). სიძე თავის სიდედრის სახელს არ იტყვის, უცხოსთან არ დაელაპარაკება. ერთი სიტყვით, ცოლ-ქმრისა და სიძისა და პატარძლის მშობლების ურთიერთობაში ჩვენა ვხედავთ გადანაშთებს იმ ურთიერთობათა, რომელნიც თავისთავად გამომდინარეობენ სასიძოს მიერ საპატარძლოს მოტაცებასა და საქმრდსა და საპატარძლოს მშობელთა შორის აქედან ჩამოვარდნილ სიძულვილისაგან.

საქორწილო ჩვეულებათა უკანასკნელ აქტად უნდა მივიჩნიოთ სიძის მიერ ქალის ნათესავების სანახავად წამოსვლა. ესა ხდება, ჩვეულებრივ,

\* სქესობრივი ძალ-ღონის შენარჩუნების ზრუნვა უდევს საფუძვლად ამა თუ იმ ოჯახის დიასახლისის ყოველწლიურ ლოცვას, ფალოსის ღვთაების სადიდებლად თქმულს. სქესის ღვთაებას დიასახლისი სთხოვს: „მამაკაცის სასქესო ორგანოს ძალა მისცეს, ხოლო ქალს შეძლება: გაუძლოს ქმრის იფრისს“. სამურზაყანოში ამ ლოცვასთან დაკავშირებულია განსაკუთრებული, მეტად პრიმიტიული ხასიათის ცერემონია ფალოსის სადიდებლად.

ერთ წელს უკან და პირველი შვილის დაბადების შემდეგ. შვილის დაბადება ყველას თვალში განამტკიცებს ცოლ-ქმრობის წესს. ამის შემდეგ როგორც ცოლმა, ისე მისმა მშობლებმა იციან, რომ ქალს ქმართან გაყრის შიში არა აქვს, რადგან მის მდგომარეობას უშვილობა არ დაერქმის. თუ სიძეს ვინმე მახლობელი ნათესავთაგანი მოუკვლდება ან ავადა ჰყავს, ცოლეთრთა სანახავად მანამ ვერ წავა, სანამ მიცვალებულის გლოვის ვადა არ გაივლის ან, ავადმყოფი ნათესავი არ მორჩება, რომ სანახავად მისულ სიძეს არ დაჰბრალდეს მწუხარებისა და უბედურობის გაჩენა იმ ოჯახში, საცა ის მიდის; სწამთ, რომ დაღონებულ სიძეს ოჯახში შემოყვება გლოვა და მწუხარება. ამ ვიზიტსა ჰქვიან „დორთინადა“ (დაბრუნება) ანუ სიძის მიერ ცოლის მოყვანა მის მშობლებთან. სიძეს მოაქვს ღვინო, პური, დაკლული ღორი, ნაბადი სიმამრისათვის, საკაბე — სიდერისათვის; თავიჩითები — ცოლისძებისათვის და სხვ. ცოლს კიდევ მოაქვს თაფლის სანთელი და წვრილი ფული ხატისათვის იმ წმიდანისა, რომელიც ითვლება მფარველად იმ გვარისა, რა გვარისაც ქალია, და რომელიც მუდამ სალოცავად უნდა ჰყავდეს.

## 5.

ზედსიძეობა. — მეორეცოლიანობა. — ცოლის ჩაყრლება მიცვალებულ ქმრის საფლავში. — წინასწარმეტყველებანი ცოლ-ქმრობის შესახებ. — სიმპათიური საშუალებანი: მწვანე (ნის) ბაყაყი. — საჭყურა. — შკითხაობა: ბედის კვრები. — აკრძალვანი. — ანდაზები ცოლ-ქმრობის შესახებ.

ამ წერილის სისრულისათვის გვრჩება მეგრული ცოლ-ქმრობის ორი ფორმაც მოვიხსენიოთ: ზედსიძეობა და მეორეცოლიანობა.

ზედსიძეობა მეგრულადაა „მინოსინჯალაფა“ (ჩასიძება). ეს არის ერთ-ერთი გადანაშთთაგანი პატრიარქატისა. მეგრელთა შორის ამ ფორმას, გამონაკლისის სახით, თუდა ვხედავთ, ე. ი. მაშინ, როცა შეძლებულ მშობლებს მამრობითი სქესის მემკვიდრე არა ჰყავთ, მემკვიდრედ გააჩნიათ მხოლოდ ქალი, ან როცა ქალი—მემკვიდრე—ობოლია. როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში ზედსიძეობაზე თანხმდება ისეთი მამაკაცი, რომელსაც საკუთარი ოჯახი არა აქვს, ან თუ აქვს, ისეთი, რომლის ქონა უფრო უქონობას უდრის, ისეთი მამაკაცი, რომელიც ეკონომიურად დამოკიდებულია. ზედსიძეობას მეგრელის სოციალური ცხოვრება ითმენს, როგორც განსაკუთრებულს მოვლენას, რომელიც ითვლება ისეთ აქტად, რომელიც არ ეგუება მამაკაცის სახელის წარმოდგენას. როგორც საცოლქმრო ჩვეულებათა მთელმა ერთობლიობამ გვიჩვენა, მეგრელს თითონ „მოჰყავს“ თავისთვის ცოლი; თვითონ არის მდგომარეობაში, რომელიც მისთვის ცოლის დაბადებას მოუკვლდება ან ავადა ჰყავს, ცოლეთრთა სანახავად მანამ ვერ წავა, სანამ მიცვალებულის გლოვის ვადა არ გაივლის ან, ავადმყოფი ნათესავი არ მორჩება, რომ სანახავად მისულ სიძეს არ დაჰბრალდეს მწუხარებისა და უბედურობის გაჩენა იმ ოჯახში, საცა ის მიდის; სწამთ, რომ დაღონებულ სიძეს ოჯახში შემოყვება გლოვა და მწუხარება. ამ ვიზიტსა ჰქვიან „დორთინადა“ (დაბრუნება) ანუ სიძის მიერ ცოლის მოყვანა მის მშობლებთან. სიძეს მოაქვს ღვინო, პური, დაკლული ღორი, ნაბადი სიმამრისათვის, საკაბე — სიდერისათვის; თავიჩითები — ცოლისძებისათვის და სხვ. ცოლს კიდევ მოაქვს თაფლის სანთელი და წვრილი ფული ხატისათვის იმ წმიდანისა, რომელიც ითვლება მფარველად იმ გვარისა, რა გვარისაც ქალია, და რომელიც მუდამ სალოცავად უნდა ჰყავდეს.

რეობის ბატონ-პატრონი; მისი როლი სულმუდამ პირველობისაა, ქალი კი მისი ხელქვეითია. ზედსიძეობის დროს როლები იცვლება: ზედსიძეობას მამაკაცი დედაკაცის მდგომარეობამდე ჩამოჰყავს: აქ მამაკაცს კი არ „მოჰყავს“ თავის სახლში ცოლი, არამედ ცოლი „მომყვანის“ როლში გამოდის. ყველა საქორწილო წესი ამ შემთხვევაში მეტად მოკრძალებული ხასიათისაა. მეგრელებში ზედსიძეობას ძალიან იშვიათად ნახავთ, რადგან ეს ინსტიტუტი მეტად ამცირებს მნიშვნელობას მამაკაცისას, რომელიც მეგრეების ცხოვრებაში მთავარ როლს თამაშობს.

მეორეცოლობა და მესამეცოლობა, ზედსიძეობის მსგავსად, მეგრელთა მიერ თუმცა შესაწყნარებელია, მაგრამ მოწონებით არ მოსწონთ; ქორწილი ამ შემთხვევაში გადახდილ იქნება სადად, უზეიმოდ; ქვრივები რომ ქორწილებიან, ყველანი გესლიანად დასციინან; განსვენებულ მეუღლეთა მშობლები მტრებად და ავადმხსენებლებად უხდებიან, მათ თვალში მოღალატეებად, ფიცის გამტეხებადა ხდებიან. ქვრივ მამაკაცს მეორე ცოლის შერთვა კიდევ ასე თუ ისე ეპატიება, მაგრამ ქვრივ ქალს-კი — არასდროს. ქვრივი ქალი თავის განსვენებულ ქმარს სამარეში უნდა ჩასდევდეს, ან, ყოველ შემთხვევაში, სიკვდილამდე მისი ერთგული უნდა იყოს... სამეგრელოში დარჩენილ გადმოცემით, გარდაცვალებულ ქმართან ერთად სამარეში მიწა უნდა მიეყარნათ მის ცოცხალ ცოლისათვის, რომელიც უნდა მიჰყოლოდა „ოშურეთში“ (სულეთში) და იქ განეგრძო მისი სამსახური. შედარებით სულ ახლახან ქმრის დასაფლავების დროს, ქვრივი თმის ნაწნავებს მოიჭრიდა და თავის მაგიერ ამ ნაწნავებს უშვებდა ქმრის საფლავში.

მეგრელებს შერჩათ ბევრი გადანაშთი კერპთთაყვანისმცემლობის დროისა და ბუნების ამა თუ იმ მოვლენის საშუალებით ისინი ცდილობენ გაიგონ თავიანთ მომავალ (საიქოს) ცხოვრების პირობები. წერილის სრულსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ზოგიერთი ცოლ-ქმრობის შესახებ ცრუმორწმუნოება, რომლის საშუალებით მეგრელი ცდილობს გამოიცნოს საიდუმლოებანი მომავლის ცოლ-ქმრულის ცხოვრებისა. ხასიათის მიხედვით, ეს ცრუმორწმუნოებანი სამ კატეგორიად იყოფიან:

1. წინასწარმეტყველებანი. ბავშვების თავებზე, კეფისა და თხემთა ძვლების შეგრთების ადგილას თმა ერთისა და რამდენისამე რგოლის სახით იზრდება. ამ რგოლთა რიცხვის საფუძველზე შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ: რამდენჯერ დაქორწილდება თავის სიცოცხლეში ამ რგოლების პატრონი ბავშვი.

თუ ეკლესიაში ჭვარისსაწერად მიმავალს. სასიძო-საპატარძლოს გზაში მამაკაცი შემოხვდებათ, პირველი შვილი ვაჟი ეყოლებათ; თუ ქალი შემოხვდებათ, გოგო გაუჩნდებათ...

...თუ სასიძოსა და საპატარძლოს ქვრივი კაცი შემოხვდათ, პირველად ქმარი მოკედება, ხოლო ქალის შეხვედრა ქმრის წინ ცოლის სიკვდილს მოასწავებს.

2. ს ი მ პ ა თ ი უ რ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი. ყმაწვილი კაცი, როცა ცდილობს ქალმა შეიყვაროს, დაიჭერს ხის მწვანე ბაყაყს, ცოცხალს მიწაში დამარხავს და მიწაში ჩაფლული მანამდე ექნება, სანამ ბაყაყი ჩონჩხად არ იქცევა. ამ ჩონჩხს ნატეხარაზე დასდებს და ცეცხლზე შემოსდგამს, სანამ ძვლები არ დანახშირდება. ეს ნახშირი უნდა. დანაყრს და როცა გულის სატრფო შეხვდება, უნდა შეაყაროს: ქალის გული ამ წუთიდან მის მიერ დამონებულად უნდა ჩაითვალოს!..

ყმაწვილმა უნდა მონახოს სამყურას ღერო ისეთი, რომელსაც ჩვეულებრივი სამის ფოთლის მაგიერ ოთხი ფოთოლი ჰქონდეს. ასეთი სამყურა მხოლოდ იშვიათ ბედნიერს შეხვდება. საკმაოა ეს ოთხყურა ყმაწვილმა ქალს კაბაზე მოუსვას, რომ ქალი სულთ და ხორციტ ყმაწვილის საკუთრებად იქცეს.

როცა ქალ-ვაგი ჯვარს იწერენ, დროგადასული გასათხოვარი ქალი უნდა მივიდეს და მოახერხოს შესვას ღვინო იმ ფიალიდან, რომლიდანაც მღვდელი ახალჯვარდასწერებს მიაწოდებს ღვინოს და მოსვამენ: დაქამებულ ქალს ამის შემდეგ იმედი უნდა ჩაესახოს, რომ მის გაუთხოვრობას ბოლო მოეღება და მალე გათხოვდება.

3. მ კ ი თ ხ ა ო ბ ა. დიდმარხვის პირველი კვირის შაბათს სოფლელი ქალები, ვისაც უნდა გაიგოს—ვინ იქნება მისი საბედო, კვერებს აცხობენ სიმინდის ფქვილისაგან, თან ჰკარბად მარილს უშვებენ. ამას ეძახიან „ბედის კვერებს“. საღამოს, სხვამ არავინ გაუგოთ, ისე სოფლის გზაგასაყარზე შესჭამენ. ამ მლაშე კვერების შეჭმის შემდეგ, წყურვილი, რაც უნდა უბედურად აწუხებდეთ, პირში ერთ წვეთ წყალს არ ჩაუშვებენ. სამაგიეროდ, ვინც მოითმენს და წყურვილს გაუძლებს, სიზმარში გამოეცხადება მისი საბედო, შეეცდება ტანჯვა შეუმსუბუქოს და პირთან წყლით სავსე ჭურჭელი მიუტანოს. ჭურჭელზე შეეტყობა, თუ რა მდგომარეობისა იქნება საბედო: თუ წყალი ხირკაში (მწარე გოგრის ჭურჭელი) დგას—საბედო უბრალო გლეხთაგანი იქნება; თუ წყალი ჭიქითაა მიწოდებული—საბედო კეთილშობილთაგანი იქნება.

ასეთსავე მკითხაობას გამართავენ ხოლმე ახალწლის დამეს. გასათხოვარი ქალი, სანამ დასაძინებლად დაწვებოდეს, თმას სულ ახალ-ახალი სავარცხლით დაივარცხნის; მერე, ხმას სრულებით არავის გაცემს, ისე სავარცხელს. სასთუმალ ქვეშ ამოიდებს და დასაძინებლად დაწვება; საბედო სიზმრად გამოეცხადება, მოუალერესებს, სასთუმლიდან სავარცხელს გამოიღებს და ამით თმას დაუვარცხნის და დროდამდრო ქალსაც აკოცებს.

დიდმარხვის პირველ ან ბოლო კვირაში, ზიარების წინ, გასათხოვარი ქალი, ვისაც სიზმრად თავის საბედოს ნახვა უნდა, ღამით მიდის სასაფლაოზე, პირქვე დააწვება ახლადგათხრილ საფლავს და ამ მდგომარეობაში უკანიდან ხელებით ერთ მუჭა მიწას აიღებს საფლავიდან; მერე უკანმოუხედავად ადგება და ამასვე გაიმეორებს ორ სხვა საფლავზე. ამ მიწას შინ წამოიღებს, თან ცდილობს უკან აღარ მოიხედოს, თორემ მკითხაობა ფუჭად ჩაუვლის. მოტანილ მიწას ბალიშს ქვეშ ამოიღებს,—საბედო მაშინათვე გამოეცხადება ქალს და თავის თავს გააშინავინებს.

ჩამოთვლილ ცრუმორწმუნობათა გარდა, აღვნიშნოთ ზოგიერთი მოქმედებანი, რომელთაც აქეთ კავშირი ქორწინებასთან და რომელთა ასრულება აკრძალულია იმ აზრით, რომ ამა თუ იმ დადებით რეზულტატს მიადწიონ საქორწილო საქმეში.

1. აკრძალულია ახლგაზრდამ თითოთ ამოწმინდოს ძირი ქოთნისა, რომელშიაც ლობიო იყო მოხარშული და ამოწეილი. ვინც ამ აკრძალვას დაარღვევს, დაისჯება იმითი, რომ მის ქორწილში წვიმა იქნება.

2. გასათხოვარ ქალს არ ეჭმევა თხილის წყვილი გული,—ამის დარღვევს გათხოვებისას ტყუპი ეყოლება.

3. მამაკაცმა ხელში ცოცხი არ უნდა აიღოს და სახლი არ უნდა დაგავოს; ხელში ცოცხის აღება მხოლოდ ქალის საქმეა. თუ მამაკაცს ცოცხი დაარტყი, ვისაც დაარტყამ, ისე გახდება, როგორც ცოცხია გამხდარი, ე. ი. დაეკარგება სქესობრივი ძალ-ღონე; უბედურობის ასაცდენად, ცოცხის დამრტყმელმა ცოცხი მაშინათვე ფეხებქვეშ უნდა დაუდოს და ზედ ფეხები დააბიჯებინოს (მტერზე გამარჯვების სიმბოლო) და ცოცხის მავნე ძალა გაქრება.

4. მოზარდ ქალს რომელისამე ფრინველის კუჭი არ ეჭმევა, თორემ ჯვარის წერის ღრის, გვირგვინს ქვეშ რომ იქნება, მისი სახე სასიამოვნო ვარდისფერს დაჰკარგავს და დაემგვანება მის მიერ მოხარშულ ფრინველის კუჭის ლურჯ ფერს.

5. ქალის მზითვეში არ უნდა მოჰყვეს არც ნემსი და აღარც მაკრატელი,—ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში უბედურობის მიზეზად გახდება ერთიცა და მეორეცა. ეს საჭირო ნივთები ქალმა ქმრის სახლში უნდა შეიძინოს.

6. გასათხოვარი ქალი ქვაზე არ უნდა დაჯდეს,—ქვა სინონიმია სიცივისა და უნაყოფობისა. ვინც აკრძალვას დაარღვევს, უშვილობა მოეღოს.

7. გასათხოვარი ქალი ჯორზე ვერ შეჯდება,—მთელი სიცოცხლე ბერწობა მოეღოს.

დასასრულ, აქ მოვიტანო მეგრული ანდაზებს, რომლებიც ასახავენ შეხედულებას როგორც ქორწილსა, ისე ქალზე:

— ბედნიერს ცოლი მოუკვდება და უბედურს—ცხენიო.

(ბედნიერს ჩილი უღურუ, უბედურს—ცხენი).

— კარგის ცოლის პატრონს გზაში საგზალი არ უნდაო.

(ჯგირ ჩილიმ მენდულს შარას ორზოლი ვაკონია).

თუ ცოლი ქმარს არა ჰგავს (იმის ხასიათი არა აქვს), მისი არ იქნებაო.

(ჩილი ქომონჯის ვაგუნდა, მუშ ვეყინია).

— ცოლის შერთვა ვისაც უნდა, სახლი კარგ სატუძველზე უნდა ჰქონდეს.

(ოსურიმ მუმაყონაფალ კოს დიდი ოსხირი ოკონია).

1916 წ.

## მიცვალებულის კულტი სამეგრელოში\*

მეგრელის რწმენით, ამ ქვეყნად ბავშვი გაჩნდება თუ არა, ცას მისი სახელის ვარსკვლავი „მიეკვრობა“. ეს ვარსკვლავი განსახიერება იქნება დედამიწის ამ ახლადდაბადებულ მცხოვრებისა. თავის გაჩენისას, ბავშვის მსგავსად, ვარსკვლავი პატარაა; ცაზე ისეთივე განსაზღვრული სივრცე უჭირავს, როგორც ბავშვს—დედამიწაზე. მაგრამ შემდეგში, ბავშვის ზრდასთან ერთად, იზრდება და დიდდება „მისი ვარსკვლავიც“ ზეცაზე. რაც უფრო თვალსაჩინოა ადამიანის მდგომარეობა თავის მსგავსთა შორის, მით უფრო მსხვილი და შუქმფენია მისი ვარსკვლავი ცაზე. პირიქით, პატარები, ძლივას მბეუტავი ვარსკვლავები განსახიერებენ ჩვენის პლანეტის ღარიბ, იერარქიულ კიბის სულ დაბალ საფეხურზე მდგარ, ყოველგვარ გავლენასა და სიკეთეს მოკლებულ მცხოვრებთ. როდესაც სამეგრელოს მკვიდრი მთვარიან ღამეს, აღურაცხელ ვარსკვლავებით მოოჭვილ, ლაყვარდთაღს ცისას უჭვრეტს და ერთბაშად დაინახავს, რომ ჯერ ერთი და მერე სხვა ვარსკვლავები „ციდან სცივიან“, მასა სწამს, რომ თითოეულ მათგანის ჩამოვარდნასთან და მის უზო-უკვლოდ გაქრობასთან მსოფლიოს უსაზღვრო სივრცეში, სადმე დედამიწაზე სულსა ჰლევს ადამიანის არსება, რომელსაც ეს ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი ეკუთვნოდა, და, ამ სახით, მისი სახელი იშლება („ილასუ“) დედამიწის მკვიდრთა საგულეებელ სიიდან.

ასე რომ მეგრელი დედამიწის ზურგზე კაცობრიობის სიკვდილიანობის სტატისტიკას აწარმოებს უამითი-უამად ციდან მოწყვეტილ და თავის არსებობის შემწყვეტ ციურ მნათობთა საფუძველზე. სიტყვამ მოიჭანა და ვიტყვი, რომ იმ საგნებსა და მოქმედებთ, რომელნიც აკრძალულნი არიან („ვაშინერს“) მეგრელების მიერ, ეკუთვნის ვარსკვლავთ აღრიცხვა. ვინც ამ ვ ა შ ი ნ ე რ ს ს (ტაბუ) დაარღვევს, ჭკუაზე შეშლა მოელის; უკეთეს შემთხვევაში, ცნობისმოყვარე მეგრელს მოელის სხვა სასჯელი, მართალია ამაზე ნაკლებ სასტიკი, მაგრამ მაინც არასასიამოვნო ხასიითისა: მისი ორივე ხელი დაიფარება მეჭეჭებით, რომელთა რიცხვი დაეტოლება რიცხვს იმ ვარსკვლავთა, რომელნიც ჩამოსთვალა მეგრელთა ამ ტაბუს დამრღვევთა.

ცაზე ამა თუ იმ ახლად დაბადებულის ვარსკვლავის გაჩენასთან ერ-

\* ეს ნაშრომი დაიწერა 40 წლის წინათ. დაიბეჭდა კრებულში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ ტ. III. 1940 წ. შიგ ადწერილი ამბები ეკუთვნის 1860 წლებისა და მის წინანდელ ხანას.

თად ახალდაბადებულის შუბლზე სვებედის უხილავი ხელით იწერება ჩვეულებრივი ყველა სიკვდილის შვილთათვის მიუწვდომელი მომავალი ცხოვრება ახალდაბადებულისა. მთელი სიმწარე თუ სიტკბობა ამ ცხოვრებისა, ყოველი წვლილი ცხოვრებისა; შუბლზე აღნიშნულია აგრეთვე, თუ რამდენი ხნის „სააქაო“ ანუ მიწიერი ცხოვრება უწერია მეგრელს, რა ასაკში უნდა მოკვდეს და რა სიკვდილით: ხიდან\* უნდა ჩამოვარდეს და მის ქვეშ განუტეოს სული, თუ წყალში უნდა დაიხრჩოს; ცხენიდან ჩამოვარდეს და ისე სიკვდილი უწერია და სხვ.

რაიმე უბედურობისაგან უღლეოდ მკვდარ კაცზე იტყვიან ხოლმე: „გტყობა, ასე სწერებია (შუბლზე)“. ცნების „უბედურ კაცის“ გამოსახატავად ხმარობენ ტერმინს—„უყვაშქარე“, ე. ი. კაცი, რომელსაც შუბლზე არაფერი (კარგი) აწერია, ანუ „უანაწერო“, რაც იმასვე ნიშნავს, რასაც „უყვაშქარე“.

ასე რომ მეგრელის ყოველ ფეხის გადადგმას, ყოველ მოქმედებას, წინდაწინვე შედგენილი პროგრამით, ხელმძღვანელობას უწევს ბედი, ფატუმი, რაც „შუბლზე აწერია“, და ამ ბედსა და ანაწერს ვერსად წაუფა. მაგრამ საინტერესოა ისიცა, რომ იმავე მკაცრ ფატალისტ მეგრელს აზრადაც არ მოუვა, რომ შეიძლება კაცი მოკვდეს ბუნებრივი სიკვდილით, გარეშე მიზეზების რისაზე ჩაურევლად. ჭერ ავადმყოფობის და მერე თვით სიკვდილის მიზეზს იგი, უფროს ერთ შემთხვევაში, ეძებს ამა თუ იმ „ოხვამერში“ (სალოცავში) ან სულში, რომელსაც ევედრება ხოლმე მეგრელი, ან „ჯინჯიშხატ“-ში\*\* (ძირეული ხატი) ან უბრალოდ „ხატში“\*\*\* ან კიდევ ამის მიზეზი შეიძლება იყოს წყევლა, რომელსაც მიმართეს ავადმყოფის აღრესით მისგან ამა თუ იმ მიზეზით უკმაყოფილო მეზობლებმა, ანდა, დასასრულ, კუდიანი დედაკაცების ან ავსულების ოინები.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მოხსენებული სულების ან ხატის წყრომა-რისხვის პროცესი, მივმართოთ მეგრელის ყოველდღიურ ცხოვრებას. წარმოვიდგინოთ, რომ საღმე სოფელში დაიკარგა ცხენი,

\* იმ დროს, როცა ეს წერილი იწერებოდა, სამეგრელოში ყველა შენაყოფია ზე მალალი იზრდებოდა; თვით ვაზები მალალ ხეებზე იყო გაშვებული. ხილისა და ყურძნის მოსაკრეფად მეგრელები ხეებზე უნდა ასულიყვნენ. ასე რომ მეგრელები ნახევრად მხეხუტები (არბორიკოლური) იყვნენ და, თუმცა ძალიან ევაჯერებოდათ ხეზე გასვლა ხიდან ჩამოვარდნისაგან სიკვდილიანობა მათ შორის იშვიათი იყო.

\*\* ჯინჯიშხატი, პირდაპირ რომ ვთარგმნათ, ნიშნავს ძირულ ხატს ანუ ხატს, რომელსაც ევედრებოდნენ ავადმყოფის წინაპრები და საზოგადოდ შხსნი მოგვარენი და ზომელსაც ამა თუ იმ მხარეში დიდი სახელი და პატივი ჰქონდა მოხვეჭილი.

\*\*\* ხატებიც ერთმანეთში განსხვავდებიან, ზოგი მათგანი ქეტად ძლიერად და ყოვლისშემძლებლად ითვლება და მათს სახელს ჩვეულებრივ ემატება ვპითეტი— „ძლიერი“.

რაც სამეგრელოში იშვიათი ამბავი არ გახლდათ. დაზარალებული ცდილობს ჯერ თავის ძალ-ღონით ეძებოს მოპარული პირუტყვი. როდესაც მეცადინეობა უნაყოფოდ ჩაუვლის, მეგრელი მიდის საჩივრელად ეკლესიაში, სადაც „განისვენებს“ („სვენაჟუ“) „ძლიერი ხატი“.

სიძლიერის მხრით მეტად სახელგანთქმულია მეგრელთა შორის წმ. გიორგის ხატი სოფ. ხეთასა და ილორში. და აჰა, ერთ-ერთ მათგანის წინაშე წარსდგება დაზარალებული და ითხოვს ზარალის ანაზღაურებას თავის როგორც ნაცნობ, ისე უცნობ შეურაცხმყოფელისაგან. თან მოჰყავს, იმისდა მიხედვით, თუ რა ფასისაა მისთვის მიყენებული ზარალი, მოზვერი, ან ბატკანი, მოაქვს შინ ჩამოქნილი თაფლის სანთელი, აგრეთვე ფულად აბანიდან მანეთამდე. ამ შესაწირავს ჩააბარებს „მეხატულს“ ან „ხატის მსახურს“, იმასვე გააცნობს საქმის ვითარებას და სთხოვს იშუამდგომლოს ხატის წინაშე, რათა სამაგიერო მიეწყოს მის დამზარალებელს... მეხატული წმინდანის ხატს გადახსნის წითელ აბრეშუმის პერანგს, თვით ხატს, ვერცხლით მოჭედილს და ოქროცურვილს, ალაგობრივი ოსტატის (გვარად მეუწარვეები) მერ მოჭედილს, დაჩოქილ მიხოვნელის თავზე ხელში დიჭერს და წმინდანს მიამართავს შემდეგი სიტყვებით: „ყოვლად ძლიერო წმინდაო გიორგი! პატივი და დიდება შენს წმინდა სახელს! როგორც შენის ბედნიერის თვალებითა ჰხედავ, მავანმა (სახელი და გვარი მიწოვნელისა) გაბედა შენი ტაძრის წინაშე წამდგარიყო და შესაწირავად მოერთმია შენთვის ცხვარი, ზაფხულის სანთელი, დული, რამდენიც მის სიღარიბეს შეეფერებოდა. განათვითონ არა გრძნობს, რომ ყოველივე ეს მცირეა, შენი საკადრისი არ არის, მაგრამ შენ თვითონ უწყვი, რომ ღარიბია გაჭირვებული. ჯერ ამას დასჯერდი და როდესაც თხოვნას აღსრულებ, კიდევ მოგართმევს შესაწირავს. ახლა იმისთვის გეახლათ გაჭირვებული, რომ გთხოვოს, ეგრემც შენს სახელს ენაცვლება, გამოეჭომაგო, უშველო, გაჭირვება აარიდო. ვიღამაც სული წაიწყვინდა და ცხენი მოჰპარა, ერთად-ერთი ცხენი! გადაჰყვა მის ძებნას, მაგრამ ვერსად მიაკვლია. უნდა უშველო, შენი სახელის ჭირიმე, და ქურდი აპოვნინო. შენ აბა რა არ იცი, რა დაგემალება! დედამიწაზე რაც სულიერი არსებაა, ყველა შენ გმორჩილობს! შენ იცი, თუ რამდენი ვარსკვლავია „მიმსხდარი“ ცაზე, შენ იცი, რამდენი მარცვალი ქვიშაა ზღვის ფსკერზე! იცი, რამდენი ძირი ჭაფურია\* ხარობს მთებზე; შენ სულმუდამ მეოხ და მფარველი იყავი შენის ერთგულებისა და მორჩილებისა, ხოლო ურჩთ სასტიკადა სჯიდი; ყოველთვის ჭომაგობდი, ვინც შენთან მოვიდოდა უძღური და დაჩაგრული; შენ, რომლის დიდება და სახელი ცხრა მთას იჭითაა გავარდნილი, ახ-

\* მეთაფლია ბალახია, სამეგრელოს მთებზე იცის.

ლაც გამოიჩინე შენი ძლიერება, ბოროტთა და ავაზაკთა ასალაგმავად, ჭკუის სასწავლებლად. შენი ბოძალი დაატაე, შენი რკინის შუბით გული გაუგმირე მისი ცხენის ქურდს\*"; ისე მძიმედ გახადე აეად, რომ სულ შენი წმინდა სახელი აყვირო და გთხოვოს შეველა. მაგრამ სანამ ერთი-ორად არ გადაუხადოს, მანამდე ნუ მისცემ ხსნას“.

ეს უხვი ქათინაურები, უსაზღვრო მორჩილებისა და ერგულების გრძნობის გამოცხადება, და აგრეთვე (უმთავრესად) შესაწირავი, ეტყობა, ეამება წმ. გიორგის და მონადომებინებს მთხოვნელის სასარგებლოდ გაისარჯოს. იმას, ვინც სხვის საკუთრებას პატივს არა სცემს, წმ. გიორგი დაუსწრებელ განჩინებას გამოუტანს, განჩინებას უაპელაციოს და სასიკვდილოს, თუ ვინცობა ბრალდებულმა მომჩივანს ყოველი ხარალი არ აუნაზღაურა. მხოლოდ ეს განაჩენი ერთბაშად არა სრულდება. უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი საჩივარი წმ. გიორგის მეგრელთაგან ხშირად შემოსდის. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი დამოკიდებულება ჯერითაა ხოლმე. მომჩივანი მოთმინებით უცდის თვეობით, წლობით... ზოგჯერ ისეც მოხდება, რომ მამის ბრალს შვილი მოიხდის ხოლმე. მაგრამ როცა უნდათ, რომ საჩივარი დაუყოვნებლივ იქმნას დაეკყოფილებული, წმ. გიორგის (ხეთაში) მიმართავენ მის დღეობაში, აპრილის 23, ან (ილორში) გიორგობისთვის 10. შეხატული ჯერ საყვირით უძახის ყველა მორწმუნეთ, რომ „გადაცემას“ დაესწონ. ამის შემდეგ დიდის მოწიწებით ხელში დაიჭერს წმ. გიორგის ხატს, ადის სამრეკლოზე და იქიდან იწყებს ლაპარაკს, რომლის ნიმუში უკვე მოვიტანეთ. მისი სიტყვის გათავებისას, შეკრებილი ხალხი ერთხმად იძახის „ამინ!“ ამგვარ დაწყველიდან ანუ წმინდანის ხატის წინაშე წარდგენილ საჩივრისათვის მეგრელებს უქვიათ ხ ა ტ ი შ გ ი ნ ო ჩ ა მ ა, რაც ქართულად ასე ითარგმნება: ხატისათვის გადაცემა, ანუ ხატისათვის მინდობა — დასაჯოს დამნაშავე.

უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფი მეგრელი თავის ავადმყოფობას ამგვარ წყევლასა და ხატისათვის გადაცემას აბრალებს. მით უფრო, თუ ამა თუ იმ დანაშაულსა გრძნობს მოყვასის წინაშე და თუ პასუხი მკითხავისა, რომელსაც ის მიმართავს ავადმყოფობის მიზეზის გასაგებებად, ჭკუაშიაც დაუჯდება. ავადმყოფის ნათესავეები და მახლობლნი შიდიან დაზარალებულთან და სთხოვენ პატიებას. ასეთ შემთხვევაში მომჩივანი ხელახლა უნდა მივიდეს წმ. გიორგის კართან და მოახსენოს: ჩემის დამზარალებელისაგან კმაყოფილება მიღებული მაქვს, ჩემი საჩივარი უკანვე გამომაქვს და მეტს ნურას მოჰკითხავო. ამ შემთხვევაში მომჩივანის მოქმედებას ჰქვიან „ალობის მიცემა“ ანუ „შენდობა“.

\* შეიძლება ყოველგვარ შეურაცხოფისათვის „გადასცეს“ ხატს მომჩივანმა.

ავადმყოფი წმ. გიორგის უნდა დაჰპირდეს შესაწირავად მოზვერს, თაფლის სანთელს, ფულს, ხოლო შენს დღეობაში მე თვითონ გეახლები შენ თაყვანისსაცემლადო. მაგრამ ამ დაპირების ასრულების გირაოდ სახლის კუთხეში უნდა დაიდგას სპილენძის ქვაბი ან სხვა რამ ჭურჭელი სპილენძისავე. ამ გირაოს „საწინდარი“ ჰქვია და დაპირების ასრულებამდე იგი უხმარადა დგას. თუ ასეთი ჭურჭელი არა აქვთ, საწინდრად გამოდგება უბრალო ქვაცა, რომელსაც გარეგნულად თითქო არაფერი ფასი აქვსო, მაგრამ ამ შემთხვევაში სავსებით გასწევს ხსენებულ ჭურჭლის მაგივრობას.

წმ. გიორგი სჯის მეგრელს იმ შემთხვევაშიც, როცა იმის სახელს ამოდ იფიცავს ხოლმე. საქმე ის გახლავთ, როცა ამა თუ იმ დანაშაულს ვისმე დააბრალებენ, ეს უკანასკნელი თავის გასამართლებლად ვაღდებულია საჯაროდ, დაინტერესებული მხარის თანდასწრებით წარსდგეს წმ. გიორგის „ქარ წინ“ და მის ხატზე დაიფიცოს. ტყუილი ფიცისათვის წმ. გიორგი დამნაშავეს ჯერ ავად გაზღის და მერე მოჰკლავს კიდეცა. თავიდან აცილება სიკვდილისა მხოლოდ უხვი შეწირულებით შეიძლება.

დამნაშავეს თავზე წმ. გიორგის რისხვის გამოსავლინებლად, საკმარისია იგი საჯაროდ დაიწყევლოს წმინდანის სახელით. წყევლის სიტყვებს რომ მეტი ძალა მიეცეს, მაწყევარი თან იწყევლება და თან ლურსმანს შეარჭობს წმინდა ხეს. ასეთი ხეები ჩვეულებრივ მინდვრებზედაა ზოლმე, ეკლესიის გარშემო. კვირა-უქმეში სოფლელები ამ ხეების ჩრდილ ქვეშ თამაშობას მართავენ და მხიარულობენ: მათ ქვეშ თავს იყრის სოფლის უფროსი ხალხი და სასოფლო საქმეებს არჩევს ხოლმე. ეს ხეები წმინდა ხეებად ითვლება და ვერაფერს გაბედავს ცული შეახოს მათ. ვინც დასწყევლის ვისმე, მოიტანს ლურსმანს და ამ წმინდა ხეში ჩაარჭობს და დასძენს: „ყოველად ძლიერო წმ. გიორგი, მავანსა (სახელს იტყვის) რისხავდე და სანამ თავის კბილით არ გამოაძროს ეს ლურსმანი ამ ხიდან, საშველი არ მისცე“.

წმ. გიორგის გარდა მეგრელს შეიძლება თავისი „ტიბინი“\* (სითბო)

\* ქართული „წყალობა“ მეგრულადაც იხმარება იმავე მნიშვნელობით, მაგრამ უფრო საერთო შემთხვევაში მეგრელებს მისი შანაარსის ეკვივალენტის სიტყვის „ტიბინი“-ს ხმარება ემარჯვებათ. ტიბინი — არსებითი სახელია და ხიშხავს სითბოს, ხოლო მისივე დასკრთავი სახელი იქნება—ტიბუ. ორისავე ძირი ტ ბ არის ანუ დღევანდელი ტ ფ. აქედან წარმოებულია სიტყვა სიტფო, ტფილი, ე. ი. რაც სიტფოს იძლევა. რაც გვახსურებს. ცხადია, ეს სიტყვა სულ ძველის დროისაა, იმ დროისა, როცა ჩვენს პირველყოფილ წინაპრებს ბრძოლა უხდებოდათ მუნების სიმძაფრესთან, სითბო მუნებრივი (მზისა) თუ ხელოვნური (ცეცხლისა) მარად სანატრელი ჰქონდათ. იგი (სითბო) ესდენ საჭირო და აუცილებელი იყო და არას ყოველ ორგანულ არსის ზრდისათვის. საკვირველი არ არის, რომ ტიბინი სიკეთის, მოწყალების, ბედნიერების, ძვარველობის მინიჭების გამომხატველ ცნებად იქცა იმ.ა. მსგავსადევე, რიგორც წყალი, რომელსც ჩვენს სულ შორეულ წინაპრებს სანატრელად ჰქონდათ, იქცა სიტყვა „წყალობის“ გამომხატველად.

ანუ წყალობა მოაკლოს რამელიმე სალოცავთაგანმა („ოხვამერი“), რომელთა დიდი რიდი და პატივისცემა აქვთ სამეგრელოში. მაგალითად, მეტისმეტ ჟინიანად ითვლება „სადაბადოს“ სალოცავი, სულ უბრალო რაზედმე ურისხდება ხოლმე თავის მშობას. იმის გულის მოსაგებად ავადმყოფის ლოგინს გარშემო სამჯერ შემოატარებენ მაკე ძროხას და წესთხოვენ სალოცავს—რისზეა „სიბოლო“ („ტიბინაღ“) შეიცვალოს და ულხინოს ავადმყოფს. ამასთან ერთად ძროხას ყურის ნაპირს მოაჭრიან და ავგაროხის სახით ხელზე შეაბამენ ავადმყოფს. ეს ძროხამ წუთიდან თავისუფლადაა გაშვებული: არა სწველიან, რაც რძე აქვს, „სადაბადოსათვის“ არის შეწირული, თუ სახარე ხბო მოიგო, ცოტა რომ მოიზრდება დაჰკლავენ „სადაბადოს“ შესაწირავად; თუ ფური მოიგო ძროხამ, სამრავლად გაუშვებენ დედასთან ერთად და მისი დაკვლა არ შეიძლება. „სადაბადოს“ სახელზე გაშვებული ძროხის დაუკარგველობისათვის ზრუნვა თვით სალოცავს ეკისრება; თუ ვინცობაა ვინმემ მოიპარა, პატრონი მის ძებნას არ გამოუდგება,—დარწმუნებულია, რომ „სადაბადო“ დაუსჯელად არ გაუშვებს „მის სახელზე“ გაშვებულ ძროხის კანდიერ და წინდაუხედავ მიმთვისებელს.

როდესაც დედას შვილი გაუხდება ავად, ზურგზე უნაგირს დაიდგამს, დაოთხდება, გამოხატავს მოჩილებას და აგრეთვე საფერხეს (ცხენი და სხვ.) ამათუიმ კეთილ სულისას, სამჯერ შემოუვლის ავადმყოფის სარეცელს და კეთილ სულს შეეხვეწება—ჩემი ავადმყოფი შვილის მაგიერ მე წამიყვანო.

ავადმყოფის ნომბლები ამ მხრივ ყოველ ღონესა ღონობენ იგი ისხნან სიკვდილისაგან. თუ გაჭირდა საქმე, უკანასკნელ საშუალებას მიჰმართავენ: აიღებენ რაიმე მახვილ იარაღს, ქარქაშიდან ამოღებულს და ავადმყოფის სასთუმალთან დასდებენ. იარაღს იმ შემთხვევაში დაეკისრება ასეთი როლი: სიკვდილი უნდა შეაშინოს და ავადმყოფს ახლო არ გააკაროს...

ავადმყოფის მდგომარეობის გამაუმჯობესებელ საშუალებათაგანს ეკუთვნის აგრეთვე მეზობლების სიარული მის სანახავად და მოკითხვა. ყოველ მეზობელს, განსაკუთრებით დედათა სქესისას, თავის მოვალეობად მიაჩნია თუ რამდენჯერმე არა, ერთხელ მაინც ინახულოს ავადმყოფი. მაგრამ არ ეგების ავადმყოფთან ხელცარიელი მოსვლა. ზოგს მოაქვს პური\*, ზოგს ხილი და სხვა რამ სასუსნი. ყოველი მნახველი („მაძირაფუ“) მოსაკითხს (მოტანილ საჩუქარს) ავადმყოფის წინ დასდებს, სახეზე სიმნიარულეს დაიჩინებს და ავადმყოფს მალე მორჩენას

\* სამეგრელოში ყველგან სამინდის მკადასა და ღობს სქამდნენ და ხორბლის პურის ჰამა სანუკვარად ითვლებოდა.

ავადმყოფი წმ. გიორგის უნდა დაჰპირდეს შესაწირავად მოზვერს, თაფლის სანთელს, ფულს, ხოლო შენს დღეობაში მე თვითონ გეახლება შენ თაყვანისსაცემლადო. მაგრამ ამ დაპირების ასრულების გირაოდ სახლის კუთხეში უნდა დაიდგას სპილენძის ქვაბი ან სხვა რამ ჭურჭელი სპილენძისავე. ამ გირაოს „საწინდარი“ ჰქვია და დაპირების ასრულებამდე იგი უხმარადა დგას. თუ ასეთი ჭურჭელი არა აქვთ, საწინდრად გამოდგება უბრალო ქვაცა, რომელსაც გარეგნულად თითქო არაფერი ფასი აქვსო, მაგრამ ამ შემთხვევაში საესებით გასწევს სხენებულ ჭურჭლის მაგივრობას.

წმ. გიორგი სჯის მეგრელს იმ შემთხვევაშიც, როცა იმის სახელს აზოდ იფიცავს ხოლმე. საქმე ის გახლავთ, როცა ამა თუ იმ დანაშაულს ვისმე დააბრალებენ, ეს უკანასკნელი თავის გასამართლებლად ვალდებულია საჯაროდ, დაინტერესებული მხარის თანდასწრებით წარსდგეს წმ. გიორგის „კარ წინ“ და მის ხატზე დაიფიცოს. ტყუილი ფიცისათვის წმ. გიორგი დამნაშავეს ჯერ ავად გახდის და მერე მოჰკლავს კიდევ. თავიდან აცილება სიკვდილისა მხოლოდ უხვი შეწირულებით შეიძლება.

დამნაშავეს თავზე წმ. გიორგის რისხვის გადმოსავლინებლად, საკმარისია იგი საჯაროდ დაიწყევლოს წმინდანის სახელით. წყევლის სიტყვებს რომ მეტი ძალა მიეცეს, მაწყევარი თან იწყევლება და თან ლურსმანს შეარჭობს წმინდა ხეს. ასეთი ხეები ჩვეულებრივ მინდვრებზედაა ხოლმე, ეკლესიის გარშემო. კვირა-უქმეში სოფლელები ამ ხეების ჩრდილ ქვეშ თამაშობას მართავენ და მხიარულობენ: მათ ქვეშ თავს იყრის სოფლის უფროსი ხალხი და სასოფლო საქმეებს არჩევენ ხოლმე. ეს ხეები წმინდა ხეებად ითვლება და ვერავინ გაბედავს ცული შეახოს მათ. ვინც დასწყევლის ვისმე, მოიტანს ლურსმანს და ამ წმინდა ხეში ჩაარჭობს და დასძენს: „ყოვლად ძლიერო წმ. გიორგი, მავანსა (სახელს იტყვის) რისხავდე და სანამ თავის კბილით არ გამოაძროს ეს ლურსმანი ამ ხიდან, საშველი არ მისცე“.

წმ. გიორგის გარდა მეგრელს შეიძლება თავისი „ტიბინი“\* (სითბო)

\* ქართული „წყალობა“ მეგრულადაც იხმარება იმავე მნიშვნელობით, მაგრამ უფრო საერთო შემთხვევაში მეგრელებს მისი შინაარსის ეკვივალენტის სიტყვის „ტიბინი“-ს ხმარება ემარჯვებათ. ტიბინი — არსებითი სახელია და ხიშხავს სითბოს, ხოლო მისივე დასწრთავი სახელი იქნება—ტიბუ. ორისავე ძირი ტ ბ არის ანუ დღევანდელი ტ ფ. აქედან წარმოებულია სიტყვა სიტფო, ტფალი, ე. ი. რაც სიტფოს იძლევა. რაც გვახურობს. ცხადია, ეს სიტყვა სულ ძველის დროისაა, იმ დროისა, როცა ჩვენს პირველყოფილ წინაპრებს ბრძოლა უხდებოდათ ბუნების სიმძაფრესთან, სითბო ბუნებრივი (მზისა) თუ ხელოვნური (ცეცხლისა) მარად სანატრელი ჰქონდათ. იგი (სითბო) ესდენ საჭირო და აუცილებელი იყო და არას ყოველ ორგანულ არსის ზრდისათვის. საკვირველი არ არის, რომ ტიბინი სიკეთის, მოწყალების, ბედნიერების, მფარველობის მინიჭების გამომხატველ ცნებად იქცა იმას მსგავსად, როგორც წყალი, რომელსაც ჩვენს სულ შორეულ წინაპრებს სანატრელად ჰქონდათ, იქცა სიტყვა „წყალობის“ გამომხატველად.

ანუ წყალობა მოაკლოს რომელიმე სალოცავთაგანმა („ოხვამერი“), რომელთა დიდი რიდი და პატივისცემა აქვთ სამეგრელოში. მაგალითად, მეტისმეტ ჟინიანად ითვლება „სადაბადოს“ სალოცავი, სულ უბრალო რაზნდმე ურისხდება ხოლმე თავის მმოსავს. იმის გულის მოსაგებად ავადმყოფის ლოგინს გარშემო სამჯერ შემოატარებენ მაკე ძროხას და შესთხოვენ სალოცავს—რისხვა „სითბოდ“ („ტიბინად“) შეიცვალოს და ულხინოს ავადმყოფს. ამასთან ერთად ძროხას ყურის ნაპირს მოაჭრიან და ავგაროზის სახით ხელზე შეებაძენ ავადმყოფს. ეს ძროხამ წუთიდან თავისუფლად გაშვებული: არა სწველიან, რაც რძე აქვს, „სადაბადოსათვის“ არის შეწირული, თუ სახარე ხბო მოიგო, ცოტა რომ მოიზრდება დაჰკლავენ „სადაბადოს“ შესაწირავად; თუ ფური მოიგო ძროხამ, სამრავლად გაუშვებენ დედასთან ერთად და მისი დაკვლა არ შეიძლება. „სადაბადოს“ სახელზე გაშვებული ძროხის დაუკარგველობისათვის ზრუნვა თვით სალოცავს ეკისრება; თუ ვინცობაა ვენმემ მოიპარა, პატრონი მის ძებნას არ გამოუდგება,—დარწმუნებულია, რომ „სადაბადო“ დაუსჯელად არ გაუშვებს „მის სახელზე“ გაშვებულ ძროხის კადნიერ და წინდაუხედავ მიმთვისებელს.

როდესაც დედას შვილი გაუხდება ავად, ზურგზე უნაგირს დაიდგამს, დაოთხდება, გამოხატავს მორჩილებას და აგრეთვე საფერხეს (ცხენი და სხვ.) ამათუქმ კეთილ სულისას, სამჯერ შემოუვლის ავადმყოფის სარეცელს და კეთილ სულს შეეხვეწება—ჩემი ავადმყოფი შვილის მაგიერ მე წამიყვანეო.

ავადმყოფის ნომბლები ამ მხრივ ყოველ ღონესა ღონობენ იგი იხსნან სიკვდილისაგან. თუ გაჭირდა საქმე, უკანასკნელ საშუალებას მიჰმართავენ: აიღებენ რაიმე მახვილ იარაღს, ქარქაშიდან ამოღებულს და ავადმყოფის სასთუმალთან დასდებენ. იარაღს იმ შემთხვევაში დაეკისრება ასეთი როლი: სიკვდილი უნდა შეაშინოს და ავადმყოფს ახლო არ გააკაროს...

ავადმყოფის მდგომარეობის გამაუმჯობესებელ საშუალებათაგანს ეკუთვნის აგრეთვე მეზობლების სიარული მის სანახავად და მოკითხვა. ყოველ მეზობელს, განსაკუთრებით დედათა სქესისას, თავის მოვალეობად მიაჩნია თუ რამდენჯერმე არა, ერთხელ მაინც ინახულოს ავადმყოფი. მაგრამ არ ეგების ავადმყოფთან ხელცარიელი მოსვლა. ზოგს მოაქვს პური\*, ზოგს ხილი და სხვა რამ სასუსნი. ყოველი მნახველი („მაძირაფუ“) მოსაკითხს (მოტანილ საჩუქარს) ავადმყოფის წინ დასდებს, სახეზე სიმხიარულეს დაიჩინებს და ავადმყოფს მალე მორჩინას.

\* სამეგრელოში ყველგან სემინდის მქადას და ღონს სჰამდნენ და ზორბლის პურის ჰემა სანუკვარად ითვლებოდა.

უსურვებს. ძველად მნახველებს მოჰქონდათ ვერცხლის ფულები ან რაიმე ნივთი ვერცხლისა და ავადმყოფის ლოგინზე დაჰყრიდნენ და უკანასკნელს უსურვებდნენ მალე განკურნებას. ასეთ მნახველს სამაგიერო სახუქარსაც აძლევდნენ.

ხსენებული სახუქრები განსაკუთრებით შაშინ იყო აუცილებელი, როცა ავადმყოფი რომელიმე გადამდები სენით იყო ავად; ყოველი გადამდები სენი, მეგრელის რწმენით, გამოწვეულია თავის სპეციალი სულით, რომელიც მეტისმეტად მოყვარულია სახუქრებისა და ძღვენისა. ასეთი ძღვენი გადამდები სენის სულის მიერ ჩაითვლება როგორც მოწმობა შიშისა და კრძალვისა ძღვენის მომტანის მხრით. მნახველი ავადმყოფის ამბავს რომ იკითხავს, მეგრე, რაც უნდა გაჭირებული იყოს ავადმყოფი, არ შეუძლია დალონებულად სახით გაჩერდეს, განსაკუთრებით აკრძალულია და დანაშაულადაც კი ითვლება ავადმყოფთან გულხელის დაკრეფა, ამიტომ რომ ასეთი პოზა გამოხატავს მეგრელის მძიმე მწუხარებასა და დარდ-ნაღვლისა და იდეათა ასოციაციით—თვით სიკვდილსაც, რომელიც ასეთ პოზას, მეგრელის ღრმა რწმენით, თავის გამოსაწევად ჩასთვლის და არ დაახანებს ავადმყოფთან „საფეხვნოდ“ მოვიდეს. ღამ-ღამობით იმ სახლში, საცა ავადმყოფი წევს, ღამეს უთევვენ. ორისავე სქესის ახალგაზრდობა თავს იყრის, დროს გასატარებლად სხვადასხვა სათამაშოს იწყებენ და ზოგჯერ ისე გაერთობიან, რომ შემოათენდებათ ხოლმე. ამრიგად, ავადმყოფის დაღლილ პატრონთ მოსვენების საშუალებას აძლევენ, ფხიზლობენ, თვითონ უფერებენ ყურს ავადმყოფს და თითქო სიკვდილს ხელს უშლიან სახლში შემოვიდეს, განსაკუთრებით ღამე. თამაშობას მიემატება რაიმე გასართობი ამბავის მოყოლა, მხოლოდ ცდილობენ ლაპარაკის თემა სიკვდილი არ იყოს. ამიტომ გაურბიან სიტყვა „სიკვდილის“ ხსენებას. არამც თუ ავადმყოფის წინ, არამედ საზოგადოდ მთელ სახლში, სადაც ავადმყოფი წევს. თუ ვისმე გაუფრთხილებლად წამოსცდა ეს სიტყვა, უეჭველად მაშინვე უნდა დაუმატოს: „ცხრა მთას იქით დაიკარგოს (სიკვდილი)“. „ცხრა მთას იქით“ გამოხატავენ ისეთ დიდ მანძილს, საიდანაც სიკვდილი ვერ მოაღწევს იმათთან, ვინც მისი სახელი ახსენეს. ანდა ჩაურთავენ სიტყვას: „ქარ-ბორიას!“ ესე იგი, ესეც არი, ნახსენები სიკვდილი ქარსა და ბორიას გაჰყვებს, აქ ნულარ მოვაო...

მშობლებმა ყოველი ღონე იღონეს, რომ ეხსნათ ავადმყოფი, რომ „სიკვდილისათვის კლანჭებიდან გამოეგლიჯათ“. მაგრამ მიუხედავად ამ თავგამოდებული ცდისა, ავადმყოფის მდგომარეობა დიოთი-დღე უარესდება და უკვე „სააქაოსკენ აღარ იყურება“. თავს იჩენს ნიშნები მოახლოვებული სიკვდილისა: ავაო-მყოფი თხოლობს—ლოგინიდან ამაყენეთ და ეზოში გამატარეთო, უნდა უკანასკნელად საიდუმლოებით

აღსაყვე თვალები მოავლოს, გამოეთხოვოს ყველაფერს, რაც მისთვის ძვირფასი იყო და რასაც მეტად ველარ დაინახავს; ავადმყოფის სახლში მამალი დღისით იწყებს ყვირს და მეზობლის მამლები ბანს აძლევენ: ჯირველი მამალი თავის ამხანაგებს უხმობს. ამხანაგები ეკითხებიან— რა ამბავიაო? პირველი უპასუხებს: ჩემს სახლში მალე „ქვეყნის ნამცეცები დაცვინდება (ე. ი. ავადმყოფი მოკვდება, ტირილი იქნება და ქელები გაიმართება) და ვინაშენ ვეკლას მეწვიოთო“. ამ დროს შეიძლება საზარლად დაიყმუფლოს ძაღლმა,—ეს სასიკეთო ნიშანი არ იქნება: ალბათ გრძნობს სხეულის სრწნილების. სუნს და სხვებზე ადრე დასტირის ოჯახის ავადმყოფს წვერს, რომელსაც სიკვდილი არ ასცდება. საყურადღებოა აგრეთვე სიზმრები. თუ ვისმე ნათესავთაგანს სიზმარში კბილი ჩამოსდვრა, ავადმყოფის უბედურებასა ნიშნავს; სიზმრად წვერის მოპარსვა—ნათესავის ვისიმე სიკვდილსა ნიშნავს; მიწის თხრა—ავადმყოფისათვის საფლავის გათხრის მომასწავებელია და სხვ.

ავადმყოფის გადარჩენის იმედი გადაუწყდათ. სიკვდილის წინ იხმობენ მღვდელს მომაკვდავის საზიარებლად. უზიარებლად ვინც მოკვდება, მისი სული საუკუნო ტანჯვაში იქნებაო. მომაკვდავი ყველას ემშვიდობება. თუ მამა კვდება და შვილი ამ დროს სადმე სხვაგანაა, სანამ ავადმყოფის სარეცელთან არ მოვა. სული სხეულს არა შორდება და „ელის“ შვილის მოსვლასაო. მომაკვდავი სულთმობრძეია. ზოგჯერ ეს სულთა ბრძოლა დიდ ხანს გრძელდება,—მომაკვდავი ეწვალება, ხორცს არა სურს „სული გაუშვას“. თუ უნდათ მომაკვდავი იხსნან სიკვდილის წინაწუთის წვალებისაგან, ასწევენ ლოგინიდან და გადაატარებენ რამე რკინის ნივთზე და დარწმუნებულნი არიან, რომ სული მამინვე განათავისუფლებს სხეულსაო. მეგრელებს ასეთ შემთხვევაში ამნაირი ჩვეულებაცა ჰქონდათ: მომაკვდავს გარშემო შემოუწყობდნენ ბალიშებს, თვითონ პირქვე დააწვენდნენ და ისიც მალე იხრჩობოდა. ასეთი საქციელი სიკეთედ ითვლებოდა, რადგან „მომაკვდავს ზედმეტ ტანჯვისაგან იხსნიდნენ ხოლმე“. აღამიანის სული, მტრედის სახით თავში მოთავსებული, პირიდან „გამოხტება“ და იქვე, სასათუმალთან, მდგარი ძვალ-ტყევა დედაბერი—სიკვდილი დაებლაუჭება წასაყვანადო...

„სული პირიდან რომ გამოვა“, კაცი კვდება ანუ მეგრულად— „დოღურუ“, რაც წარმოებული უნდა იყოს ზმნა „ღვრა“—საგან, ე. ი. დაიღვარა, სითხედ იქცაო.

ავადმყოფის სიკვდილისთანავე სცენაზე გამოდის „მარწინალი“\*.

\* „მარწინალი“ წარმოებული უნდა იყოს ქართული ბრწყინასაგან, ე. ი. სიზათლის სილაპაჟის მინიჭებისაგან. ხოლო თვით სიტყვა მარწინალი ნიშნავს ადამიანს, რომელიც მიცვალებულს აბრწყენს, აღამაზებს და უდრის ქართულს „გამაპატიოსნებელს“.

დახლოვნებულ მარწკინალის როლი ასეთია: უნდა ეცადოს მიცვალებულს, რაც შეიძლება, ნაკლებ დააჩნდეს სახეზე საშინელი სურათი სიკვდილისა, რომელიც ასე უზომოდ ანსხვავებს ცოცხალისაგან. „სულის ამოხდომის“ წუთიდან ადამიანის მსოფრი ცოცხალთათვის საშინელებას წარმოადგენს! ამ ცხოველური შიშის გრძნობა მიცვალებულის გარშემომყოფთათვის მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დამახინჯებულია სახე ამ მიცვალებულისა. და აჰა, მარწკინალი ანუ გამპატროსნებელი, სანამ სხეული გაშემდებოდეს, მიცვალებულს თვალებს უხუჭავს, პირს მოუკლმავს, გაუსწორებს ფეხებს, ხელებს გულზე ჯვარდინად დაუწყობს, თმასა და წვერ-ულვაშს დაუვარცხნის.

ამასობაში მთელ სოფელში გაისმის ქალების კვილი და მამაკაცების ღრიალი, რაც ყველასათვის მანიშნებელია იმ ოჯახში, საიდაცაა ეს ხმა მოისმის, დატრიალებულ უბედურობისა. ორისაც სქესის მეზობლები ესწრაფვიან მომტირალთ შეუფრთდნენ, მიუსამძირონ და თავიანთი თანაგრძნობა გამოუცხადონ. ქალები ლოყებსა და გადაღლილ გულმკერდს ფრჩხილებით იკაწრავენ და სისხლს იღენენ, თავზე თმას იგლეჯენ: საერთოდ, ქალების მიერ მწუხარების გარეგნულად გამოხატვის ერთგულება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ზომ ძვირფასი და აუნაზღაურებელი იყო მათთვის მიცვალებული.

ეს არის „გინონგარა“ („გადატირება“, გამოტირილი) ანუ დატირება მიცვალებულისა, პირველი ვალი, რომელსაც იზდიან, ეს-ეს არის, გაცივებულ ცხედრის წინაშე. ამას მოჰყვება ზრუნვა იმ პატივისათვის, რომელიც უნდა მიაგონ დასაფლავებისას მიცვალებულს მისმა მშობელ-ნათესაებმა. ამ ზრუნვაში მიცვალებულის მეზობლები თითქმის ყველანი თანაბარ მონაწილეობას ღებულობენ. მათ შორის გამოარჩევენ დამკრძალველებს, რომელნიც ჰკისრულობენ მიცვალებულის შესაფერის პატივით დატირება-დასაფლავების პროცედურის თავდარიგს. პირველყოვლისა, იღებენ მიცვალებულის ზომას\* და იქვე ცულით ჭათლილ ფიცრებისაგან კუბოს შეჰკრავენ. როცა უნდათ ტირილის დღე ცოტა გვიან დანიშნონ და ამიტომ მიცვალებული მეტ ხანს გააჩერონ, სანამ მიწას მიაბარებდნენ, კუბოსათვის მსხვილ ძელს ნავის მსგავსად გამოაღრუებენ, მეორე ძელს, ამნაირადვე ამოღრუებულს ზევიდან დახურავენ თითქმის გერმეტრულად, და ასეთს კუბოში, რომელიც თანამედროვე ცინკის კუბოს ემაგიერებოდა, გვამი შედარებით დიდხანსა სძლებდა გაუხრწნელად. მაგრამ სანამ კუბოში ჩაასვენებდნენ მიცვალებულს,

\* მეველი ვრიდება თავის ტანის ზომა აალებინოს ვისმე, განსაკუთრებით სიძალეზე, ფეხებიდან თავამდე: რადგან იღეთა ასოციაციით, ასეთმა გაზომვამ შეიძლება მოგვაგონოს მიცვალებულის გაზომვა და აქედან — თვით სიკვდილის შოხლოვება.

წყლითა ჰბანენ\* და თეთრ სუღარაში შეახვევენ, რათა სულეთში (ოშურეთი), სადაც ადამიანის სული მიემგზავრება, სხეების წინაშე წარსდგეს დაბანილი და თეთრ „სამიშლოში“ გახვეული.

ეზოში, სადაც მიცვალებულია, წნელისაგან აკეთებენ გრძელ სეფას, რომელსაც შეეძლება დაიტოოს 200 კაცამდე. შიგ უმასპინძლებიან მიცვალებულის სატირლად მოსულთ, ანუ მომტირალთ.

მიცვალებულის დასატირებლად და დასაფლავებლად ჩვეულებრივ ნიშნავენ მეოთხე ან მეხუთე დღეს გარდაცვალებიდან. დღის დანიშნა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შორს არიან ნათესავ-მეგობრები მიცვალებულისა. ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველას დრო ჰქონდეს მოვიდეს და ტირილს დაესწროს. სანამ ნათესავები ყველანი არ მოიყრიან თავს, მიწას ვერ მიაბარებენ მიცვალებულს,—მისი სულა აქედან ვერ წავა, თუ „ნათესავები ყველანი არ დაღვრიან ცრემლს მის ცხედარზე“.

სანამ მიცვალებულს დამარხავდნენ, იმ სახლში, სადაც მკვდარი ასვენია, ღამ-ღამობით თავს იყრიან მეზობლები და ღამეს უთევენ, შართავენ სხვადასხვა თამაშობას, სასაცილო ამბებით ერთობიან. რაც უფრო ხნიერია მიცვალებული, ღამისმთეველნი მით უფრო ნაკლებ ერიდებიან მხიარული გრძნობის გამოხატვას. მიცვალებულთან ზოგჯერ სრულებით არ ეთაკილებათ ორაზროვანი სიტყვები და შიარები იხმარონ, ვაჟები ქალებს ეარშიყნენ. ასეთ ღამისთევის დროს შინაურები ისვენებენ, ხოლო მიცვალებულს, რომელიც, მეგრელის წარმოდგენით, ავ და ბოროტ არსებად იქცევა, და, თუ შემთხვევა მიეცა, ცოცხლებსა ვნებს ხოლმე, ყურს უგდებენ ღამისმთევლები. თვალყურს ადევნებენ აგრეთვე კატას, რადგან ეს ისეთ ცხოველად ითვლება, რომელსაც განსაკუთრებით უყვარს ადამიანის ხორცის ჭამა: ანდა სულაც გააგდებენ იმ სადგომიდან, სადაც მიცვალებული ასვენია.

შორეულ ნათესავებსა და მოკეთეებს ტირილსა და დასაფლავების დღეს განსაკუთრებული კაცის პირით ატყობინებენ, რომელიც დაუვლის სათითაოდ ყველას და სიტყვიერად გადასცემს უბედურობის ამბავს. ამ სამწუხარო ამბის თქმას ერქვა „მეცხადაფა“ ანუ გამოცხადება სამწუხარო ამბისა, ხოლო თვით კაცს „შემაცხადაფალი“ ანუ შემცხადებელი. ძველად შემცხადებელი რამდენიმე იყო, ამათ ჯგუფს თან მიჰქონდა რამე ნივთი, რომელიც ეკუთვნოდა განსვენებულს: ხმალი, სატყვარი, ბუდეში ჩაწყობილი ისრები, ან კიდევ მისი ტანისამოსის მონახევი. მიცვალებულის ნათესავების ერთ-ერთ სახლს, რომ დაუახ-

\* სწავთ, რომ მიცვალებულის ნაბანი წყალი ხელს უწყობს მცენარეთა ზრდას: და ამიტომ ამ წყლითა რწყავენ ნორჩ ხეებს, განსაკუთრებით ყვავილებს.

ლოდებოდნენ, შემცხადებლები ხმამაღლა ტირილს მოჰყვებოდნენ და ამით შინაურებს აცნობდნენ, რომ მოდიან შემცხადებლად. სახლში შემოვიდოდნენ თუ არა, წელს ზემოთ გაიშოვლებდნენ სხეულს, განსვენებულის კუთვნილ ნივთს საჩინო ადგილას დასდებდნენ და გარემომოუსხდებოდნენ ძირს, მიწურ იატაკზე. მასპინძლებიც წელს ზემოთ შიშვლდებოდნენ, ფეხებიდან საცმელებს იძრობდნენ, გარემომოუსხდებოდნენ ნივთს, რომელსაც ამ შემთხვევაში ერქვა „ნიშანი“, რომელიც დამსწრეთათვის მის გარდაცვლილ პატრონის მოსაგონებელი იყო და იწყებდნენ მოთქმით ტირილს. ტირილის გათავებისას, შეცხადებულნი ეტყოდნენ, თუ რა დღეს უნდა მოსულიყვნენ მიცვალებულის სატირლად. ახლა კი „შეცხადება“ უფრო საღად სრულდება: შემცხადებელი მხოლოდ ჩამოატარებს სამგლოვიარო უჩაღათო წერილებს, შავის ლუქით დაბეჭდილებს.

მიცვალებულის მშობლები ყველანი იკერავენ შავს (უჩა) ანუ სამგლოვიარო საშიშვლოს\*. თუ საღმეა სახლში სარკე, შავს მიტკალს გადააფარებენ, რომ არ შეიძლებოდეს შიგ ჩახედვა და თავის გარეგნობისათვის ზრუნვა, რაც არა ჰხამს მგლოვიარეთათვის.

საკირო სამგლოვიარო სამოსელი კაბისა და ზედაწელისაგან შესდგება, თავზე შავი მიტკლის ზილაბანდს შემოიკრავენ. კაბა ლაზათიონად გამოჭრილი არ არის, რადგან მისი დაუდევარი ნაქერობა უნდა ეთანხმებოდეს მის მატარებელ ადამიანის სამგლოვიარო სკოლის განწყობილებას. ერთად ერთი მშვენება კაბისა ის არის, რომ ძირს ტოტებს შემოვლებული აქვს დაკბილული ბაბთა, ხერხის კბილის მსგავსად. სამამაკაცო სამოსი ღართის მსგავსია, თავზე ყაბალახის მინაგვარ შავს მიტკალს იხურავენ. შავი ღართის პატრონი ზოგჯერ საგანგებო შავს არ იკერავს, შავის მიტკლის ნაჭრებით დაიფარავენ გულზე მასრებს და შევერცხლილ სატევრის და ქამრის ნაწილებს.

აჰა, დადგა დღე მიცვალებულის ტირილისა\*\*. თავდასურული კუბოდგას სახლის შუაგულზე, კილობებზე; მის თავითი უკიდია თაფლის

\* ეკრძალებიან შავი მაგრად შეიკერონ ხოლმე. შავი მალე უნდა დაიხეს და, იდეათა ასოციაციით, მის დახვეასთან ერთად უნდა „დაიხეს“ (დასრულდეს) გლოვმწუხარება სახლში, სცა კაცი მოკვდა. ამ რწქენის თანახმად, გარღვეულ შავს არ გაჰკერავენ ხოლმე, პირიქით — მოუშვებენ უაღრესად დაიხეს. ასე რომ, ზოგჯერ შავი ნაფლეთ-ნაფლეთად აცვიათ ტანზე და ზედ ალაპივით ფრიალებს ხოლმე.

\*\* ახალწელს გარდაცვალებულს თვით ახალწლას დღეს, მეგუელთა საახალწლო ჩვეულების თანახმად (ამაზე იხ. ამავე კვებოლში ჩემი მიმოხილვა: „კალანდა ანუ ახალი წელწალი სამეგრელოში“), მშობლები არა სტირან, პირიქით, ყველას მხიარული სახე უნდა ჰქონდეს, რომ ამით აამაინ „ახალწლის სკოლს“. ტირილი შეიძლება მხოლოდ ახალწლის მესამე დღეს. აგრეთვე არ შეიძლება მიწას მიაბარონ მიცვალებული ზედ

სანთელს, კუბოს გარშემორიგდებიან ქალები, ნათესაები მიცვალებულისა, შავებში, თმაგამლიღები. გვერდით უსხედან მეზობლის ქალები — „მათვალარეფი“ — ვინც მოთქმით ტირილი იცის. მცოდნე და ღირსეულ „მათვალარად“ ითვლება ის ქალი, ვისაც ემარჯვება მიცვალებულის დამახასიათებელი თვისებები აღნიშნოს და საერთოდ ისეთი სიტყვები იხმაროს და ხმას ისე შესაფერად აუწდაუწიოს, რომ მყოფებელთ: გული აუჩვილოს და ტირილის გუნებაზე დააყენოს... ერთგვარი ჰიმნი, საგალობელი გამოუდით. ყოველი ტაეპი მღერით თავდება და ხმამაღალი ვიშვიში და გულის ამოსკვნა მოჰყვება. ვიშვიშთან ერთად მოტირალი ორსავე ხელს გაშლილ თმაზე ჩამოისვამს და წარმოადგენს მგლოვიარე ქალს, რომელიც საშინელ მწუხარებისაგან თავზე თმის იგლეჯს.

ორი გუნდი, სოფელთაგან შემდგარი, ჰგალობს სამგლოვიარო მარშს, რომელსაც „ზარი“ ჰქვია, რაც ნიშნავს: საშინელებას, უბედურებას. ზარს უსიტყვოდ ჰგალობენ, ისმის მხოლოდ ერთი გაგრძელებული „ვაი, ვაი“. მოწვეული მოტირალი ჰიშკარში შემოვა თუ არა, მიდის იქვე ახლოს მდგარ ხესთან, რომელიც ტანისამოსის ჩამოსაკიდებლად არის გამოყენებული, მოიხდის ქუდს, ნაბადს, ჩამოისხნის იარაღს და ყველაფერს ხეზე დაჰკიდებს; ამის შემდეგ ახალუხისა და პერანგის საკინძებს იმდენზე გაიხსნის, რომ გულმკერდი ნაწილობრივ გამოუჩნდეს. შედარებით ცოტა ხნის წინათ მოტირალნი წელს ზემოთ ტანს იშოშვლებდნენ და ფეხებიდანაც საცემელს იძრობდნენ. 3—4 კაცი მწყობრში დგება და გუნდი ზარს დაიწყებს. თუ არა, მოტირალნი ორივე ხელით შუბლს\* იტყეპენ და „ვაი ვაი“-ის ძახილით გაემართებიან სახლისაკენ. სადაც კუბო ასვენია. კუბოსთან მისულები დაიჩოქებენ და ყოველი მათგანი სათითაოდ ჩამოსთვლის მიცვალებულის ყოველ ღირ-

---

ახალწლის დღეს, რადგან, მეგრულთა რწმენის თანახმად, ამ დღეს დაპარხული მთელი წლის განმავლობაში ითხოვდეს იქნება, ამ ოჯახიდან სხვებიც დაპარხონ ხოლმე, მასვე გვერდით ათუწიონ მიწაში, ე. ი. მას გარდა სხვებიც მოჰკვდნენ ხოლმე. კუბო სოფლებში ჩვეულებრივ იმ სახლში შეიკვრის, საცა მიცვალებულია, მაგრამ ახალწელს გარდაცვალებულისათვის კუბოს შეჰკრავენ სახლის გარეთ, სადმე მინდვრად, თანახმად უკვე მოხსენებულ რწმენისა, რომ ახალწელიწადი არ იქნეს დაწყებული კუბოს შეკვრით, ე. ი. სიკვდილით.

\* მწუხარების უმეტესის სიძლიერით გამოხატვის ნიშნად, მას აქეთ დიდი ხანი არ არის, მოტირალნი თავსა და ტანზე მათრახს ირტყამდნენ. დღეს, როგორცა ვთქვით, მხოლოდ ორივე ხელით იტყეპენ შუბლს და ეს მეგრული ტირილის პროცესის აუცილებელ მოქმედებად ითვლება. რაც უფრო ღირსეული და გულსაწყავია მიცვალებული, მით უფრო კინი არაფერი უნდა დააკლონ ტირილის ჩვეულებას. როცა უხდათ დაამკვირონ ღირსება ამათუიშ ადამიანისა, ასეთზე ჩვეულებრივ ასე ამბობენ „ცალი ხელით: სატირელი“ („ცალიხეშ ონგარალი“), ე. ი. იმის ღირსი არ არის, რომ სიკვდილის შტამდე ორის ხელით ანუ ერთგულად დაიტვიროს კაცმაო.

შეხას და ვაჟკაცობას და აღიარებს, თუ რამდენად უსაზომოა მისთვის ამ შემთხვევაში ასეთი უბედურება და მწუხარება. მოტირალნი მიცვალებულს რომ იტირებენ, გულს იმჯიღავენ\* და ისე მიუსამძიმრებენ („მენგარა“) მშობლებს, ნათესავებს, რომელთაც იმ შემთხვევაში ჭირისულები ჰქვინან, რაც ნიშნავს უბედურობის ბატონებს. მოტირალს ორივე მხარეზე მოჰყვებიან მოწესრიგენი, რომელნიც ჰზრუნავენ იმისათვის, რომ მოტირალთ მეტის-მეტი ტირილითა და მწუხარებით თავი არ დაიხონ და თან უშველონ თავისუფლად შევიდ-გამოვიდნენ იმ სახლიდან, საცა კუბო ასვენია. ამ დროს მეორე გუნდს მოტირლების მეორე წყება მოჰყავს, ხოლო პირველი წყება ეზოში გამოდის და ა. შ.

მეგრელსა სწამს, რომ ტირილის დროს გარდაცვალებულის სული იქავე, კუბოსთანა დგას და თვალყურს ადევნებს სატირლად მოსულთ. იგი დიახ უკმაყოფილოა, ოდეს მეზობლები და ნაცნობები თავის მოვალეობას პირნათლად არ ასრულებენ და ჯეროვნად არა სტირბან. პირიქით, უხარის, როცა უყურებს კუბოს გარშემო შეჯგუფებულ მოტირალ ხალხს, რომელსაც გულწრფელადაა სწყინს მისი გარდაცვალება, ამ სოფლიდან სულეთში გამგზავრება. სრულებით ბუნებრივია, რომ სიტყვა დამტირებელი („მანგარალი“) მეგრულად ალერსისა და ნაწის გრძნობის გამომხატველ სიტყვადაცაა გადაქცეული. დედა ხშირად მიმართავს შვილს ასეთის სიტყვებით: „ჩქიმი მანგარალი“, ე. ი. ჩემო დამტირებელოვო. ამით დედა გამოხატავს თავის სურვილს, რომ შვილმა, როგორც წესია, ისე დაიტიროს დედა, როცა ეს უკანასკნელი მოკვდება. ერთ ხალხურ ლექსში ნათლადაა გამოხატული, თუ რა რიგ აფასებენ მეგრელები დატირების წესის შესრულებას. ამ ლექსში ვაჟი თავის სატარფოს ასე მიმართავს:

„დობლურადა, დომინგარი,  
გომინთხორი საფულე,  
სქანი სქეჟი ხე-კუჩხითი  
დიხა ქომმმოჰაბულე.

მე თუ მოკვდე, დამტირე,  
გამითხარე საფლავი,  
შენი ლამაზ ხელ-ფეხითა  
ზედაც მიწა დამაყარე.

ნათესავები შორეულ სოფლებიდან შავებიანები მოდიან ტირილში, თან საკუთარი გუნდი მოჰყავთ მოზარეთა. წინ მოუძღვის დიდი კელაპტარი, შავ ნაჭრებით მორთული. თუ მომავალი ნათესავი ქალია, თმა გაშლილი აქვს და როცა ამათუიმ სოფელზე გაივლის, კვილის იწყებს და მოზარენი ზარს ეუბნებიან. ყველასათვის აშკარაა, რომ ვისიმე სატირლად ცხენებით მიდიან. ნათესავები, რაც უნდა შორს ცხოვრობ-

\* აქედან წარმომდგარია ასეთი ჩვეულება: სინანულის ან ნაღვლის გრძნობის გამოსახატავად მეგრელი გულზე მკილს ირტყამს ხოლმე.

დნენ, თავის გარდაცვლილ ნათესავის ტირილში უეჭველად უნდა დაესწრნენ. ვინც ამათუიმ მიზეზით ტირილის დღეს ვერ მოვა, ტირილის შემდეგ მივა და იტირებს მიცვალებულის ნიშანზე. ამისთვის მიცვალებულის დარჩენილ ტანისამოსს ტანტზე გაშლიან და ისე სტირიან, თითქო ნამდვილი მიცვალებული ესვენოთ წინა. აი ამასა ჰქვია ნიშანი — საგანი ანუ მაჩვენებელი და მოსაგონარი მიცვალებულისა.

როდესაც ქმარს ცოლი უკვდება, ტირილის დღეს მისთვის სამგლოვიარო კარავსა სწნავენ და სადმე კუთხეში მისდგამენ, რაც უდრის ქართულ საბნელეთს. ამ კარავში შედის დაქვრივებული ქმარი, დაღვრეპილი, უზომო მწუხარების და სასოწარკვეთილების გამომხატველსახიანი. ამით გამოხატავს, რომ ამ დღიდან ისიც ნკვდარია, ბნელშია, ღირსი არ არის მზის სინათლის ყურებისა. როდესაც მოტირალნი მიცვალებულს იტირებენ, მიდიან კარავთან და შიგ მჯდომ ქმარს მიუსამძიმრებენ. ზოგჯერ ტანისამოსს გაშლიან კუბოს მოშორებით ტანტზე — ქალსას და კაცისას, ერთი გამოხატავს მიცვალებულ ცოლს და მეორე, ქმარს. როდესაც ნამდვილ მიცვალებულ ქალს იტირებენ, მოტირალნი მიდიან ნიშნებთან და ორსავე დასტირიან. ეს ცერემონია გამოხატავს ცოლის სიკვდილთან ერთად მისი ქმრის სიკვდილსაც. თვითონ ქმარი ამ დროს დამალულია, რომ დამსწრეთ სრული ილუზია მიიღონ სიკვდილისა, გაუჩინარებისა, მოსპობასა.

მოტირალნი ტირილს რომ მორჩებიან, 20—30 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად მიწვეულ იქნებიან სეფაში ქელეხის საჰმელად, სადაც მოერთმევათ სამარხო საჰმელები: პური, მჰადი, ლობიო, თევზი, ზეთისხილი, მწვანილი (ბოლოკი) და ღვინო. ჰამის დროს ყოველი მოტირალი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ღვინით სავსე ჰიქას პურზე გადაუქცევს და ამით გამოხატავს სურათს, თითქო მიცვალებული მოდიოდეს და პურსა სჰამდეს და ღვინოსა სვამდეს. მამაკაცები ცალ მხარეზე სხედან და მეორე მხარეზე დედაკაცები.

ამ ქელეხისათვის მოტირალთ, შეძლებისადაგვარად, ერთგვარი ფულადი შესაწირავი მოაქვთ, რომელსაც „გინაფორალი“ (გადასაბურავი) ჰქვია და რომელიც ერთ-ერთ წერის მცოდნეს მიერ ქაღალდზე აღინიშნება ხოლმე. გინაფორალი\* ქართულად ნიშნავს გადასაფარებელს (იგულისხმება: მიცვალებულის გადასაფარებელი) და აზრად აქვს დაჰვაროს ის ხარჯები, რაც ქელეხის გამართვასა სჰირდებოდა.

\* როცა მეგრელს ვინმე რასჰე (ფულს, მაგალითად) გამოართმევს და აღარ დაუბრუნებს, თუ ბევრი არ არის და იმისათვის ხელის გასვრად აბა ღირს ჩივილი, წყევლის ასეთ ფორმულასა ხმარობს: „სქანი გინაფორალი (ორდას)“, ე. ი. შეხს გადასაბურავადა (იყოს)! ანუ ამით უნატრებენ ისეთ მდგომარეობას, როცა გადაბურვა იქმნება მისთვის საჭირო, ე. ი. სიკვდილი.

შველად ყოველ მოტირალს თან მოჰქონდა დამზადებული სურსათ-სანოვაგე; გამომცხვარი მჭადი, მოსახარში ლობიო, ღვინო, ნიგოზი, ხახვი, ასე რომ მიცვალებულის პატრონს ხარჯვა რისამე არა სჭირდებოდა და იოლად გამოდებოდა. მაგრამ ამ ჩვეულებას დღეს\* თავისი პირვანდელი ხასიათი ურთიერთ დახმარებისა თანდათან ეკარგვის და კომერციულ ფორმასღებულობს: მიცვალებულის ქირისუფალნი ცდილობენ, რაც შეიძლება, ნაკლები დახარჯონ და რაც შეიძლება მეტი ააღონ ფული, გადაბურვის სახით.

როგორცა ვთქვივით, სამეგრელოში მიცვალებული ისე არ დაიმარხვის მიწაში, რომ წინასწარ არ დაიტირონ ხოლმე. რაც უნდა ღარიბი და უქონელი იყოს ოჯახი, მიცვალებული მინც უნდა იტიროს და ქელები გამართოს, მეზობლები მოიწვიოს, პური აჭამოს და მიცვალებულისათვის შესანდობარი ღვინო დაალევიოს. რაც უფრო უხვად გაუმასპინძლდებიან მოტირალთ, მით უფრო გაიხარებს მიცვალებულის სული, რომელიც ამიტომ ადვილად შორდება სხელს.

სადაც უნდა მოკვდეს მეგრელი, ნათესავეები ვალდებულნი არიან შინ მოასვენონ მიცვალებული, იტირონ და თავიანთ წინაპრების გვერდით მიაბარონ სამშობლო მიწას: ამ ნიადაგზე ზოგჯერ დიდ გაუგებრობას აქვს ხოლმე ადგილი და განსაკუთრებით როცა კაცი კვდება სადმე ქალაქ ადგილას და იქვე იმარხება და ნათესავეებს, რომელთაც მიცვალებულის წამოსვენება სოფელში უნდათ და ადმინისტრაციის განკარგულებით სხვადასხვა ფორმალობა აქვთ შესასრულებელი მიცვალებულის წასასვენებლად ნებაართვის გამოსატანად. მეგრელი კანონის მოთხოვნას ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე მთელს საუკუნეებით გადმოცემულ ჩვეულებათა მოთხოვნას, ფარულად თხრის საფლავს, იქიდან თავისი მიცვალებული ამოაქვს, ასო-ასო სჭრის, რომ უფრო გაეადვილდეს ჩუმიად წაღება, გვამს საბოლოოდ გახრწნის ასაცილებლად—ამარილებს, ალაგებს ხურჯინში, მოაქვს სამშობლო სოფელში, იქ საჯაროდ დაიტირებს და ისე მიაბარებს მიწას. ამგვარად პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას მიცვალებულის წინაშე, რომლის სული „ვერ მოისვენებს“, თუ გვამი სამშობლო სოფელში არ დაიმარხა.

რომ მოვრჩეთ მეგრელთა მიერ მიცვალებულის დატირების წესების აღწერას, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ერთი ჩვეულებაცა, ანუ უკეთ, ნაშთი ჩვეულებისა, რომელიც დღემდე დარჩენილია ზოგიერთი პირველყოფილ ხალხებს შორის. წმინდა ეკონომიური მოსაზრებით, ესენი ჰხოცავენ იმ მოხუცებულ ან უკურნებელ ავადმყოფთ, რო-

\* ივლისხმება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სამეგრელო.

გელნიც მხოლოდ მძიმე ტვირთად აწვანან თავისიანებს. ეს ჩვეულება, თანახმად გადმოცემისა, მეგრელთაცა ჰქონიათ. როდესაც მოხუცებულს თვითონ არ შეეძლო რისამე გაკეთება და თავის რჩენა, შვილები თურმე მოუწნავდნენ კალათას, შიგ ჩასვამდნენ და სრამში გადაადგებდნენ ნადირისა და გარეულ ფრინველთა შესაჭმელად. ამ ნიადაგზე ანდაზაცაა დარჩენილი: ისეთი გოდოლი მოსწანიით, თქვენს შვილიშვილებსაც გამოადგესო. ერთხელ, ერთ მოხუცს ასეთი დღე მოელოდა. წინაპრებისგან დაკანონებულ ჩვეულების წინააღმდეგ აბა როგორ წავიდოდა და მისთვის გოდოლის მწვენელ შვილებს თურმე ასეთი დაცინვითი დარჩევებით მიჰმართა: შვილებო, ვხედავ ჩუას დღეს, მხოლოდ ერთს გთხოვთ: გოდოლს რომ სწნავთ, ისეთი მაგარი მაინც მოსწანიით, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგესო. მოხუცმა ამ ნარაუული სიტყვებით შვილებს აგრძნობინა, რომ თქვენც ჩემი დღე მოგვლითო. შვილები დაფიქრდნენ, გოდოლის წვნაზე ხელი აიღეს და მოხუცი სრანში გადაჩეხას გადარჩა.

მაგრამ თუ ამ ჩვეულების შესახებ მხოლოდ მოგონება-და დარჩა ხალხის ზეპირსიტყვაობაში, მეორე ჩვეულება იმავე ხასიათისა, მხოლოდ ნაშთის სახით, დაცულია დღევანდლამდე. როცა ესა თუ ის ადამიანი ძალზე მოხუცდება და შეურიგდება იმ აზრს, რომ სიკვდილი ადრე იქნება თუ გვიან არ ასცდება, განსაკუთრებით, როცა ხედავს, რომ სიკვდილს შემდეგ არავინა რჩება სახლში ისეთი, რომ იზრუნოს მის დატირებისა და დასაფლავებისათვის ისე, როგორც ჩვეულებად აქვთ სამეგრელოში, თვითონ, სიცოცხლეშივე, ჰმართავს თავის თავის დატირებას. ერთ დანიშნულ დღეს, ტირილის ყოველსავე წესის დაცვით, ნაცნობ-მეგობრები მოდიან და სტირიან მოხუცს, რომელიც ვითომ მიცვალებულს წარმოადგენს, მის მაგიერ მოტირალთა წინაშე „ნიშანა“ გაშლილი მოხუცისა, სჰამენ ქელეხსა, სვამენ „გადაცვალებულის“ სულის შესანდობარსა, ხოლო როცა ნამდვილად მოკვდება, ყოფილ „მიცვალებულს“ არავინა სტირის, საფლავს გაუთხრიან და პირდაპირ ასაფლავებენ.

არიან მომსწრენიც იმისა, რომ ერთს მოხუცებულს სიცოცხლეშივე შეეკვრევიანებინა თავისთვის კუბო და მალა სხვენზე ინახავდა თურმე თავის სიკვდილის დროისათვის...

\* \* \*

ყველა მოტირალთა ცრემლები „დაეყარა“ მიცვალებულს, მეტი სატირლად მისასვლელი არავინაა; ყველა გაძღა ჰამა-სმით და შესანდობარი დაღია მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. დგება მიცვალებულის გამოსვენების წამიც. კუბოს სდებენ ჯალამბერზე—ერთმა-

ნეთს მოშორებით მიკრულ ორ თანატოლ სახის ძელზე ანუ საკაცზე. ქალები საშინლად გაკვივიან, მოზარენი ზარს ამბობენ და ამასობაში მიცვალბულიც გარეთ გამოაქვთ. მაშინვე სახლს ცოცხს მოუსვამენ: ნაგავთან ერთად უნდა გაიტანონ გარეთ ყოველი ნიშანი სიკვდილისა და ამ სახით ხელს უშლიან: სიკვდილმა ფეხი მოიკიდოს ამ სახლში, სხვატ ამსხვერპლოს აქედან.

კუბოს ჯერ მამაკაცები მისდევენ, მერე — ქალები, — ნათესავები მიცვალბულისა, რომელთაც სხვა ქალები იჭერენ და ხელს უშლიან თმები არ დაიგლიჯონ, ფრჩხილებით სახე და გულმკერდი არ დაიღარონ. სამგლოვიარო პროცესიის სავალ გზაზე გაისმის მოთქმით ტირილი, მოზარეთა გალობა. დასასრულ, პროცესია ჰიადღვევს ეკლესიასაც, რომლის გალავანშიაც უნდა მიწას მიაბარონ მიცვალბული.

მაგრამ სანამ აესწერდეთ თვით დასაფლავების ჩვეულებებს, განმეარტოთ, მეგრელს როგორ წარმოუდგენია სიკვდილი და საერთოდ. საიქიოს ცხოვრება, რომ ლოგიკურად და ამ წარმოდგენისაგან პირდაპირ გამომდინარეც გვეჩვენოს ის წესები და სარწმუნოებრივი ცერემონიები, რომელთა ასრულება სავალდებულოდ მიაჩნიათ მეგრელთ თავიანთი მიცვალბულის დაკრძალვის დროს.

ყოველთ უწინარეს, განვსაზღვროთ, სიკვდილი როგორ წარმოუდგენია მეგრელს. სიკვდილი — ერთგვარი ძილია. ამ ორ ფიზიოლოგიურ მოვლენას შორის მეგრელისათვის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ძილი, რომლის შემდეგ დაღლილი ორგანიზმი ჩვენი ისვენებს, ახალ ძალას იკრეფს სამოძრაოდ, დიდხანს არა გრძელდება, ხოლო სიკვდილის ძილი — სხეულისათვის გრძელდება სამარადისოდ, მეტად ვეღარ იღვიძებს... სააქაო, მიწიერ ცხოვრების ფუნქციებს თანაბრად ასრულებენ როგორც სხეული, ისე სული: როცა დღისით სხეული იქანცება და იძინებს, მისი სული შორდება და განაგრძობს ასრულოს სხეულის ყველა ფუნქცია. სული ძილის დროს სხეულს გაეცლება და შორს, განუსაზღვრელ მანძილზე მიდის იმისდა მიხედვით, სადა სრულდება ის მოქმედება, რომელიც სიზმარში გვეხატება. ამიტომ უცბად გავიძებნა მძინარესი, მეგრელის წარმოდგენით, საშიშოა, ამას შეიძლება ცული შედეგი მოჰყვეს. ზოგჯერ სიკვდილიც, მძინარესათვის: კიდევ კარგი, თუ მძინარეს სული ამ დროს სადმე ახლოსაა და ადვილად და შედარებით მალე შეუძლია დაბინავდეს თავის „სამყოფელში“. მაგრამ თუ მძინარის გავიძებნის უამს მისი სული შორსაა ძილის ადგილიდან, მძინარეს ბევრი დრო დასჭირდება, სანამ გამოფხიზლდებოდეს და თავის აზრებს წესსა და რიგზე დააწყობდეს. ამგვარად, სიკვდილი წარმოდგენილია მსგავსად ძილისა, მხოლოდ უფრო ხანგრძლივისა, ანუ, უკეთ, დაუსრულებელისა, რომელსაც სიკვდილი ადამიანს მოუ-

ვლენს ხოლმე. მეგრულად დამახასიათებელი თქმაა მკაფიოდ წარმოსადგენად მაგარ, გაულევიტებელ ძილის შესახებ: იმაზე, ვისაც ასეთის ძილით სძინავს, ამბობენ ხოლმე: მკვდრის ძილმა წაიღოვო („ღურელიშ რულქ მიდელუ“), ე. ი. თითქმის მოკვდა.

ადამიანის სხეულში სულის სამყოფელი — თავია. როცა სული „ამოხტება“ (გეშასხაჰუნს) სხეულიდან, ეს უკანასკნელი მძოვრად (ნძორი) იქცევა, ე. ი. ისეთ საგნად, რომელიც მოკლებულია მოძრაობას და რომელიც ზიზღსა გგვრის ხოლმე, ეს მძოვრი მალე გაიხრწნება და მასთან ერთად სიცოცხლე თითქო შესწყდებაო. მაგრამ ეს მოვლენა მხოლოდ მოჩვენებითია. ნამდვილად კი ადამიანის ხილულ სხეულისაგან განერიდება სული\*, ანუ სხვა სხეული, ჰაეროვანი, არამატერიალური, ლანდის მსგავსი. ადამიანის სული, რამდენიმე ხნის შემდეგ, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, საბოლოოდ მიდის ზეცაში („ზეცაშა“), სულეთში (ოშურეთი) ან სულთა სამეფოში, რომელიც სულ ზევითაა, ვარსკვლავებს ზევით, და რომელიც გაგრძელებაა სააქაო, მიწიერ ცხოვრებისა. ეს უსხეულო, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სხეული შეინარჩუნებს ყველა იმ გრძნობათ, რომელიც ჰქონდა პირველ, „დაძინებულ“ სხეულს, საიდანაც ის გამოვიდა: სული განიცდის ყველა ამ გაჭირვებასა და სურვილს. აქვს იგივე სიყვარული თუ სიძულვილი, რასაც მიწიერი არსებანი ეპატრონებიან. სულეები სიზმარში თავის მშობელ-ნათესავეებს გამოეცხადებიან ხოლმე, უზიარებენ თავიანთ სიხარულსა და მწუხარებას, ჰკითხოლობენ მათს ამბავს, ეხმაურებიან ყოველ მათს წამოწყებაში. ჰამის მოთხოვნილება სულეთის მცხოვრებთ შერჩენილი. აქვთ ხოლმე. მაგრამ ამ მხრივ მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეკისრებათ მათს ნათესავეებს, „ძირს“, მიწაზე, დარჩენილთ. ეს მშობლები თუ ნათესავეები დროდადრო, თავიანთ მიცვალებულთათვის მართავენ საკურთხეებს ანუ ტაბლებს. საკურთხი წარმოადგენს კრებას იმ საჭმელებისას, რაც მიცვალებულს აქ სიცოცხლეში უყვარდა. დიდ დანაშაულად ითვლება მეგრელისათვის, თუ სათანადო ყურადღება არ გამოიჩინა სულების მიმართ, თუ თავისი მოვალეობა მათ მიმართ ზედმიწევნით არ ასრულა, თუ საკმაოდ არ იზრუნა მათი კეთილდღეობისათვის. ასეთს მეგრელს აუცილებელი

\* მეგრელების მიერ აღიარებულ დუალიზმისა და ადამიანის სხეულში სულის მოძრაობის შესახებ აღუნიშნავთ შემდეგ თქმას: სული მიდგია (შური მილამიდგუ); ან კიდევ მეგრელის მიერ გაბრაზების დროს საშინელი მუქარის ფრანხას: სულს ამოგაძრობ (შურს გეშაგილა).

მეგრელის აზრით, ცხოველებში მხოლოდ ადამიანსა აქვს სული. ადამიანის გარდა სხვა ცხოველები მოკვდებიან თუ არა, მათი სიცოცხლე თავდება, ადამიანი კი სააქაო ცხოვრების შემდეგაც განაგრძობს ცხოვრებას, სულეთში, სულების სამყოფელში.

სასჯელი მოელის სულეებისაგან, სულეთში ტანჯვა-წვალებაში მყოფებისაგან. გაბოროტებულნი ღამ-ღამობით სოფელში ჩნდებიან მოძრავ ნათლის სვეტების სახით და სჯიან თავიანთს უზრუნველ და უდარდელ ნათესაებებს და მატერიალურ ზარალს მიაყენებენ ხოლმე: შინაურს საქონელს ჰირს გაუჩინენ, ან თავს დაატეხენ რაიმე უბედურებას, რის მსხვერპლად ოჯახის ესა თუ ის წევრი ხდება ხოლმე, უამბნათ ისიცა, რომ ერთხელ საღამოს სულმა თავის ნათესავს წაართვა ერთი წყვილი ხარი, რომელსაც ის ტყიდან შინ მოერეკებოდა თურმე. როცა ღამე სულები სოფელ-სოფელ დაგოგავენ, ერთმანეთს ხმას აძლევენ გაგრძელებული სტვენის საშუალებით. ამიტომ მეგრელი, განსაკუთრებით ღამე, ერიდება სტვენას, რომ ამით რომელსამე სულს არ ეგონოს — მეძახიანო, და ისიც მსტვენელის სახლში წამოვადეს და ასე თუ ისე არ დააზარალოს.

სალათას ძილით დაძინებულთა და მერე გაღვიძებულთაგანაც ესმის ხოლმე მეგრელს საიქიოს ამბები, ზოგჯერ შეტად დაწვრილებითაც. სალათას ძილი, მეგრელის წარმოდგენით, იგივეა, რაც ნამძვილი სიკვდილი; დასასრული მიწიერ ცხოვრებისა, სულის გადასვლა სულეთში. მაგრამ ასეთი სიკვდილი შედეგია გაუგებრობისა, შეცდომისა, რომელიც ზოგჯერ მოუვა სიკვდილს. ეს შეცდომა, რა თქმა უნდა, გამოსწორდება სულეთში. სანამ სულეთში შევიდოდეს, ახალგარდაცვლილმა უნდა გაიაროს „ბეწვის ხიდზე“\* (ბეწვიშ ხინჯი), რომელიც ჩვენს პლანეტას სულეთთან აერთებს. როცა სული ამ საბრკომს გაცდება და სულების სამეფოში თავს ამოჰყოფს, სულეთის მცხოვრებნი გარსშემოხევევიან, გაიკვირებენ მის მეტიჩრობას, წინამასწარ ამოსვლას, უბოდიშოდ გამოაგდებენ კინწის კვრით, როგორც დაუპატიებელ სტუმარს და თანაც ეტყვიან: „შენი ჯერი ჯერ არ მოსულა, სიკვდილი აჩქარებულა, ჯერ წამოსაყვანი არა ყოფილხარო“. ნათესავ-ნაცნობები შეცდომით მისული სულისა სარგებლობენ ამ შემთხვევით და სხვადასხვა რასმე ავალებენ თავისიანებთან, ვინც „ქვევით“, მიწაზე, ცხოვრობენ; ქებასა და მადლობას უთვლიან იმათ, ვინც საკურთხებს უკეთებენ; პირიქით საყვედურით ავსებენ იმათ, ვინც მათთვის არა ზრუნავენ, აქ შიმშილითა ხოცავენ. „გაგონილა, — იძახიან ისინი, — ყველანი სჭამენ, სვამენ, განცხრომაში არიან, ჩვენ კი მშიერ-მწყურვალნი ვყრივართ, რადგან საკურთხებს არ გვიკეთებენო“... სალათას ძილისაგან გამოღვიძებული სათითაოდ ყველას ეუბნება სულების მიერ დავა-

\* ბეწვის ხიდი ანუ ბეწვისაგან გაკეთებული ხიდი — შემაერთებელია სააქოსი და საიქიოსი. იქით-აქეთ უსაზღვრო სივრცეში სდულს კუბრი. თუ სული ცხოვრებულია და ცოდვები არ ამძიმებს, მსუბუქად და იოლად გაივლის ბეწვზედ. ხოლო თუ ცოდვილია და ცოდვებით დატვირთული, ამ ადუღებულ კუბრში ჩაფარდება.

ლებულს, მოუთხორობს მათი მიცვალებულების სულების ამბავს, ვის რა უღბინს, თუ უჭირს.

მიცვალებულს ეკლესიაში რომ მიასვენებენ, მღვდელი წესს აუტეგებს, შუბლზე და ხელებზე ზეთს წაუსვამს, და ქალების საერთო წვილ-კვილში კუბოს საფლავში ჩაუშვებენ. მიწაში კუბოს ჩაშვებისას ეკლესიის ზარებსა პრეკენ. წინათ, როცა ეკლესიებში ზარები იშვიათი იყო, მღვდელი ხეზე დაკიდებულ ფიცარს ჯოხს არტყამდა და ზარების მავივრად ხმას გამოაცემინებდა. მიცვალებულს საფლავში ჩაუშვებენ, პირველად მღვდელი იღებს ამონათხარ მიწას მუჭით და ზედ აყრის მიცვალებულს. მღვდელს შემდეგ დამსწრენი ყველანი იღებენ პეშვით მიწას და აყრიან\*, თან ცდილობენ მიწას ქვა არ გაჰყვეს — მკვდარს „არ ეტკინოსო“.

მიცვალებულს, ჯერ კიდევ შედარებით ახლობან, საფლავში მის საჯდომ ცხენს ჩაატანდნენ ხოლმე, რომელსაც სულეთშიაც უნდა განეგრძო თავისი სამსახური პატრონისათვის. ეს ჩვეულება ძალიან გავრცელებული იყო მთელს საქართველოში, რაც მტკიცდება მის სხვადასხვა პროვინციებში საფლავების გათხრის დროს ადამიანის ძვლების გვერდით ცხენის ძვლების აღმოჩენით. სულ ძველად მიცვალებულ ქმართან ერთად ასაფლავებდნენ ცოცხალ ცოლსაც, რომელსაც ცოლობა უნდა გაეწია თავის გარდაცვალებულ ქმრისათვის სულეთშიაც. მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ სიმბოლიურად მოაღწია ამ ორმა ჩვეულებამ. სულ დიდი ხანი არ არის, ცხენს ძუას მოსჭრიდნენ და პატრონის საფლავში ჩააყოლებდნენ; მაგრამ მეგრელებს ახლა ესეც არ მიაჩნიათ საჭიროდ, სჯერდებიან იმას, რომ მოჰყავთ შავით შემოსილი უნაგირიანი ცხენი თავის გარდაცვალებული პატრონის საფლავთან, ცხენი მანამდეა გაჩერებული, სანამ მის პატრონს მიწას მიაბარებდნენ; შემდეგ ისევე სახლში მოჰყავთ. იგივე ითქმის მიცვალებულის დარჩენილი ქვრივის შესახებ. ქვრივი კმაყოფილდება იმით, რომ მოიჭრას ნაწნავი თმები და ჩაატანოს თავის ქმარს. მაგრამ თანდათან ეს ჩვეულებაც გადავარდნილად უნდა ჩაითვალოს და კანტი-კუნტად თუ წააწყდება კაცი.

\* მიცვალებულისათვის შესასრულებელ წესებში მიწაში დაპარხვა და მიწის მიყრა — მთავარი ნაწილია. დასაფლავების პროცედურისა. მიცვალებული უმეპეოდ უნდა იქნას დამარხული და მიწამოყრილი, რომ მისი გვამი არ დარჩეს ზედაპარზე, ნადირის შესაჭმელად. მაწის მიყრის პროცესი გამოიხატებოდა მით, რომ სამარეში ჩაშვებულს კულის მიცვალებულისას პეშვით მიაყრიდნენ მიწას ხოლმე. ეს აშკარადაა გამოხატული ზენოთმოყვანილ ქალ-ვაყის სატრფიალო ლექსის ბოლოში:

შენი მშვენიერ ხელ-ფეხითა  
მიწა ზედა დამაყარე.

„სქანი სქევაი ზე-კუჩხითი  
ღიხა ქომნმოჰაბულე.

დღეს ქვრივი მხოლოდ მიიწევს თავის მიცვალებულ ქმრის საფლავში ჩასავარდნად და სიმბოლიურად აჩვენებს დამსწრეთ, რომ ცოცხლი უნდა დაიმარხოს ქმართად ერთად, თან გაჰყვეს სულეთში. როცა ძიძას თავისი გაზრდილი უკვდება, ხსენებულ ჩვეულების თანახმად, ნაწნავებს იჭრის და საფლავში ჩააყოლებს გარდაცვალებულ გაზრდილს.

მიცვალებულს საფლავში ჩააყოლებენ აგრეთვე ხელადით ღვინოს, ფულს, არაყს, თუთუნით სავსე ქისას, ტალ-კვესსა და აბედს, — ყოველივე ეს საჭიროა მიცვალებულისათვის სულეთში. ძუძუთა ბავშვის საფლავში შუშით რძეს ჩააყოლებენ ხოლმე.

ერთი წლის ბავშვის ცხედარს აკვანში ჩაკრულად წაასვენებენ დასასაფლავებლად; იქ ბავშვის სხეულს ცალკე მიწაში ჩაუშვებენ, ხოლო აკვანს, რომელიც ამ შემთხვევაში კუბოს მაგივრობასა სწევს, ეკლესიის ვალავანში სტოვებენ. ასეთი აკვანი, მეგრელთა რწმენით, ბედნიერების მომნიჭებელია, და ვისაცა სჭირდება, ეკლესიიდან წამოიღებს და თავის ბავშვს შიგა ზრდის ხოლმე. საფლავში ჩაშვების დროს მიცვალებული ბავშვის სხეულს ქვეშიდან ყავარს ან ცაცხვის ქერქს ამოუდებენ, რომ მიწასთან შეხებისაგან უსიამოვნო გრძნობა არ განიცადოს. ყვავილისაგან გარდაცვლილი სრულებით უკუბოდ იმარხება. საქმე ის გახლავთ, რომ „ბატონების“ სული, — მეგრელის რწმენით, — კაცს კი არა ჰკლავს, არამედ თავის სამეფოში მიჰყავს, როგორც ყმა და მონა. ამიტომ, მეგრელს უფლება არ აქვს „ყვავილისაგან“ გარდაცვლებული მკვდრად მიიჩნიოს, პირიქით — ცოცხლად უნდა ჩასთვალოს და, როგორც ასეთი, უფლება არა აქვს ისე დასაფლავოს, როგორც ამას დასაფლავების დადგენილი წესები მოითხოვს; და რომ ბატონები არ გააჯავრონ კუბოს ჩვენებით, მიცვალებულს პირდაპირ საკაცეზე დაასვენებენ და შიშველ სხეულს მიაბარებენ მიწას. ამნაირი რწმენა ბატონების ავადმყოფობის შესახებ მეგრელს აიძულებს ბატონებისაგან მოკლული ადამიანი არ დაიტეროს და მხოლოდ 3—4 თვის შემდეგ, ე. ი. როცა იმდენი ხანი გაივლის, რამდენიც, მეგრელის აზრით, საკმაოა, რომ ბატონებს დაავიწყდეთ, თუ ოდესმე ამა თუ იმ ოჯახიდან „ტყვედ“ რომელიმე წევრი წაიყვანეს, გაიმართება დატირება მიცვალებულის ნიშანზე.

დაკრძალვის განმკარგულებლები ცდილობენ, საფლავის ამოვსების შემდეგ, მიწა კარგად დატკეპნონ ფეხებითა და ზევიდანაც ბეჭობი რამ გაუკეთონ საფლავის სისწვრივ. ამ ბეჭობის ორსავე მხარეზე მიწაში ჩაარჭობენ თითო-თითო დიდი, კონუსისებრი ფორმის ქვას. მიცვალებულის ორიენტაციის მხრივ დაცულია წესი, რომლის ძალით მას პირი აღმოსავლეთისაკენ უნდა ჰქონდეს შექცეული. სხვა სასაფლაო ნიშანს მეგრელის საფლავზე ვერ ნახავთ.

აქ მოვისხენიებთ ერთ ჩვეულებას, რომელიც გვიჩვენებს იმას, რომ მიცვალებულისათვის ხელის მიკარება შემწიკვლელად ითვლება, რის შემდეგ ხელისშემხებმა უეჭველად უნდა დაიბანოს ხელები. დასაფლავების შემდეგ უკანდაბრუნებული მოტირალნი ეზოში უეჭველად იბანენ ხელებს და ზოგჯერ პირსაც.

ეს არის ერთადერთი სახე მიცვალებულის დასაფლავებისა, რომელსაც ვხვდებით ჩვენს დროში სამეგრელოში. სხვაგვარი დამარხვის შესახებ თქმულება არაფერია დარჩენილი. ამასთან, ის თქმანი, რომელიც გამოხატავენ დასაფლავების ჩვეულებებს, ყველანი მოწმობენ იმას, რომ მხოლოდ ისეთი დასაფლავება იცოდნენ მიცვალებულისა, სახელდობრ: მკვდარი მიწაში ისე დაეფლოთ, რომ გარეშეს გასჭირებოდა მისი ამოთხრა მიწიდან. თვით მეგრული სიტყვა საფულუა ნიშნავს დამალულ ადგილას ჩადებას, დამარხვას რისამე. ზმნა საფულუა-საგან წარმომდგარია არსებითი სახელი საფულე, ანუ ქართული საფლავი.

ზემორე ჩვენ მოვიტანეთ ხალხური ლექსი, რომელშიაც, ანდერძის სახით, გამოთქმულია მოტრფიალე ვაჟის თხოვნა სატრფოსადმი: რომ მოვკვდე, ჩემს ცხედარს ცრემლები დააპკურეო, იგივე სთხოვს: გამოთხარე მიწა, შიგ ჩამდევი და მიწა კარგად დამატკეპნე ხელ-ფეხითაო. ლაპარაკში, როცა უნდათ გამოხატონ გულმტკივნეულობა და სიკეთე ვისიმე, მეგრელები ხშირად მიმართავენ ამ სიტყვებს თავიანთ კეთილმყოფელთ „ნეტავი შენის ხელით მიწა დამეყრებოდეს“. დასასრულ, შემდეგი გამოთქმანი იმას მოწმობენ, რომ მიცვალებული უეჭველად მიწაში უნდა იყოს დამარხული: „შე მიწადასაყრელო“ („სი დიხამუნა-ციმალი“); „მიწაში ჩასაწვენო“ (დიხას ქელიგონჯირუნი“); „გაგისკლა მიწა“ („დიხაქ გოგისორკქუ“).

ყოველივე ესე პირდაპირ იმას გვეუბნება, რომ თუ კიდეც არსებობდა სამეგრელოში სხვა წესი მიცვალებულის დამარხვისა, ეს წესი შეიძლება არსებულიყო სულ უხსოვარ დროებში. თუმცა ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მეგრელების მეზობელ და მონათესავე აფხაზებს, იტალიელ მისიონერ ლამბერტის (სამეგრელოში ცხოვრობდა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში) მოწმობით, ჩვეულებადა ჰქონდათ მიცვალებული გამოდრუებულ ძელში ჩადოთ და ხეზე დაეკიდნათ.

\* \* \*

რაკი გავეცანით მეგრელების რწმენას საიქიოს ცხოვრების შესახებ, ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება, თუ რად არის ასეთ უმწვერვალესობამდე მისული მეგრელების პატივისცემა თავიანთ მიცვალებულების ხსოვნისადმი. მიცვალებულთა სული განიადაგებული ზრუნვისა და

თაყვანისცემის, კულტის საგანია ცოცხლად დარჩენილ ნათესავებისათვის. ვინც სულეთში მყოფ თავის მიცვალებულთა ცხოვნებისა (არსებობისა) და ყოველმხრივ კმაყოფილებიანათვის არა ზრუნავს, დამანაშავეა, რომლისთვის სასჯელის მოძებნაც კი გასაჭირია. თვით სასაფლაო, სადაც დამარხულია მეგრელთა წინაპრების ძვლები, მათთვის წმინდა და იმავე დროს შიშისმომგვრელ ადგილად ითვლება, რომლის გარშემო თავს იყრიან, როგორც სიხარულის, ისე მწუხარების წამებში, ამა თუ იმ სოფლის ყველა წევრები.

შავებს ჩვეულებრივ ერთ წლამდე ატარებენ. შავების ტარების დროს, მშობლები თუ ნათესავეები მიცვალებულისა, მისდამი უმეტესი სიყვარულის გამოსატყობად, თავიანთს თავს აკლებენ ყოველგვარ სიხარულსა და სიამოვნებას; სოფლის თამაშობა-მხიარულობაში მონაწილეობას არ ღებულობენ, არა მღერიან, გაღიმებასაც კი ეკრძალებიან, სულ მუდამ დაღვრემილები დადიან, სახეზე უზომო სასოწარკვეთილება ეტყობათ. მამაკაცები თმასა და წვერს იპარსავენ და მერე მოუშვებენ გლოვის გათავებამდე; წინათ წარბებსაც კი იპარსავენ. ამ გაპარსვის შემდეგ ამოსულ თმასა და წვერს არ ივარცხნიან, არ იკრეჭავენ იმ შემთხვევამდე, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მგლოვიაჩეს ლოგინი შესდგება ჩალისაგან, რომელიც გაშლილია კერის პირას, მიწაზე. მგლოვიარე წვება ტანგაუხდელი, განსაკუთრებით პირველ 40 დღეს ოჯახის წევრის სიკვდილის შემდეგ. ზევდან იხურავს შავს საბანს. საჰმელი — ჩვეულებრივზე ნაკლებია და სამარხო. მგლოვიარე საერთო სუფრას არ მოუჯდება, მისს შექამანდს სანელებელი არ უნდა ჰქონდეს, ჭიქიდან წყალს არ დაღვევს\*, სახსნილოს კბილს არ დააკარბს, ყოველსავე შემთხვევაში, მარხულობის პირველ 40 დღეს, ერიდება განსაკუთრებით ზორცეულს, რომელიც მიცვალებულის ზორცს მოაგონებს.

სამაგალითოდ და მისაბაძად ითვლება ქვრივი ქალი, რომელიც არამც თუ ასრულებს ყველა სამგლოვიარო წესებს, არამედ გადასწყვიტა უერთგულოს თავის განსვენებულ ქმრის ხსოვნას, მეორეჯელ არ გათხოვდეს, რომ საიქიოში ურცხვენელად და სინდისის უქვეწელად წარსდგეს მის წინაშე, ვისაც სააქაოში შეუერთა თავისი ბედი და იღბალი. ყოველ შემთხვევაში, დაქვრივებულ ქალისათვის აუგად ითვლება წელიწადზე ადრე ხელმეორედ ქმარს გაყვეს. სულწასულს ქალს მეზობლები დასძრახავენ, თითოთ საჩვენებელი ხდება მათს თვალში, მათს გაკილვას თავს ვერ დააღწევს. მაგრამ იგივე მეზობლები ისე მკაცრად არ ეპყრობიან ქვრივ მამაკაცთ, რომელიც ცდილობენ „კერაზე ცეცხლი

\* შუშის ქურჭლის ხმარება ამ შემთხვევაში ფუფუნებად ითვლება. ეს ადვილად ასახსნელია, რადგან იმ დროს ჭიქა არ იშოვებოდა და ხარკას ხმარობდნენ მის მაგიერ.

არ ჩააქრონ“ („კერძის დაჩხირი ვეგეოშქირიტას“), ე. ი. ძალე მოიყვანონ „ფეხი“ პირველის ცოლისა, რომელიც მეგრელებს კერაზე მთავარ შემნახველად მიაჩნიათ ცეცხლისა, რაიცა უდრის მთელი ოჯახის არსებობას.

შავების ტარება არ შეიძლება ყვავილისაგან ან ქინის\* (ზეციერის) წყრომისაგან გარდაცვალებულთათვის იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც არ შეიძლება მათი დატირება (იხ. ზემოთ).

როცა შავების ტარების ვადა გაივლის, მიცვალებულის მშობლები ცდილობენ მის მაგივრად აიყვანონ სხვა, ვინც როგორც ასაკითა და სქესით, ისე თავის ფიზიკური და სულიერი თვისებით ყველაზე მეტად მიაგონებს გარდაცვლილ პიროვნებას, ყველაზე მეტად დაუყენებს თვალწინ მის სახეს. იმას, ვინც თვალში მოუვა გარდაცვლილის მშობელს, შუაჯაცს გაუგზავნიან და სთხოვენ „მოკრიჭონ“ თმა, რომელსაც ის ატარებს გარდაცვლილ შვილზე („ომორგულა თუშაშ მუკოყოთინაფა“)\*\*. იმას, ვისაც ვიმართავს შვილის დამკარავი მამა, ასეთი თხოვნის მნიშვნელობასაც სავსებით ესმის: იმან მიცვალებულის შვილის მაგიერობა უნდა გაუწიოს, და, რა თქმა უნდა, აცხადებს მისადმი მიმართულ თხოვნის აღსრულებისათვის მზადყოფნას, მაგრამ მაინც თავმდაბლობას იჩენს და განუტყბადებს—ვაი თუ ვერ შეეძლო გაგიმართლოთ იმედებიო...

დანიშნავენ „თმის მოგდების“ ანუ ახალგაზრდა კაცის შვილად-აყვანის წესის შესასრულებლად დღეს. მომავალი შვილი დანიშნულ დღეს, თავის „მომავალ“ მშობლებისა და ნათესავეებისა და აგრეთვე ამ შემთხვევისა გამო მოწვეულ რამდენიმე მეზობლის თანდასწრებით, თავის მომავალ მამას დიდის ამბით სამჯერ მოკრეჭავს მაკრატლით თავზე თმას და სამჯერვე დაატანს: „მე—შვილი, შენ—მამა“. ამის შემდეგ მამის თავზე დარჩენილ თმას ვინმე შინაური გადაკრეჭავს. ამ თმის მოკრეჭის შემდეგ თავდება გლოვა მიცვალებულისა და მისთვის შავების ტარება. ამ წუთიდან ახალგაზრდა კაცი, ვინც თმა მოკრიჭა („თუშა გამკოყოთუ“) მამას, მისთვის იქნება „სქუაჩაფილი“\*\*\*. შვილად დაფი-

\* „ქინი“ პირდაპირ ნიშნავს — რაც ზევით არის, რაც გადმომდგარია ძალიდან, რაც ზეციდან გადმოგვეყურებს, ანუ ზეციერია. სალოცავადა აქვსთ ქინი საქურხაყანოში და მის მოსახლეურ სამეგრელოს ადგილებში.

\*\* შავების ტარების გათავებას მეგრულად ჰქვიათ: „უჩაშ დორღეფა“ (შავის დაყრა). შავების ტარების შემდეგ ჩვეულებრივ (სამხიარულო) ტანისამოსზე გადასვლისათვის ერთგვარი თანდათანობაა შემოდებული: შავების „დაყრის“ შემდეგ იცვამენ (ქალები) ჩითის თეთრ წინწკლებიან ან ზოლებიან კაბას. ამის გაცვეთის შემდეგ, ასე ნახევარ წელს უკან, იცვამენ წმინდა სამხიარულო ფერის სამოსელს.

\*\*\* „სქუაჩაფილი“ შემოკლებული „სქუაფუჩაფილი“-ა, რაც ქარბულად ნიშნავს: შვილად ფიცებულს ანუ შვილობის ფიცმიცემულს.

ცებული ანუ შვილად მოკიდებული. მოკრეჭილ თმას თან გაატანენ მთელ გლოვასა და მწუხარებას, რაც განიცადეს შვილის დაკარგვის გამო...

შავების ტარების დროს გათავებისა, დანაკარგის ანაზღაურებისა და „გადაცვალებულ შვილის პონის“ გამო გამართავენ პურობასა, რომელზედაც მამასა და ნაშვილევს მიულოცავენ მშობლიურის კავშირით დაკავშირებას, ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, არ ივიწყებენ მიცვალე-ბულსაც, რომლის შესანდობრად და სულის საცხონებლად ღვინით სავსე ჭიქას პურზე (ან მჭადზე) თავს წაუჭევენ.

შვილდაყვანილი პირველ ღამეს თავის ახალ მშობლებთან ატარებს. ახლადშეძენილი მშობლები მიცვალეზულის ნაქონ რასმე ნივთს აჩუქებენ: სატევარს, ქამარს ან სხვ. რასმე. ნაშვილევმა ეს ნივთი უნდა ზედ ატაროს, რომ მშობლებს უფრო შესახებდად აღუდგინოს მახსოვრობაში გარდაცვალებული შვილის სახე და რომ, ასე ვთქვათ, სრული ილუზია იქმნეს მიღებული მშობლიური კავშირისა. ამის შემდეგ ნაშვილევი თავის მხრივ თავის „მშობლებს“ დროდადრო საჩუქრებს მოუტანს, ხშირად რჩება მათთან ღამით, სადილ-ვახშმად, ეხმარება საოჯახო საქმეებში და საზოგადოდ თავი ისე უჭირავს, როგორც ნამდვილ სრულუფლებიან წევრს ოჯახისას.

შვილდაკარგულ დედის მიერ ვისიმე შვილდაყვანა სწარმოებს ისეთი აქტის საშუალებით, რომელიც მოგვაგონებს სურათს დედის ცხოვრებიდან, როცა ის თავის ძუძუთა ბავშვს ძუძუს აწოვებს. დედა გულს გადიდებდაც და შვილად ასაყვანმა ძუძუს ორივე თავს („ძუძუმა კიბირიმ გედგუმა“) „კბილები უნდა დაადგას“, ვითომ ძუძუმწოვარა ბავშვია და შეჭფიცოს სამჯერ: „შენ—დედა, მე—შვილი“. ამ სიტყვებით ეფიცება: მისი ერთგული, ალალი შვილი იყოს. ახალგაზრდა კაცი გადაიქცევა „სქუა(ფუ)ჩაფილად“ ანუ შვილნაფიცად, ხოლო დედა—„დიდა(ფუ)ჩაფილად“ ანუ დედანაფიცად. ასეთი აქტი შვილნაფიცობისა შეიძლება იმის გარეშეც მოხდის, როცა დედა გარდაცვალებულს შვილსა გლოვობს და ეძებს მის სამაგიეროს. ასე, მაგალითად, როცა ეძიებენ ვისსამე მფარველობას გინდა წყალობას (უმეტეს წილად ძლიერი მტრისას), საკმარისია წყალობა-მფარველობის მაძიებელს ნება დართონ, ძუძუზე „კბილი დაადგას“, ვისგანაც წყალობას მოელიან იმის ცოლს ან დედას, უკიდურეს შემთხვევაში, დედათა სქესის რომელსამე ნათესავს; როცა ამის ნებას მისცემენ, ის გადაიქცევა შვილნაფიცად, ამ ოჯახის სრულუფლებიან წევრად.

ამგვარად, ამ ჩვეულების წყალობით, რომელიც მთელ საქართველოშია გავრცელებული, ვისაც მამა მოუკვდება, ან დედა, ან ვინმე ნათესავთაგანი, შეუძლია დაკარგულის მაგიერ სხვა მოიკიდოს. ისეთი,

რომელიც დააკმაყოფილებს ამ შემთხვევაში მისადმი წამოყენებულ შიშობენილებას. ეს ჩვეულება ნათესავეების მოკიდებისა მეგრულთა შორის ძალიან გავრცელებულია და მათს ცხოვრებასა და ურთიერთობაში დიდ როლსა თამაშობს.

\* \* \*

შვეების ტარებასთან ერთად მეგრელის მთავარი ყურადღება მიქცეულია იმისათვის, რომ „ემსახუროს“ გარდაცვალებულის სულს, გაუკეთოს „საკურთხები“ (ტაბლები); რომელიც ერთგვარი საჭმელია საიქიოს სულისათვის. ამასთანავე, მღვდელს შეუქვეთავენ ორმოცი დღის განმავლობაში წირვას და საწირავად აძლევენ მიცვალებულის ცხენს ან მის ნაჭონ რაიმე ძვირფას ნივთს: ვერცხლის ქამარს, სატევარს, ხმალს, თოფს და სხვ.

მეორმოცე დღეს კისიმე გარდაცვალების შემდეგ მოაწყობდნენ „გეყვილაფას“, რაც ქართულად ნიშნავს „ზედ დაკვლას“. „ზედ დაკვლავდნენ“ მიცვალებულს ხარს (ერთს ან რამდენსამე), ცხვარს (ან ცხვარებს) და სხვ. მეგრელს სწამს, რომ რაც უფრო მეტ საჭონელს „დააკლავენ ზედ“\* მიცვალებულს, მით უფრო ელხინება მიცვალებულის სულს, რომელიც მოუთმენლად ელის ამ საჭონლის დახოცვას საიქიოში შევება-ლხენის მოსაპოვებლად. ამ ზედ დაკვლაზე მოიწვევენ შეზობლებს ყველას. მაგრამ სანამ სუფრას მოუხსდებოდნენ, „ნიშანზე“ ხელმეორედ და უკანასკნელად იტირებენ მიცვალებულს. ნიშანზე სტირიან ის ნათესავეები და ნაცნობები, რომელნიც პირველ ტირილს ამა თუ იმ მიზეზით ვერ დაესწრებიან.

ძველად ასეთ „ზედ დაკვლაზე“, რომელსაც აწყობდნენ დიდკაცების პატივსაცემლად, თვითონ სამეგრელოს მთავარი ესწრებოდა. ასეთ შემთხვევისათვის, რათა დიდის ამბითა და ზემით ჩაეტარებინათ „ზედ დაკვლა“, აკეთებდნენ რამდენსამე სეფას: ერთ სეფაში გაშლიდნენ მიცვალებულის „ნიშანს“, მეორეში დაუყენებდნენ მის უნაგირიან ცხენს, მესამეში მისი სანადირო ძაღლები ეჭირათ ხელში, უკანასკნელში—მისი სანადირო ქორები და მიმინოები. ტირილის წინ შიშვლდებოდნენ წელს ზემოთ, ფეხებზე საცმელს იძრობდნენ—სწორედ ისე, როგორც პირველ ტირილის დროს, და მისი კუთვნილი საგნების საშუალებით, რომელნიც ოზლად იყვნენ დარჩენილნი („ომბოლო-დოსქილა-დირი“), მიუტირებდნენ მის ლანდს, იქვე უჩინრად დამსწრეს.

ამ დღისათვის საკურთხად აკეთებენ ყოველსავე, რაც სანუკვარი კამოუგონია მეგრულს საკულისარო ხელოვნებას და განსაკუთრებით

\* როცა მეგრელს საჭონელი გააჯავრებს და ეურჩება. საჭონლის დაწყველის ერთგვარი ფორმულა ასეთია: „აი, შე შენის პატრონის ზედსაკლავო“, ე. ი. სასიკვდილო!

რაც ვამებოდა მიცვალებულს, ცოცხალი რომ ყოფილიყო: შამფურზე შემწვარი ქათამი საწებლით, გულ-ღვიძლი დაკლული საქონლისა, შამფურზე შემწვარი გოჭი, ხაჭაპური, სულგუნები, მაწონი; სუფრაზედვე დევს თუთუნით სავსე ქისა, აბედი და ტალ-კვესი—თუ მიცვალებული თუთუნის მწვეველი იყო. ხოლო თუ საკურთხი ახლადგარდაცვალებულ ძუძუმწოვარა ბავშვისათვის იყო—საჭმელს მიემატება ერთი ჭიქა რძე, რძის ფაფა, ტკბილეულობა, სათამაშოები, მძივი, ყვავილები... მღვდელი სუფრას აკურთხებს და ქოთნის ნატეხზე, საცა ნაკვერცხალი ყრია, საკმევლს დააგდებს; შემდეგ ხორცს მოსჭრის, პურს მოსტეხავს, ღვინით სავსე ჭიქას თავს წაუქცევს პურის ნატეხზე და მიცვალებულს შენდობას და ცხონებას შეუთვლის\*. ამავე დროს სუფრაზე დასვამენ მტრედს ისე, რომ იქიდან გარეთ გაფრენა შეეძლოს. ამ შემთხვევაში მტრედი სიმბოლოა მიცვალებულის სულისა, რომელიც ამ სადილის მოლოდინში სააქაოში იყო და მხოლოდ ამ „ზედდაკვლის“ გამართვის შემდეგ გაფრინდება სახლიდან ზეცაში, სულეთში გასამგზავრებლად\*\*. მღვდლის მსგავსად დამსწრენი ნაკვერცხალზე დააგდებენ თითო მარცვალს საკმევლს, მიცვალებულს ცხონებას შეუთვლიან და სუფრას მოუსხნებიათ.

საკურთხის კურთხევის შემდეგ იწყება ცერემონია „პირის გახსნილებინა“ („პიჯიშ გარსხინება“). პირის გახსნილება პირდაპირა ნიშნავს: შეკრული პირის გახსნას, გაღებას. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ვინც ახლა უნდა „გახსნას პირი“, აქამდე პირი შეკრული ჰქონდა ხორცეულის ჭამისათვის, ხორცეულს არ იკარებდა, მარხულობდა\*\*\* (პირს იმარხავდა ხორცეულის ჭამისაგან, პირში არ უშვებდა ხორცეულს). ზემოთ ნათქვამი იყო, რომ მიცვალებულს მშობლები, განსაკუთრებით ქალები, როგორც ყველაზე მეტად ერთგული დამცველები ძველის ტრადიციებისა, ვისიმე გარდაცვალების შემდეგ ამათუიმ ხნის განპაველობაში, ყოველსავე შემთხვევაში, პირველ ორმოც დღეს, მიცვალებულ-

\* შესანდობარსა სვამენ იმისათვის, რომ უსურვებენ საიქიოში ეპათიოს, თუ რომ დანაშაული მიუძღვის ვისთანმე, რომ ცხოვნდეს. ამ პურის ნატეხს, ღვინო დასხმულს. მერე არაფერს მიეკარება, — მკვდრის კერძად ითვლება. მიცვალებულს ცხოვნებას უთვლიან ჟოველთვის, როცა ღვინის სმა და სადღეგრძელოებს ამბობენ ხოლმე. რაცა: ცოცხლებს ადღეგრძელებენ, უმკველად მიცვალებულს ცხოვნება უნდა შეუთვლიონ. ჩვეულებრივ, სადილად, თუ მიცვალებულზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უმკველად ცხოვნებას შეუთვლიან.

\*\* თუ მტრედი, სანამ სახლიდან გამოთრინდებოდაც, კურასთან დაჯდა და გარშემო დაიწყო ცქერა, თითქო ყოყმანობს, გაფრინდეს თუ არაო, იმის ნიშანია, რომ მიცვალებულის სულს „გაფრენა არ უნდაო“, ენანება თავისიანების სახლის შიტოვებათ:...

\*\*\* მარხვა მეგრულად არის პიჯანი („პიჯიშ ჰუალა“), ე. ი. პირის დამარხვა, დაცვა (სახსნილობაგან).

ლის დასაფლავების შემდეგ, ე. ი. სანამ მისი სული ჯერ კიდევ ნათესავეებს წორის ტრიალებს. „სახსნილოს“ ანუ ხორცეულს არ მიეკარებინან. მეორმოცე დღეს კი, სულის „წასვლის“ შემდეგ, მარხულობა უნდა გათავდეს და მომარხულებს ჩვეულება ნებას აძლევს „პირი გაიხსნას“ ანუ ხორცეულის ქამა განაახლოს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მიუხედავად ამ ნებართვისა, მშობლები თვითონ „კბილს არ დაადგამენ“. ხორცეულს და ამით სხვებს აჩვენებენ, რომ სურვილი აქვთ განაგრძონ მარხულობა, რომ ამით „უღბნიონ“ მიცვალებულის სულს, რომ მომარხულეს ჭიუტობაზე ხელი ააღებინონ, საქმეში ჯერ მღვდელი ჩაერევა, შემდეგ მეზობლები და მახლობლები, არწმუნებენ: კმარა ამდენი მარხულობა, თავს ნუ იკლავთო, მიცვალებულის სული მოხარულია თქვენი ერთგულებითა და ზრუნვით და თქვენს მიერ კიდევ გაგრძელება მარხულობისა მხოლოდ შეაწუხებს, იმას სულს ნუ დაუმძიმებთო. ბოლოს, როცა დარიგებით ვერას გააწყობენ და მომარხულენი თავის ხელით არ ჩაიდებენ ხორცს პირში, მეზობლები ძალათი ჩაუდებენ პირში ხორცის ნაჭერს და ამის შემდეგ პირი ხორცეულობისათვის ჩსნილად ითვლება. ამის შემდეგ ყველანი სუფრას მოუსხდებიან. ამოირჩევენ თამადას, რომელიც პირველად „ცხოვნებას“ შეუთვლის მიცვალებულს. აი ის სიტყვები, რომლითაც ჯერ თამადა და მერე სხვები მიმართავენ ოჯახის უფროსს: „ღმერთმა აცხონოს ანუ ოჩხონუას“\* და უღბნოს შენს მიცვალებულს და შენ დიდხანს არ მოგშალოს\*\* („ევამოლარსას“), ე. ი. დიდხანს გაცოცხლოს, არ მოგკლას, რომ არ დაგავიწყდეს მისი სული და ხშირად იგონებდე ხოლმე (იგულისხმე: „საკურთხი გაუკეთო ხოლმე“).

მეორმოცე დღემდე ყველას ევალება მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ტაბაკზე ღომს რომ დააგებენ, მიცვალებულისთვის ცალკე დააგონ ხოლმე იგივე ღომი. იგულისხმება, რომ მიცვალებულის სული იდუმლად მოდის და შეეჭკევა თავის კერძსაო.

მეორმოცე დღის შემდეგ ყველა ცდილობს მიცვალებულს, რაც შეი-

\* საინტერესოა ეტალოლოგია სიტყვისა ცხოვნება ანუ მეგრულს ჩხონაფა-სი. მისი ძირი ქართულად ცხ, ხოლო მეგრულად ჩხ. აქედან წარმოებული სიტყვები: ჩხე — ცხელი, დაჩხირი—ცეცხლი, ანუ რაც იწვის, რაც სიცოცხლისათვის საჭიროა, ჩხურუ— ჯტხელი—სიცივე, ჩხანა—რაც ათბობს—მზე, ჩხონაფა—თბილად ყოფნა ანუ არსებობა, ცხოვრება, ცხოვნება. აი ამ ჩხონაფა-ს ან საიქოში სულის მიერ ცხოვრების გახგრძობას უსურვებენ მეგრელები თავიანთს მიცვალებულებს.

\*\* ახსნა სიტყვისა არ მოგშალოს, მეგრულად—ევამოლარსას იხილე ზემოთ, სადაც ლაპარაკა მეგრელთა საასტროლოგიო მითოლოგიის შესახებ. ამ სიტყვით მიმართავენ ხოლმე მეგრელები ერთმანეთს, როცა უნდათ დიდი ხნის სიცოცხლე უსურვონ: „სქანი დუდი ვამობილასას“ (შენი თავი ნუ მომიშალოს), ე. ი. შენი თავი ხუ წაქმულება ზეცაში, დიდხანს გაცოცხლოს ჩემს ღებნად და ნუგეშადო.

ძლება ხშირად უკეთოს საკუროთხი მის სულის მოსახსენებლად, ხსნილში—სახსნილო საჭმელებისაგან შემდგარი, ხოლო მარხვაში—სამარხო, თაფლგარეულ საჭმელებისაგან (კორკოტი); საჭმელებში ეს განსხვავება სავსებით ეთანხმება სულების ცხოვრებას სულეთში, რადგან, მეგრელების აზრით, იმ ქვეყანაშიაც გასავალი აქვს მარხულობის წესსა. ხშირად საკუროთხის კეთება, რა თქმა უნდა, მარტო ჭირისუფლის გულმოდგინებაზე არ არის დამოკიდებული, საკითხავია, თუ ქონება რამდენად აძლევს ამის ნებას. ანდაზაც კი აქვთ მეგრელებს ამის შესახებ: „ნღიდარქ ჭვეშ ღურეღევს გუკეთუ საკუროთხი დო ღარბისი-მუმაშათ ვაკეთინუა“ (შეძლებულმა ძველ მიცვალებულებს გაუკეთა საკუროთხი და ღარიბმა მამასაც ვერ გაუკეთათ).

ის სულები, ვისაც ჭირისუფლები თავთავის დროზე არ უკეთებენ საკუროთხს, შიმშილით ვატანჯულები, თავისიანებს სიზმარში გამოცხადებიან ხოლმე. გამხდრები, შიმშილისაგან გვერდებჩაცვინულები, და საყვედურით ავსებენ, ემუღარებიან: მიხედეთ თქვენს ღმერთს, ნუ გვაშიშნობთ, საკუროთხი ხშირ-ხშირად გაგიკეთეთო! სულეთში საუკუნო შიმშილობა ხვდებათ წილად იმ მიცვალებულთ, რომელთაც „სააქაოში“ არავინ დარჩენია ისეთი, რომ საკუროთხებისათვის იზრუნოს. ასეთ ობოლ, უპატრონო სულებს ზოგჯერ გულკეთილი მეზობლები და შორეული ნათესავები უკეთებენ საკუროთხს.

აღდგომის მეორე დღისათვის მეგრელებს „შურეფი“ (სულები) ანუ სულების უქმე უქვიათ და ეს დღე საგანგებოდ შეწირულია როგორც დიდი ხნის, ისე ახლადგარდაცვალებულ სულების მოხსენებისათვის. ამ დღეს სასაფლაოზე ყოველ საფლავზე უნდა ვხედავდეთ საკუროთხს ამ დღისათვის მოსულთა და უჩინრად თავიანთ საფლავებზე დამდგარ და საკუროთხების მომლოდინე სულთათვის. მღვდელი აკუროთხებს სათითაოდ საკუროთხს, მერე ნახევარი თვითონ მიაქვს, და მეორე ნახევარი რჩება საკუროთხის მომტანს.

საკუროთხებას ეს ნახევრები პატრონებს მიაქვთ და სასაფლაოზედვე ხეების ჩრდილში სახელდახელო სადილსა მართავენ. სვამენ სულების საცხონებლად, მღერიან, ქეიფს ეწევიან, როგორც ადამიანები, რომელთაც შეგნებული აქვთ, რომ აღასრულეს თავიანთი წმინდა მოვალეობა. მოლხენის დროს ერთ-ერთი ჭგუფი მეორეს „მოსაკითხს“ უგზავნის: ხორცის საუკეთესო ნაჭრებს, ღვინოს და სხვ. მოსაკითხის გადამცემი ლოცავს და საუკუნო ნეტარებას უსურვებს იმათ მიცვალებულს, ვისთანაც საკუროთხი მიაქვს. მეორე ჭგუფიც ცდილობს პირველს არ ჩამორჩეს, თუ უკეთესი არა, იმნაირი მოსაკითხი მაინც გაუგზავნოს და სააღერსო სიტყვები შეუთვალოს მიცვალებულისათვის და სხ. თავში ღვინოშემჭდარი სოფლელები სადილს ათავენენ ცეკვით, ბურთის-

თამაშით და ცხენის ჯირითით, სანამ ღამის სიბნელე იქით-აქეთ არ გა-  
ყრიდეს ყველას.

გარეშე ამ წესებისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მიცვალებულთა  
სსოვნა და თაყვანისცემა წმინდად არის დაცული მეგრელებში და სა-  
ერთოდ გარდაცვლილთა სულების კულტს განსაკუთრებული ყურად-  
ღებით ეპყრობიან. მიცვალებულთა სულები ყოვლადის მოწიწებით  
მოიხსენება ხოლმე, მათ სახელებს უმატებენ სააღერსო ხასიათის სხვა-  
დასხვა ეპითეტებს. შიში, რომელიც ამ შემთხვევაში მეგრელს ჩაჭრილი  
აქვს მიცვალებულთა სულისაგან, მის წარმოდგენაში მთელ მის არსე-  
ბადაა გამაფებელი. იგი დარწმუნებულია, რომ მარტოოდენ ხსენება  
მიცვალებულის სახელისა ან სიკვდილისა საკმაოა, რომ ამით ნიშანი  
მიეცეს სიკვდილს მოსასვლელად და მისი მხსენებელის სულის წასა-  
ყვანად. ამიტომ ერთიცა და მეორეც (სული და სიკვდილი) ლაპარაკში  
ჰერთფრაზებით უნდა შეიცვალოს. ერთი სიტყვის მაგიერ რამდენიმე  
სიტყვა უნდა იქნეს ხმაზებული მის გამოსახატავად. ასე, მაგ., სახელი,  
რომელიც ერქვა მიცვალებულს, შეიცვლება სიტყვებით, რომლებიც  
გამოხატავენ თვით სიკვდილის აქტს: „ჩქიმი მაჭუალი“ (ჩემი დამწვე-  
ლი), ე. ი. ვინც მე ცეცხლი მომიკიდა (იგულისხმება თავის სიკვდი-  
ლით), ან „უხანო“ (ხანმოკლე, უდროოდ მკვდარი), „უყვაშქარე“  
(უბედური, ვისაც შუბლზე არ ეწერა დიდის ხნის სიცოცხლე). უკიდუ-  
რეს შემთხვევაში, როცა წამოსცდება სიტყვა „სიკვდილი“, უეჭვე-  
ლად დაუმატებენ მის ეპითეტს: „ღურუ თოლწკურილი“ (სიკვდილი  
თვალდაუჭული); ან „ღურუს თოლქ ღუღირთუ“ (სიკვდილს თვალი  
დაუდგეს ისე, რომ არ შეეძლოს მოსვლა და ხალხის წაყვანა). ლაპარაკ-  
ში, როცა სიკვდილზე ჩამოვარდება სიტყვა, ცდილობენ მალე გადავიდ-  
ნენ სხვა თემაზე. თუ ამ დროს ვისმე ცხვირი დააცემინა, მის გვერდით  
მჯდომარემ მაშინათვე სამჯერ უნდა დაარტყას ზურგზე მუშტი და და-  
ტანოს: „მის მოსვლამდე თავი არ გტყენოდეს“. ამ ჩვეულების ახსნა  
ასეთი უნდა იყოს: უმეტესი წილი ავადმყოფობათა (განსაკუთრებით  
გაცივებით) იწყება ცხვირის დაცემინებით; ამ შემთხვევაში მიცვალე-  
ბულის ან სიკვდილის ხსენებაზე, რომელიც მოსდევს ამათუიმ ავად-  
მყოფობას, ჩნდება ავადმყოფობა, შედის ცხვირის დამცემინებელის  
სხეულში, მაგრამ მუშტის ცემითა და მუქართ ის დროითვე გამოაქვე-  
ბული იქნება სხეულიდან. მოხდება ხოლმე, რომ ვისმე ეკითხებით მის  
ავადმყოფ ნათესავის ამბავს, რომელიც თურმე დიდი ხანია გარდაცვლი-  
ლა, მაშინ თქვენი მოსაუბრე გიპასუხებთ: „თქვენი ჭირი წაილა“  
(„თქვანი ჭირი მიდელუ“), ე. ი. თქვენს მაგიერ მოკვდა (ამის შესახებ  
იხ. ზემოთ, საცა ლაპარაკია ავადმყოფის სამკურნალო საშუალებებზე).  
როცა დედას უნდა აღნიშნოს მსგავსება თავის შვილისა მის მიცვალე-

ბულ შამასთან, უკანასკნელის სახელს არ ახსენებს, მხოლოდ იტყვის: „სულ ჩემ უნაწეროსა ჰგავს, მისი ხანი მიემატოს“...

როგორც მიცვალებული, ისე მისი საფლავი და საზოგადოდ სასაფლაო მეგრელს უზომოდ აშინებს. ხოლო ეს შიში წარმოსდგება იქიდან, რომ მეგრელსა სწამს, რომ მიცვალებული—ბოროტი არსებაა და თუკი ვინმე გაიმარტოვა, უეჭველად ცუდ რამეს შეამთხვევს. განსაკუთრებით საშიშოა სასაფლაოზე მისვლა ღამით, ან თუნდ შორი-ახლო გავლა მისკენ, მეგრელი უმალ სიცოცხლეს გასწირავს, ვინემ გაბედავდეს ღამე საღარბაზოდ ეწვიოს სასაფლაოს უტყუვ მცხოვრებთ

მიცვალებულთა სულელები და მათი საფლავები მეგრელთათვის საფიცია: „დედის სული მე“ (დიდაში შურიმა) ნიშნავს; ვფიცავ დედის სულს; ვფიცავ დედის ძვლებს ან დედის კუბოს ფიცარს. ამ საფიცარ სიტყვების წარმომთქმელი თავის წმინდა მოვალეობად სთვლის მიცემული ფიცი შეასრულოს, ტყუილი არა თქვას. დიდ დანაშაულად ითვლება ტყუილად დაიფიცოს კაცმა თავის მიცვალებულთა სულელები; თავიანთი მიცვალებულების საფლავების მკრეხელობა მიცვალებულთა ნათესავეების მიერ სასტიკად ისჯება, მკრეხელთ სდევნიან, როგორც საშინელი ბოროტების ჩამდენ ავაზაკებს და თავიანთ მიცვალებულთა შეგინებული სახელის აღსადგენად სიცოცხლეც კი არ ეშურებათ.

მიცვალებულთა ნათესავეებს ძალიან აქვთ განვითარებული ცნობისმოყვარეობა—გაიგონ საიდუმლოება განსვენებულთა სულების ყოფა-ცხოვრებისა, გაიგონ—რა დღეში არიან. ამ ცნობისმოყვარეობას უმთავრესად იკმაყოფილებენ სიზმრებით. შემდეგი ნიშანი პირდაპირი მაჩვენებელია იმ ნეტარებისა, რომელშიაც იმყოფება მიცვალებულის სული საიქიოში, მაგ., ახლადდამარხულ მიცვალებულის საფლავზე ჩნდება ნათლის სვეტის სახით ფოსფორული ემანაცია, რომლისათვის მეგრელებს ნათელი უქვიათ. ამ შემთხვევაში მეგრელს უხარის, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი მიცვალებულის სულს აქ „ნათელი დასდგომია“, მასასაღამე, „იქ“ („საიქიოში“) დალხინებულია და კარგ დღეშიაო...

სახალხო ექიმობაში მკვდრების ძვალს სამკურნალო თვისებას მიაკუთვნებდნენ ხოლმე: ვისაც ხელი უოფლიანდებდა, საკმარისია ხელი მოკიდოს მკვდრის ძვალს, რომ სავსებით განიკურნოს სენისაგან. ძვლებსავე აქვთ მოჯადოების თვისება, ამას მიმართავენ ქურდები, რომ უფრო ადვილად მიითვისონ მოყვასის საკუთრება. ამისათვის კაცის ძვლით მიწაზე გარმემო წრეს შემოავლებენ იმ სახლს, სადაც უნდათ შეპარვა საქურდლად. ყველა ცოცხალ არსებას, რაც ამ მოჯადოებული წრის შიგნით მოექცევა, გულის ძილით დაეძინება და ამ ძილის ღროს ქურდებს სახლიდან გამოაქვთ, რაც კი მოეწონებათ.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

რედაქტორისაგან . . . . .	5
სამეგრელოს მითოლოგიიდან . . . . .	7
ყვავილ-ბატონები სამეგრელოში . . . . .	23
ახალი წელიწადი ანუ კალანდა სამეგრელოში . . . . .	40
წმ. გიორგის კულტი და ღვთის საძარტალი . . . . .	58
საქორწილო ჩვეულებანი სამეგრელოში . . . . .	70
მრცვალეზულის კულტი სამეგრელოში . . . . .	112

გამომც. რედაქტორი ლ. პატარაია

\* \* \*

გადაეცა წარმოებას 1956 წ. 16/1. ხელ-  
მოწეოილია დასაბეჭდად 1:56 წ. 1/III.  
ქალაქის ზომა 60 x 92. წიგნის ანაწყო-  
ბის ზომა 6 x 10. ტირაჟი 2000. გამომც.  
შეგ. № 17. სტამბის შეგ. № 118. უე 02101.

\* \* \*

საგამ.-სააღრ. ფორმათა რაოდენობა 8,37.  
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 9.

\* \* \*

სტამბა „ზარია ვოსტოკა“,  
რუსთაველის პოლსპ., № 42.

3360 1 005.50 333.

450

26/28